დონ ჯუზეპე ჯუდიჩე ვილანელი

# ფეოდალური საქართველოდან

## XVII საუკუნე

იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და
შენიშვნები დაურთო **გეფან გიორგაძემ**

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო"
თბილისი
1964

9 (C41)
9 (47.922) (001)+91 (45) (092)
მ 674

წინამდებარე ნაშრომი დღემდე გამოუქვეყნებელი ისტორიული წყაროა XVII საუკუნის ქართლსა, იმერეთსა, გურიასა და უპირატესად სამეგრელოზე. მასში აღწერილია გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული და სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ზოგიერთი საინტერესო მომენტი. საკულტო ცერემონიალების დაწვრილებით თხრობას ახლავს საინტერესო ცნობები პრაქტიკული საქმიანობიდან მედიცინის დარგში. მეფე-მთავართა გამგებლობის სფეროთა ჩვენება ავტორის უშუალო დაკვირვების შედეგადაა მიღებული. რელაციაში აღწერილი ეაპრობა, ნადიმობა, ცრუმორწმუნეობა, ნადირობა, სამართლის წარმოება და სხვ. მეგრელთა საყოფაცხოვრებო ფონზე ნაჩვენებია, და, ამრიგად, რამდენადმე გაშუქებულია სოციალურ-ეკონომიური ვითარება აღნიშნულ პერიოდში. ის, რაც საქართველოს ისტორიაში მომხდარი სიდუხჭირის გამო ჩვენმა მემატიანეებმა ვერ შემოგვინახეს, ამ რელაციაში საკმაო სისრულითაა წარმოდგენილი და, ამგვარად, წინამდებარე ნაშრომს შეუძლია სასარგებლო სამსახური გაუწიოს ქართველ მკითხველს.

---

რედაქტორი სიმონ ყაუხჩიშვილი

## დონ ჯუზეპე ჯუდიჩე და მისი რელაცია საქართველოს შესახებ

ვატიკანის ხელნაწერთა არქივიდან ამოკრებილი დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს იტალიური ტექსტი გამოუქვეყნებელი და, ამრიგად, საქართველოს ისტორიისათვის დღემდე უცნობია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება შრომის ერთი ნაწილი, რომელიც მანქანაზე გადმობეჭდილ 225 გვერდს შეიცავს, მეორე ნაწილი კი აკად. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდშია დაცული და ესეც 225 ხელნაწერ გვერდს მოიცავს. დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს საქართველოდან მრავალი წერილი გაუგზავნია რომში. იმ წერილების ზრგიერთი ფრაგმენტი შოტანილი აქვს მიხ. თამარაშვილს თავის თხზულებაში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის". ვატიკანის არქივში დაცული ეს უცნობი ხელნაწერები თავის დროზე ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახადა მეცნ. დოქტორმა მიხ. თამარაშვილმა, რომელმაც ხსენებული წერილები გადმოწერა და გადმობეჭდა. ამრიგად, მან ქართულ ისტორიოგრაფიას ძვირფასი მასალა შესძინა. ახლა ჩვენს ხელთაა ყველა მისი წერილი და, ვფიქრობთ, ამ ტექსტის თარგმანის გამოქვეყნება უთუოდ დახმარებას გაუწევს მკვლევართ.

თუ რამდენად მნიშვნელოვან ისტორიულ ძეგლთან გვაქვს საქმე, ეს ძალიან კარგად ჩანს იქიდან, რომ ავტორის გამოუქვეყნებელი რელაციონი არქანჯელო ლამბერტის ნაშრომის „სამეგრელოს აღწერასთან" შედარებით ახალ ცნობებს შეიცავს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ავტორები ერთსა და იმავე ხანაში მოღვაწეობდნენ და აღწერილობის ობიექტიც ერთი ჰქონდათ, ჯუდიჩეს ლამბერტისაგან დამოუკიდებლად სრულიად განსხვავებული ფაქტები მოყავს და იმდროინდელი სინამდვილიდან ფიქსირებული აქვს სოციალური ცხოვრების ის საგულისხმო მომენტები, რომლებიც ქართულ წყაროებს აკლია. ასე, მაგალითად, თუ ლამბერტის გამორჩენილუწერელი რაიმე მნიშვნელოვანი ამბავი დასავლეთ ან, ნაწილობ-

რივ. აღმოსავლეთ საქართველოდან, მას ნათელს ფენს აღნიშნული რელაცია, რომელშიც ასალი ცნობაა დადასტურებული. წყაროთა შეფასების მეორე არსებით საზომად მიღებული უნდა იქნას ისეთი მაჩვენებელიც, რომელიც ისტორიულ დოკუმენტს მეტ ღირებულებას შემატებდა. თუ არქ. ლამბერტის თავისი შესანიშნავი ნაშრომი იტალიაში დაბრუნების შემდეგ აქვს დაწერილი (რა თქვა უნდა, საამისოდ მას უნდა ჰქონოდა კიდეც ჩანაწერი დღიურები, რომ შემდეგ ამის მიხედვით შეედგინა სამეგრელოს ცხოვრებაზე რელაცია), დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს რელაცია სინამდვილის უტყუარ საბუთად იმიტომაც უნდა ჩაითვალოს, რომ მისი დოკუმენტური მასალა, რომელსაც მისიონერი წერილობით ატყობინებდა ხოლმე პროპაგანდა ფიდეს თავისი სამოღვაწეო ადგილიდან, ე. ი. სამეგრელოდან და ქართლიდან, არქ. ლამბერტიზე ადრეა დაწერილი და რომში გაგზავნილი. ასეთი ხასიათის რელაციაში მას არ შეეძლო პირადი შეხედულებანი გაეტარებინა და, მაშასადამე, უფრო სანდო წყაროდაა მისაღები, ვიდრე მწიგნობრული გზით შესრულებული, თუნდაც კარგად გამართული აღწერილობა. ამგვარად, არქ. ლამბერტის შრომა ჯუდიჩეს რელაციონის გარეშე არ იქნებოდა სრულყოფილი, ორივე ერთად კი ისტორიული სინამდვილის კარგ მასალას წარმოადგენს.

სანამ წინამდებარე უცნობი რელაციონის განხილვა-შეფასებაზე რაიმე მოსაზრებას გამოვთქვამდეთ, უმჯობესად მივიჩნევთ გამოუქვეყნებელი ტექსტის ავტორზე მოკლე მიმოხილვა წავუმძღვაროთ.

* * *

სამეგრელოს აღმწერელი თეათინელი პატრი დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანეზე[1], თავის ამხანაგ პატრ დონ არქანჯელო ლამბერტი ნაპოლიტანეზესთან ერთად, ჰალეპოსა და არზრუმის გზით 1631 წელს ჩამოვიდა ქართლში და ერთ ხანს გორში ცხოვრობდა.

ქართლში როსტომის გამეფების შემდეგ მისიონერ პატრებს, როგორც ჩანს, კარგად ვერ იღებდნენ, ამიტომ მათ წინასწარი თადარიგი დაუჭერიათ და სამისიონერო მოღვაწეობა სამეგრელოში გადაუტანიათ. სწორედ ამ დროს როსტომ მეფემ ლევან დადიანთან ელჩები გააგზავნა იმ მიზნით, რომ სამეგრელოს მთავრის და მარიამი, სიმონ გურიელის ქვრივი, სადედოფლოდ ეთხოვა. ელჩებად ყოფილან თბილელი ეპისკოპოსი და ნიკოლოზ (ნიკიფორე) ირბა-

[1] მილანეზე — „მილანელი", ნაპოლიტანეზე — „ნეაპოლელი".

ხი — ირბაჩო — ირუბაქიძე — ჩოლოყაშვილი. ამ უკანასკნელმა მისიონერებს სამეგრელოში წასვლა ურჩია. ამასთანავე არწმუნებდა მათ, რომ დადიანი კარგად მიგიღებთ, მეც დაგეხმარებით და შუამდგომლობას გაგიწევთ ლევან დადიანის წინაშეო.

ამგვარად, გამხნევებული ორი მისიონერი 1633 წლის 23 ოქტომბერს, ელჩებთან ერთად, სამეგრელოს გზას დაადგა. რადგან ქართლის გზები შეკრული იყო თეიმურაზ I მიერ, მათ მოუარეს ახალციხის მხრიდან, რომელიც იმ დროს ოსმალეთის ხელთ იყო. მთების გადალახვის შემდეგ ჯერ გურიაში ჩავიდნენ, სადაც დიდის პატივით მიიღო გურიის მთავარმა მალაქია კათალიკოსმა, მამია გურიელის ძმამ. საპატიო სტუმრებმა გურიაში ოთხ დღეს დაყვეს. გურიის კათალიკოსი თავისი ეპისკოპოსებით მისიონერების წირვას ესწრებოდა და მათ ღვთისმსახურების წესს უქებდა. მას სამეგრელოში მისიონერების გაშვება არ უნდოდა, დადიანის რიდი რომ არ ჰქონოდა. ოთხი დღის შემდეგ გურია დატოვეს და 19 ნოემბერს ბივიდნენ ილორში, სადაც ლევან დადიანმა იტალიელი პატრები მეტად კარგად მიიღო, მათ მამულები უბოძა და ეკლესიაც მისცა.

თეათინელი პატრები სამისიონერო მოღვაწეობასთან ერთად დასაწყისშივე მეგრულ ენასაც სწავლობდნენ და მოსახლეობას სამკურნალო დახმარებასაც უწევდნენ. როგორც სხვა რელაციებიდანაც ჩანს, ლევან დადიანს ქვეყნისათვის სასარგებლო ადამიანებზე ზრუნვა არ დაუკლია და მათი სამისიონერო წარმატებისათვის ხელი შეუწყვია.

იტალიელი მისიონერები საქართველოში ისეთ დროს ჩამოვიდნენ, როდესაც ჩვენი ქვეყანა დაშლილი და დაძაბუნებული იყო ორი მოძალადის—სპარსეთისა და ოსმალეთისაგან. ლევან დადიანის გამჭრიახი გონება, ამ შემთხვევაში, პოლიტიკურ ვითარებას ითვალისწინებდა და სურდა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა საქართველოში აღებ-მიცემობის მიზნით ჩამოსულ ევროპელთა რეალური ინტერესები, რაც თავისთავად ოსმალეთის მტაცებლურ ზრახვებს დაუპირისპირდებოდა. ქართველი პოლიტიკოსები, მეფე-მთავრები ევროპასთან ურთიერთობაზე ხომ დიდი ხნიდან ოცნებობდნენ. პატრების მოსვლამ საქართველოში იმედი გაუძლიერა სამეგრელოს მთავარს, რომ მათი მეშვეობით ევროპასთან მჭიდრო კულტურული კავშირი დაემყარებინა. ევროპაზე აღებული გეზი, ევროპული განათლებისადმი მისწრაფება ლევან დადიანის რეალური პოლიტიკის მიზანი ყოფილა, რაც მისი გაკათოლიკებითაც შეიძლება აიხსნას. საერთოდ, თურქების დამთრგუნველი ერთადერთი

ძალა იმ დროს მხოლოდ კათოლიკური ევროპა იყო. სამეგრელოს სოციალურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა შესაძლებლობას არ აძლევდა მის ნიჭიერ მესვეურს გარედან მიღებული დახმარების გარეშე თავი გაერთმია მოუგვარებელი მმართველობისათვის. მან კარგად იცოდა დიდად განვითარებული ევროპის ფასი როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ სფეროში და ამიტომ ესწრაფოდა მასთან კავშირს. როგორც რელაციიდან ჩანს, დადიანს გარედან დახმარების ნაკლები რწმენა ჰქონია, მაგრამ სცოდნია, როგორც ნამდვილ სახელმწიფოს მესაჭეს, რომ პოლიტიკაში დროთა განმავლობაში იცვლება გარემოებანი და შეიძლებოდა გამართლებოდა კიდეც მოლოდინი.

ლევან დადიანი და მეფე თეიმურაზ I ევროპაში ელჩებს აგზავნიან. ოსმალ-სპარსთა შემოტევით შევიწროებული ქართლ-კახეთის მეფე და მთავარი ღრმა პოლიტიკური მოტივებით ხელმძღვანელობდნენ: ქვეყნის ხსნისა და დაცვისათვის ყველა შესაძლებელ გზას ეძებდნენ ევროპასთან დასაახლოებლად, მას შემდეგ, რაც თურქეთი ჩადგა საქართველოსა და ევროპას შუა და საქართველოს გზა დაეხშო ერთმორწმუნე ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობისათვის. ასეთ ვითარებაში ქართველი პოლიტიკური მესვეურები რთულ დიპლომატიას ეწევიან ევროპის ხელისუფალთა კარზე. ირან-ოსმალეთის ბატონობიდან თავის დასახსნელად საკუთარი ძალა არ კმაროდა, სხვა დიპლომატიურ ხერხთა შორის ჩვენმა პოლიტიკოსებმა დამპყრობთა უღლისაგან თავის დასაღწევად საქართველოს გაკათოლიკება სცადეს.

სწორედ ამ ხანებში დადიანმა პაპისაგან ბულა მიიღო რომში პროპაგანდის კოლეგიის დაარსების შესახებ. აღნიშნული კოლეგია შეიქმნა საქართველოში მოღვაწე მისიონერთა მოთხოვნით უპირატესად ქართველთათვის. ამ ბულით პაპი ყველა ტომის ხალხს მოუწოდებდა კათოლიკურ სარწმუნოებაში მოსაქცევად პროპაგანდის სკოლაში ყმაწვილები გაეგზავნათ. დადიანმა პატრების რჩევით ელჩის გაგზავნა გადაწყვიტა და ჯუზეპე ჯუდიჩეს დაავალა რომში ელჩად წასვლა, თან პროპაგანდის სკოლაში სწავლის მისაღებად ორი ყმაწვილი გაატანა. ერთს ანტონი რქმევია, მეორეს ანდრია. ეს სახელები, რა თქმა უნდა, გაკათოლიკების შემდეგ აქვთ შერქმეული.

ჯუდიჩეს გაგზავნა 1643 წელს მომხდარა. რომში ჩასულმა პატრმა დადიანის წერილები პაპ ინოკენტი X-ს და პროპაგანდის კარდინალებს გადასცა. პაპმა ლევან დადიანს თხოვნა შეუსრულა და ჯუდიჩე, ორ ახალ მისიონერთან ერთად, უკან გამოისტუმრა. ესენი იყვნენ პატრები ჯოვანი მონტი მილანეზე და დონ ჯაკომო

ანტონიო მარეი კრემონეზე. მისიონერები იტალიიდან კონსტანტინოპოლის მიმართულებით გამოვიდნენ 1646 წლის მარტში. დარდანელში ჩასვლისთანავე მისიონერები ოსმალეთის მთავრობამ ჯაშუშებად მიიჩნია. ფაშამ ისინი დაატყვევა და კონსტანტინოპოლში გადაგზავნა. აქ მათ ხუნდები დაადეს და საპყრობილეში ჩასვეს. ოსმალებმა დაპატიმრებული პატრები შეურაცხყვეს. ჯუზეპე ჯუდიჩე მილანეზე ციხეში გარდაიცვალა.

მისი ტრაგიკული დაღუპვა მიზეზი შეიქმნა იმისა, რომ ეს ძვირფასი მასალები დავიწყებას მისცემოდა და ვატიკანის არქივში ხელუხლებლად შემონახულიყო 320 წლის განმავლობაში. მხოლოდ ამ 50 წლის წინათ მ. თამარაშვილმა ვატიკანის ხელნაწერთა ფონდებში აღმოაჩინა შესანიშნავი ნაშრომი მეცნიერებისათვის სრულიად უცნობი ავტორისა. სამეგრელოდან რომში გაგზავნილი რელაციები ამჟამად ერთადაა შეკრებილი და შეძლებისამებრ დამუშავებული. ჩვენი სურვილია ქართველ საზოგადოებას გავაცნოთ უცნო ავტორის ეს შესანიშნავი შრომა.

პატრი დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს რელაცია „სამეგრელოს აღწერილობის ვრცელ მოთხრობას წარმოადგენს. იგი არცთუ დიდი მოცულობისაა — დაახლოებით ექვსი ნაბეჭდი თაბახია. როგორც მისი ნაწერებიდან ჩანს, ავტორს სერიოზული განზრახვა ჰქონია სამეგრელოს აღწერა მეტი მეცნიერული დახვეწილობით წარედგინა ევროპელი მკითხველისათვის, მაგრამ იგი ადრე დაიღუპა და თავისი რელაცია გამოუქვეყნებელი დარჩა.

ჯუდიჩესა და ლამბერტის რელაციები ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებიან თავიანთი შინაარსით. ჯუდიჩეს ნაშრომს მხატვრული სტილი და სინატიფე აკლია, ამასთან დაუმუშავებელიცაა, ვინაიდან მას თავისი რელაცია დასაბეჭდად არ გაუმზადებია, მაგრამ სამაგიეროდ მდიდარია კონკრეტული ფაქტებით და ასახავს სამეგრელოს ცხოვრებას.

ჯუდიჩეს და ლამბერტის სამეგრელოს აღწერილობები ერთსა და იმავე თემაზეა აგებული, რადგან მათ ერთსა და იმავე მხარეში უხდებოდათ მოღვაწეობა. ამავე დროს ჯუდიჩე ლამბერტის წინამძღვარიცაა სამისიონერო მოღვაწეობის ასპარეზზე. თუმცა მათი აღწერილობის საგანი ერთია, მაგრამ არქანჯელო ლამბერტისთან შედარებით ჯუდიჩეს დამატებითი ფაქტები მოჰყავს სამეგრელოს ცხოვრებიდან. ავტორი ეხება სოციალურ-ეკონომიურ საკითხებს, როგორც მართლმსაჯულების, ისე მთავრის იურისდიქციას და გამგებლობის სფეროს. რელაციაში აღწერილია: ვაჭრობა სამეგრელოში, მეგრელთ ნადიმი, მათი ცრუმორწმუნეობა, ნადირობა,

დასაფლავების ცერემონიალი, დღესასწაულები, მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურთა უარყოფითი მხარეები და სხვ. განსაკუთრებით წინაა წამოწეული სამედიცინო მომსახურების საინტერესო პრაქტიკა. მართალია, არქ. ლამბერტის ამ საკითხზე დაწვრილებით აქვს მოთხრობილი, მაგრამ ჯუდიჩეს ყურადღება გაუმახვილებია ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საკითხებისადმი, რომლებშიაც ჩაქსოვილია სოციალურ-ეკონომიური მხარის ზოგიერთი საინტერესო მომენტი. მეგრელთა ყოფა-ცხოვრებიდან, რაც ლამბერტის არა აქვს. როგორც შედარებიდან ჩანს, ლამბერტის ჯუდიჩეს გამოუქვეყნებელი მასალებით უნდა ესარგებლა. თუმცა იგი მას თავის ნაშრომში არ ასახელებს, მაგრამ მათი ტექსტების ზოგიერთი ადგილების დამთხვევიდან და რელაციის აგებულების მსგავსებიდან ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება.

მართალია, ლამბერტი ჯუდიჩეს მოღვაწეობას თავის ნაშრომში ადგილს არ უთმობს, სამაგიეროდ მისიონის პრეფექტი ჯუდიჩე ვრცლად მოგვითხრობს ლამბერტის ფრიად საინტერესო საქმიანობაზე როგორც სამისიონერო ასპარეზზე, ისე საექიმო და მხატვრობა-ხელოსნობის დარგში, რითაც მან განსაკუთრებული პატივისცემა და ყურადღება დაიმსახურა ლევან დადიანისა და მისი მეუღლის წინაშე.

ორი ნაშრომის ერთმანეთთან შესაჯერებლად უკეთეს საშუალებად ითვლება პარალელების აღნუსხვა იმ შემთხვევაში, როდესაც ესა თუ ის საკითხი კრიტიკულადაა შესასწავლი. მაგრამ ჩვენ აქ გვაქვს სამეგრელოს აღწერილობის ორი მნიშვნელოვანი წყარო, აგებული ერთსა და იმავე თემაზე, რომელნიც ურთიერთს კი არ გამორიცხავენ, არამედ ავსებენ და კიდეც ამდიდრებენ ფაქტობრივი მონაცემებით. მაშასადამე, აქ დასადგენია მხოლოდ პირველწყაროს საკითხი, თუ რომელი ავტორთაგანი უფრო სანდო და სრულფასოვანია და ვის უფრო სიზუსტით აქვს შედგენილი დოკუმენტი. უდავოა, რომ ჯუზეპე ჯუდიჩეს თავისი რელაცია ადრე აქვს დაწერილი და რომში გაგზავნილი (1631 — 1640 წწ.), ლამბერტის კი თავისი ნაშრომი გაცილებით უფრო გვიან, 1654 წელს აქვს გამოქვეყნებული. ეს საკითხი სადაო არაა, მაგრამ იბადება კითხვა: შეეძლო თუ არა ლამბერტის ესარგებლა ჯუდიჩეს ნაწერებით მისი ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ, როცა პროპაგანდა ფიდეს მისი რელაციები არქივში ჰქონდა შენახული? ამ საკითხის დასადგენად საკმარისია ორიოდე პარალელის მოყვანა, მაგალითად, ჯუდიჩეს თავის რელაციის 80 გვერდზე ასე აქვს აღწერილი ერთი ქართული ვერსია: „...ყოფილა ერთი მეფე, რომელსაც ოთხი ვაჟიშვილი ჰყოლია,

სიცოცხლეშივე თავისი სამფლობელო ოთხ საერისთაოდ გაუყვია: ერთი ეგრეთ წოდებულ ქართლის პროვინციის ერისთავად ანუ მარკიზად დაუდგენია, მეორე — კახეთის პროვინციის ერისთავად, მესამე — გურიის პროვინციისა და მეოთხე სამეგრელოს ერისთავად დაუმტკიცებია.

რამდენიმე წლის განმავლობაში ერისთავები თავიანთი მეფეობაში-აჩუკის მორჩილნი და გამგონნი ყოფილან, მაგრამ დროთა ვითარებაში მას განდგომიან. თვითეულ მათგანს დამოუკიდებელი ცხოვრება დაუწყია, როგორც უფლებაშეუზღუდველ მთავარს"[1].

ლამბერტისაც, თავისი „სამეგრელოს აღწერისას", მე-11 გვერდზე ასევე აქვს განმეორებული:

„მეფე ერისთავების შემწეობით საქართველოს დიდხანს განაგებდა, ვიდრე ერთმა მეფემ, შვილების ძლიერ მოყვარულმა, სახელმწიფოს ყოველივე სარგებლობის წინააღმდეგ, არ გაუნაწილა შვილებს თავისი სამეფო. თავისთვის დაინარჩუნა იმერეთი, ოდიში, სამცხე და გურია, რომელნიც კვლავ დატოვა ისევე ერისთავების გამგებლობის ქვეშ.

ერისთავები თვლიდნენ თავიანთ თავს მეფის თანასწორად: თითოეული უარყოფდა მეფის უფლებას და ცდილობდა განეგო თავისი სამთავრო თვითმპყრობელ ხელმწიფესავით. თუმცა ყოველ მათგანს თავისი აზრი ამ საგანზე უკვე ჰქონდა, მაგრამ ერთმანეთისათვის ამ აზრის გამომჟღავნებას ვერ ბედავდნენ და მიილტვოდნენ როგორმე, ან დროის ან ბედის შემწეობით, სისრულეში მოეყვანათ თავიანთი განზრახვა"[2].

ჩვენ აქ გვაქვს ერთი ვერსიის ორი ინტერპრეტაცია. ჯუდიჩეს ტექსტი ნათელი და კონკრეტულია, ლამბერტისა კი — სტილიზებული. აქედან ცხადია, თუ რა ცვლილება განუცდია პირველწყაროს, მაგრამ სიუჟეტს მაინც ვერ დასცილებია. მაშასადამე, ჯუდიჩეს წყარო ისევე სანდოა ჩვენი წარსულის შესწავლისათვის, როგორც ლამბერტის ნაშრომი.

ასევე ლამბერტის მიერ აღწერილი მეგრელთა ნადიმობა ემთხვევა ჯუდიჩესას. ამასთანავე ლევან დადიანის მართლმსაჯულების

---

[1] ლეონტი მროველის ცნობის მიხედვით საერისთაოებად დაყოფა ფარნავაზის დროხაა შემოღებული. „მაშინ ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თჳისთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა, და განამრავლნა ყოველნი მჴედარნი ქართლოსიანნი, განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი" (იხ. „ქართლის ცხოვრება", ტ. I, გვ. 24, სახელგამი, თბილისი, 1955 წ.).

[2] ლ ა მ ბ ე რ ტ ი ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო, სამეგრელოს აღწერა, მე-2 გამოცემა, 1938 წ.

უფლების გამოყენება და მისი ზოგიერთი არსებითი დეტალის ჩვენება განმეორებაა ჯუდიჩეს რელაციისა.

ცრუმორწმუნეობის ნაირსახეობათა აღწერილობა ლამბერტის ნაშრომში იმავე სიტყვებითაა გადმოცემული, მსჯელობის მეთოდითაც არ განსხვავდება ჯუდიჩეს ადრე აღწერილი მონათხრობისაგან.

ამრიგად, ერთ თემაზე დაწერილ ორ ნაშრომს XVII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება. მიუხედავად იმისა, რომ აქ ერთი და იგივე საყოფაცხოვრებო მოვლენების აღწერილობაა წარმოდგენილი და მრავალ პარალელს შეიცავს, ეს ხელს არ უშლის ორივე თხზულება კარგ წყაროდ ჩაითვალოს.

გარდა სოციალურ-ეკონომიური საკითხებისა, რომლებშიც ავტორი კარგადაა ჩახედული, მას მოეპოვება საკმაო საყურადღებო ცნობები პოლიტიკური ხასიათისა, რაც გამორჩენილი აქვს ლამბერტის.

მაგალითად, როსტომ მეფის (როსტომ ხანის) სპარსეთში მოღვაწეობის შესახებ არსებულ ცნობებს[1] ემატება ჩვენი ავტორის საინტერესო დეტალი შაჰ-აბას II გამეფების დრამატული მომენტიდან, იმ დროის ამბავი, როდესაც მისი ტახტზე ასვლა ხალხს არა სურვებია, რადგან ქართველი დედა იმხანად ცოცხალი ჰყოლია. როსტომ ხანი ქართველთა რაზმით დახმარებია შაჰ-აბასს და ირანის ტახტზე ხელმწიფედ დაუსვამს. ამის შემდეგ იგი უსაყვარლეს კაცად და ფრიად დაწინაურებულ მოხელედ ითვლებოდა სპარსეთის კარზე. ავტორი როსტომ მეფის ამბავს საქართველოში ჩამოსვლის დღიდან კვლავ აგრძელებს, როგორც თანდამსწრე და თვითმხილველი. მას პოლიტიკური მიზნით მოწყობილ ქორწინებად მიაჩნია ლევან დადიანის დის, მარიამის, ქართლის დედოფლად მოყვანა. საინტერესოა მისი ვარაუდი როსტომ მეფის და ლევან დადიანის საიდუმლო გეგმაზე, რომელიც იმერეთის ორად გაყოფის საკითხს შეეხებოდა: ერთდროულად უნდა გაელაშქრათ როსტომ მეფეს ქართლიდან, ხოლო ლევან დადიანს სამეგრელოდან. არცთუ მთლად უსაფუძვლო იყო ასეთი გარიგებით ქორწინების შედეგად შემუშავებული ზრახვები, ლამბერტი ამის შესახებ ცნობას არ გვაწვდის.

ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილზე ზოგიერთი ცნობა ახალ შუქსა ფენს იმ პერიოდის სოციალურ-პოლიტიკურ მხარეს და და-

---

[1] იხ. მოჰამედ თაჰერი ვაჰილი—„შაჰ-აბას II მეფობის ისტორია". C. A. Storey — Persian Literature, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ვახუშტის საქართველოს ისტორია და სხვ.

შაფიქრებელი გარემოებაა, რომ ჯერ არსად ქართულ წყაროებს არ აღუნიშნავთ ნიკოლოზ ბერის სამეგრელო-აფხაზეთის პატრიარქად დასმა 1657 — 1658 წლებში, რასაც სხვა ავტორი უტყუარ ცნობად გვაწვდის. ლამბერტის ამის შესახებ არაფერი აქვს ნათქვამი თავის ნაშრომში.

მეფე თეიმურაზ I-ის საქმიანობა და მასთან დაკავშირებული დაუდ-ხან უნდილაძის ურთიერთობა სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყების მომენტში დიდად ანგარიშგასაწევი მოვლენაა აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის გასაშუქებლად და ფაქტების დასადგენად. ეს სრულიად გამორჩენია ლამბერტის პირველ ნაშრომში, იგივე არ ითქმის მის მეორე შრომაზე, სადაც დაწვრილებითაა მოთხრობილი ამ ამბავზე. მაგრამ ქართული ისტორიოგრაფიისათვის იგი ჯერჯერობით უცნობია.

სიმონ გურიელის ტრაგიკული ამბების აღწერას იძლევა, მაგრამ შალაქია კათალიკოსის, სიმონ გურიელის ბიძის, მთავრად დანიშვნაზე ჩვენი ავტორი განსაკუთრებული ღირებულების მქონე მასალას გვაწვდის. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტის დადგენას, რომ ერთი და იგივე პიროვნება მთავარიც არის და კათალიკოსიც. ამ საკითხზე ლამბერტი გარკვევით არაფერს ამბობს.

ლევან დადიანზე მოთხრობილი ისტორია სრული შთაბეჭდილების სურათს მხოლოდ მაშინ შეგვიქმნიდა, თუ მას დაემატებოდა მისი პიროვნების დამახასიათებელი დეტალები, რომლებიც ჯუდიჩეს შეუნიშნავს. ყველა ეს გარემოება მხედველობაში უნდა იქნას მიღებული წყაროს შეფასებისას, რადგან თვით რელაცია იმდენად ვრცელია და თხრობის ხასიათიც თავისებური, რომ ამ მცირე დეტალებით ვერ ამოიწურება ამ ნაშრომის ღირებულება.

საკმარისია გავიხსენოთ ისტორია შაჰ-აბასის მიერ კახელების სპარსეთში გადასახლებისა, რომლის თანამედროვეა ჩვენი ავტორი, და ის, რომ იგი მნახველთაგან მონათხრობს აგვიწერს, რომ ჯუდიჩეს როგორც პირველწყაროს მაღალი შეფასება მიეცეს. ამისი პარალელური ცნობები მოიპოვება სპარსეთში ნამყოფი მისიონერების შრომებშიაც, სადაც აღწერილია ფერეიდანში გადასახლებული კახელებისა და ჩერქეზების ტრაგიკული მდგომარეობა[1].

ყოველივე ზემოთქმულიდან უნდა დავასკვნათ, რომ ჯუდიჩეს ნაშრომში საკმაო ფაქტობრივი მასალა მოიპოვება და რომ მისი რელაცია ბევრ ახალ ცნობას შეიცავს ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

---

[1] იხ. A Chronicle of the Carmelites in Persia, t. I—II, London, 1939.

ავტორი სამეგრელოს სინამდვილის გულწრფელი აღმწერელია. იგი მხილველია საქართველოს პოლიტიკური ვითარების იმ შავბნელი პერიოდისა, როდესაც აღმოსავლეთი საქართველო განადგურებულია ირანისგან, ხოლო დასავლეთი საქართველო პოლიტიკურ-ეკონომიურადაა დაქვეითებული ოსმალეთის გავლენით. ჯუდიჩეს მოცემული აქვს საქართველოს პოლიტიკური ვითარების რამდენიმე დეტალი, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზოგიერთი საკითხის გასარკვევად. როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოდან, ამ შემთხვევაში კახეთიდან, სამეგრელოში გადახვეწილი იყო რამდენიმე ცნობილი პიროვნება, რომლებიც ამ მხარის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. ასეთია ალავერდელი ეპისკოპოსი და ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი. საფიქრებელია, რომ მათთან ერთად სხვებიც იქნებოდნენ. 1614 წელს და შემდეგაც შაჰის მიერ დევნილი თეიმურაზ მეფეც იმყოფებოდა სამეგრელოში. მას უთუოდ ამალაც თან ახლდა, რასაც ტომას ჰერბერტი და ლუი გრანჟეც ადასტურებენ.

მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენით დამკვიდრებულ ტრადიციებს სამეგრელოში, როგორც რელაციიდან ჩანს, საფუძველი უალრესად შერყეული ჰქონია. რამაც დაკვირვებულ ჯუდიჩეს საეაპი მისცა თავის რელაციებში აესახა უარყოფითი ნიშნების მატარებელი კულტის მსახურთა მორალური სახე. ამის გამო პატრებს ნაყოფიერი ნიადაგი ექნებოდათ კათოლიციზმის გასავრცელებლად და ამ მხარის მოწინავე ფენებისაკენ გზის ადვილად გასაკვლევად. მისიონერები განათლებითა და კულტურით იმ წრეზე მაღლა მდგარან, სადაც მათ მოღვაწეობა უხდებოდათ, ამიტომ, ცხადია, მათ სავსებით მოხიბლეს ლევან დადიანისა თუ სხვათა მთავრების კარი, მიუხედავად იმისა, რომ ქართლი, გურია და სამეგრელო ეკონომიურად და კულტურულად დაქვეითებული მოჩანს (დამპყრობთა ხელში საქართველოს ყველა კუთხე თანაბრად განიცდიდა ამ დაქვეითებას), ძველი კულტურის ტრადიციების მატარებელნი მაინც თავდადებით იბრძოდნენ მომავალში ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. პატრი უშუალო დაკვირვების შედეგად გადმოგვცემს კულტის მსახურთა დამახასიათებელ ზოგიერთ მხარეს, რომელიც მედიცინის ისტორიისათვის საინტერესო მომენტს შეიცავს.

დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს ყურადღება გაუმახვილებია სამეგრელოში გავრცელებული საკრალური წესით მკურნალობაზე, რომელსაც იმ პერიოდში დიდი გასავალი ჰქონია არა მარტო ქართველ ხალხში, არამედ სხვა ქვეყნებშიც.

ავტორი მოგვითხრობს ზნეჩვეულების ისეთ მხარეზე, რომელიც ღრეობისა და სტუმრიანობის თავისებურ წესებს ასახავს, შემდეგ გადადის ავადმყოფობისადმი დამოკიდებულების სპეციფიკურ ჩვეულებაზე, რომელიც მეგრელების ოჯახებში იყო დამკვიდრებული.

კათოლიკური სარწმუნოების გასავრცელებლად პატრი მისიონერები იარაღად იყენებდნენ საეკლესიო წესდების უპირატესობას, მართლმადიდებელი ეკლესიის დაკნინებული მდგომარეობის დასაპიპირისპირებლად, ასევე სამკურნალო საქმიანობითაც ცდილობდნენ ხალხის ფართო მასების მოზიდვასა და ახალ სარწმუნოებაზე მოქცევას. აქ მოთხრობილი ამბავი მათი მოღვაწეობის ფაქტიურ მხარეს ითვალისწინებს. ყურადღებას იპყრობს სპეციფიკური სამისიონერო მოღვაწეობის დეტალური აღწერილობა.

აღსანიშნავია ფრიად დამახასიათებელი ერთი გარემოება ჩვენში ნამყოფი მისიონერების კონცეფციის ნათელსაყოფად: საკითხი შეეხება იმას, რომ XVII საუკუნის დასაწყისიდან (და უფრო ადრეც) დაქუცმაცებული საქართველოს ცალკეული კუთხის მმართველებს უცხოელები მეფეებს (il Re-ს და la Regina-ს) კი აღარ უწოდებენ, არამედ მთავრებს (Principe და Principessa-ს). მათი რელაციებიდან, და განსაკუთრებით ჯუზეპე ჯუდიჩეს ნაწერებიდან, კარგად ჩანს, რომ საქართველოს მეფის ტიტული მხოლოდ გაერთიანებული საქართველოს მმართველის შესაფერისად მიაჩნდათ. მათ ძალიან კარგად იციან, რომ ცალკეული სამეფოები, როგორიცაა ქართლი და კახეთი, სადაც ამ დროს როსტომ ხანი და თეიმურაზი მეფობდნენ, სამთავროების ტიპისაა, მით უმეტეს, რომ ისინი სპარსეთის ხელმწიფის მხოლოდ ხელქვეითნი და მოადგილენი არიან, ამიტომ ჯუდიჩე მათ უოველთვის შეგნებულად მთავრად იხსენიებს. იმერეთის მეფე ალექსანდრეც მთავრადაა წოდებული, ასევეა გურიელი და სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანიც. თუმცა ავტორი კარგადაა გარკვეული ამ საკითხში, რომ ყოველი მთავარი იგივე მეფეს წარმოადგენს თავისი იურისდიქციითა და ადმინისტრაციული მართვაგამგეობით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, სადაც მათი უფლებებია განხორციელებული. როდესაც ავტორი ლევან დადიანის სამთავროს ადმინისტრაციულ ერთეულებს და წოდებებს ასახელებს, მას ნათლად აქვს წარმოდგენილი, რომ ლევან დადიანი მთელი თავისი მმართველობის აპარატითა და მოხელეებით მეფის სწორია, რადგან იგი ფულსა სჭრის, ჰყავს ჯარი და მრჩეველი ვაზირები, სათავადოები — ერისთავები და საჭირო შემთხვევაში ელჩებს აგზავნის უცხო სახელმწიფოში პოლიტიკური ურთიერთობის დასამყარებლად. მაგრამ შეგნებულად მას მეფეს

(Re-ს) მაინც არ უწოდებს, გარდა რამდენიმე შემთხვევისა, როდესაც იგი დადიანს il Re-ით და მის მეუღლეს la Regina-დ იხსენიებს. როგორც ჩანს, ჯუდიჩესათვის მეფის (Re-ს) ტიტულატურა უფრო ფართო მნიშვნელობისაა. ამიტომაცაა, რომ სახანოებად და სამთავროებად დაყოფილი ქვეყნის მესვეურებისათვის მას შეუფერებლად მიაჩნია Re-ს ხმარება და ევროპაში არსებული ანალოგიური ნომენკლატურით ყოველთვის Prinsipe-დ იხსენიებს მათ.

დონ ჯუზეპე ჯუდიჩე თავის რელაციაში ჩამოთვლის ლევან დადიანის სახელმწიფოებრივ საქმიანობას სამართლის დარგში და მის მრჩევლებად ასახელებს ვაზირებს (Vizir), თუმცა არ მოჰყავს ვაზირის იტალიური შესატყვისი, როგორც სხვა მოხელეთა მიმართ ამას სჩადის. 1640 წლის რელაციის პირველ გვერდებზე ის გადმოგვცემს საქართველოს ისტორიის ტრადიციულ ვერსიას, რომელიღაც მეფის მიერ თავის ოთხი ვაჟიშვილისათვის სამეფოს საერისთაოებად დაყოფის ამბავს და შენიშნავს, რომ ერისთავი (Aristel) იგივე იტალიური მარკიზია (Marchese), ისევე, როგორც ბარონი (barone) თავადის ტოლად ან სინიორად (Signore) მიაჩნია.

სამეგრელოში ავტორი ჩამოთვლის შემდეგ წოდებებსა და მოხელეებს. მთავარსა და მის მეუღლეს, როგორც წესი, ყოველთვის Principe—prinsipessa-ს უწოდებს. ვაზირთა შემდეგ ასახელებს სინიორებს, როგორიცაა Signor principale, ანუ დიდბატონი; Signor di qualita წარჩინებული ბატონი თავადი, principalissima გამოჩენილი თავკაცია, personaggio grande ავტორს განსაკუთრებულად ჰყავს გამორჩეული სხვა მოხელეთაგან (თუკი ესენი მოხელენი არიან), ჩვენ ეს მიგვაჩნია დიდი პიროვნების შესატყვისად. Genti grandi-ს აღწერილობისას გვრჩება შთაბეჭდილება, თითქოს ავტორს დიდებულები უნდა ჰყოლოდა მხედველობაში. თუმცა სიძნელეს იწვევს მოხელეების ნომენკლატურა, მათი ქართულ თანამდებობასთან შეფარდება, მაგრამ სათუოდ მაინც არ გვეჩვენება მათთვის გარკვეული განმარტების მოძებნა. მაგალითად genfil' huomo იგივე cavagliere, ანუ Aznaur აზნაურის წოდებას რომ აღნიშნავს, ეს გასაგებია; მხოლოდ რა ფუნქცია აკისრია მას გარდა იმისა, რომ დედოფალსა და მთავარს ყველგან ახლავს, ავტორი არაფერს ამბობს ამაზე. ზემოთ დასახელებულ მოხელეთა საქმიანობის შესახებაც არაფერი აქვს ნათქვამი გარდა იმისა, რომ დადიანი ვეზირთან ერთად თათბირობს ხოლმე სამართლის გადასაწყვეტად.

კიდევ ერთი დეტალი ითხოვს დაზუსტებას: ავტორი რამდენიმე

ადგილას ყმის შესატყვისად ხმარობს vassallo-ს, მაგრამ უფრო ხშირად და გარკვევით suddeto-ს უკავია მისი ადგილი. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი სიტყვა ქვეშევრდომის გამომხატველია, მაგრამ ყმის კატეგორიას მთლიანად მაინც არ გამოხატავს. მას კარგად ესმის ამ წოდებათა არსი, რის შედეგადაც ქართულ მოვლენებს ევროპულს, უკეთ, იტალიურს უფარდებს, ამიტომაც ავტორი არა ცდილა მათი დანიშნულების ახსნისათვის რაიმე დეტალი დაემატებინა, რომ ჩვენ ნათელი წარმოდგენა გვქონოდა მათზე. ბოლოს დასახელებული ჰყავს servo, რომელიც უდრის მსახურს, ასევე serve basse, persone basse (მდაბიო მსახურნი, მდაბიონი). მათ ავტორი ნაშრომში საზოგადოების ყველაზე დაბალ ფენად შეიჩნევს. მხოლოდ მათ შესახებ კვლევა არ უწარმოებია, რომ ჩვენ სრული სურათი გვქონოდა საზოგადოების ამ კატეგორიაზე. რა თქმა უნდა, იგი მხოლოდ ფაქტების აღმნუსხველია და არავითარ ანალიზს არ უკეთებს იმდროინდელ მოვლენებს გასაგები გარეშოების გამო, რადგან მის მოვალეობას შეადგენდა აღწერა ისეთი ამბებისა, რომლებიც რელაციონთან უშუალოდ იყო დაკავშირებული; მას უნდა დაეხატა მხოლოდ ზოგადი სურათი და მის განხილვაში არ შესულიყო. ასეთი ხასიათის შრომა მის მისიონერულ ფუნქციებს აღემატებოდა და არც იყო მოსალოდნელი, რადგან მას თავისი რელაცია დასასტამბავად არ გაუმზადებია და არც ფართო საზოგადოებისათვის იყო იგი განკუთვნილი. გარდა სარწმუნოებრივ საკითხებზე კათოლიკური მსოფლმხედველობის მეთოდით მსჯელობისა, რასაც საკმაო ადგილი აქვს დათმობილი ნაშრომში, მის დანიშნულებას სწორედ ეს მხარე შეადგენდა.

ლევან დადიანის კარზე ჩანან აგრეთვე servitori intimi, როგორც შინამოსამსახურენი, მაგრამ მათი ფუნქციები სავსებით გარკვეული არაა. არიან აგრეთვე დედოფლის ხელქვეითნიც, რომელთაც ავტორი რამდენიმე ადგილას ასახელებს და უწოდებს dlamigelle-ს, ანუ სეფე ქალებს, რომელნიც დედოფალს თან ახლავან როგორც სამეფო კარზე, ასევე მოგზაურობის დროსაც. რელაციონში დიდი ადგილი აქვს დათმობილი მონასა და ტყვეს (il schiavo), რომელთა შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე. ქართველი ერის ფიზიკურად გამჩანაგებელი და დიდი უბედურების მომტანი ეს მახინჯი მოვლენა ჰას ძალიან დასაბუთებულადა აქვს განხილული. რელაციაში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ il schiavo ტყვეს კი არ ნიშნავს, არამედ — ადგილობრივ მონას.

გურიის მთავრის მალაქია კათალიკოსის გარდაცვალების შემ-

ლეგ (1639 წ.) მისი ძმის ვახტანგის გამეფებიდან კათოლიკე მისიონერებისათვის ყველა მოძრავ-უძრავი ქონება: ყმები, მსახურები, მამულები ჩამოურთმევიათ. ავტორის თქმით ისინი მონის (il schiavo) მდგომარეობაში ჩაუყენებიათ, ამისათვის უმჯობესად დაუნახავთ ერთ-ერთ მახლობელ ბატონთან მსახურებად (servo-დ) დამდგარიყვნენ. მაშასადამე, il schiavo-ზე მაღლა მდგომ კატეგორიაში ყოფნას თხოულობდნენ. ასეთი მდგომარეობა გვაფიქრებინებს, რომ მონა უფლებააყრილი და არას მქონე ყოფილა და რომ ასეთი კატეგორიის ხალხი თითქოს უნდა ყოფილიყო იმ ეპოქაში.

გარდა ამისა, ავტორს მოხსენებული ჰყავს საეკლესიო იერარქიის წოდებანი: პატრიარქი ანტიოქიის, კონსტანტინეპოლისა და სხვათა, რომელსაც საქართველოს ეკლესია ემორჩილება. შემდეგ არქიეპისკოპოსი, ეპისკოპოსი, მიტროპოლიტი, მღვდელი და ბერი, რომლებთანაც პატრს გარკვეული ურთიერთობა ჰქონია დამყარებული.

დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს სამეგრელოში მეგობრული ურთიერთობა ჰქონია ნიკოლოზ ბერთან, რომელსაც დიდი სიყვარულით იხსენიებს (ქრის. კასტელიმ მისი შესანიშნავი პორტრეტი დაგვიტოვა). ეს ის ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილია, რომელიც თეიმურაზ მეფემ 1626 წელს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა კარზე ელჩად გაგზავნა. იგი, რომის პაპის გარდა, ყველა სამეფო კარს წარუდგა და თეიმურაზ მეფის სახელით დახმარება ითხოვა სპარსეთის წინააღმდეგ. მან პატრ სტეფანე პაოლინოსთან ერთად რომში 1629 წელს გამოსცა ქართულ-იტალიური ლექსიკონი. ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი დაეუფლა იტალიურ ენას და თავის მხრივაც სტეფანე პაოლინოსაც ქართული ენა შეასწავლა. მან რომში ქართული სტამბის დაარსების საქმეშიაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო, ღრმა ცოდნის საფუძველზე ევროპელებს აცნობდა საქართველოს. მანვე გააცნო თეიმურაზ მეფე ევროპელებს თეოფილეს სახელით. პაპის კარზე ვერ წარმოედგინათ რომ ქრისტიანი მეფე მაჰმადიანურს, ისიც დამპყრობთა სახელს შეიძლება ატარებდეს. ამიტ გამო ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს ბევრი ახსნა-განმარტება დასჭირდა სპარსეთის კარზე ნამყოფი მეფის ტრაგიკული თავგადასავლის გასამართლებლად, მაგრამ რომის კურიას ეჭვები მაინც ვერ გაუფანტა. მის ელჩობას (რომ იგი ნამდვილად თეიმურაზ მეფის წარმომადგენელია) საბოლოოდ არ დაუჯერეს, სანამ მთელი წლის განმავლობაში კარგად არ გამოიძიეს მისი ნამდვილი ვინაობა, საქართველოსა და სპარსეთიდან ვენეციაში ჩასული სოვდაგრებისაგან, რომელთაც ელჩობის შესახებ არაფერი იცოდნენ, თეიმურაზისა კი კარგად მოეხსენებოდათ. მას

თან ახლდა ორი თავისივე წესის, წმ. ბასილის წესის, მონაზონი და ერთი მოენე. საბოლოოდ ვიდრე კათოლიკობა არ აღიარა, მანამდე მას რომმა სხვა ხელმწიფეთა კარზე შუამდგომლობა არ გაუწია, შემდეგ კი იგი გამეორებით იქნა მიღებული ყველა მთავრისა და მეფის კარზე, სადაც კი პაპმა ინება წერილებისა და სარეკომენდაციო ბარათების გაგზავნა. პაპის ნუნციების მეშვეობით ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, თეიმურაზ მეფის ელჩი, ახერხებდა სამეფო კარზე წარდგომას[1].

მაგრამ დაუჯერებელიც კი ჩანს ერთი გარემოება, რომლის შედეგად თეიმურაზ მეფემ ელჩს მიავლინა სრულიად გაუთვალისწინებელ პირობებში. როგორც ეტყობა, თეიმურაზ მეფის კარზე ნათელი წარმოდგენა არა ჰქონიათ საერთაშორისო მდგომარეობაზე, რადგანაც არც ერთმა მეფე-მთავრმა და თვით პაპმაც კი, იმედი არ მისცეს სპარსეთის წინააღმდეგ დახმარების გაწევაში, ვინაიდან ევროპული სახელმწიფონი კახეთის მიზნებისათვის სრულიად საწინააღმდეგო საერთაშორისო პოლიტიკის გზას დასდგომოდნენ. ამის გამო მათ თეიმურაზ მეფის ელჩი დარწმუნეს, რომ დასავლეთ ევროპის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა სამეგობრო ურთიერთობის დარღვევა თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლ სპარსეთის შაჰთან. მისთვის ცხადი გახდა, რომ ევროპაში სრულიად სხვა ვითარებაა შექმნილი თურქეთის მეტად აგრესიული პოლიტიკის წყალობით. ასეთ არახელსაყრელ პოლიტიკურ ვითარებაში ელჩის გაგზავნა იმ ხელმწიფეთა კარზე, რომელთა ინტერესები სრულიად საწინააღმდეგო ორიენტაციას მოითხოვდა, მოწმობს რომ საქმე უნდა გვქონდეს არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკური მსოფლმხედველობის მქონე სახელმწიფო ხელმძღვანელობასთან, რომელსაც საერთაშორისო ვითარებისათვის თავი ვერ გაურთმევია. რა თქმა უნდა, ეს აიხსნება იმით, რომ კახეთის მეფის თეიმურაზის პოლიტიკა მხოლოდ ამ კუთხის ინტერესებიდან გამოდიოდა და კულტურულ მსოფლიოში არსებული სულ სხვა ვითარება კი არ გაუთვალისწინებია, რომელიც კახეთის ინტერესების სამტრო-საწინააღმდეგო გამხდარიყო, რადგან ევროპელებისათვის უფრო სასურველი იყო ძლიერი სპარსეთის არსებობა, ვიდრე დაშლილ-დასუსტებულისა.

---

[1] ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი საქართველოში დაბრუნების შემდეგ ლევან დადიანმა სამეგრელო-აფხაზეთის პატრიარქ-კათალიკოსად დასვა და ერთ ხანს მართავდა საეკლესიო საქმეებს, მაგრამ ლევან დადიანის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც სამთავრო უზურპაციით ლიპარტიანმა ხელთ იგდო, მას უსიამოვნება მოუხდა ნიკოლოზ პატრიარქთან, რომელმაც იგი გადააყენა და კოშკში ჩაამწყვდია. იქვე გარდაიცვალა 1658 წელს.

ქართველ პოლიტიკურ მესვეურთა მიერ ევროპაზე აღებული ორიენტაცია ახალი ამბავი არც მაშინ და არც შემდეგ საუკუნეებში ყოფილა. სრული ერთი საუკუნით უფრო გვიან ზედმიწევნით ანალოგიურ მდგომარეობასთან, ასეთივე ხასიათის მარცხთან გვაქვს საქმე, როდესაც მეფე ვახტანგ VI იტალია-საფრანგეთის კარზე სულხან-საბა ორბელიანი მიავლინა ელჩად. მაშინაც ქართლ-კახეთის მეფე ვახტანგი სპარსეთის საწინააღმდეგო მოქმედებას გეგმავდა იმჟამად რუსეთთან ერთად, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა დახმარების იმედით. რუსეთი ხალისით გამოეხმაურა ვახტანგ მეფის გეგმას, რადგან მისი ექსპანსიური პოლიტიკის მიზანი სწორედ სამხრეთისაკენ იყო მიმართული ინგლისის სამეტოქეოდ. მაშინ როდესაც ევროპელების გეგმა თურქეთის ალაგმვაზე იყო აგებული და თურქეთის საწინააღმდეგო იარაღად სპარსეთის გამოყენება ჰქონდათ განზრახული[1].

ამგვარად, ეს ორი ელჩობა დიპლომატიურ უცოდინარობად თუ არ ჩაითვლება, ყოველ შემთხვევაში ღრმა საერთაშორისო ვითარების გამომხატველი არ უნდა იყოს. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ დაყოფილ და დამპყრობელთაგან მიმძლავრებული საქართველოს მცირე სამეფოების მესვეურები იმდენად კარჩაკეტილ გარემოში მომწყვდეულან და ურთიერთშორის გამართულ ბრძოლებს იმდენად მოუდუნებია მათი მსოფლმხედველობის ჰორიზონტი, რომ საგარეო პოლიტიკისათვის ალღო ვერარ აუღიათ და მძიმე შეცდომების მსხვერპლნი გამხდარან. თუკი წინა საუკუნეების საქართველო ახლო და შორეული ქვეყნების თვალში სათანადო პატივითა და მოწიწებით იხსენიებოდა, აღნიშნულ ეპოქაში მისი სახელმწიფოებრიობის შორსგანთქმული სახელი მიმქრალა, საერთაშორისო ასპარეზზე მისი პრესტიჟი დაცემულა და წარსული დიდების არაფერი შერჩენია.

რაც შეეხება ნიკოლოზ ბერის მოღვაწეობას დასავლეთ საქართველოში, ყურადღებას იპყრობს დღემდე გამოუქვეყნებელი ერთი დოკუმენტი. ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილისა

---

[1] თურქეთის საწინააღმდეგოდ მიმართული ევროპელების სამხედრო კოალიციის მომზადება ოსმალეთის სულთნის კარს არ გამოპარვია, თავის მხრივ კონტრშეტევისა და თავდაცვისათვის ემზადებოდა. თურქეთის უშიშროების დაცვის მიზნით მიღებული სამხედრო ღონისძიებანი განსაკუთრებული სიმკაცრით ხორციელდებოდა მეტროპოლიაში, მის პერიფერიებში კი ჯაშუშთა გაძლიერებული კონტინგენტებით. სწორედ ასეთი გაცხოველებული სიფხიზლის ატმოსფეროში მოხვდა ელჩის რანგით ჩვენი ავტორი, რომელსაც ოსმალთა ხელისუფლებამ ევროპელების ჯაშუშობის ცილი დასწამა და კონსტანტინოპოლის ციხეში ჩასვა, სადაც გარდაიცვალა კიდეც.

და ლევან დადიანის მოღვაწეობაზე დასავლეთ საქართველოში, ამიტომ დროულად მივიჩნიეთ ეს საინტერესო ცნობა, რომელიც იტალიურ ენაზე აღმოჩნდა შენახული, სრული სახით წ რმოვუდგინოთ ქართველ საზოგადოებას. მისი ავტორია იტალიელი მისიონერი ანდრეა ბორომეო (Andrea Borromeo), ცამპის მეგობარი და თანამოღვაწე დასავლეთ საქართველოში. ეს წერილი მას გაუგზავნია რომში 1658 წლის 8 ივნისს. ვატიკანის პროპ განდა ფიდეს არქივში ინახება მისი დედანი, რომლის პირი გადმოიწერა მ. თამარაშვილმა და მის პირად არქივშია დღემდე დაცული. ჩვენს ისტორიოგრაფიას ამ ხანის შესახებ ერთობ მცირე მასალები მოეპოვება, ამიტომ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ეს ძვირფასი მასალა შეეხება სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის (1611—1658) მტრულ დამოკიდებულებას იმერეთის მეფე ალექსანდრე III-თან (1639 — 1660), ცნობაში მოცემულია მისი გარდაცვალება და ბიძამისის ლიპარტიანის მიერ სამთავროს უზურპაცია, ალექსანდრე მეფის ჩარევა სამეგრელოს შინაურ საქმეებში და მისი იურისდიქციისადმი დაქვემდებარების ხელსაყრელი მომენტის პოლიტიკური მიზნით გამოყენება დასავლეთ საქართველოს მთლიანი სამეფოს შესაქმნელად.

გარდა ასეთი ხასიათის ცნობებისა, აღნიშნულ დოკუმენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დასავლეთ საქართველოში კათალიკოსობის ისტორიის ქრონოლოგიის დადგენის საკითხისათვის. ჩვენ ვიცოდით, რომ კათალიკოს მაქსიმე მაჭუტაძის (1640) შემდეგ კათალიკოსობა გრიგოლს ეკავა (1640—1659. იხ. კ. კეკელიძე, „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან", ტ. II, 1945 წ., გვ. 303), ხოლო ბაბ. ლომინაძეს გამორკვეული აქვს (იხ. „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის". ნაკვ. 31, 1954, „მასალები დასავლეთ საქართველოს მე-17—18 საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის", გვ. 131—132), რომ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი მაქსიმე მაჭუტაძე გარდაცვლილა 1657 წელს, მისი ადგილი 1657 წლიდან დაუკავებია ზაქარია ქვარიანს. ავტორი საბუთად ბიჭვინთის ერთ უთარიღო სიგელს ასახელებს და ამტკიცებს, რომ ეს სიგელი უეჭველად 1658 წელს უნდა ყოფილიყო გაცემული. ამავე აზრისაა ს. კაკაბაძეც. კ. კეკელიძის მოსაზრებით კი, მაქსიმე მაჭუტაძემ კათალიკოსობას თავი დაანება და იერუსალიმში წავიდა 1640 წელს, მის შემდეგ (1640—1659 წლამდე) კათალიკოსად არის გრიგოლი, რაც არ მტკიცდება საბუთებით. როგორც ჩანს, ეს შეცდომა თ. ჟორდანიადან მომდინარეობს. ბაბ. ლომინაძის ნაკვეთში ზედმიწევნით სწორადაა წარ-

მოდგენილი კათალიკოსთა ქრონოლოგია, ოღონდ ერთი წლის ხარვეზი არაა შევსებულ-დასაბუთებული. სახელდობრ, 1657—58 წლისა, რომელიც იქნებ განგებაა გამოტოვებული. დასავლეთ საქართველოს კათალიკოსობის ქრონოლოგიის ძიებისას მკვლევარი ეცყარება ქართულ ისტორიულ საბუთებს, რომლებშიაც ხსენებულ წელს კათალიკოსად არავინ ჩანს, მომდევნო 1658 წელს კი უეცველი საბუთია ზაქარია ქვარიანზე. მაშასადამე, ლოგიკური თანმიმდევრობა დარღვეული არ იქნებოდა, თუკი 1657—1658 წლებში ვიგულისხმებდით კათალიკოსად ზაქარია ქვარიანს. მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული უცხოური წყარო დამატებით ცნობას შეიცავს დასავლეთ საქართველოს კათალიკოსობის ქრონოლოგიისათვის. უცნობი ავტორის ანდრეა ბორომეოს თქმით ლევან დადიანს განსაკუთრებული პატივისცემა ჰქონდა ნიკოლოზ ბერისადმი, რომელსაც მისიონერები „ნიკოლოს" ეძახდნენ, და რომელიც სამეგრელო-აფხაზეთის კათალიკოსს პატრიარქად დაუდგენია.

საჭიროა გავიხსენოთ რიგი ავტორები, რომელთაც ნიკოლოზ ბერზე ცნობები მოეპოვებათ. მისიონერ ცამპის რელაციის, მოგზაურ შარდენის აღწერილობის, თეოდიტე ელჩინის, პ. ზახაროვის, ლამბერტის, ტ. გაბაშვილის, ჯვარის მონასტრის დიაკონის გრიგოლის, იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოზისა და სხვა ცნობების გარდა, არსებობს გამოუქვეყნებელი უცხო ავტორების შრომები, რომელთაც მის შესახებ ისტორიულად სწორი ფაქტები მოეპოვებათ. ესენი არიან დონ ჯუზეპე მილანეზე, არქანჯელო ლამბერტის მეგობარი და სამისიონერო მოღვაწეობის პრეფექტი სამეგრელოში, რომელიც თავის რელაციაში დაწვრილებით აღწერს მთელს დასავლეთ საქართველოს, მის მეგობრებს და ნიკოლოზ ბერზეც აქვს ლაპარაკი. ასევე დონ პიეტრო ავიტაბილეს რელაციაში აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს უფრო ადრინდელი პერიოდის ამბებია მოთხრობილი, ვიდრე ლამბერტისა და ჯუდიჩეს აქვთ. მათ ემატება აგრეთვე ანდრეა ბორომეოს წერილი. ავტორი თვითმხილველია იმ ისტორიული მოვლენებისა, რომელთაც აგვიწერს. მისი შრომა საინდო წყაროა და ბევრი ისეთი ფაქტის შესამოწმებლად გამოდგება, რომლებიც სხვა ავტორებსაც მოეპოვებათ, თუმცა განსხვავებული ვერსიით.

ნიკიფორე ირბახის (ირბაჩო) არა ქართველობის შესახებ (რადგან არსებობდა თანამოსახელე ნიკიფორე, ტომით ბერძენი) კარიჭაშვილის მცდარი შეხედულების გასაბათილებლად საფუძვლიანი გამოკვლევა უძღვნა კ. კეკელიძემ, რომელმაც არსებულ ქართულ-უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით უდაო გახადა ქართული

კულტურის დიდი წარმომადგენლის ვინაობა და მტკიცედ დაადგინა მისი გვარი და შთამომავლობა. გარდა იმ ცნობებისა, რომლებიც ხელთა ჰქონია მხცოვან მეცნიერს, მას ემატება ანდრეა ბორომეოს გამოუქვეყნებელი დოკუმენტი, რომელშიაც ნიკოლოზ ბერის შესახებ ახალი ცნობებია დადასტურებული.

დოკუმენტის ავტორი მოგვითხრობს, რომ ლევან დადიახს გარდაცვალებამდე თავის მემკვიდრედ მცირეწლოვანი შვილიშვილი დაუტოვებია, რადგან მისი ვაჟიშვილი დამბლადაცემული და ყოველგვარ უნარს მოკლებული ყოფილა. ამავე დროს ანდერძად დაუდვია, რომ ბიძამისის ლიპარტიანის დახმარებით სამთავროს მმართველობას ამ ბავშვის დედა გაუძღვებოდა, მაგრამ გარდაცვლილა თუ არა ლევან დადიანი, ბიძამისს, ლიპარტიანს, იმერეთის მეფისათვის მიუმართავს თხოვნით — ჯარით დახმარებოდა მას სამეგრელოს სამთავროს ხელში ჩასაგდებად, რის ნაცვლად თავისი ერთგულება და მორჩილება შეუთავაზებია. გარდა ამისა, დაუთმია სამეგრელოს სამთავროს საჭურჭლის მესამედი ნაწილი. იმერეთის მეფე აღექსანდრე თავისი ჯარით დაუბრკოლებლად შესულა სამეგრელოში და ყველა საქმე მოუგვარებია ლიპარტიანის სასარგებლოდ. მაგრამ ერთი თვის შემდეგ მეგრელები და აფხაზები ლიპარტიანის წინააღმდეგ აჯანყებულან და მისი ცნობა მთავრად არ მოუსურვებიათ. იმერეთის მეფეს ხელმეორედ გაულაშქრია სამეგრელოში და სამოქალაქო ომი ჩაუქრია. ლიპარტიანს ამ უზურპაციის შემდეგ სასტიკი ზომები მიუღია. თავისი მოწინააღმდეგე ზოგიერთი თავადისათვის თვალები დაუთხრია და ამ გზით დაუმორჩილებია.

ანდრეა ბორომეო სასულიერო საქმიანობის აღწერისას ნიკოლოზ ჩოლაყაშვილის მოღვაწეობიდან გვამცნობს ერთ ფრიად საყურადღებო მომენტს, რომელშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ჩოლოყაშვილის დამოკიდებულებას სამეგრელოს მთავრის, ლევან დადიანის, სეპარატისტული პოლიტიკის გატარებაში იმერეთის სამეფოს მიმართ. ავტორის უტყუარი ცნობა გადმოგვცემს ისტორიულ სინამდვილეს, რომ ლევან დადიანს საყვარელი ვაზირი და პოლიტიკურ საკითხებში მრჩეველი სამეგრელო-აფხაზეთის პატრიარქ-კათალიკოსად დაუსვამს, მაგრამ ლევან დადიანის გარდაცვალების შემდეგ (1658 წ.), როდესაც ბიძამისმა ლიპარტიანმა უზურპაციით სამთავროს გამგებლობა მიიტაცა, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს უსიამოვნება მოსვლია რელიგიურ-პოლიტიკურ საკითხებში, — იგი გადაუყენებია და რომელიღაც ციხე-კოშკში გაუმწყვდევია, სადაც გარდაცვლილა კიდეც, მის შემდეგ ერთი იმერელი ეპისკოპოსი კათალიკოსად მასვე დაუდგენია.

მაშასადამე, მაქსიმე მაჭუტაძის გარდაცვალების შემდეგ, ე. ი. 1657 წელს, ლევან დადიანის მიერ კათალიკოს-პატრიარქად დადგენილ ნიკოლოზ ბერს 1658 წლამდე უმოღვაწია, რომლის შემდეგ ლიპარტიანს გადაუყენებია, ე. ი. ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი დაახლოებით ერთი წელი ყოფილა სამეგრელო-აფხაზეთის კათალიკოს-პატრიარქად.

ახლა ამ ფაქტს ახსნა უნდა მოეძებნოს, რა ვითარებაში იყო შესაძლებელი ლევან დადიანს ჩოლოყაშვილი კათალიკოსად დაესვა?

აქ ჩვენ ხომ არა გვაქვს ერთ-ერთი ელემენტი სეპარატისტული პოლიტიკისა, რომელსაც ლევან დადიანი ახორციელებდა იმერეთის მეფის მიმართ? ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილის სამეგრელო-აფხაზეთის კათალიკოს-პატრიარქად დასმა უნდა მოწმობდეს განხეთქილების გაღრმავებას იმერეთსა და სამეგრელოს შორის. ახალმა მთავარმა ლიპარტიანმა, შესაძლებელია, იმის გამოც გადააყენა ნიკოლოზ ბერი პატრიარქობიდან, რომ იმერეთის მეფის სუზერენობა უფრო განემტკიცებინა. იგი ხომ ალექსანდრე III იმერთა მეფის მიერ იყო დადგენილი მთავრად სამეგრელო-აფხაზეთში. ამისათვის იყო, რომ იმერეთის მეფის მფარველობასა და, მაშასადამე, მის მორჩილებაში შესულ ლიპარტიანს მისი წინამორბედი დადიანის პოლიტიკა რადიკალურად უნდა შეეცვალა და ნორმალურ ვასალურ პირობებში დარჩენილიყო თავის სუზერენთან, როგორც დადგენილი მოხელე სამთავროსი, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილის კათალიკოს-პატრიარქობიდან გადაყენება. როგორც ჩანს, იმერეთის მეფესთან შეთანხმებით ზაქარია ქვარიანისათვის ჩაუბარებიათ კათალიკოსობა მთელი დასავლეთ საქართველოსი, ან შესაძლებელია ერთსა და იმავე დროს ორი კათალიკოსი მჯდარიყო დასავლეთ საქართველოში, ერთი სამეგრელო-აფხაზეთში და მეორე გაერთიანებულ დასავლეთ საქართველოში, ანუ იმერეთ-გურიის, სამეგრელო-აფხაზეთისა, ასეთ შესაძლებლობას აღნიშნული ავტორის მოტანილი ცნობა არ გამორიცხავს, თუმცა საამისო დამადასტურებელი საბუთი ჯერ არ გაგვაჩნია.

ლევან დადიანს განცალკევებისადმი მიდრეკილება თავიდანვე ახასიათებდა და ნიკოლოზ ბერის არჩევაც დამოუკიდებელი ეკლესიის მეთაურად უსათუოდ ნაკარნახევი უნდა ყოფილიყო საერთაშორისო ვითარებაში შექმნილი მდგომარეობით. თავისი ქვეყნის მშვიდობის უზრუნველსაყოფად, სამეგრელოს დასავლეთით მეტად აგრესიული თურქეთის საკითხის უმტკივნეულოდ მოგვარებისათვის ლევან დადიანს ბევრი დიპლომატიური ხერხების გამოყენება დასჭირდა, რათა მას მორიგებოდა და საოსმალო ხარაჯა ეკისრა. მეორე

მხრით, მას ანგარიში უნდა გაეწია თურქეთის სულთნის პოლიტიკური მიზნისათვის: მის ინტერესს წარმოადგენდა დაშლილ-დასუსტებული დასავლეთ საქართველოს არსებობა საბოლოოდ მისი დაპყრობის გასაადვილებლად, რასაც დადიანი უნებლიეთ ხელს უწყობდა სეპარატიზმისაკენ მისწრაფებით, როდესაც თავის პოზიციებს იმაგრებდა იმერეთის ხარჯზე. ამ ფონზე შეიძლება გასაგები გახდეს დადიანის პოლიტიკის მიმართულების ზოგიერთი დეტალი, ამ შემთხვევაში კათალიკოს-პატრიარქის დამოუკიდებელი ცენტრის ჩამოყალიბება სამეგრელოსათვის. ერთი გარემოებაა გასათვალისწინებელი ნიკოლოზ ბერის მსოფლმხედველობის შესამოწმებლად, სახელდობრ, თუ რა ვითარებაში შეიძლებოდა კახელ ჩოლოყაშვილს მხარი დაეჭირა ლევან დადიანის სეპარატისტული პოლიტიკისთვის და ცალკე სამთავროში სამეგრელო-აფხაზეთის კათალიკოს-პატრიარქად კურთხევაზე დათანხმებოდა. თვით ეს ფაქტი ხომ არ მოწმობს მისი პირადი უთანხმოების გამომჟღავნებას თეიმურაზ მეფესთან და ამის გამო კახეთიდან სამეგრელოში დამკვიდრებას? თეიმურაზ მეფესთან პირადი უთანხმოების შედეგად გადადგმულ ნაბიჯს თავისი კვალი უნდა დაეჩნია და არაშორსმჭვრეტი გადაწყვეტილებები მიეღებინებინა. იქნებ კახეთის დამოუკიდებელი პოლიტიკის ანალოგიით ურჩევდა ნიკოლოზ ბერი დადიანს საერთო სახელმწიფოებრივი გეგმიდან გამთიშავი საქმის წარმოებას? სამეგრელოს მთავრის მიერ დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად მიღებული ზომები უფრო ადრეა დაწყებული და საფუძველჩაყრილი, ვიდრე იგი მას სისრულეში მოიყვანდა და იურიდიულ უფლებასაც მოიპოვებდა. ჯერ იყო და ამ მიზნით შეუთანხმდა როსტომ მეფეს, რომ იმერეთი ერთმანეთში გაეყოთ, რისი საწინდარიც გახდა მისი დის მარიამის გადედოფლება ქართლში; ყველა ეს და სხვა გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ლევან დადიანის მიერ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილის კათალიკოს-პატრიარქად დასმა სინამდვილიდან აღებული მომენტია და მოწმობს მისი საბოლოო მისწრაფების ერთ-ერთ დამადასტურებელ ფაქტს, რომლის გაუთვალისწინებლობა სრულად ვერ წარმოგვიდგენდა დასავლეთ საქართველოს პატრიარქ-კათალიკოსთა ქრონოლოგიას.

ქვემოთ მოტანილი დოკუმენტი ნათელს ფენს საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას და შესაძლებლობა გვეძლევა შევასწავლოთ და დავადგინოთ არა ერთი საკითხი.

მოგვყავს ხსენებული დოკუმენტის თარგმანი.

## უწარჩინებულესო და დიდად პატივცემულო სინიორე[1]

ჩვენი რწმუნებულის პატრი გალანოს (Galano) წერილთან ერთად ჩვენამდის მოაღწია ცნობამ, რომ სარწმუნოების გამავრცელებელი წმინდა კონგრეგაციის მდივნის თანამდებობა მიუღია თქვენი უწარჩინებულესობის ხელქვეით პირს, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ როგორც იშვიათი ნიჭის პატრონს, მადლიანსა და კეთილი ბუნების მქონეს. ეს დიდმნიშვნელოვანი თანამდებობა სწორედ მისი შესაფერისია. დიდი სიმშვიდე განვიცადე, ამასთანავე სურვილი დამებადა მას ვეახლო, როგორც წმინდა კონგრეგაციის ღირსეულ მმართველს, ჩვენს საყვარელ მამასა და უფროსს, გამოვთქვა ჩემი სიხარული და მისი თანაგრძნობის გამომხატველი პატივისცემის მოვალეობა და განვუცხადო მორჩილება, რომ მისიონში შექმნილი ახალი მდგომარეობისათვის მივიღოთ საჭირო ზომები ერთად, რადგან ჩვენში მეგობრების სიკვდილის გამო შემცირდა ჩვენი მისიონი. იგი დღეს მხოლოდ ორი მღვდლისა და ერთი მორჩილი ძმისგანღა შედგება: ერთია პატრი ცამპი (Zampi) და მორჩილი ძმა ფრანჩესკო (Fratello Francesco), რომელთაც ამ სამსახურში უკვე ათი წლის სტაჟი აქვს შესრულებული — ყოველგვარი გაჭირვებისა და სიძნელეების გადალახვის შედეგად. თქვენი უწმინდესი უწარჩინებულესობა, თუ ისურვებდა ჩვენი კმაყოფილება გამოეწვია, ამისათვის უნდა მოაშველოთ ამ მისიონს დანარჩენი ჩვენი მეგობარი პატრები, რომელნიც ფრიად საჭირონი არიან. მაშინ ჩემს სიმხნევეს ახალი ძალა შეემატებოდა და სამოციქულო მოვალეობასაც წარმატებით შევასრულებდით. მაგრამ, როდესაც ვხედავთ, რომ ასე მარტონი და ცოტანი ვართ იმისათვის, რომ მრავალი კეთილი საქმე შევასრულოთ აქ, ამასთანავე მიტოვებულნი და მივიწყებულნი ჩვენი სარწმუნოების მესვეურთა მიერ, რადგან სრულიად არავინ ზრუნავს ჩვენს დახმარებაზე, რამდენადმე ნაწყენი ვრჩებით.

აქ ასეთი ამბავი მოხდა: რამდენიმე თვეა, რაც სამეგრელოს მთავარი დადიანი გარდაიცვალა, რომელიც ძლიერებითა და ბრძნული მმართველობით თავისი გამარჯვების წარმატებას ორმოცდაათ წელზე მეტ ხანს დღესასწაულობდა; მეზობელ მთავრებს ხარკს ახდევინებდა, როგორც აფხაზეთს (Abcassi), ასევე იმერეთსაც — სხვა ერისთავთა შორის იმერეთში მეფის სახელს რომ ატარებს. მისი გარდაცვალებით ჩვენ დიდი მფარველი და ქველმოქმედი დავ-

---

[1] იხ. Archivio della S. C. de Propaganda Fide: Asia, Georgia, Mengrelia, vol. 229, 11.

კარგეთ, თუმცა კი მის მემკვიდრეს დღემდე ჩვენთვის წყალობა და მფარველობა არ მოუკლია. სამეგრელომ უფრო მეტი დაკარგა. უკვე ჩამოქვეითდა მისი გავლენა აბსოლუტურ და ფართო სამფლობელოებზე, რომლებიც გარდაცვლილ მთავარ დადიანს ომების წყალობითა ჰქონდა შეძენილი. ამის მიზეზი ის იყო, რომ მას სხვა შვილი არ დარჩა, გარდა ერთი ვაჟისა, სახელად ალექსანდრე, რომელიც მმართველობის უნარს მოკლებულია, რადგან დამბლადაა ჩავარდნილი და არავითარი ნიჭი არ შესწევს, თუმცა ცოლ-შვილი ჰყავს და ერთი პატარა ვაჟიშვილიცა. დადიანმა გარდაცვალებამდე სახელმწიფოს მემკვიდრედ დასტოვა თავისი შვილიშვილი, რომლის წინაშე ყველა თავისი დიდებული (principali baroni) დააფიცა ერთგულებისა და მორჩილებაზე. ამასთან ერთად, ხელშეკრულებაც დაუდო, რომ სამთავროს მმართველად იქნებოდა ბავშვის დედა, ალექსანდრეს მეუღლე, რომელსაც დადიანის ბიძა, ლიპარტიანი (lipardian) დაეხმარებოდა. როდესაც დადიანი გარდაიცვალა, გამოცდილმა ლიპარტიანმა თავისი მმართველობის უზრუნველსაყოფად სამეგრელოს აბსოლუტურ მთავრად გახდომა მოიწადინა. ამ მიზნით იმერეთის მეფეს ზრდილობიანი წერილი მისწერა, რომელშიაც სთხოვდა, რომ დახმარებოდა თავისი ჯარით და ამ სამფლობელოში გაებატონებინა. არწმუნებდა, რომ თუ ასე მოხდებოდა, მისი სამუდამო ერთგული დარჩებოდა, ამისათვის მას საჭურჭლის მესამედ ნაწილს მისცემდა და აგრეთვე სხვა თუ რამ კარგი მოიძებნებოდა სამეგრელოში. იმერეთის მეფე ამ წინადადებაზე დათანხმდა და ისე შემოვიდა თავისი ჯარით, რომ არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია; მან ლიპარტიანს ჩააბარა სასურველი სამფლობელო, თუმცა თავადები (baroni) ასეთი უზურპაციის წინააღმდეგნი იყვნენ. იმერეთის მეფემ ლიპარტიანს დამცველ რაზმად თავისი ჯარის ნაწილი დაუტოვა, თვითონ კი უკან გაბრუნდა და თან წაიღო ის, რაც დადიანს ბრძოლებში ჰქონდა მოპოვებული და რასაც ლიპარტიანი დაჰპირდა. ბევრი ებრაელი და სომეხი სამეგრელოდან იმერეთში (Giorgia) გადმოიყვანა, აგრეთვე წამოიყვანა ამ ქვეყნის უპირველეს თავადთა (baroni più principali( პირმშო შვილები, რათა უფრო უზრუნველეყო თავის მიერ ახლად დანიშნული მთავრის უშიშროება, რომ მას არ აჯანყებოდნენ. ეს საკმარისი არ გამოდგა იმისათვის, რომ ლიპარტიანს ყველა მორჩილებაში ჰყოლოდა. აფხაზებს მისი ცნობა არ სურდათ, სამეგრელოს მრავალი თავადი აცხადებდა მთავრის ყმობას. ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში ერთმა თვემ განვლო. ამ ხნის განმავლობაში

სამეგრელოში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა: ძარცვა-გლეჯა, ჯარისკაცების თავდასხმები და სხვა...[1]

ამ არეულობის დროს განუწყვეტელ შიშსა და ტანჯვაში ვიყავით და ამის გამო მონათვლას ვეღარ ვახერხებდით. გარდა ამისა, სხვა საერთო უბედურება გვატყდებოდა თავს. ერთი მეზობელი თავადი სახელად Scathia, რომელიც ჩვენს ეკლესიასა და ზოგიერთი ყმის ოჯახებზე ერთგვარ პრეტენზიებს აცხადებდა, რაზედაც ჩვენ... რასაც გვედავებოდა ის წაგვართვა... როგორც ამბობდნენ, მეფე სამეგრელოს საზღვრებს ხელახლა უახლოვდებოდა არეულობის ჩასაქრობად, როდესაც მოახლოვდა, ჩვენ იგი ვინახულეთ და ავუხსენით ჩვენი ტანჯვა: მან დიდი სიყვარულით მიგვიღო, თავის სუფრაზე მიგვიპატიჟა და სიყვარულის ნიშნად თავისი ჯამიდან ღვინოს მასმევდა. ძლიერ გვთხოვა მის სამფლობელოში წავსულიყავით და იქ გვეცხოვრა. მე ვუპასუხე, რომ სხვა ჩვენი მეგობრები აქ რომ ყოფილიყვნენ, რომელთა იმედიცა გვაქვს, სიამოვნებით წამოვიდოდით და გემსახურებოდით-მეთქი. ბოლოს თავისი დამცველი რაზმი მოგვცა. სხვათა შორის, გაცნობებთ, რომ ლიპარტიანმა თავის სამფლობელოში თვალები დასთხარა ზოგიერთს თავადს, რომელთაც მისი ბატონობის აღიარება არ სურდათ, და ბოლოს დაიმორჩილა. ვინც ამჟამად მოუსვენარ ცხოვრებას ამჟღავნებს—მალე ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება. ამის შემდეგ ჩვენ წავედით და მთავარი ლიპარტიანი ვინახულეთ და მოვახსენეთ, თუ როგორ აგვიკლო და ძალმომრეობა იხმარა ჩვენზე მეზობელმა თავადმა Scathia-მ. მას ეს ამბავი ეწყინა და მაშინვე ბრძანება გასცა, რომ რაც კი რამ ჰქონდა წაღებული ჩვენგან, უკანვე დაებრუნებინა, ყმების ის სახლებიც, რომლებიც აწ განსვენებულმა მთავარმა მოგვცა. მან განაცხადა, თქვენი პრეტენზიები საფუძვლიანიაო. ამრიგად, ამ არეულობაში რაც კი დავკარგეთ, ყველაფერი უკანვე დაგვიბრუნა.

ახლა რაც შეეხება სასულიერო საქმიანობას: ხელისუფლების შეცვლის დროს, აქ ჩვენ დავკარგეთ კათოლიკოს-პატრიარქი, რომელსაც ნიკოლო (Nicolo[2]) ერქვა, დიდებული ქართველი თავადიშვილი, რომელიც ოცდაათი წლის წინათ უბრალო ბერი იყო და როცა რომში ჩამოვიდა და კათოლიკობა აღიარა, მისმა უწმინდესობამ პაპმა ურბანო მერვემ ძალიან კარგად მიიღო იგი. დადიანს ეს ბერი ძალიან უყვარდა და ამიტომ სამეგრელოსა და აფხაზეთის

---

[1] ტექსტის გაგრძელება გადამწერის მიერაა გამოტოვებული.

[2] ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი.

პატრიარქად დანიშნა. რადგან მან ზემოთ დასახელებულ მთავარ ლიპარტიანს ბევრი უსიამოვნება მიაყენა, ამიტომ შეუძლებლად ცნო მისი დატოვება, გადააყენა თანამდებობიდან და ციხე-კოშკში ჩაამწყვდია, პატრიარქად კი ქართველი აზნაური (nobile) დანიშნა. მისი მეშვეობით ჩვენ ვცდილობთ სამეგობრო ურთიერთობის დამყარებას, ისე როგორც ადრე, მეგრელ ეპისკოპოსებთან. ამ მხარეში ჩვენს საქმიანობას შეადგენს მთელი პროვინციის ირგვლივ სიარული. დღენიადაგ ყოველი თავადი გვეძახის თავის სახლში, რომ მის ავადმყოფ ყმებს საექიმო დახმარება აღმოვუჩინოთ. ასეთი შემთხვევით ვსარგებლოთ და ამ ნიადაგზე ჭეშმარიტ სარწმუნოებასა და უკვდავების ხსნის გზას ვუქადაგებთ. უკანონოდ მონათლულ ბევრ ბავშვს ვნათლავთ, ისინი მათი უვიცი მღვდლების მიერ მოუნათლავნი იხოცებოდნენ. აგრეთვე ვასრულებდით სხვა წმინდა საიდუმლოებას, რაც შეეხება მომაკვდინებელ ცოდვას იმ მოზრდილებზე, რომელთაც ცოდვები ჩაიდინეს...[1] ნათლობის ცერემონიისათვის აუცილებელია წმინდა მსხვერპლის შეწირვა და სხვა საიდუმლოებანი, რომ გაგვედევნა მათგან ცრურწმენები. განუწყვეტლივ ვუქადაგებთ თავადებს, რომ ისინი ქრისტიანულ ცხოვრებას შეუდგნენ, ცოდვებს მოერიდონ და თავიანთი ყმები თურქებს არ მიჰყიდონ. თუმცა, ზოგიერთი, მიუხედავად ჩვენი ქადაგებისა, თავისას არ იშლის. სამეგრელოში ცხოვრობს აგრეთვე რამდენიმე ფრანგი ვაჭარი, რომელნიც ჩვენთან წმინდა ზიარებას იღებენ. სხვა თვალსაჩინო, საყოველთაო დიდ წარმატებას ვერ მივაღწიეთ, რადგან აქ უვიცობა უფროა გავრცელებული, ვიდრე მწვალებლობა, თუმცა წმინდა სილვესტრო პაპის დროიდან აქვს ამ ხალხს მიღებული სარწმუნოება, მაგრამ ყოველთვის მორჩილებდნენ ანტიოქიის ბერძენთა პატრიარქს. ბერძნები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ მორჩილებაში იყოლიონ. ცოტანი როდი არიან, რომელნიც ლათინელებისადმი ერთგულებას, პატივისცემასა და სიყვარულს იჩენენ. ბევრი ბერძნებს უსმენს, რადგან ხედავენ, რომ ჩვენ ცოტანი დავრჩით.

დასასრულ, გთხოვთ, თქვენო უწმინდესო უგანათლებულესობავ, საჩქაროდ მოავლინოთ ახალგაზრდა მღვდლები ჩვენს დასახმარებლად, ისეთები, რომელნიც ენას დაეუფლებიან, უამისოდ მისიაში დიდ სიძნელეებსა ვხვდებით; თუ ვინცობაა ჩვენს კონგრეგაციას არა სურს ვინმე გამოგზავნოს, მაშინ, თქვენო უწმინდესო უგანათლებულესობავ, გვიშუამდგომლეთ და გვაცნობეთ, თუ

---

[1] გამოტოვებულია გადამწერის მიერ.

როგორც მოვიქცეთ, რადგან ასეთ მდგომარეობაში ყოფნა შეუძლებელია, გარდა ამისა, ბევრ ტანჯვასა და გაჭირვებას განვიცდით, ვერ დაგპირდებით რომ ჩვენი სიცოცხლე ხანგრძლივი იქნება.

ბოლოს, მე, პატრი ცამპი და მორჩილი ძმა ფრანჩესკო, თქვენს უწმინდეს უგანათლებულესობის წინაშე თავს მდაბლად ვიხრით და ხელზე გეამბორებით.

თქვენი უწმინდესი უგანათლებულესობისა და დიდად პატივცემულობის უმდაბლესი მონა-მორჩილი.

ანდრეა ბორომეო — რეგულარების მღვდელი.

სამეგრელო, 1658 წლის ივნისი.

## დასკვნა

დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს მიერ საქართველოდან რომში გაგზავნილი რელაციები საუცხოო მასალად იმიტომაც უნდა იქნას მიჩნეული, რომ მას მხოლოდ ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა — აეწერა საქართველოს სინამდვილე რომის პროპაგანდა ფიდესათვის. რელაციიდან ირკვევა, რომ მისთვის უცხო იყო სწრაფვა ჯანდიდებისაკენ, როგორც ეს სჩვევიათ სხვა კატეგორიის მოგზაურებსა და მწერლებს.

პირველ ყოვლისა მისი მიზანი იყო კულტურული დახმარება აღმოეჩინა ქართველებისათვის: 1) კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებასთან ერთად ესწავლებინა წერა-კითხვა, რომელიც ხალხის მსოფლმხედველობის ამაღლებისა და განვითარების ერთადერთი საწინდარი იყო და ხელს უწყობდა მსოფლიო კულტურასთან დაახლოებას იმ ეპოქაში; 2) სამკურნალო ცოდნის გამოყენება დავრდომილთა სასარგებლოდ, რასაც სჩადიოდა სრულიად უსასყიდლოდ; 3) ხელსაქმისა და სპეციალური ცოდნის შემოტანა, როგორიცაა ოქრომჭედლობა, მხატვრობა, არითმეტიკა-კოსმოგრაფია, სასოფლო-სამეურნეო დარგის — მებოსტნეობის დამუშავება და 4) უმთავრესად კი სოციალური ყოფის მეტად ჩამორჩენილი ინსტიტუტის, ტყვეთა გაყიდვის წინააღმდეგ ხმის ამაღლება და ამ მიმართულებით მოქმედება იმთავად უჩვეულო მოვლენას წარმოადგენდა. ეს მანკიერი ჩვეულება ფესვგადგმული იყო გადაგვარების გზაზე დამდგარი საზოგადოების მაღალ ფენებში და ჩვენი ერის დაუძინებელ მტრებს ხელსაყრელი პირობები ექმნებოდათ, გაპარტახებამდე მიეყვანათ საქართველო. ასეთი მახინჯი მოვლენის

წინააღმდეგ მედგარ პროპაგანდას ეწეოდა უცხოელი ბერი, რომელიც თავისი კეთილშობილური მოღვაწეობით უდიდესი მნიშვნელობის საქმეს აკეთებდა ქართველი ხალხისათვის.

მეორე მხრით, ჯუზეპე ჯუდიჩე თავის რელაციებში სრულიად არ ცდილობს მხატვრული ელფერი მისცეს თავის მონათხრობს. მისი ნაშრომი ინფორმაციული ხასიათისაა. თავის თავი წინა პლანზე არ ჰყავს წამოწეული, თითქოს იგი არც კი ყოფილიყოს პრეფექტად და მისიონის ხელმძღვანელად. ამდენად მის რელაციებს ისტორიული დოკუმენტის ღირებულება ენიჭებათ.

ეს ნაშრომი, არქანჯელო ლამბერტის თხზულებასთან ერთად, საგულისხმო ფაქტებს გვაწვდის XVII საუკუნის პირველ ნახევრის დასავლეთ საქართველოს, კერძოდ კი სამეგრელოს ისტორიის შესახებ.

**ბეჟან გიორგაძე**

# ᲓᲝᲜ ᲯᲣᲖᲔᲙᲔ ᲯᲣᲓᲘᲩᲔᲡ
# ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ
# ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲖᲔ

## ქრისტეს მიერ დიდად პატივცემულო ჩემო სინიორე!

სხვა დროს არ მომიწერია თქვენს ყოვლად ბრწყინვალე პიროვნებისადმი იმის გამო, რომ პატრმა დონ პიეტრომ[1], მისიონის უფროსმა, რამდენიმეგზის უკვე გაახლათ სრული რელაცია იმის შესახებ, რაც კი რამ მოხდა ამ მხარეში. ახლა, როცა ჩვენმა უფალმა და მისმა უწმინდესმა დედამ ინებეს, რომ ეს ქვეყანა რამდენადმე დამშვიდებულიყო იმ ომისაგან, რომელიც სპარსეთსა და მეფე თეიმურაზს შორის წარმოებდა, გზა გაიხსნა მისიონისათვისაც, რომლის გამოც პატრმა დონ პიეტრომ მიგვავლინა პატრი დონ არქანჯელო ლამბერტი[2] და მე. ამისათვის მიზანშეწონილად მივიჩნიე თქვენს ყ. ბ. პ-თვის მომეწოდებინა სრული ცნობები, რათა გამოყენებული ყოფილიყო უფლისადმი მრავალ მომსახურებაში და მისი ღვთაებრივობის სადიდებლად ჩვენს მოღვაწეობაში, რაშიც ღმერთი დაგვეხმარება თავისი ჩვეულებრივი გულშემატკივრობით და ყურადღებით, ვინაიდან ღვთისა და უწმინდესი ქალწულის წყალობით აღსავსენი ვართ მტკიცე რწმენით და მისი იმედით დიდ საქმეს

---

[1] დონ პიეტრო ავიტაბალე, საქართველოს მისიონის პრეფექტი 1626 წლიდან.

[2] ამ რელაციის მიხედვით არქანჯელო ლამბერტის ბიოგრაფიას ემატება ახალი დეტალი: იგი შესანიშნავი მხატვარი ყოფილა. მას ბევრი პორტრეტი ჰქონია დახატული როგორც მთავრისა და დედოფლის, აგრეთვე სხვა ცნობილი პირისა. ამასთანავე მთავრისა და დედოფლის დავალებით ერთი ეკლესია მოუხატავს, რისთვისაც დიდი მოწონება დაუმსახურებია. მეორე მხრივ, სცოდნია სხვადასხვა ხელობაც, როგორიცაა დურგლობა, დეკორაციული დეტალების მრავალსახიანი ხელსაქმე და სხვა. ადვილი შესაძლებელია, რომ ქრისტეფორე კასტელის ალბომში, რომელშიც 500 სურათია მოთავსებული, ლამბერტის ნახატებიც იყოს შესული, რადგან კასტელის სურათები ერთი სტილისა როდია, მასში რამდენიმე სტილი შეიმჩნევა და, როგორც ჩანს, ერთი კაცის ნახატების ალბომს არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ სხვადასხვა დროისა და რამდენიმე მხატვრის კოლექციაა. გარდა ამისა, ლამბერტი კარგი მკურნალის სახელსაც ატარებდა და ამ დარგში ფართო მასების დიდი სიყვარულიც დაუმსახურებია. სამისიონერო ესპარეზზე მოღვაწეობის გარდა, მას სასოფლო-სამეურნეო დარგშიც შეუტანია თავისი წვლილი.

შევასრულებთ. თქვენს ყოვლად პატივცემულ პიროვნებას სრული რელაცია რომ მივცე, განზე უნდა დავტოვო ამბები, რომლებიც მოხდა სპარსეთის ხელმწიფესა და თეიმურაზ მეფეს შორის, რის შესახებაც, მე მგონი, ამ დრომდე თქვენ ყველაფერი უკვე გეცოდინებათ. თეიმურაზის სამეფო ექვემდებარება სპარსეთის ხელმწიფეს, რომელმაც სპარსეთის ჩვეულებისამებრ აქ დასვა მმართველად ერთი ხანი[1]. იგი ამავე დროს სპარსეთის შაჰის მოადგილედ ითვლება. ეს ხანი სპარსეთშია დაბადებული. ვინაიდან მის მშობლებს სხვა შვილი არ ჰყავდათ, ამიტომ ქართლის სამეფო მას ეკუთვნის. მაგრამ იმ ხანად ქართლს თეიმურაზი განაგებდა; ამ მიზეზით იყო, რომ იგი აჯანყების გზას დაადგა, რადგან სპარსეთის ხელმწიფემ უბრძანა მას აღნიშნული სამეფო ხსენებული ხანისათვის დაეთმ[illegible]ისაგან სპარსეთის ხელმწიფე დიდად დავალებული იყო, რადგან შისი მეშვეობით სპარსეთის ტახტზე ავიდა. სპარსელებს უკვე ჰყავდათ ხელმწიფე, და არ მოისურვეს შაჰსეფის ცნობა, რადგან მას ქართველი დედა ყავდა, რომელიც დღესაც ცოცხალია. შაჰსეფი ქართველების რაზმის დახმარებით დაეპატრონა ტახტს. ამგვარად, ამ ხანმა (როსტომ მეფემ), სურდა რა ცოლის შერთვა, ყოველი გზა მოსინჯა (შეიძლება სახელმწიფოებრივი მოსაზრებითაც), რომ დანათესავებოდა ოდიშის მთავარს დადიანს — დაქორწინებულიყო მის დაზე. ეს მხარე მდებარეობს საქართველოს უკიდურეს საზღვარზე. დადიანმა და როსტომ მეფემ გადაწყვიტეს ორივე მხრიდან ომი გაუმართონ იმერეთის მეფეს, რათა მერმე შუაზე გაიყონ ეს მხარე, იმ საბაბით, რომ იმერეთში გადმოხვეწილ თეიმურაზს იმერეთის მეფემ თავშესაფარი მისცა. ეს ქორწინება უსაფუძვლოა ორი მიზეზით: პირველი, ეს ქალბატონი გათხოვილია გურიის მთავარზე (საქართველოს სხვა სამთავროა), რომელიც საომარ მდგომარეობაშია დადიანთან. მან მთავარი დაატყვევა ღალატით, თვალები დასთხარა და ხელთ იგდო მისი ორი მემკვიდრე დედასთან (თავის დასთან) ერთად. კათალიკოსის გარდაცვალების შემდეგ მასზე ამბობენ, რომ ამ ღალატის მიზეზი ის იყო და ის კი ამ მხარეში მიჩნეულია როგორც პაპი. ამჟამად სამთავროს მართავს ბრძა მთავრის ბიძა, რომელიც ერთსა და იმავე დროს გურიის მთავარიც არის და კათალიკოსიც. დადიანს უნდა გურიის სამთავროს დაეპატრონოს. გარდა ამისა, უსაფუძვლოა ეს ქორწინება იმიტომაც, რომ ქალი ქრისტიანია, საქმრო კი — მაჰმადიანი (turco), მაგრამ ამ მხარეში... ცუდს არაფერს ხედავენ ერთ ცოლთან გაყრასა

---

1 **როსტომ მეფე.**

და მეორის მოყვანაში. ამბობენ, რომ ხსენებული ქალბატონი არავითარ შემთხვევაში არ თანხმდება ამ ქორწინებაზე. უფალმა ინებოს, რომ ასე იყოს. ამრიგად, ჩვენ შევიტყვეთ თუ არა, რომ ამ ქორწინების საქმეზე ქართლიდან მომავალი გორზე გაივლიდა დადიანის ელჩი და მათთან ერთად მოდიოდა აგრეთვე სინიორ ნიკოლო[1], რომელიც ადრე თეიმურაზის ელჩად იყო მის უწმინდესობა პაპთან, ვიფიქრეთ, კარგი იქნებოდა გვეცადა დაგვეარსებინა სხვა ახალი მისიონი ოდიშის ქვეყანაში, მით უმეტეს, რომ სინიორ ნიკოლო უკანვე უნდა დაბრუნებულიყო სამეგრელოში და შეეძლო დიდი დახმარება გაეწია ჩვენთვის, რადგან ძალიან კარგად იყო მიღებული დადიანის კარზე და მის ფავორიტად ითვლებოდა. ჩვენი მოსაზრება გავუზიარეთ ელჩსა და სინიორ ნიკოლოს, რომლებსაც ძალიან გაუხარდათ და დაგვაიმედეს, რომ ხელს შეგვიწყობდნენ მთავრის წინაშე, რომელიც მათ კარგის თვალით უყურებდა და მისი რჩეულები იყვნენ. ამრიგად, გახარებულნი მოვემზადეთ და სინიორ ნიკოლოსთან ერთად 26 დღის მგზავრობის შემდეგ წარვსდექით ხსენებული მთავრის წინაშე.

აქ არ შეგვიძლია იმის მოყოლა, თუ რარიგად გავიტანჯეთ ამ მგზავრობაში, იმის გამო, რომ ნახევარი გზა ქვეითად ვიარეთ, განსაკუთრებით ერთ ღამეს ყველა წმინდანის დღესასწაულის წინა დღეს. შემდეგ საჭირო გახდა გზის განგრძობა მომდევნო დღის 16 საათამდე იმის გამო, რომ თავს არ დაგვსხმოდნენ მძარცველები. საერთოდ აუცილებელი იყო სულ ქვეითად გვევლო, რადგან ცხენები დატვირთულები იყვნენ და საჭირო შეიქნა ციცაბო კლდეებსა და უფსკრულებზე ჩქარა გვევლო. 16 საათის განმავლობაში სამი ცხენზე იჯდა, დანარჩენი ქვეითად, ჯარისკაცებთან ერთად, სირბილით მივდევდით, ესენი ელჩს აცილებდნენ. ჯარისკაცები მათრახის ცემით ცხენებს ძალას ატანდნენ ნაბიჯის ასაჩქარებლად. იმ ღამეს ისე მაგრად დავიღალეთ, რომ უფალს თავისი უსაზღვრო სიკეთით რომ განსაკუთრებული მოწყალება არ მოეღო, ალბათ შიმშილით, უფრო კი წყურვილით დავიხოცებოდით, რადგან ქვეითად მრავალი მილის გამოვლისას იძულებული ვხდებოდით მხოლოდ ცოტაოდენი გაყინული წყალი გვესვა და ჩირგვებში რამდენიმე ტყის ვაშლი და მსხალი აგვეკრიფა, რომ ჩვენი გაჭირვებისათვის გვეშველა. ღვთის წყალობით ბოლოს მივედით კავკასიონის მთის ფერდობამდე და როდესაც გვეგონა, ჩვენს ტანჯვას ბოლო მოეღო, მაშინ გავიგეთ, რომ თურმე ის ახლა

---

1 ნიკოლოზ ბერი-ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილი-ირბახი-ირბაჩო.

იწყებოდა, რადგან ოთხ დღეს უნდა გვევლო კავკასიონის მთებზე, შეტად მაღალსა და უსაშინელეს, წარმოუდგენელ ციცაბო კლდეებსა და უფსკრულებს შორის. კაცები და პირუტყვები სახიფათოდ ძირს ცვივოდნენ. ღვთის მადლით კიდევ კარგი, რომ სხვა საშინელება არაფერი შეგვემთხვა. 15 დღის მგზავრობის შემდეგ კათალიკოსის წინაშე წარვსდექით. იგი ამავე დროს გურიის მთავარია[1] (როგორც ზემოთ იყო ნათქვამი). მან გვნახა და დიდი სიყვარულით მიგვიღო. ორ საზეიმო ლხინში თავისთან მიგვიწვია, სადაც ჩვენი უურადღება მიიპყრო ერთმა ცერემონიალმა, რომელიც ერთის მხრით სასაცილოა, ხოლო მეორე მხრით ღირსია ცრემლებისა, როდესაც ხედავ, თუ რა ბნელში ცხოვრობს ეს ბეჩავი... ხალხი. აი, ეს ცერემონიალიც: საზეიმო წვეულება დაიწყო 22 საათზე და შუა ღამეზე უფრო მეტ ხანს გაგრძელდა. კათალიკოსმა სხვა სასმისების გარდა (რაც მრავალია), სამგზის დიდი თასით უნდა დალიოს ღვინო. იგი თავისი ადგილიდან დგება, წინ გამოდის. იქ დამსწრე ეპისკოპოსებიც აგრეთვე ყველა ფეხზე დგება (იმჟამად ისინი იქ ბევრნი იყვნენ), დიდი თასით ღვინო მიაქვთ კათალიკოსთან, რომელიც სვამს რამდენიც უნდა, მერმე სხვებს გადააწოდებს. სმის დროს მეტად მხიარულ სიმღერებს მღერიან, შემდეგ კათალიკოსი თავის ადგილზე ბრუნდება და ჭამას განაგრძობს. ამ ცერემონიას სამგზის ასრულებენ და დიდ მნიშვნელობასაც ანიჭებენ. ხსენებულმა კათალიკოსმა მოისურვა, რომ მისი სამთავროს დიდი სინიორებისა და მათი მეუღლეების თანდასწრებით წირვა შეგვესრულებინა და ერთ ჩვენგანს ექადაგა, რაც ჩვენ დიდის კმაყოფილებით შევასრულეთ. ყველა განცვიფრებული დარჩა ჩვენი წმინდა წირვის შესრულების წესრიგით. მოიხიბლნენ ლათინთა მიერ წმინდა ევქარისტიისათვის მიღებული სადა და უბრალო ცერემონიალით, რადგან ბერძნები, რომელთა ლმერთმსახურების წესსაც აქ მისდევენ, რთული კომპოზიციით ასრულებენ წირვას (ჩვენ მრავალგზის ვნახეთ ის). კათალიკოსს ერთი გვირგვინი მივართვით, მან მეტად კეთილად მიიღო საჩუქარი

---

[1] ავტორის ცნობა ეკვს არ იწვევს იმის შესახებ, რომ კათალიკოსი მალაქია გურიელი იმავე დროს გურიის მთავარიცაა, და რომ ერთი პიროვნების ხელშია გაერთიანებული სამოქალაქო-ადმინისტრაციული და სასულიერო ფუნქციები. ასეთი არაჩვეულებრივი მოვლენა გამოწვეული იყო იმით, რომ დადიანის მიერ დატყვევებული და თვალებდათხრილი სიმონ გურიელი, რომელსაც დადიანის და ჰყავდა ცოლად და მისი სიძე იყო, მსხვერპლი გამხდარა მალაქია გურიელის, ე. ი. ბიძის ღალატისა, რის გამოც დადიანმა დანიშნა მთავრადაც. მისი მმართველობა გაგრძელდა 1638 წლამდე.

და გამოგვეთხოვა. შემდეგ გავემგზავრეთ დადიანთან ისეთი ძნელად სავალი ატალახებული გზებითა და ფრიალო კლდეებით, რომ თითქმის სასწაულია, ჯანმრთელი როგორ გადავრჩით. ბევრჯერ უმეჯინიბოდ ცხენები წინ გაგვიგდია, ჩვენ კი მუხლებამდე ტალახში გვივლია.

ერთხელ, მივდიოდით რა კავკასიონის მთებში (ერთი ცხენი მიგვყავდა ორს და ჩვენ კი ქვეითად მივდევდით უკან), ცოტა ღვინო მოგვინდა, რომ ჯანზე მოვსულიყავით (თუმცა, განსაცვიფრებელი კია), ქარავანს სამზე მეტი მილის მანძილზე ჩამოვრჩით იმის გამო, რომ ცხენს სიარული აღარ შეეძლო. წინ წასულ ქარავანს თურმე შემოეყარა ორი კაცი. მექარავნეებს უფიქრიათ, ვაითუ პატრები გაქურდონ და გაძარცვონ, და ერთი კაცი გამოგვაყოლეს თანამგზავრად, რათა მოვიდოდა თუ არა ჩვენთან, ყასიდად შემოეთავაზებინა რაიმეს ყიდვა და ეცნობებინა ხიფათიც. მაგრამ ეს ორი კაცი, მე მგონი, ღვთისაგან უფრო იყვნენ გამოგზავნილნი, რადგან არათუ რაიმე ცუდი ჩაიდინეს, არამედ თან წამოეღოთ პური, ღვინო და კაკალი, ჩვენც გვიწილადეს და ძალიან თავაზიანადაც მოგვეპყრნენ, რითაც ჩვენ სული მოვითქვით და დავნაყრდით. შემდეგ მგზავრობა განვაგრძეთ მარტოდ ღამის პირველ საათამდე დიდი ტანჯვით. ვეღარ დავეწიეთ ქარავანს და ერთ სოფელში დავრჩით ღამის გასათევად. ამ კაცებს მივეცით ერთი წყვილი დაბალყელიანი წაღა, რაზედაც დიდი მადლობა გადაგვიხადეს, თუმცა ამდენი ხიფათი და წამება, დიდად პატივცემულო მონსინიორ, მხიარულად და კმაყოფილი გულით გადავიტანეთ იმ უფლის სიყვარულისათვის, რომელმაც ბევრი იტანჯა ჩვენთვის და ამ საწყალ არსებათა ხსნისათვის...

დასასრულ, 19 ნოემბერს, შაბათ დღეს მივედით იქ, სადაც დადიანი იმყოფებოდა. ეს იყო იმ ადგილას, სადაც წმინდა გიორგის საპატივსაცემოდ დღესასწაულობდნენ[1]. დღესასწაული შემდეგში მდგომარეობს: ღამისთევისას კეტავენ ეკლესიის კარებს, რომელიც ვერცხლის თხელი ფურცლითაა გადაკრული, ზედ მთავრის ბეჭედი აზის, და მას დარაჯობენ. შემდეგ კარებს აღებენ და ეკლესიის შესავალში გამოჩნდება ხარი, რომელსაც კლავენ და ხორცს ხალხს ურიგებენ. თუკი ვინმე რჩეულთა შორისია, მას შეიძლება ცოტა რამ შეხვდეს. მთავარმა წვეულებიდან, რომელსაც დავესწარით, ხარის რქები და ხორცი წაიღო. ამ დღეს ძალიან მხიარულად მღერიან.

---

[1] ილორში.

დღესასწაული იმაში მდგომარეობს, რომ დათვრნენ და ბევრი მსხვერ-პლი შესწირონ წმინდა გიორგის. ჩვენს გვერდით იყო ერთი მღვდელი, სინიორე და ერთი ბიჭი, რომელიც შანდლით ხელში რთულ ცერემონიებს ასრულებდა დეკეულის ირგვლივ. შემდეგ დეკეული მსხვერპლად შესწირეს. ამ დღეს მთავარმა დაგვასაჩუქრა და წასვლის წინ მიგვიწვია სხვა ადგილას, სადაც დარბაზობას გვიმართავდა. მას მივართვით ჩვენი უფლის ხატი, შორ მანძილზე დასანახი ერთი სათვალე, ერთი ბროლით მოოქვილი გვირგვინი, ერთი თაბაშირის. ქანდაკება და სხვა. ნაკლებმნიშვნელოვანი ნივთები, რამაც ძალიან ასიამოვნა მთავარი. დილით თავისთან პური გვაჭამა, საკუთარი კერძი გვითავაზა. ცოტა ხნის შემდეგ ინება გვენახა მისი სამი წლის ავადმყოფი ქალიშვილი. ვინაიდან მას ერთი მოყვანილი სომეხი მკურნალობდა, მისიონერ ნიკოლოს პირით შეგვატყობინა, რომ თუკი ჩვენ მივცემდით სიტყვას, რომ ვუმკურნალებდით ავადმყოფს, მაშინ მას დაითხოვდა. ვუპასუხეთ, რომ ჩვენს შესაძლებლობაზე კი არ არის დამოკიდებული ასეთი დაპირება, არამედ ღვთის ხელშია ეს საქმეო. რადგან თავიდანვე სომეხი ექიმობდა, ამიტომ მასვე უნდა განეგრძო მკურნალობა და ჩვენ შემდეგ ზოგიერთ წამალს ვახმარებდით და იმედი გვექნებოდა ღვთისა, რომ იგი განიკურნებოდა. ასეთი პასუხით დიდად დაკმაყოფილდა. ამ ხნის განმავლობაში სომეხი განაგრძობდა მკურნალობას.

ბევრი წყალობა მოგვაგო როგორც მთავარმა, ისე დედოფალმაც, მრავალგზის დაგვასაჩუქრა. სხვათა შორის, ერთ საზეიმო წვეულებაზე განსაკუთრებით გამოგვკითხა — რატომ ვეღარა გხედავთო. მერმე დონ არქანჯელოს უბრძანა სურათი დაეხატა იტალიურ ყაიდაზე, რაც ძალიან ლამაზად შეასრულა, მთავარი იმდენად კმაყოფილი დარჩა, რომ მოვიდა ჩვენს ბინაში და დაგვპირდა სახლისა და კაცების მოცემას, რომელნიც ჩვენ მოგვემსახურებოდნენ. ვიდრე არქანჯელო ხატავდა, დედოფალი იმდენ საზრდოს გვიგზავნიდა, რომ რვა დღეს გვყოფნიდა. დედოფალს სურათი უზომოდ მოეწონა. პატრი დონ არქანჯელო სხვა სურათებსაც ხატავს. მე მგონი ესენიც მეტისმეტად მოეწონებათ.

სამეგრელო მშვენიერი ქვეყანაა, მაგრამ რადგან მაცხოვრებელი ხალხი მცირერიცხოვანია, თითქმის მთლად ტყედაა გადაქცეული. ქალაქი არა აქვთ და სახლები ტყეშია გაფანტული, ერთი აქაა, მეორე იქ, ზოგი ერთს მხარეს, ზოგი მეორეს. მეტად ღარიბად ცხოვრობენ. პური არა აქვთ, არც ხორბალი, თუ აქვთ, ძალიან ცოტა და

როდესაც ვისმე დასაჩუქრება უნდათ, მას ერთ ხორბლის პურს უგზავნიან. პურის მაგივრად სჭამენ ღომს (gomo) — -ეე უწოდებენ, რომელიც იტალიურ panigo-ს მსგავსია. წყალში მოხარშული ფაფად იქცევა და მას სჭამენ... ფული მხოლოდ აზნაურთა (Asnaur) ხელში ტრიალებს, ესენი ჩვენებური gentil' huominiები არიან, მდაბიო ხალხში კი ყოველი საგანი გაცვლის ობიექტადაა ხმარებული. ფულად ხმარებაშია წიწაკა, მარილი, წინწკლებიანი (მუსკატური) კაკალი, საკმელი, ნავის ფარანი, საკერავი ნემსები, შეღებილი ტილო. ამგვარად ცხოვრობენ. ჩვენ გვაქვს საუკეთესო შემთხვევა სიკეთის ქმნისა და უფლისათვის სულების შეძენისა და გვწამს, რომ შეგვიძლია მოვნათლოთ პირობით. რადგან ბევრი მოუნათლავია. მღვდლები იმდენად უვიცნი არიან, რომ კითხვა არ იციან. თავს ისე აჩვენებენ, თითქოს კითხულობენო და სულ სხვას კი ამბობენ. ერთხელ სინიორ ნიკოლამ ჩვენი თანდასწრებით იხმო ერთი მღვდელი, რომელიც კითხულობდა, მაგრამ სხვას კი ამბობდა, რაც წიგნში არ ეწერა. ისე რომ არ იციან საკრამენტები და არც ფორმა საკრამენტებისა. უფალმა ინებოს და როცა ცოტა ენას დავეუფლებით, უკეთეს ინფორმაციას მოგაწვდით. საეკლესიო დღესასწაულებს არ იცავენ, წირვას არ უსმენენ, ისე კი ქრისტიანის სახელს ატარებენ. იმდენად განუვითარებელნი არიან, რომ არ იციან, ჯოჯოხეთში სულები რომ იტანჯებიან, და როდესაც პატრმა დონ არქანჯელომ მათ განუმარტა, საოცრად განცვიფრებულნი დარჩნენ. მეგრული ენა ქართულისაგან განსხვავებული და შესასწავლად ძალიან ძნელია, მაგრამ ჩვენ არ დავიზარებთ და დიდ გულმოდგინებას გამოვიჩენთ მის შესათვისებლად. დღე- დღეობით თურქულ ენასა ვხმარობთ. აქ არის ამ ენის მცოდნე კაცი.

მხედველობაში მიიღეთ, თქვენო ყოვლად პატივცემულებავ, რომ ხალხი უცოდინარია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ თავიანთი ანბანი დაკარგული აქვთ. მეზობლად ბევრი წარმართული ქვეყანაა, ღვთის წყალობით იმედი გვაქვს მათთანაც მივიდეთ. რა თქმა უნდა, ეს სიძნელეებთან არის დაკავშირებული, რადგან ისინი ეწევიან ყაჩაღობას და აუცილებელია თავის ძალიან კარგად დაცვა. ისინი კაცებსა და ბავშვებს იტაცებენ და თურქეთში ჰყიდიან. საჭიროა აგრეთვე ჩვენს საერთო მტრებს—ბერძნებს გავუწიოთ წინააღმდეგობა. ერთმა მათგანმა გაბედა და თქვა დედოფლის წინაშე, — თეიმურაზმა იმიტომ დაჰკარგა სამეფო, რომ თავის ქვეყანაში თავშესაფარი მისცა პატრებსო. იმედი გვაქვს ღვთისა და უწმინდესი ქალწულის შემწეობით ყველაფერი ავიტანოთ, ვიღებთ რა მხედველობაში იმას,

რომ მთავარი, დედოფალი და სხვა ყველა კარგად გვექცევიან, მით უფრო, რომ ყურადღება მივიპყარით როგორც უანგაროებმა. ყველას მოწონებას ვიმსახურებთ; უფასოდ ვმკურნალობთ, არავითარ გამოსაღებს არ ვართმევთ საექიმო დახმარებაში. ღვთის სიკეთით ჩვენი ქველმოქმედება იმდენად გაიზარდა, რომ გურიის მთავარმა წინადადება მოგვცა გადავსულიყავით იქ სამუშაოდ, სადაც მბრძანებელია კათალიკოსი (როგორც ვთქვი ზემოთ). ჩვენ ამის თაობაზე სიტყვა მივეცით, რომ მას მოვემსახურებოდით და ამის შესახებ გორში მივწერეთ ჩვენი მისიონის უფროსს პატრ დონ პიეტრო ავიტაბილეს, რომელმაც დიდად გაიხარა.

ძალიან გავიტანჯეთ 29 დღის განმავლობაში, ვიდრე სახლს მოგვცემდა მთავარი, რადგან ჩვენ მასთან ერთად ვმოგზაურობდით მთელ მის სამფლობელოში. ამ მთავარს ჩვეულებად აქვს ხანგრძლივად არსად გაჩერდეს, ერთ დღეს რომ ერთ მხარეშია, მეორე დღეს მეორეში. ამის გამო ჩვენ იძულებული ვიყავით მასთან ერთად გვევლო. მიგვყავდა წიგნებით და სხვა საქონლით დატვირთული ორი ცხენი, ჩვენ კი ქვეითად მივყვებოდით. სრულიად მართალია, რომ მთავარი ჩვენზე ზრუნავდა, მრავალგზის გამოუგზავნია წვნიანი საჭმელი, რამდენჯერმე კი ცოტა თევზიც. ერთ დღეს, ქვეითად რომ მივდიოდით, შემოგვხვდა დედოფალი, რომელიც დაწინაურდა და, მიაღწია თუ არა მდინარეს, შეჩერდა, დაინახა პატრი დონ არქანჯელო ერთ კაცს ზურგზე შესმული მდინარეზე გადაჰყავდა, ეს კაცი მან მოგვცა, რომ ჩვენ გვხლებოდა. შევებრალეთ და ერთ მთავარ სინიორეს უბრძანა, გავიდოდა თუ არა მდინარეს, ჩემთვის დაეთმო ცხენი გადასასვლელად. გარდა ამისა, აღვირიც კი მომაწოდა ნიშნად შებრალებისა. ამაზე არ შეჩერებულა დედოფლის გულკეთილობა, მან საღამოთი ყველაფერი უამბო მთავარს[1], რომელმაც დილით გამოგვიგზავნა ნაირნაირი საჭმელები და ორი ცხენი მომსახურეებისათვის, თანაც ბოდიშს იხდიდა, რომ არაფერი არ იცოდა ჩვენი გაჭირვების შესახებ და რომ ამას მომავალში არ დაუშვებდა, მართლაც, რომ, ალბათ, სწორედ უფალმა ინება, არ გვესარგებლა ამ ხელსაყრელი შემთხვევით, გავწვალებულიყავით მისი სიყვარულისათვის, რადგან დავადგებოდით თუ არა გზას ჩვენი ჩვეულების მიხედვით, ქვეითად უნდა გვევლო, არ გვემ-

---

1 ავტორი მრავალჯერ ხმარობს il re-ს, ანუ მეფეს დადიანის ტიტულის აღსანიშნავად, ჩვეულებრივი principe-ს მაგიერ; რაც მეფის სინონიმი კი არ არის, არამედ მთავრისა და თავადის შესატყვისია.

გზავრა ცხენებით ან სხვა რამით. ბოლოს, ჩვენმა უფალმა ინება, რომ ამდენი ტანჯვის შემდეგ დაგვესვენა ამ უჩვეულო, ძნელი სავალი გზიდან. მართლაც, მეტი აღარ შეგვეძლო. 30 დღეზე მეტი ვიარეთ ფეხით ტალახსა და გაუვალ გზებზე, მდინარეებს ფეხშიშველი გადავდიოდით, რადგან ფეხსაცმელები და წინდები გაგვიცვდა.

ერთ დღეს სამთავროს ცენტრალურ ადგილას მივედით და იმედით ვსულდგმულობდით, რომ მთავარი ჩვენ მიგვიჩენდა სახლს. იქ სამ დღეში ორივე ცხენი დაგვეხოცა. მთავარს შევატყობინეთ, რომ აღარ შეგვეძლო, ძალა აღარ შეგვწევდა მას გავყოლოდით, ამის გამო ვემუდარებოდით, როგორმე ჩვენზე ეზრუნა, დედოფალმა ერთ პატარა გორაკზე ეკლესია ააშენებინა. აღნიშნული ეკლესიის ერთი ფიგურისათვის დახარჯა ათი სკუდო. როცა ნახა ეს ფიგურა, რომელიც პატრი დონ არქანჯელოს მიერაა დახატული, ძალიან მოეწონა. მან ბრძანა, რომ განზრახული აქვს მოახატვინოს ეკლესია აღნიშნულ პატრს, ამიტომ ხსენებულ პატარა გორაკზე ამ საყდრის მახლობლად ერთ-ერთი თავისი სახლი დაგვითმო, იქვე მეორე ეკლესიაც მოგვცა წმინდა წირვის დასაყენებლად. ამასთან ერთად, 12 წლის ყმაწვილიც გვიბძანა ღვთის მსახურებაში დამხმარედ და ორი სხვა კაციც დაგვინიშნა მომსახურებისათვის, რომ მათ ჩვენი საჭირო ნივთები ეტარებინათ. ვთხოვეთ აგრეთვე დამატებით სურსათი. ვუთხარით, მომარაგებული გვაქვს პური, ღვინო და საჭირო სანოვაგე, როცა ეკლესია ჩვენს უფლებაში გადმოვა, როგორც იმედი გვაქვს, ეს სურსათ-სანოვაგე თხუთმეტ დღეზე მეტს არ გვეყოფა; მართალია, თქვა მან, დამატებით სურსათს მოგცემთო.

უკვე დავიწყეთ ზოგი რამის მოწყობა, განსაკუთრებით ეკლესიისა და ყოველნაირად ვცდილობთ, რომ დედოფალთან თავაზიანი ურთიერთობა დავამყაროთ. დონ არქანჯელო შეუდგა ზოგიერთი ხელოვნური ყვავილის გაკეთებას, რაც ქალბატონს ძალიან მოსწონს. მთავარმა ერთ დღეს თავისთან მიმიხმო, სინიორ ნიკოლო თარჯიმნობდა, ძალიან სურს როგორმე ერთი ოქრომჭედელი ჩამოვიყვანოთ, რომელსაც მომინანქრება ეცოდინება. თარჯიმანის პირით მოვახსენეთ, რომ ყველაფერს გავაკეთებდით იმისათვის, რომ მისი უმაღლესობის სურვილი დაგვეკმაყოფილებინა. მოვითათბირეთ და გავითვალისწინეთ, რომ თითქმის შეუძლებელი იყო რომელიმე ერისკაცი ოქრომჭედელი ასე შორეულ და ღარიბ ქვეყანაში ჩამოსულიყო. პატრმა დონ არქანჯელომ მითხრა, რომ ჩვენს სახლში Santa Maria di Loreto-ში, ნეაპოლში, ჩვენს ბერებს შორის იმყოფება ერთი მორჩილი ძმა, რომელსაც მარტინო

ჰქვია, ნოვიციარი, იგი ძალიან კარგი ყოფაქცევისაა, ოქრომჭედელია და იცის მომინანქრებაც. ამის გამო ადვილია მისი ჩამოყვანა, მით უფრო, რომ მას სურვილი აქვს[1]...

აქ ვამთავრებ რელაციას, დიდად პატივცემულო მონსინიორ; მიწაზე დაჩოქილი გემუდარებით, თქვენო ყოვლად წმ. აღმატებულებავ, გამოიჩინოთ დიდი მზრუნველობა ამ მისიონზე, რომელიც ჩვენ სისხლის ფასად გვიჯდება და შეგვიძლია ვთქვათ ის, რასაც ამბობდა მოციქული წმ. პავლე კორინთელებისადმი წერილში, თუმცა, ჩემი რელაცია არც იმდენად შინაარსიანია: მძიმე შრომაში აუტანელი დაქანცულობა დაგვითმენია, მათრახით ცემა, ხელის კვრა აგვიტანია, ხშირად დახოცილთა გვამებზე გვივლია, არაერთხელ სიკვდილის პირისპირ ვმდგარვართ ხშირი მგზავრობის დროს. თითქმის ორი თვე ვიარეთ უმთავრესად ფეხით, სახიფათო მდინარე მრავალგზის ფეხით გადაგვილახავს, ნიადაგ ფეხსაცმელებში წყალი გვდგომია, უაჩაღების შიშით ვძრწოდით, აქ ისინი აუარებელია. განმარტოებულებს საფრთხე გველოდა არა მხოლოდ ქურდების მხრივ, არამედ დათვების, პანტერებისა და სხვა მძვინვარე მხეცებისა და გაიძვერა თანამოძმეთა მხრივ. ვერ ვენდობით ვერავის და ისინიც კი, ვინც გვმეგობრობენ, ძალიან ვეშვობთ, რომ არ გვიღალატებენ. გარჯასა და მძიმე შრომაში, ღმერთმა უწყის თუ როგორ გავიტანჯეთ; მრავალგზის ღამის თევისას საჭირო ხდებოდა ადგომა და გამოუძინებლად ღამე სიარული. მშიერ-მწყურვალთ მრავალგზის გაგვიტარებია მთელი დღეები და დღეში ერთხელ თუ მიგვიღია საკმაოდ პური და სასმელი. ზამთარში სუსხიანსა და მოტიტვლებულ მხარეში დავდიოდით და საჭირო რამ არ გაგვაჩნდა, რომ გათოშილებს სადმე თავი შეგვეფარებინა.

მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანაში ოდნავ ფეხი მოვიკიდეთ ამდენი შრომის შემდეგ, განდევნის საფრთხის წინაშე აღმოვჩნდით. რადგან ფამილიარულ მსჯელობისას ერთ ჩვენთაგანს მოუფიქრებლად წამოსცდა, კონსტანტინოპოლის პატრიარქი მიტროპოლიტიაო. ერთმა (ყველაზე მნიშვნელოვანი პირია), რომელსაც ჩვენი ბევრი ემართა და ჩვენგან დავალებულიც იყო, ეს შეურაცხყოფად მიიღო. მან თქვა, თქვენი თავი უნდა განვაძევებინო აქედანო, თუმცა უფალმა თავისი უსაზღვრო სიკეთით ყველაფერი მოაგვარა. ყველაფერი ეს იმიტომ ვთქვით, რომ მისიონი განვამტკიცოთ ისე, რომ არ დაიღუპოს.

---

[1] გადამწერის მიერაა გამოტოვებული.

ღვთის წყალობით, ახლა ხომ ადგილზე ვიმყოფებით, მაშინ კი სასიკვდილოდ განწირულნი ვიყავით, მაგრამ იმედს არ ვკარგავდით, რომ შესაძლებელი გახდებოდა მეტი მისიონერის შემოყვანა, რადგან სხვა ბერებსაც უცდიათ შემოსვლა, თუმცა მთავარს ნება არ დაურთავს, მაინც შემოუღწევიათ. ახლა კი მხედველობაშია მისაღები, რომ პატრი დონ არქანჯელო განცხრომაშია, სურათებს, დახვეწილ მინიატურებს ქმნის, ხელოვნურ ყვავილებს აკეთებს და სხვა ხელსაქმეს, რაც ძალიან სიამოვნებს მთავარსა და დედოფალს. ამ მისიონმა თავი რომ შეინახოს, საჭიროა თქვენმა ყოვ. წმ. უმაღლესობამ ხელი შეუწყოს იტალიიდან ყოველ წელს მღვდლების გამოგზავნის საქმეს. უნდა ჩამოვიდნენ ისინი, რომელნიც ახალგაზრდები და გონიერნი იქნებიან, უნდა იცოდნენ რაიმე ხელსაქმე და ჩაცმულნი იყვნენ დომინიკანურ ტანსაცმელში. როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, როცა კი საჭირო აღარ იქნებიან, ჩვენ ვაცნობებთ წმინდა კონგრეგაციას. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ აქ სამკალი ბევრია. იმედი გვაქვს წავიდეთ მათთან მას შემდეგ, რაც გამოგზავნით პატრებს ჩვენს ადგილას. ბევრია, ქრისტიანის სახელს რომ ატარებს, მაგრამ მოუნათლავნი არიან, ქრისტიანულად არ ცხოვრობენ, არც რამ ნიშანი აქვთ ქრისტიანული. აქ თათრებიცაა (Tatari), თურქები (Turchi) და სხვა ჯურის ეროვნებანიც, რომელთა შორის დროთა განმავლობაში შეიძლება ბევრი რამ გაკეთდეს ღვთის სამსახურისა და მისი უწმინდესი სარწმუნოებისათვის. ამის გამო აუცილებელია ბევრი ღვთის მსახური, მით უმეტეს, რომ ზაფხულში საკმაო ოდენობით იხოცება ხალხი და თუ ახლო მომავალში ჩამოვლენ, სიამოვნებით იქნებიან მიღებულნი; სადაც ჩვენ ვერ გავწვდით, სიკვდილისა თუ სხვა შემთხვევის გამო, უდიდესი საშიშროება იქმნებოდა იმისა, რომ მთელი მისიონი დაიღუპებოდა. ის პირნი, რომელნიც აქ უნდა მოვიდნენ, ოთხნი არიან. თქვენო ყოვლ. წმ. პატ-ბავ, ინებეთ და განკარგულება გაეცით ჩვენს კონგრეგაციაში ყოველნაირად იზრუნონ იმისათვის, რომ სარწმუნოებამ არ განიცადოს რაიმე ლანაკლისი ასეთ პირთა გამოისობით, რადგან შეუძლებელია უფრო ლირსეულად გაკეთდეს ასეთი წმინდა საქმე და უფლისადმი მომსახურება მათ გარეშე; ესენი მეტად კეთილი პირნი არიან და რასაც სიხვები ორ ან სამ წელიწადში გააკეთებდნენ, ისინი ერთ წელიწადში შეასრულებენ.

დიდად პატივცემულო მონსინიორ, ჩვენ გავაკეთეთ ის, რაც ჩვენ გვეხებოდა. სიცოცხლე და სული ღვთისათვის გადავდეთ, ახლაც მზადა ვართ სხვა ტანჯვაც განვიცადოთ სიცხლის დანთხევამდე და სიკვდილამდეც, თუკი უფალს სურს მისი უსაზღვრო სიკე-

თის ღირსი გაგვხადოს. იტალიიდან წამოსვლის შემდეგ, როგორც კი დავამზადებთ სრულყოფილ რელაციას, მაშინვე ვუგზავნით წმინდა კონგრეგაციას. ახლა რჩება მხოლოდ ის, რომ წმინდა კონგრეგაციამ საკმაო დახმარება გაუწიოს თავის უღირს მსახურებს, რომელთაც სურთ სიცოცხლე არ დაიშურონ თავიანთი მიზნის მისაღწევად. სწორედ ამას ემსახურება წმინდა კონგრეგაცია. მე არ ვწერ ჩვენს დიდად პატივცემულებას, არც სინიორ პიეტრო ლავალეს, დროის უქონლობის გამო თუ ქაღალდის ეკონომიისათვის, რადგან ქაღალდი აქ არ იშოვება. გემუდარებით, თქვენო ყოვლად პატივცემულობავ, მოგვცეთ კუთვნილი ქაღალდი იმისათვის, რომ მივწეროთ ჩვენს ყოვლად პატივცემულებას და სინიორ პიეტრო ლავალეს, რათა აღავლინონ დიდება ღვთისადმი, დაგვეხმარონ წმინდა საკმარისენტებითა და ლოცვებით, რომ შევძლოთ განვახორციელოთ კეთილი ზრახვანი, რომლებითაც უფალმა ღირსი გაგვხადა მისი უსაზღვრო სიკეთე ჩვენთვის შთაეგონებინა. მისი მომადლებული სიკეთის შესაბამისად ხელსაყრელი შემთხვევა მოგვეცა ცუდიდან ყოველთვის კარგი მიგვეღო. მას შემდეგ, რაც ერთმა ბერძენმა მეორე ბერძენი გაჯოხა, ეს უკანასკნელი ჩვენთან მოვიდა სამკურნალოდ. იგი გვემსახურება თარჯიმნად, მას ვუხსნით ჩვენს კონცეფციას. თურქულად და შემდეგ იგი წერს ამ ქვეყნის ენაზე, რომელიც მეტისმეტად ძნელია. ჩვენ ვცდილობთ აგრეთვე რაც შეიძლება კარგი ურთიერთობა დავამყაროთ, ეპისკოპოსებთან და ბერძნებთან, რომ ხელი არ შეგვიშალონ. ამიტომ ზოგიერთი ნივთი მივეცით, პატრიდონ არქანჯელოს მიერ დახატული მინიატურა ჩარჩოთი, რომელიც ისეთი სიამოვნებით მიიღო ერთმა ეპისკოპოსმა, რომ მან ჩვენ, გამოგვიგზავნა შეშის დასახერხი ხერხი, რომელიც აქ ძნელად იშოვება და ძალიან კი გვჭირდება. დაგვპირდა ქვაბს (ძაბრს), რომელიც არ გაგვაჩნია.

ამჟამად სხვა არაფერი მომხდარა. უღრმეს სალამს გიძღვნით, თქვენო ყოვლ. პატივცემულობავ.

**დონ ჯუზეპე ჯუდიჩე**

**დონ არქანჯელო — რეგულარების მღვდელი**

ოდიში. 1634 წლის 4 იანვარი.

* * *

დიდად პატივცემულო მამაო! ჩვენ ყოველ წელს ჩვეულების შიხედვით გიგზავნით ხოლმე მოკლე რელაციას იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელოვანი ამბავი შეხვდა წმინდა მისიონს საქართველოში. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია წელსაც მოგაწოდოთ ეს მოხსენება.

ვიწყებთ ოდიშის ადგილსამყოფიდან, ე. ი. 1634 წლის სექტემბრიდან 1640 წლამდე იმავე საკითხზე. ამ თვეში სამეგრელოდან კონსტანტინეპოლში გადის თურქთა გემები, დატვირთული აქაური საქონლით და, განსაკუთრებით, სამეგრელოში, იმერეთსა და ქართლში თურქებზე გაყიდული ქრისტიანი ყმაწვილებით. რასაკვირველია ჩვენ უფრო გულმხურვალედ, მეტი მწუხარებით გამოვიტირეთ ისინი, ვიდრე წარმართნი გლოვობენ გარდაცვლილ სულებს, როდესაც კოკტოს კარონტოს[1] ნავით ჯოჯოხეთში გადაჰყავდა ხოლმე. ღმერთმა უწყის — რამდენჯერ მიგვიმართავს მუდარით ტყვე ყმაწვილებისათვის, თუ ვინიცობაა ვინმემ მლიქვნელობასა ან მუქარას მიმართოს, არ მიატოვონ ქრისტეს რწმენა. ყოველთვის და განსაკუთრებით კი ამ წელს ნამდვილი გულმხურვალებითა და ცრემლებით დიდი კეთილმყოფელი გავლენა მოვახდინეთ მეტად დამღუპველ ჩვევაზე სინიორებისა, რომელნიც თავიანთ მონებს, ქრისტიან ბავშვებს დემონებზე ჰყიდიან. ყოველ წელს გაყიდულთა რიცხვი არა ნაკლებ ორი ათასს აღწევს. ღვთის შემწეობით ცოტა ნაყოფი კი არ გამოუღია ჩვენს ქადაგებას, ვინაიდან, როცა ავად ხდებიან, ჩვეულებრივად ჩვენ გვიხმობენ ხოლმე თავიანთ სახლში. მათ მივაჩნივართ ყველაზე სწავლულ მკურნალებად მთელ ქვეყანაზე. ხშირად, როდესაც მძიმედ დაავადებულნი სავსებით ჩვენს ხელთ მოექცევიან და არ სურთ, რომ მათი სიცოცხლე სხვაზე იყოს დამოკიდებული, გადაგვეშლება ფართო ასპარეზი მათთან ქადაგებისა, განსაკუთრებით ზემოხსენებულ მავნე ჩვეულების წინააღმდეგ, მაშინ, როცა ისინი ქრისტიანობის მაღიარებლად ითვლებიან. და მართლაც, ავადმყოფობის მიერ შეწუხებულებს უფრო მეტ მორჩილებას ვამჩნევთ: შეგნებული აქვთ ის, რომ ამჟამად დიდი ცოდვებისათვის არიან დასჯილნი ღვთის მიერ. დიდმა ბატონებმა ჩვენი ქადაგებიდან ბევრი რამ ისწავლეს. ამის გამო ზოგიერთი, რომელიც ტყვეს არ ჰყიდდა, ურყევ სიმაგრედ იქცა, უფრო მეტის დაჟინებით იცავს ასეთ კეთილ გადაწყვეტილებას, თუმცაღა ფული ესაჭიროებოდა. მათ კი, რომელთაც დიდი რაოდე-

1 ალბათ, „ქ ა რ ო ნ ი“ იგულისხმება.

ნობით ტყვე უნდა გაეყიდა, ზოგმა სულ დათმო, ზოგმა ნაწილობრივ, დანარჩენებმა მტკიცედ გადაწყვიტეს ხელი აეღოთ ამ ბოროტებაზე.

ამათგან მოხსენიების ღირსია ამ პროვინციის ზოგიერთი შესანიშნავი ბატონი: ჩვენი დიდი კეთილისმყოფელი როსტომ ჩხოტუა (Rostuan Scotua). დედამისი კენჭოვანი სნეულებით იყო დაავადებული. იგი განკურნეთ; სჭირია მიქეიას (Scheria Micheia) ბნედა სჭირდა შვიდი წლის განმავლობაში. იგი განკურნეთ ქინაქინით ოცდაათ დღეში. ასევე მოვარჩინეთ მისი ძმა კაკა (Caca) სხვადასხვა სნეულებისაგან. მან არა მარტო გადაწყვიტა, რომ აღარ გაყიდდა ყმებს, არამედ აღსარებასაც იტყოდა და გაყიდულთა ცოდვებსაც მოინანიებდა. აწ გარდაცვლილი დედოფლის მაზლი ქორთუაძე (Cortuazé) ხშირად ავადმყოფობდა, მისი მორჩენის იმედი არავის ჰქონდა და სიკვდილის პირას მისული ჩვენ მოვაბრუნეთ. ის ხომ ყოველ წელს მრავალ ყმაწვილსა ჰყიდდა ხოლმე, ახლა კი ცდილობს გამოიხსნას ზოგიერთი გაყიდულთაგანი — წარსული ცოდვების მოსანანიებლად. იგი ჩვენი ცხოვრების ხასიათისადმი მცირე სიყვარულს როდი იჩენდა. როდესაც დავარწმუნეთ და შთავაგონეთ, გარდა იმ მოწყალებისა, რომელიც მან მოიღო, დაგვპირდა ყმაწვილების მოცემასაც. მაგრამ ამის შესრულებაზე ხელი ააღებინა ალავერდელმა ეპისკოპოსმა, რომელიც ყველასაგან პატივცემულია და წმინდანადაა მიჩნეული. იგი ჩვენი სარწმუნოების მტერია. ქორთუაძემ ვერ შეასრულა დაპირება რადგან, თანახმად ეპისკოპოსის სიტყვებისა, ერთგულ მორწმუნეთა სულები მწვალებელთა ხელში გაირყვნებოდნენ... პირიქით თვით ჩვენს მთავარს შეეხო ყოვლისშემძლე უფლის ხელი, მისი მეუღლის, პრინცესას სიკვდილის გამო და, ამასთან ერთად, დაიწყო კეთილი ცხოვრება მთელი ამ მხარისა და მეზობელ მხარეთა გასაოცებლად. მან არა მარტო უარჰყო ყმაწვილების გაყიდვა თურქეთში, არამედ უკმაყოფილებას გამოთქვამდა, როდესაც ესმოდა, რომ სხვები ჰყიდდნენ. თუმცა ადვილად შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია მათთვის, მაგრამ ეს ჩვეულება ოდითგანვე დამკვიდრებული იყო ამ მხარეში.

ჩვენი ქადაგება, განსაკუთრებით ამ ბოროტების წინააღმდეგ, იმდენად კარგად იქნა მიღებული მთელ სამეგრელოში, რომ წელს, სულთანისათვის ყმაწვილების გაგზავნის დრო როცა დადგა, ჩვენი სახლი თავშესაფარი გახდა მათივე მშობლების მიერ გამოგზავნილი და გამოქცეული ყმაწვილებისათვის, რათა მფარველობა გაგვეწია მათთვის, ვინაიდან მათ იციან, რომ ჩვენ დიდ პატივს გვცემენ მთავარი და ამ ქვეყნის დიდებულნი. ჩვენ ყველას მიღებასა

და დაცვაზე დავთანხმდით, მოვიმარაგეთ რა სურსათი რამდენიმე ღღისათვის. როგორც ითქვა, უფალს ის კი არა სურდა მარტო, რომ დახმარება გაეწია ოდიშის ადგილსამყოფის მოზარდ ყრმათა სულთათვის, არამედ თავისი ღვთიური მოწყალება გამოიჩინა, რათა გამოეაშკარავებინა ამ მხარეში უკანონოდ მონათვლის წესი, რაშიც ჩვენ იმთავითვე საფუძვლიანი ეჭვი გვქონდა. შვიდი თვეა რაც აქ ვიმყოფებით, მაინც შევძელით დახმარება აღმოგვეჩინა ჩვილი ბავშვების სულთათვის, აღნიშნული დროისათვის ამ ადგილსამყოფში საიდუმლოდ მოვნათლეთ ორმოცდათორმეტი ბავშვი. იმის გამო, რომ წმინდა კონგრეგაციამ არ მოისურვა გორის ადგილსამყოფში ბავშვები წყალში განებანა ნათლიას და მრევლთაგანის მიერ წარმოთქმული ყოფილიყო ნათლისღების სიტყვები, ამიტომ პატრებს ხელახლად უნდა პირობით დაბრუნებოდა მოსანათლად ბავშვები. აქამდე მეტად ფრთხილად ვიქცეოდით სამეგრელოში, რომ გამოგვერკვია ამ საიდუმლოების უკანონობა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ გაუნათლებელი მღვდლები. ამასთანავე მათ ბევრი მტკივნეული შეცდომაც აქვთ. სწორედ წელს უფლის ნებით ხელში ჩაგვივარდა ტიპიკონი, რომელსაც შეცდომით კითხულობენ ნათლისღებისას. აშკარად ვნახეთ, რომ მასში არა მარტო ჩაუწერელია ამ საიდუმლოების ფორმა, არამედ თვით მღვდლებისათვისაც სრულიად უცნობია მისი არსიც კი. როდესაც წასაკითხად მივეცით მათივე ენაზე დაწერილი ფორმა ფურცელზე, მათ განაცხადეს, რომ ამას არ ვიცნობთო და არასდროს არ წარმოგვითქვამს ნათლისღებასაო. ზოგიერთმა აქაურმა ეპისკოპოსმა, სხვებზე უფრო განათლებულმა და ბერძნული ენის მცოდნემ, აგრეთვე გვაუწყეს უკანონობა ნათლისღებისა ამ პროვინციაში — ფორმის ნაკლულევანების გამო.

ამიტომ წელს გადავწყვიტეთ აშკარად მოგვენათლა ყველა ბავშვი (რომ ასე არ მოვქცეულიყავით, შეიძლება აეკრძალათ ეს კეთილი საქმე და მწვალებლობა დაეწამებინათ ჩვენთვის) შვიდი წლისა და ქვევით პირობით, თავდაპირველად მეგრელების მიერ მონათლულნი და საერთოდ მოუნათლავნიც. ამისათვის ჩვენ გამოვიყენეთ შემდეგი წესი: სამეგრელო წარმოადგენს დიდ ტყიან მხარეს, სადაც გაფანტულია სახლები, არ გააჩნიათ ქალაქი, ამიტომ განუწყვეტლად ვმოგზაურობთ ცხენით. ჩვენი სახლიდან ერთი-ორი და ზოგჯერ სამი დღის სავალზე ავადმყოფთა სამკურნალოდ რომ გვიბარებენ, გვიგზავნიან ცხენსა და მეგზურსაც. სხვა წამლებთან ერთად ჩვენ თან დაგვაქვს ხოლმე ნაკურთხი წყლით სავსე სურა. ყველას ვუცხადებთ, რომ ეს არის განსაცვიფრებელი და სასწაუ-

ლებრივი წამალი ბავშვთა მუცლის ჭიების დასახოცად. ჭიებში ვგულისხმობდით პირვანდელ ცოდვას. ამ ავადმყოფობით ოდიშში მრავალი ბავშვი იხოცება. არ იყო სახლი, სადაც შევსულვართ, რომ დიდის მუდარით არ მოეთხოვათ ეს წამალი. უფლის განგებით, რომელმაც ინება ამ წამლისათვის სასწაულებრივი ძალა მიენიჭებინა, მძიმედ დაავადებული მრავალი ბავშვი ასე განვკურნეთ: როცა წამალს ვაძლევდით, ნაკურთხ წყალს შუბლზე ვაპკურებდით მირონცხების მსგავსად და საკრალურ სიტყვებს წარმოვთქვამდით. დანარჩენები ექსკრემენტებთან ერთად უმალვე მკვდარ ჭიებს ყრიდნენ.

სხვათა შორის, ერთხელ უცნაური რამ მოხდა, როდესაც ჩვენმა ერთმა პატრთაგანმა ინახულა სნეული ბავშვი, მას შემდეგ, რაც ერთ ბავშვს წმინდა ნათლისღება შეუსრულა შუბლზე და მეორისთვისაც იგივე წამალი უნდა მიეცა, მეორის მშობელმა უარი განუცხადა, იგი ვერ ენდობოდა ასეთ წამალს, მაგრამ როდესაც იმავე საღამოს ნახა, რომ მეორე ქალის ბიჭმა ჭია დააგდო, დილით თავის ორ ბიჭთან ერთად საჩქაროდ პატრთან მიირბინა და დაჟინებით სთხოვდა, რომ მიეცა მისგან უარყოფილი წამალი. პატრმა ბევრი ახვეწინა ქალს და მისი თხოვნა დააკმაყოფილა მას შემდეგ, რაც მოუნათლა შვილები.

ზოგჯერ უხერხულ მდგომარეობაში ვვარდებოდით ხოლმე, როდესაც ქალებმა დაინახეს, რომ მათი შვილები ამ წამლით იკურნებოდნენ, დიდის მუდარით გვთხოვდნენ მათთვის განმეორებით მიგვეცა ეს წამალი. ჩვენ თუ ამაზე უარს განვაცხადებდით, ისინი უფრო გვემდურებოდნენ და ღორონთის კოჩს (Goruntis cocci) გვიწოდებდნენ, რაც ღვთის კაცსა და ჭეშმარიტ ქრისტიანსა ნიშნავს. ისინი უკმაყოფილონი რჩებოდნენ, როდესაც მის ნაცვლად სხვა წამალს ვთავაზობდით და დაჟინებით მოითხოვდნენ, მიგვეცა საკუთრივ საბოზე წამალი (Sabosezamali), ისინი ასე უწოდებენ ნაკურთხ წყალს ანუ ბავშვების წამალს. რომ დაგვეკმაყოფილებინა და მათი ეპვი გაგვექარწყლებინა, ზოგჯერ იძულებული ვიყავით ხელახლა ოდნავ მაინც განგვებანა მათი შუბლი შეულოცავად. მართლაც, ამ წმინდა სულიერმა ვარჯიშმა, რომელსაც წელს ბავშვების მონათვლაც დაერთო, რამდენადმე გვანუგეშა; უფრო წარმოუდგენელი წვალების დროს, რომელიც ჩვენ გვხვდება გარეთ ყოფნისას, ვფიქრობდით ბავშვებზე, რომელნიც მონათვლის შემდეგ იხოცებოდნენ (რაც აქ ჩვეულებრივი მოვლენაა). და იმით, რომ უკანონოდ მონათლული ბავშვები ნაცვლად განსაცდელში მოხვედრისა სამოთხეში ხვდე-

ბოდნენ, ნაწილობრივ მაინც აგვინაზღაურა ჩვენ მიერ გაწეული დიდი შრომა.

ჩვენი ცხოვრება, რომელსაც აქ ვეწევით, ერთი განუწყვეტელი მოძრაობაა ცხენით: წვიმაში, ტალახში, ქარსა და თოვლში; ზაფხულის პაპანაქებაში კი მზისგან ვიხრუკებით. ასეთი ცხოვრება აუცილებელია ამ მხარეში მოყვასთა დასახმარებლად. ხშირად სიცხიანებს გვიხდებოდა მოგზაურობა ცხენით და, ამგვარად, ამ ქვეყნის მაზნევარ ჰავას უნდა შევგუებოდით, ზოგჯერ ცხენს მიწაზე გადმოვუგდოვართ და სიცოცხლე ხიფათში ჩაგვიგდია. მარტო ამ უკანასკნელ ორ თვეში ერთ ჩვენს პატრს სამგზის თავს გადახდა ასეთი უბედურება: გაცოფებულმა ცხენმა გაიტაცა და ძირს გადმოაგდო, ცხენი ვეღარ ნახა, ამის გამო ცოცხალმკვდარს მრავალი მილის მანძილზე ფეხით უვლია და ხშირად გზაც არევია. ძლივს მოუღწევია სახლამდე და სიცხიანი ავადმყოფი ჩაწოლილა ლოგინში, ანუ ძონძებდაგებულ ფიცარზე უქვეშაგებოდ.

აქაური ტყეების შესახებ უკვე ნათქვამი იყო. მწყემსთა ფარეხების მსგავსად ტყეში სახლებია, რომლებშიც წვიმა ჩამოდის. პატრს დაჰკლებია პური, ფეტვი და ღომი, ჩვენც ბევრჯერ გვივლია ფეხშიშველი. ფეხები ლაფში გვქონდა ამოსვრილი განუწყვეტელი წვიმების გამო, რადგან ჩვენი სახლები ერთიმეორისაგან ხანძრის შიშით დაცილებული იყო.

ამ მხარეში პატივს გვცემს ხალხი, მთავარი და ყველა დიდებული, ასევე ღარიბებიც; არასდროს ამ მხარეში მსგავსი რამ არავის მოსწრებია (ჩვეულებრივად ყველა ასე ამბობს ჩვენი აქ ყოფნის თუ არყოფნის დროს). მიუხედავად ამისა, ბერძენთა გარჯილობით ყველამ იცის აგრეთვე ისიც, რომ ჩვენ სხვა სარწმუნოებისანი ვართ და, მაშასადამე, თვითეულს მივაჩნივართ მწვალებლად. ის პირები, რომელნიც ჩვენი ცხოვრების ხასიათით განცვიფრებულნი არიან და ჩვენი ქადაგება სჯერათ, შემთხვევას არ უშვებენ საქვეყნოდ არ აღიარონ, რომ მხოლოდ ჩვენი სარწმუნოება არის ჭეშმარიტი და დანარჩენი კი ყალბი, რომ ნამდვილი და ყველა ეკლესიის საერთო მწყემსია რომის მღვდელმთავარი და არა სხვა ვინმე. მარტო ფრანკებს აქვთ ორი თვალი — განასხვაონ ღვთიური და ადამიანური ერთმანეთისაგან იმ დროს, როდესაც ყოველ კაცს ქვეყანაზე აქვს მხოლოდ ერთი თვალი და ბრმასავით დაიარებაო.

პატივცემულმა და კეთილშობილმა პიროვნებამ, ჩვენმა კეთილისმყოფელმა ბარძიმ ვაჩნაძემ (Barzimi Vaccinazé) წელს საგანგებოდ საჯაროდ აღიარა, რომ პაპი (ასე უწოდებენ ჩვენს უმაღლეს

მღვდელმთავარს) ჩვენს დროში წმინდა პეტრეს მოადგილეა და საყოველთაო მეთაური ყველა ქრისტიანისო, იგი სხვებს საქმით უჩვენებდა, რომ იგი დიდად პატივს სცემს პაპს.

მთავარ დადიანის სიძემ (ქვისლმა), მამუკა ტამელეიამ (Mamucchà Tameleia), რომელიც ფიცარზე ხატავდა, თქვა, რომ პატრები ქრისტეს ჭეშმარიტი რწმენის მაღიარებელნი არიანო და რომ მე ჩემი გლეხებით სიბნელეში ვცხოვრობო.

დიდი თავადი, ჩვენი კეთილისმყოფელი კაკუ ჩელია (Chacu Celia) ჩვენი სარწმუნოებისადმი იმდენად დიდი ნდობით იყო გამსჭვალული, რომ როდესაც ავად გახდა, ერთ ჩვენს პატრთაგანს შეეხვეწა ლოცვა წაეკითხა მისთვის და სახლში წირვა დაეყენებინა; მოისურვა, რომ მის პატივსაცემად ორი წირვა მოეწყო, ამისათვის გაიღო უხვი წყალობა, რომლის მიღებაზე ეს პატრი არ დათანხმდა, რათა კარგი მაგალითი ეჩვენებინა და მრავალრიცხოვან საშუალო წოდების პირთა გული მოეგო.

გიორგი მიქელეიას (Giorgio Michelleia) მეუღლემ, დიდმა ქალბატონმა, დადიანის ძალუამ, ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ჩვენს ორ მისიონერზე: ფრანკების მღვდლები ჭეშმარიტი ღვთის მსახურნი არიან, ჩვენები კი არაო; მათ თუმცა ხორცი არასოდეს არ უჭამიათ, მაგრამ ხორცის ჭამა შეიძლება ცოდვად არ ჩაითვალოს, მიუხედავად ამისა არ ერიდებიან საქვეყნოდ მრავალი ცოდვა ჩაიდინონ, როგორიცაა თურქებზე ყმაწვილების გაყიდვა, ძარცვა-გლეჯა, ხასის ყოლაო.

არაჩვეულებრივად განცვიფრებულნი არიან აქ, როდესაც გვხედავენ, თუ რა შორსა ვდგავართ ქალებთან დამოკიდებულებისაგან. მათ შეუძლებლად მიაჩნიათ, რომ კაცმა ხორციელი ვნება მოიკლას. სათნოებას სისულელედ თვლიან. ჰგონიათ, რომ ჩვენ, როგორც სახარების ზედმიწევნით აღმსრულებელნი, თითქოს დასაჭურისებულნი ვიყოთ და ამიტომ ხორციელი ცთუნება არ გაგვაჩნდეს.

ჩვენი სარწმუნოების პატივისმცემლებს მიემატა რამდენიმე მოზარდი, რომელთაც მოისურვეს ჩვენი წმინდა საიდუმლოების მიღება. სიქენია მიქეიამ (Sichenia Micheià), ავადმყოფობისაგან სიკვდილის პირას მისულმა, წმინდა ზიარების მიღება ითხოვა, მაგრამ აღსარების თქმა ვერ გადაეწყვიტა, ამიტომ გამოჯანსაღებისას საიდუმლო ნაწილები მას არ მივეცით. ერთი აზნაური (Gentil' huomo) გვარად დაგურია (Daguria), რომელმაც იფიქრა, რომ კანონიერად არაა მონათლული, შეგვეხვეწა, მინახულეთ და უკვე მზად ვარ აღსარება ვთქვა და ზიარება მივიღოო. გარდა ამისა,

სურს, რომ სამი ბიჭიც მოვუნათლოთ. მეორემ, სახელად ნასკინჯამ (Naschingia), ავადმყოფობით სიკვდილის პირად მისულმა, მოიკითხა ის პატრი, რომელიც იმავე წმინდა საქმეს განაგებდა და თავისი სასოებით იყო ცნობილი. როცა ხუცესს ფარულად წმინდა ევქარისტია მოჰქონდა, სახლის პატრონი შეეკითხა, რა არის ეგ ან რა მიგაქვს ავადმყოფთანო. პატრმა უპასუხა, რომ ძალიან კარგი წამალია მისი ჯანმრთელობისათვისო და, ამგვარად, აზიარა ფარულად.

ბევრია ისეთი, რომელთაც გულითა სწამთ ჩვენი სარწმუნოება და ის სიტყვები, რომელთაც ვუქადაგებთ; ისინი თავიანთ თავს კათოლიკებად აღიარებდნენ და ჩვენგან წმინდა საიდუმლოებასაც მიიღებდნენ, მაგრამ ამას არ აკეთებდენ, რომ შეჩვენებისა და ზიზღის საგანი არ გახდნენ სხვებისაგან, როგორც მწვალებლები. მთავრის მიერ ბოძებული ჩვენი სახლის ცხრა მსახური ძოვაქციეთ, რომ ყველაფერში ჩვენი წესი და ამასთანავე იგივე საქმე შეესრულებინათ, მაგრამ დაგმობილ იქნენ ამ ქვეყნის ერთი ხუცესისა და ერთი ბერძნული სარწმუნოების და ეროვნებით რუსის მიერ. ორივე ჩვენმა ყმამ მოინდომა მათ ღმერთმსახურების წესებს დაბრუნებოდნენ..

მთავარი დადიანი ღვთის განგების შემწეობით ხელს უწყობს ჩვენს მისიონს, მიუხედავად იმისა, რომ შარშანდელს აქეთ ძალიან დამწუხრებულია მეუღლის გარდაცვალების გამო, რომელიც მას ძლიერ უყვარდა. მისი პატივისცემისათვის არაჩვეულებრივ ლმობიერებას იჩენს, დახმარებაზე კი ოდნავ გული აიცრუა, მაგრამ მოულოდნელად კვლავ პირვანდელი მდგომარეობა დაგვიბრუნა. ის დიდი რაოდენობით აკეთებინებს ვერცხლის რელიეფურ ნივთებს მეუღლის სულის საამებლად და მოისურვა, რომ ყველა ნივთი ოქროში გაევლოთ და მოეხატათ ჩვენს სახლში. სხვა ნივთთა შორის იყო ერთი დიდი ჭურჭელი მთლიანად ოქროსი, ხუთი ათასი სკუდის ღირებულებისა, იაგუნდითა, ლალითა და ზურმუხტით მოოქვილი. ამასთან ერთად ისურვა, რომ ჩვენს ოქრომჭედელ მორჩილ ძმას სხვაც გაეკეთებინა უფრო მცირე ზომის, მთლიანად ხალასი ოქროსაგან სრულიად მომინანქრებული. რაც შეეხება ხატს (cona), ამაზე კმაყოფილი დარჩა, თუმცა მისი შესრულების სტილი ნაწილობრივ დაიწუნა, მაგრამ მაინც ასე დატოვა. მთავარმა პრეტენზია განაცხადა და მრავალგზისაც ითხოვა, რომ მორჩილი ძმა. ოქრომჭედელი, თან გაჰყოლოდა და იგივე სამუშაო შეესრულებინა, რასაც მისი ოქრომჭედლები აკეთებდნენ. ამაზე ჩვენმა უფროსმა წინააღმდეგობა გაუწია. აცნობა, რომ ვინაიდან ყველა

სხვა შემთხვევაში ჩვენი ჩვეულების დასაცავად იძულებული ვიყავით შეძლებისდაგვარად გვემსახურა, ასევე შეგვიძლია ამ საქმეშიც მას მოვემსახუროთ ჩვენს სახლშივე და არ შეგვეფერება, რომ წესი დავარღვიოთ და ერთი ჩვენგანი წამოვიდეს საოქრომჭედლო წარმოებაში ბოგანოს მსგავსადო.

როდესაც მთავარმა დადიანმა, რომელიც თავის მდგომარეობით ჩვეული არ იყო არავისაგან წინააღმდეგობის გაწევას, ეს მოისმინა, იწყინა. კაცი აღარ დარჩა, რომ არ გაჯავრებოდა და არ ჩაეგონებინა მისთვის, რომ პაპმა მისი მომსახურებისათვის გამოუგზავნა ოქრომჭედელი, იმდენად განრისხდა, რომ ჩვენ სხვებთან ერთად ვიფიქრეთ, ვაითუ ახლა გამოგზავნოს ვინმე და ბოძებული სახლი ჩამოგვართვასო. მიუხედავად ამისა, ბოლოს, ჩვენს გადაწყვეტილებას ანგარიში გაუწია და, რომ არ გავნაწყენებულიყავით, დათმობაზე წავიდა.

ამ ამბავმა ყველა მეგრელის განცვიფრება გამოიწვია. ამიერიდან ნათელი გახდა მათთვის, რომ მთავარი და მასთან ერთად ყველა, ვინც არ უნდა ყოფილიყო დიდკაცი, სულ სხვაგვარად ეპყრობოდა პატრებს. მართლაც, მთლად გადაჭარბებული არ იქნებოდა გვეთქვა, რომ მთავარი სიყვარულითა და ლმობიერად გვეპყრობა, მას მოსწონს ყველა ჩვენი მოქმედება თუ სიტყვა, ღვთისაგან რჩეულ, წმინდა ადამიანებად მივაჩნივართ. პირადად მობრძანდა თავისი ამალით ჩვენს სახლში, ოქრო მოიტანა და გადმოგვცა, რომ ძალიან ნასიამოვნები დარჩებოდა, თუკი მისგან ხატს გამოვჭედდით. თან დასძინა, მსურს ყოველივე ეს ჩემ სახლში დამუშავდეს არა იმიტომ, რომ თქვენი წესჩვეები შეგაცვლევინოთ, არამედ იმის გამო, რომ დიდძალი ოქრო ქურდებმა არ მოგპარონო. მასთან რომ ვყოფილიყავით, ასეთი შემთხვევა არ დაგვემართებოდა, როცა მართლა ყველაფერი აგვიხდა და რამაც უსაზღვროდ დაგვაღონა; გამართლდა მთავრის წინასწარმეტყველება არა იმ ოქროზე, რომელიც რელიეფური ხატის გასაკეთებლად მოგვცა და რომელიც მან მიიღო მომინანქრებული, არამედ ჩვენთან მობარებულ სამას სკუდო ოქროზე, რომლისგანაც მასიური ოქროს ბარძიმი უნდა გაგვეკეთებინა და ერთი ეკლესიისათვის უნდა შეეწირა დედოფლის სულის მოსახსენებლად.

ერთი თვის შემდეგ, ე. ი. 1640 წლის შუა აგვისტოს, ღამით, ქურდებმა გამოთხარეს მიწისქვეშა ხვრელი, რომელიც გადიოდა მორჩილ ძმა ოქრომჭედელ ფრანჩესკოს სენაკში, სადაც მას ეძინა. მათ ადვილად ამოიღეს პატარა სკივრში ჩაწყობილი ნახევრად და-

მუშავებული ოქრო; სხვა საქონელსაც გაიტანდნენ გარეთ, რომ ფრანჩესკოს არ გამოღვიძებოდა და ხმაურობა არ აეტეხა.

ღიდად პატივცემულო მამაო! თქვენ წარმოიდგინეთ, თუ რა მწუხარებაში ჩავცვივდებოდით იმის გამო, რომ ჩვენი მიზეზით დავკარგეთ დიდძალი ოქრო მთავრისა, ვისაგანაც ყოველ დღე ახალ-ახალ შემწეობას ვღებულობდით. მეორე დღეს ადრე დილით ორი ჩვენგანი ცხენზე შეჯდა და გაეშურა დადიანთან, რომელიც ნახევარი დღის სავალზე ცხოვრობდა. დამწუხრებულებმა უამბეს წინა ღამის მომხდარი ამბავი. უფრო მეტიც. მსგავს უბედურ შემთხვევებს გასულ წელსაც ხშირად ჰქონდა ადგილი (რაც მან კარგად იცოდა). იმჯერად ქურდებმა ღამე გამოთხარეს ხვრელი სხვა ოთახის, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ქოხის ქვეშ და მოიპარეს ზოგი რამ სამზარეულოს ჭურჭელი და სხვა ნივთები. ჩვენ ძალიან შეშინებული ვიყავით იმ აზრით, რომ ბოლოს და ბოლოს სიკვდილს ვარჩიეთ ყველაფერი წაეღოთ. ამის გამო ვთხოვდით მთავარს წასვლის ნება მოეცა სამეგრელოდან. ამისათვის ჯერ უნდა დაგვებრუნებინა მოპარული ოქროს საფასური მთავრისათვის. გადავწყვიტეთ გაგვეყიდა რაც კი რამ კარგი მოგვეპოვებოდა სახლში და იგი დაგვეკმაყოფილებინა. მთავარმა, ცუდი ამბავი რომ გაიგო, სახეზე ცოტა უკმაყოფილება გამოეხატა, ოქროს დაკარგვის გამო კი არა, არამედ უსიამოვნებისა და პატრების ახალ გადაწყვეტილებაზე, ამიტომ მოიწადინა მათი დამშვიდება და უპასუხა კეთილი სიტყვებით: მშვიდად იყავით, მე მთავარი ვარ. ოქრო არ მაკლია. თქვენი მწუხარება არ მსიამოვნებს. ეს თქვენი შეურაცხყოფა კი არაა, არამედ ის უფრო მეტად მე მეხება. თქვენს გაძარცვაში ბრალი თქვენვე მიგიძღვით, ვინაიდან, როდესაც მოვინდომე თქვენი საქმისათვის მომეევლო და მკაცრად დამესაჯა ქურდები და საეჭვო ხალხი, ხელი შემიბრკეთ თხოვნით, რომ იმავე ბოროტმოქმედთ შური არ ეძიათ თქვენზე. მაგრამ რადგან ახლა მე მომაყენეს შეურაცხყოფა, ამიტომ მე მეხება დამნაშავეთა მოძებნა და დასჯა. ფიქრს ნუ გაივლებთ იმაზე, რომ ქურდები დაგხოცავენ, რადგან მეგრელი ქურდების ჩვეულებად ეს არ ითვლება და ამ მხარეში ასეთი რამ არასდროს არ მომხდარა. დღეის შემდეგ ვეღარ გაგძარცვავენ. მიუბრუნდა თავის ამალას და უბრძანა, ჩვენთვის გაეკეთებინათ ძალიან მაგარი ორსართულიანი ხის სახლი, სადაც შეინახავდნენ ყველაფერს და ქონების დაკარგვის შიშიც არ ექნებოდათ.

ღვთის წყალობით საჩქაროდ გააკეთეს ერთიმეორეზე შედგმული ორი ოთახი, ერთი პატარა სათავსოთი და აივნით, უბრძანა აგრეთვე რომ ჩვენი შინამოსამსახურეებისათვის კიდევ დაემატებინათ ორი

მსახური, რომლებიც ჩვენს მრევლს მოემსახურებოდნენ. გარდა ამისა, ერთი დიდი ტერიტორია ორკამასად (Orcamas) წოდებული და შარშან ბოძებული ორი სხვა სახლიც მოგვცა.

დიდად პატივცემულო მამაო, მე მგონი, გასულ წელს ამის შესახებ უკვე გაცნობეთ, რომ მთავარი ხელგაშლილია და ძალიან ხშირად გვიგზავნის ხოლმე ხორცეულობასა და სხვა საჩუქრებს. სამი თვე იქნება მას აქეთ, რაც ამ სახლში ვცხოვრობთ. როდესაც ნახა ორი ჩვენგანი ცუდად იყო ჩაცმული, კვლავ მოგვცა სკუდოები ერთის შესამოსავად. როდესაც ნახა ზოგიერთი ჩვენი ბარძიმი და სხვა საეკლესიო სამკაული, გაუკვირდა, რომ დაკონკილი ტანსაცმელი გვეცვა, ღარიბები ვიყავით და ამავე დროს კი ეკლესია ძალიან კარგად მორთულ-მოკაზმული გვქონდა. ერთმა ჩვენმა პატრმა უპასუხა: რადგან იესო ქრისტეს სიყვარულისათვის ნებაყოფლობით სიღარიბე ავირჩიეთ, რამდენი ძვირფასეულობაც ხელთ ჩაგვივარდა, ეკლესიას მოვახმარეთ იესოს სამსახურისათვის. ვკმაყოფილდებოდით მცირედით, რათა გვეცხოვრა და შევმოსილიყავით ღარიბულად და საწყლად, თანახმად დადებული აღთქმისაო. „ეჰ! ამოოხვრით გვიპასუხა: ჩვენი ბერები ასე არ იქცევიან, განსაკუთრებით კი ჩემი საძვალის მღვდელი, რომელიც მდიდარ ეკლესიას ძარცავს, რომ თავის ტანსაცმელის ზემოდან დაიკეროსო“.

დაუჯერებელი იყო, რომ დედოფლის გარდაცვალების შემდეგ მგლოვიარება მომდევნო წელსაც გაგრძელდებოდა, როგორც ეს მოიძოქმედა დადიანმა, დასამტკიცებლად იმ დიდი სიყვარულისა, რომელსაც დედოფლისადმი იჩენდა. დედოფლის სულის მოსახსენებლად ოდიშის ყველა ეკლესიას მრავლად შესწირა ხატები, ფარჩა, ოქრო და ძვირფასი აბრეშუმეული; გარდა ამ შეწირულებისა, იმავე მიზნისათვის უფრო მეტიც მოიმოქმედა, სამ თუ ოთხგზის დააკლეევინა დაახლოებით ხუთასი კამეჩი და ძროხა, ამდენივე ჰედილა და დაურიგა სამეგრელოს ყველა ღარიბს, ამ შემთხვევისათვის ჰქონდა უზარმაზარი ქვაბები, თითოეულში ოცდათხუთმეტი ძროხა ეტეოდა. ყველა ეპისკოპოსი და მიტროპოლიტი რომელნიც ახლო პროვინციებიდან, თვით ტრაპიზონიდანაც, ჩამოვიდნენ და მონაწილეობა მიიღეს დაკრძალვასა თუ წირვის დაყენებაში, საკმაო რაოდენობის ფულით დაასაჩუქრა. ყველა დიდ ბატონსა და მთავარს, რომელნიც მწუხარების გასაზიარებლად მოვიდნენ, აჩუქა ძვირფასეულობა და სხვა საუცხოო ნივთები.

დედოფლის გარდაცვალების შემდეგ მწყემსების ქოხში დაისადგურა და აქვე მოინდომა ერთი წლით ცხოვრება. ამისათვის მიატოვა სასახლენი, ქვის ნაგებობები, ასევე ფიცრულიც. მას მთელ

სამეგრელოში გაფანტული აქვს სამოცდაათი ასეთი სასახლე. მასთან ერთად მთელმა მხარემ მოისურვა ერთი წლით ეტარებინათ რუხი იისფერი ტანსაცმელი, რაც აქ სამგლოვიაროდ არის მიჩნეული, ბაწრის ხამლები, თხის ქუდები. პირს რომ გაიპარსავენ მერე უშვებენ წვერულვაშს და თმებს ხელუხლებლად მთელი წლის განმავლობაში. წლის თავზე კვლავ იმავე წესით გაიპარსავენ, ამ ხნის განმავლობაში ცხენს უფაფროდ და უძუოდ ატარებენ.

დადიანი წელიწადნახევარია სანადიროდ არ გასულა. ირმების ხმა რომ არ გაეგონა, რომელიც მას გულსა ტკენდა და აცდუნებდა. ერთ მთაზე ავიდა, სადაც ნადირი არ ბინადრობდა. ერთი თვის განმავლობაში სხვას არაფერსა ჭამდა, გარდა მოხარშული ბოსტნეულისა, ისიც შეუკაზმავსა და უმარილოს. გურიელის თხოვნით ხსენებულ საჭმელს დაუმატა ცოტა ხიზილალა და წლინახევრის განმავლობაში, ე. ი. დღემდე, ასე განაგრძობდა ყოფნას. ამ დროის მანძილზე არ უგემნია თევზი, ხორცი, კვერცხი და ყველი. მარტოდ მარტო სადილობს. თავისი მაგიდიდან განდევნა ვერცხლეულობა. მიირთმევს ცოტაოდენ ჩამიჩს და ძლიერ უნდა, რომ ჩვენ მას გავუგზავნოთ რაც შეიძლება მეტი ჩამიჩი, რომელსაც ჩვენ გვიგზავნიან კონსტანტინოპოლიდან ავადმყოფებისათვის სხვა შემოწირულებასთან ერთად, ყოვლად აღმატებული ვენეციის სინიორ bailo-საგან, რადგან ამ მხარეში არ იშოვება. ყოველ ღამე ტირილის მეტს სხვას არაფერს აკეთებდა. ხშირად მიდიოდა სატირლად საფლავზე მთელი თავისი ამალით, მოთქვამდა ხმამაღლა ისე, რომ არავის არ შეეძლო მისი დამშვიდება. გადაწყვეტილი ჰქონდა ბერივით გაეტარებინა თავისი დანარჩენი სიცოცხლე, თუმცა ამ განზრახვაზე დროთა მსვლელობაში გული აუცრუვდა. ამბობენ, რომ გავა ხანი, გული მოუბრუნდება და ცოლს შეირთავსო.

მთავარ დადიანს ყოველთვის სურვილი ჰქონდა ვაჭრები მოეყვანა და თავის სამთავროში დაესახლებინა. ძალიან სურდა შორეული სახელმწიფოებიდან ვაჭრები და სავაჭრო საქონელი მოეზიდა. ერთ დროს ომში დაიმორჩილა იმერეთის მეფე (Mepe) ანუ მეფე ბაშიაჩუკი. გარდა ამისა, ბრძოლაში დაამარცხა მთავარი გურიელი და მოხარკედ გაიხადა; შემდეგ იძულებული გახადა საცხოვრებლად გადმოეყვანა სამეგრელოში ასი სომეხი და ებრაელი ვაჭარი; ცდუნებითა და მოტყუებით მრავალი თურქი ვაჭარიც დაიყოლია ამავე პიროობაზე; ისე რომ ეს მხარე მის ხელში თითქმის ორჯერ გაიზარდა. შარშან ჩვენს პატრებთან საუბარში დადიანმა ცხოველი ინტერესი გამოამჟღავნა: თუ შესაძლებელი იქნებოდა, კონსტანტინოპოლიდან ზოგიერთი მდიდარი ვენეციელი ვაჭრის ჩამოყვანა, მაშინ დაავალ-

დებულებდა მათთვის სხვა საქონლის გარდა, აბრეშუმის მიყიდვას მთლად მის სამთავროდან, აგრეთვე ნაწილობრივ სპარსეთისასაც. ამისათვის, ვინც შავი ზღვით აბრეშუმით ვაჭრობას მოჰკიდებდა ხელს, მათთვის ვაჭრები აბრეშუმს სპარსეთიდან და სომხეთიდან ოდიშში ჩაიტანდნენ ნახევარ ფასზე უფრო იაფად, ვიდრე ჰალაბში გადასატანად დასჭირდებოდათ. ამგვარად, ნაღდ მოგებას ნახავენ ის ვაჭრები, რომელნიც მთავრის საბაჟოდან გაჰყიდიან საქონელს და ფრანკებიც, რომლებიც აქ იაფად შესყიდულ საქონელს ზღვით ჩაიტანენ საფრანგეთში.

ორი წელია მას შემდეგ, რაც აქედან კონსტანტინოპოლში წამოვიდა ჩვენი პატივცემული პატრი დონ პიეტრო ავიტაბილე, რომელმაც სხვა პროვინციების მაგალითებიდან იცოდა, რომ ვაჭრობასთან ერთად ხშირად კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებასაც ჰქონია ადგილი. ამ ფაქტზე კონსტანტინოპოლში ელაპარაკა ყოვლად აღმატებულ სინიორ ბაილოს, რომელიც დაჰპირდა, რომ ოდიშში გაგზავნიდა ვენეციელ ვაჭარს ჯერონიმო დე ტომაზის (Geronimo de Tomasi), მაგრამ არეულობისა და განხეთქილების გამო, რომელიც ბრწყინვალე ვენეციის რესპულიკასა და თურქეთს შორის ჩამოვარდა, მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა.

დადიანი ამის გამო მეტად ღელავდა და რადგან სურვილი ჰქონდა განზრახვა შეესრულებინა მგლოვიარობის დასრულების შემდეგ, გადაწყვიტა წელს აქ მყოფი გემით გააგზავნოს ყოვლად აღმატებულ სინიორესთან კონსტანტინოპოლში ერთი ჩვენი პატრთაგანი ოთხი მინდობილობით, რის შესახებაც განმეორებით სთხოვა ჩვენ პატრ ვიკარიოსს (მოადგილეს), რომელმაც უარი ვეღარ უთხრა და ზემოხსენებული მიზნით კონსტანტინოპოლში მიავლინა დონ კლემენტე გალანო (Don Clemente Galano) სინიორესთან მოსალაპარაკებლად. სხვათა შორის, ეს პატრი იქიდან უნდა წასულიყო სხვა შესაფერ ადგილას, სადაც მოსახერხებელი იქნებოდა სომხური ენის შესწავლა, რის შესახებაც ჰალაბიდან ინდოეთში მიმავალმა პატრმა დონ პიეტრო ავიტაბილემ წერილით აცნობა მას.

ახლა მრჩება გაცნობოთ გორის ადგილსამყოფელის შესახებ და ის, რაც გურიაში მოხდა მას შემდეგ, რაც ორი წლის წინათ საქართველოდან იტალიაში გაემგზავრა, ორივე ადგილსამყოფის ჩამორთმევამდე, ხსენებული პატრი დონ პიეტრო ავიტაბილე. გურიის ადგილსამყოფის ჩამორთმევა გამოიწვია მთავრის შეცვლამ და პატრების ფორტუნის ცვლილებამ, გორისა კი გლეხების სიმცირემ, იქნებ იმის გამოც, რომ მისიონი მიტოვებული დარჩა ხსენებული

პატრის წასვლის შემდეგ. მან დატოვა წერილობითი განკარგულება, რომ იტალიიდან მისიონერები ჩამოსულიყვნენ ამ ორ ადგილსამყოფში.

ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა ცხონებული ჩვენი დონ ანტონიო ჯარდინო (Don Antonio Giardino), მას მიჰყვა აგრეთვე დონ ჯუსტო პრატოც (Don Giusto Prato), რომელთა შესახებაც გასულ წელს მოგწერეთ.

პატრის წასვლის შემდეგ გორის ადგილსამყოფმა ოთხი თვე და ერთი დღე იარსება. იქ დარჩა მხოლოდ სამი მისიონერი, რომელთაც განკარგულება ჰქონდათ პირველსავე შემთხვევაში წასულიყვნენ ორ ადგილსამყოფში. ესენი იყვნენ, წმინდა ხსოვნა მის სახელს, პატრი დონ ჯუსტო პრატო, დონ კლემენტე გალანო და მორჩილი ძმა მანუელე არენა, რომელთაც არ შორდებოდათ ის აზრი, რომ ახლო ხანში აუცილებელი გახდებოდა მათი წასვლა ჩვეულებრივ საეკლესიო სამსახურში მისიონის სასარგებლოდ. ისინი კმაყოფილებას განიცდიდნენ ჩვეულებრივი ქადაგებით, გულშემატკივრობითა და, უმთავრესად, უანგარო, კდემამოსილი ცხოვრებით. გამოცდილებიდან ვიცოდით, რომ მათ უდიდესი სარგებლობა მოჰქონდათ ამ მხარეებისათვის.

მოახლოვდა თუ არა მათი წასვლის დრო, ყველა დაამწუხრა ფრანკ მისიონერებთან დაშორების ამბავმა, ვინაიდან აღარავინ დარჩა ისეთი, რომ არ მიეღო მათგან როგორც სულიერი, ისე მორალური დახმარება. განშორების მტანჯველმა ფიქრებმა ძლიერად იმოქმედა ყველაზე, ვინც მათ სიკეთეს უარყოფდა. გული აუჩუყდათ ამ ღვთისმსახურებსაც, ვინაიდან უნდა მიეტოვებინათ ჯერ კიდევ ჯიუტნი და ჰერეტიკოსნი, რომელთა სასარგებლოდ მოღვაწეობას ათ წელზე მეტი შესწირეს წმ. ბერებმა.

ეს ხალხი პატრების კეთილი საქმიანობით აღფრთოვანებული იყო, თუმცა მათ აქ ცოტა ხანი დაჰყვეს, მაგრამ მათ საქმიანობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. სხვა ადგილსამყოფში პირველად პატრები და ფრანკებიც ყველას ჰერეტიკოსებად მიაჩნდათ, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მოიხიბლებოდნენ პატრების წმინდა ცხოვრებითა და წესჩვეულებებით; შეიძლება ითქვას, კაცი არ დარჩა, რომ მათი დარიგებით არ ესარგებლა.

დედების თხოვნით ჩვენს ეკლესიაში სამი ქართველი ბავშვი მოვნათლეთ საზეიმოდ. ერთი ყმაწვილი ქართველი გავაკათოლიკეთ ცოდვების მონანიების შემდეგ. ეს პირველი აღსარება იყო მის სიცოცხლეში, რომელიც მან თქვა, და ამასთან ერთად პირობა დადო, რომ თავის ცხოვრების წესს შეცვლიდა. ერთ მოხუც სომეხს,

რომელიც ხსენებულ ახალგაზრდას და ხუთ სხვა პირთან ერთად ჩვენს ეკლესიაში ხშირად დადიოდა, შევუსრულეთ მონანიებისა და ევქარისტიის ლოცვა-კურთხევა. ერთი სომეხი და ახალგაზრდა ქართველი ქალი განვარიდეთ ხალხს და განუწყვეტელ მრუშობას. ამ მიზეზით ერთი ჩვენი პატრთაგანი სიკვდილს ძლივს გადარჩა, რადგან ეს შემთხვევა მთელ ქალაქში გახმაურდა, ცალკე აღნიშვნის ღირსად მივიჩნიეთ.

გორში ერთი პატრი ავგუსტინელიღა დარჩენილიყო, რომელიც იცავდა მისიონსა და სახლს, სადაც მან წმინდა სარწმუნოება დააარსა. რადგან მან ისპაანის ადგილსამყოფში, სპარსეთში მყოფ ბერებთან წასვლა გადაწყვიტა, ჩვენ დაგვიტოვა სახლი ეკლესიითურთ და ორი კომლი ყმა. კომლებზე გამგებლობისა და მფლობელობის საკითხში უფლება ჰქონდა ერთ სომეხსაც, რომელიც სპარსეთში წასული პატრის კრედიტორი იყო. სომეხს მეფისაგან დავალებული ჰქონდა ამ პროვინციის ყველა სამღებრო საქმე ერთ-ერთ სახლში ეკეთებინა. ამ სახლში ცხოვრობდა ერთი გათხოვილი ახალგაზრდა ყმა ქართველი ქალი წმინდა სარწმუნოებისა, აქვე იყო მოთავსებული ყველა ხელსაწყო და შესაღები ლარნაკი. მან აქვე თავი შეაფარებინა კიდევ ერთ ახალგაზრდა ცოლშვილიან სომეხს, რომელიც გახრწნილი და თავაშვებული ხასიათისა იყო და რომელსაც აგრეთვე წილი ედო სამღებროში, რადგან ამ ხელობაზე მუშაობდა. მოხდა ისე, რომ რამდენიმე დღის შემდეგ მას ჟინიანობამ მოუარა ამ ყმაწვილი ქალისადმი, რომლის კანონიერი ქმარი შორს, სხვა ქვეყანაში ცხოვრობდა, მან ხასად აიყვანა იგი ქვეყნის სამარცხვინოდ და პატრების სამწუხაროდ, რომელთაც ვერაფერი უშველეს ამ საქმეს სასამართლოს ჩაურევლად. მრავალგზის ვესაუბრეთ თავაწყვეტილ ახალგაზრდას, ყოველგვარი დამარწმუნებელი მოსაზრებანი გამოვიყენეთ, დავავალეთ აგრეთვე მისივე მღვდელს მოლაპარაკებოდა. შევთავაზეთ ჩვენი სახლი საცხოვრებლად, მაგრამ ყოველივე სრულიად ამაო იყო.

ამიტომ იძულებული გავხდით დიდი დავიდარაბისა და ღვთის შეურაცხყოფის თავიდან ასაცილებლად შემწეობისათვის მიგვემართა ემინბაშისათვის (Emimbasci) ანუ ქალაქის ციხისთავისათვის, რომელიც სპარსეთის დიდბატონია (signor grande), მაჰმადის სარწმუნოებისა და ჩვენი კარგი მეგობარია. პატრები მასთან მივიდნენ საჩივლელად, აქვე მოვიდა ახალგაზრდაც, სახელად აბრასა (Abrassa) შურისსაძიებლად. მას თან ახლდნენ მეგობრები, რომელნიც მას იცავდნენ. ისინი ერთად შევიდნენ ემინბაშთან (Eminbasci), რაც ათასის თავს ნიშნავს, და ნახეს, რომ მაგიდასთან

სადილად იჯდა თავისი ამალის (ოცი კაცის) შუაში. მან პატრები დიდი მოწიწებით მიიღო და თავის გვერდით მოისვა, რომ სადილის დროს მოეხსენებინათ თავიანთი გასაჭირი. ამ ქვეყნის ადათის მიხედვით დიდბატონმა სიყვარულის გამოსახატავად მათ წინ დაუდგა თავისი თასი, რათა ამ სასმისით ცოტა ღვინო შეესვათ, შემდეგ კი მას მთლად უნდა დაეცალა იგი. ასეთი ცერემონია მეგობრობის გამოხატულებადაა მიღებული. ემინბაში თავიდანვე მიხვდა, რომ მათი მოსვლის მიზეზი სახალხო საქმეს შეეხებოდა. იგი მიუახლოვდა ერთ პატრს და დაბალი ხმით ჰკითხა, თუ რა უნდა მომხდარიყო ასეთი არაჩვეულებრივი რამ და, როდესაც მოისმინა, უპასუხა, მეც გაგებული მაქვს ეს ამბავიო. ახლა აღარ ეგება, რომ აღარაფერი არა ვსთქვა: მე ვიქნები მათი ვექილიცა და მსაჯულიცო. მერმე შიუბრუნდა ახალგაზრდას და მძიმე სასჯელის გამოყენებით დაემუქრა, ჩამოცილდი იმ ქალს, რომელსაც ეს წმინდა ბერები მფარველობენო. რაც უფრო მეტად იცავდნენ მას მეგობრები ყოვლად მცდარი მსჯელობით, მით უფრო მეტად ლაპარაკობდა ემინბაში პატრების სასარგებლოდ. ისე დააჯერა და შეარცხვინა ყველა, რომ ჩვენებს ლაპარაკიც არ დასჭირებიათ. როდესაც ემინბაშისაგან ასეთი ბრძანება მოისმინა, ეს ყმაწვილი გაოცდა. გახელებულ მტგომარეობაში მყოფს სამართლის შიშით არ შეეძლო პატრების წინაღმდეგ იარაღი ეხმარა. მას ეგონა, რომ ვეღარ იცოცხლებდა, თუკი ამ ბრაძნებას შეასრულებდა. ტირილითა და ღრიალით დაოსდა. ცრემლებს ღვრიდა მთელი დღის განმავლობაში. ვინც კი მას უცქერდა, ეგონათ, რომ უკვე გაგიჟდაო, ბოლოს ნამტირალევი და ცრემლიანი ჩვენს სახლში მოვიდა საღამოს და პატრების ფეხქვეშ დაემხო. არ ვიცოდით რა უნდოდა, მაგრამ ვინაიდან იმ მომენტში სწავლის დრო არ იყო, რომელსაც ეს მისიონერები ჩვეულებრივად აწყობდნენ ხოლმე კვირაში სამგზის ჰერეტიკოსების მოსაქცევად, მათ უკეთ მიიჩნიეს ასე ნახევრად შეშლილი ეკლესიაში წაეყვანათ და ღვთისათვის შეევედრებინათ, სანამ ხსენებულ მეცადინეობას შეუდგებოდნენ.

როდესაც აბრასამ ეს ჩოჩქოლი მოისმინა, მონანიების ქენჯნამ შეიპყრო. საღამოს მოკრძალებით მოვიდა და მოისურვა ჩვენს სახლში ღამის გათევა. მაგრამ დილით, როდესაც გარეთ გავიდა, შეიარაღდა ხმლითა და მშვილდ-ისრებით და ამგვარად შეეურვილმა ჩვენი სახლის შესავლის წინ დაიწყო სიარული და ბინძური სიტყვებით იმუქრებოდა პატრებისა და იმათ დახოცვას, ვინც კი გაბედავდა ერჩია მისთვის ამ ადგილის დატოვება. მაგრამ ქრისტეს მსახურებმა, რომელნიც ღვთისადმი წმინდა სასოებით იყვნენ შთა-

გონებულნი, გული არ გაიტეხეს და განმეორებით მივიდნენ ციხისთავთან. მან პატრებს გამოაყოლა ერთი ჯარისკაცი, რომელსაც უბრძანა სახლის შუა ეზოში გამოეყარა სამღვბროს ყველა ხელსაწყო და თავხედისათვის ბრძანება გაემეორებინა. სანამ ეს საქმე კეთდებოდა, გახელებული აბრასა (Abbassa)[1] სახლიდან გამოვარდა, ხმალი იშიშვლა და გაექანა პატრებისაკენ, რომლებმაც იგი გიჟად ჩათვალეს. მან ბევრი ისარი დაუყარა პატრებს, მაგრამ ააცდინა და მაშინვე გაეცალა. ერთმა ისარმა კინაღამ მძიმედ დასჭრა პატრი, რომელმაც მიწაზე დაწოლით აიცდინა ისარი. მეორე ისრითაც დაიჭრებოდა, რომ ჯარისკაცი არ სწვდომოდა აბრასას ხელში.

ამის შემდეგ აბრასა თავისი ამხანაგების რჩევით ისევ წავიდა საჩუქრებითა და დიდი ძღვენით ციხისთავისა და მისი ხელქვეითების მოსასყიდად, მაგრამ ციხისთავმა იმდენი მფარველობა გაუწია პატრებს, რომ მათ აღარ ძალუძდათ კვლავ მისი შეწუხება. ახალგაზრდა დაბრუნდა, რომ თავისი განზრახვა შეესრულებინა. ბოლოს მივმართეთ უფალს ლოცვით, დაეცვა ჩვენი ინტერესები. ჩვენებმა ხმა დაარხიეს, გვინდა ამ საქმეზე მეფეს მივმართოთ, რომელიც ორი დღის სავალზე, თბილისში ცხოვრობს, მისგან ნებართვა უნდა გამოვითხოვოთ ამ ქალაქიდან წასვლის თაობაზე, რადგან ციხისთავს არ შეუძლია ჩვენი დაცვა ამდენი დავიდარაბისაგანო. იმის შიშით, რომ მეფისათვის უსიამოვნება არ მიეყენებინა, რადგან რამდენიმე თვის წინათ მეფისაგან რეკომენდაციის წერილი ჰქონდა მიღებული პატრების შესახებ, ემინბაში იძულებული გახდა უკანასკნელი აუდიენცია გაემართა და მოაგვარა საქმე.

ჩვენებს ძალიან ესიამოვნათ. მთელ ქალაქში იდღესასწაულეს ეს ამბავი. ყოველთვის, როდესაც კი ხალხით სავსე ქუჩებში გავლა გვიხდებოდა, მოქალაქენი ტაშით გვხვდებოდნენ, რომ ასე დაჟინებით დავიცავით და ბოლომდე მივიყვანეთ ღვთისადმი დიდად საამებელი საქმე და ქალაქის ღირსებაც. თვით აბრასასაც, რამდენიმე დღე მტრულად განწყობილი რომ დარჩა პატრებისადმი, ბოლოს თვალი აეხილა, შეიცნო თავისი წარსული შეცდომები და ღვთისმსახურთა გულმოდგინება, ქველმოქმედება, რომელნიც მის გაგულისებისას მხოლოდ პროტესტს აცხადებდნენ, რადგან მისთვის უსიამოვნების მიყენების განზრახვა კი არ ჰქონდათ, თუგინდ მეტიც ჩაედინა, არამედ სურდათ თავიდან აეცდინათ ღვთის შეურაცხყოფა. მოინანია რა თავისი ცოდვა, მოვიდა, მათ ფეხებზე ეამბორა და თავმდაბლად ცდილობდა ეპატიებინათ ჩადენილი შეცოდებანი.

---

[1] ავტორი ზოგან Abrassa-ს ხმარობს Abbassa-ს მაგიერ.

იგი ამბობდა, რომ როდესაც შეეცადე დემეხოცა ასეთი წმინდა კაცები, მეჩვენებოდა თითქოს ჩემს თავზე ღვთიური სამართალი აღსრულდებოდა, თუ არ მაპატიებდნენ დანაშაულს და გულით არ ილოცებდნენ ჩემთვის. ამასთან გვპირდებოდა, აღსარებას გაგანდობთ ჩემს წარსულ ცუდ ყოფაქცევაზეო. თუმცა შემდეგ აღარ მოსულა ჩვენებთან, გვკერეროდა კი, რომ მაშინვე შეასრულებდა ამ დაპირებას თავის მღვდლებთან.

იმავე ხანებში ჩვენი სახლის კეთილისმყოფელი ერთი სომეხი ვაჭარი, სახელად გოგი ბეგი (Ghoghi Begh) დღეში ორგზის აგზავნიდა ჩვენებთან თავის შვილს სომხური ენისა და ქრისტიანული მოძღვრების შესასწავლად მშობლიურ ენაზე. მიუხედავად იმისა, რომ დანარჩენმა სომხებმა იგი შეიძულეს და შეიზიზღეს, განსაკუთრებით კი მღვდლებმა, მაინც ამ კაცს, რომელმაც თავისი შვილი ჰერეტიკოსებს მიაბარა სწავლის მისაღებად, უკან არ დაუხევია. იგი ეუბნებოდა პატრებს, რომ ყველას ჰგონია, თითქოს მე ამგვარი მოქმედებით ფრანკი გავხდი, მაგრამ მე ყურადღებას არ ვაქცევო. იმავე სიტყვებითა და მათი მღვდლების სურვილის წინააღმდეგ მეორე ყმაწვილიც გამოგვიგზავნა, რომ ჩვენს სახლში მასაც განეგრძო იმავე მოძღვრების შესწავლა და წერა-კითხვა სომხურ ენაზე.

ამ შემთხვევაში მისიონერებმა უკეთ მიიჩნიეს დამეგობრებოდნენ სომეხ მღვდლებს, რომელნიც ხშირად ხელს უშლიდნენ სამისიონერო მოღვაწეობაში. რომ არ შეერისხათ სომხებს, რომლებიც გორის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეადგენდნენ, ხშირად დასწრებიან ჩვენს მახლობლად ერთ-ერთ სომხის ეკლესიაში მათ ლოცვას და იმავე მღვდლებთან ერთად უგალობიათ მათი წიგნებიდან სომეხთა თანდასწრებით ფსალმუნები . და სხვა კარგი ლოცვები მათივე წესის თანახმად, ზიარების მიუღებლად, იმ განზრახვით, რომ კამათის შესაძლებლობა მისცემოდათ, რათა შეეგნებინებინათ მათი შეცდომები. მცირე ხანში ასეთმა მეთოდმა ნამდვილად გამოიღო ნაყოფი. პატრებმა იმდენად დიდი პატივისცემა დაიმსახურეს მღვდლებისაგან მათსავე ეკლესიაში, რომ თუკი მათმა ღვთის მსახურებმა პირველად გამოიჩინეს პირმოთნეობა, მერმე ხალხი პატრებს უკვე იმდენად აღარ ერიდებოდა. პატრები დიდად დაუმეგობრდნენ ერთ-ერთ ცნობილ მღვდელს, სახელად ტერსიმონეს (Tersimone), რომელთანაც ხშირი საუბრისა და კამათის მეოხებით შესაძლო გახდებოდა რაიმე დასკვნამდე მისვლა. ეს მღვდელი დაახლოებით ორმოცი წლისა იყო, როცა გარდაიცვალა. დარჩა შვილები სხვათა შორის, იგი შესანიშნავ უნარს იჩენდა ჩვენი

წმინდა სარწმუნოების მისტერიების გაგებაში. მას კარგად ესმოდა ფრანკების სარწმუნოება, რომლებიც მიაჩნდა სწავლულებად და ნდობის ღირსად საღვრთო საკითხებში. ტერსიმონე რამდენჯერმე ყოფილა იერუსალიმში მომლოცავად და უკმაყოფილო დარჩენილა შეხედულებით ცეცხლის შესახებ, რაც სომხებს ბერძნებთან ერთად სწამთ. მართლმადიდებელი სამღვდელოების მიერ შოტყუებულნი არიან, თითქოს აღდგომა დღეს წმინდა საფლავიდან ცეცხლი ამოდიოდეს. ჰერეტიკოსები ამას იყენებდნენ ჩვენი სარწმუნოების გასაბათილებლად, რადგან თქვენს აღდგომას იერუსალიმში ციდან არ ეშვება ცეცხლი. ამ მღვდელთან მრავალგზის ხანგრძლივი კამათი გაგვიმართავს ქრისტეს ორბუნებოვანი მისტერიის გარშემო.

თუმცა დასაწყისი მისთვის ძნელი გასაგები იყო, მაგრამ სხვადასხვა მოსაზრებისა და მოძღვრების განხილვის შემდეგ ცხადი გახდა. მას სწამს, რომ სომხების მიერ აღიარებული მონოფიზიტობა ქრისტეს ერთ პიროვნებას ნიშნავდა, რომელსაც ისინი ერთბუნებოვნებისაგან ვერ ასხვავებენ, რადგან ცუდად აქვთ გაგებული წმიდა კირილე ალექსანდრიელის ნაწერები და მესამე საეკლესიო კრების დასკვნები ნესტორის წინააღმდეგ, რომელიც შესაძლოდ თვლიდა, რომ ერთბუნებოვნება ერთი პიროვნება უნდა იყოსო; ამასთან სჯეროდა, რაკი ფრანკები აღიარებენ ორბუნებოვნებას, ამიტომ ისინი ნესტორიანები უნდა იყვნენო, სწამდა განსაწმენდელის სინამდვილე, აგრეთვე იმქვეყნიური დიდება და ჯოჯოხეთი, რომლებიც თითქოს. საყოველთაო განკითხვისაგან არ განსხვავდებიან, და სურდა მიიღო ჩვენი მოსაზრების ყოველი წვრილმანი ამ ორი მისტერიის შესახებ.

ტერსიმონეს ძალიან მოეწონა ჩვენი მსჯელობა და მტკიცება, რის შედეგადაც ბოლოს დიდად განუმტკიცდა რწმენა განსაკუთრებით ერთი მაგალითით: ერთ მღვდელს წირვის დროს თურმე გამოეცხადა ორი ურჩხული, ცეცხლოვანი არსების სახით. ეს ადგილი წაიკითხა ერთმა ჩვენთაგანმა იმავე მღვდლისაგან ნათხოვარ ძველი სომხური ქადაგების წიგნში, რომელიც ნათლად ადასტურებდა ორ მისტერიას, და წასაკითხად გადასცა ტერსიმონეს და ერთ მოხუც სომეხ მღვდელს ტარ მინასს. მათ შერცხვათ თავიანთი სიბეცისა და ამ შემთხვევის შემდეგ შეიცვალეს შეხედულება. ტერსიმონე უაღრესად აღშფოთდა და შეიგნო, რომ თავისმავე მცდარმა სარწმუნოებამ იგი ხსნის გზას მეტად დააშორა. მას შეუძლებლად ეჩვენებოდა ერთსა და იმავე დროს ფრანკების სარწმუნოების საჯაროდ აღიარება და ცხოვრება იმ ქალაქში, რომლის მკვიდრთა

ნახევარზე მეტი მხოლოდ მასთან მიდიოდა აღსარების სათქმელად. მას ეს გარემოება მეტად აღონებდა. ზოგიერთი ჩვენგანისათვის ხშირად უთქვამს, ჩემს ვაჟიშვილთან ერთად რომში გავიქცეოდი, რომ ვიცოდე, ვისი მზრუნველობის ქვეშ დავტოვო ჩემი ქალიშვილები, რომელნიც უჩემოდ ხიფათში ჩაცვივდებიანო. ამასთან ერთად დასძენდა, სურვილი მაქვს მთელი ოჯახით ოდიშში გავიხიზნო პატრების რეზიდენციაში საცხოვრებლადო. მაგრამ მერმე ეს აზრი აღარ გაუზიარებია ჩვენთვის იმის გამო, რომ ამ პროვინციაში სხვა სომხებიც ცხოვრობენ. ერთი სიტყვით, იგი ამბობდა, რომაელი მღვდელმთავარი მიმაჩნია ქრისტეს მოადგილედ და ყველა ქრისტიანის წინამძღვრადო (ჩვენს ეკლესიაში მის გამოსახულებას დიდ ჩარჩოში ყოველთვის სიამოვნებით უცქერდა ხოლმე). გარდა რომაული სარწმუნოებისა, მას სხვა სარწმუნოება არ სწამდა. სჯეროდა, რომ შეძლებდა იმავე ქალაქში სადმე თავის შეფარებას და ფარულად კათოლიკური სარწმუნოების აღიარებას. თუმცა, ამჯერად რაიმე გადაწყვეტილების მიღება ვერ შეძლო. დაგვპირდა კი, რომ კვირა დღეებში, თუკი იგი თავის ეკლესიაში არ დააყენებდა წირვას (იქ მას ჩვეულებად არ ჰქონდა უმოწყალებოდ წირვის დაყენება და ხშირად აკლდებოდა კიდეც), მოვიდოდა ჩვენს ეკლესიაში წირვის მოსასმენად და თან სხვებსაც მოიყვანდა. მართლაც, რამდენჯერმე როდესაც კვირა დღეს წირვა ვერ დააყენა, ისე მოიქცა როგორც თქვა, და თავისი მღვდლების თანხლებით მოვიდა ჩვენს წირვაზე.

იმავე რეზიდენციაში ერთ მაჰმადიან სპარსელ ყმაწვილს მაჰამას (Mahamà), ემინბაშის მსახურს, კატეხიზმოს ვასწავლიდით და წმინდა ნათლისღებისათვის ვამზადებდით. მან ქრისტიანული სარწმუნოება იწამა. გასულ წლებში ერთ მისიონერს მისთვის მიეცა ქაღალდზე დაწერილი დარიგება. როდესაც ის კვლავ გორში დაბრუნდა, აღმოჩნდა, რომ ეს ქაღალდი უბით ეტარებინა ხანგრძლივი მგზავრობისას. მას მტკიცედ სწამდა, რომ ამ ქაღალდზე დაწერილმა მრავალ უბედურებასა და სასიკვდილო ხიფათს გადაარჩინა. მაშასადამე, ის რომ ასეთ განწყობილებაზე იყო და ხშირად მოდიოდა ჩვენს სახლში სარწმუნოების საკითხზე სასაუბროდ, უფალმა გონება გაუნათლა და ჭეშმარიტ გზაზე დააყენა. დიდად მოწადინებულიც იყო წმინდა ნათლობა მიეღო, მაგრამ, რადგან სპარსელი ბატონის შიშით არ შეეძლო ქრისტიანული სარწმუნოების აღიარება (გაიგებდა თუ არა იგი, მას უთუოდ მოჰკლავდა), პატრებს ემუდარებოდა, ვინაიდან თქვენი წასვლის დრო მოახლოვებულია, თქვენთან ერთად ფარულად ოდიშს წამოვალო.

ჩვენს პატრებს მიაჩნდათ, რომ კატეხიზმოს ყოველ დღე ფარულად სწავლება არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ გორში მოვნათლათ წასვლის წინ, როგორც მაჰამა იყო მოწადინებული, ვინაიდან, თუ შემდეგში რაიმე უბედურება შეემთხვეოდა, როგორც ეს არაერთხელ ხდებოდა, ურწმუნო ემინბაშის ხელში კვლავ უარყოფდა რწმენას მას შემდეგ, რაც ჩვეულებრივზე უფრო ცუდად მოექცეოდა მისი ბატონი. წასვლის დრომ რომ მოაწია, მაჰამა აღარ გამოცხადდა სახლში. თითქოს შეთანხმებულნი ყოფილიყვნენ, პატრებმა იგი ნახეს ერთ სოფლის გზაზე. ეს არც გაჰკვირვებიათ, რადგან იცნობდნენ ამ ყმაწვილის ღვთისმოსაობას. სხვებს ამის შესახებ არაფერი არ უნდა სცოდნოდათ, რათა პატრონს არ გაეგო მისი გაქცევა, თორემ ეს უკანასკნელი მას დააპატიმრებდა. ეტყობა, უფალმა არ დააყოვნა, მადლი მოიღო მისი წმინდა სურვილის დასაკმაყოფილებლად.

პატრებმა ქალაქ გორიდან წასვლა ორგზის გადადეს: ჯერ ერთი, ცხენების უყოლობის გამო და მერმე შიშის მიზეზით, ყველა ერთად რომ წასულიყო, მაშინ მეფეს აცნობებდნენ და ის აუკრძალავდა. შეთანხმდნენ, რომ უფრო აზრიანი იქნებოდა ჯერ წასულიყო მარტო დონ კლემენტე სომხის ქარავანთან ერთად — სამი ცხენი, დატვირთული საკრისტიის ნივთებით, წიგნებითა და საოჯახო სხვა საგნებით. ცხენების მომვლელად თან უნდა წაეყვანათ ერთი მეეტლე. ცოტა ხნის შემდეგ უფრო მოხერხებულად გაემგზავრა ნეტარხსენებული პატრი დონ ჯუსტო ორდენის ძმა ემანუელთან ერთად.

მგზავრობაში ზოგი რამ მნიშვნელოვანი მოხდა, მაგრამ აღწერის ღირსად ვერ მივიჩნიე და გამოვტოვე. ამრიგად, ერთი მღვდლის მგზავრობა თვრამეტი დღე გაგრძელდა. პირველ ორ დღეს რა უბედურებაც შეემთხვა, მთელი მგზავრობის განმავლობაშიც იგივე მეორდებოდა. პატრს გაუძნელდა ერთი მეეტლით სამი დატვირთული ცხენის გაძღოლა, რადგან ტალახისა და ცუდი გზების გამო დატვირთული ცხენები ხშირად ვარდებოდნენ, თუმცა ზოგჯერ ღვთის სიყვარულით სომეხი მექარავენენი ეშველებოდნენ ხოლმე. მთის ერთ ქედზე ქარავანი შეიპყრეს და დააკავეს ქართველმა ჯარისკაცებმა, რომლებიც ორი პროვინციის—ქართლის და იმერეთის საზღვარზე იდგნენ ამ ორ მეფეს შორის უთანხმოების გამო. ამ ცუდი ყოფაქცევის ჯარისკაცებმა ქარავანს წინ წასვლის ნება დართეს, ხოლო პატრი და მეეტლე ცხენებით და საქონლით დააპატიმრეს იმ იმედით, რომ ფრანკისათვის ბევრი პიასტრი გამოერთმიათ. წინ წასული ქარავნის მეთაურს ღვთის სიყვარულით შეებრალა პატრი, რომელსაც ორი დღის გან-

მავლობაში ძალიან დაუმეგობრდა. იმ უდაბურ გზაზე რომ არ დაღუპულიყო, მან გადაწყვიტა დაახლოებით ორი საათი კიდევ დარჩენილიყო პატრთან, რომ გაეგო, შეძლებდა თუ არა მის დაცვას და ადგილზე მიყვანას. მან კარგად იცოდა გზები, მაგრამ ყველაფერი უშედეგო აღმოჩნდა, რადგან ეს ყაჩაღები დიდ ფულსა სთხოვდნენ. საწყალ მისიონერს საფულეში ხუთ პიასტრზე მეტი არ გააჩნდა, ისიც საშმლის ფულად წამოეღო, მაგრამ ისინი მაინც ვერ დააჯერა, მათთან ვერავითარ შეთანხმებას ვერ მიაღწია. ჯოვანი, ასე ეწოდებოდა სომეხ ქარავანბაშს, გამოეთხოვა თანაგრძნობით და წავიდა, რომ დასწეოდა თავის ქარავანს, დატოვა უდიდეს მწუხარებასა და სიმძიმილში ჩავარდნილი კაცი მეეტლის ანაბარად, რომელიც სწყევლიდა ამ ბარბაროსთა ხელში თავის უბედობას. სხვას არც ეს პატრი აკეთებდა თავისი უკიდურესად გაურკვეველი მდგომარეობის გამო, საღამოდან დაწყებული განუწყვეტლივ ტიროდა უწმინდეს ღვთისმშობლის ფერხთა წინაშე, რომ რამენაირად ეშველა მისთვის. მისი ღვთაებრიობისათვის ყველაფერი ხომ შესაძლებელი იყო. სომხის წასვლის შემდეგ პატრი მრავალგზის შეეცადა მათი ულმობელი გული ცრემლებითა და თხოვნით მოელბო, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ.

როცა მოსაღამოვდა, თავისი კარავიდან გარეთ გამოვიდა ამ ჯარისკაცების უფროსი, რომელიც ქართველი სინიორე (Signore) იყო და მთელი დღე მთვრალს ეძინა. დაინახა თუ არა ეს პატრი დაღონებული და თავის ბარგთან ახლო მდგომი, შეებრალა იგი, თანაც შეეშინდა, ამბავი არ მიეტანათ მეფისათვის მისი დაღუპვის შესახებ. ისიც იცოდა, რომ მეფეს ფრანკები ძალიან უყვარდა. მან უბრძანა ჯარისკაცებს დაუყოვნებლივ მოხმარებოდნენ ბარგის დატვირთვაში და ორი ჯარისკაცი ცხენებით გაჰყოლოდა მას, რომ ამაღამვე დასწეოდნენ დასასვენებლად დამდგარ ქარავანს, თორემ ვეღარც კი დაეწეოდნენ მეორე დილამდე. სხვა ჯარისკაცთა შორის ორმა დაუნდობელმა ჯარისკაცმა თავისი სამსახური შესთავაზა პატრს, რომელსაც გზაში მოჰპარეს ხუთი პიასტრი. მას მეტიც არ გააჩნდა, ამასთან ერთად გახადეს უსახელო ქვედა ანაფორაც და ღამე შუა გზაში მიატოვეს მეეტლესთან ერთად. შემდეგ წავიდნენ და ტყეში რამდენიმე სახლი გაძარცვეს.

მარტო დარჩენილმა ორმა კაცმა გზა განაგრძო, მაგრამ მიმართულება აერიათ. ღამის სიბნელისა და ნადირის შიშით დაეჭვებულებმა აღარ იცოდნენ, საით წასულიყვნენ, თუმცა მარტოდ დარჩენილები უფრო კმაყოფილებით მიაბიჯებდნენ, რადგან განთავისუფლდნენ იმათგან, რომელნიც მხეცებზე უარესები აღმოჩნდნენ.

ეჭვი არ ჰქონდათ, რომ ისინი ბარგსაც წაართმევდნენ. ჩვეულებრივ ცხვარი მგლის თანამგზავრობისას ვერასოდეს ხეირს ვერ ნახავს. იმ იმედით, რომ შუა გზაზე ქარავანს შეხვდებოდნენ, ცხენები ააჩქარეს და განაგრძეს მგზავრობა, მაგრამ დიდი ხნის სიარულის შემდეგ განცვიფრდნენ, რომ წინა დღეს ქარავანი ძალიან შორს წასულიყო, შეყოყმანდნენ, ვაითუ ბნელ ღამეში გზა არეოდათ, და ეს მართლაც ასე მოხდა. ყოყმანი უფრო იმ გარემოებამ გააძლიერა, რომ მათ წინ აღიმართა მეტად მაღალი და გაუვალი ტყე. სინამდვილეს არა ჰგავდა, რომ იმ ღამით მგზავრებს შეეძლოთ გაეღწიათ ამ ტყეში, მიუხედავად ამისა, ეჭვი არ გამართლდა. აღარ იცოდნენ უკანვე როგორ გაბრუნებულიყვნენ, რადგან გზას არ იცნობდნენ. სიმხნევე მოიკრიბა პატრმა, რომელიც ყოველთვის ღმერთს ავედრებდა თავს, და ტყისაკენ გაეშურა .იმ იმედით, რომ ტყე მალე დაილეოდა. თითქმის ნახევარზე მეტი გზა გაიარეს, მაგრამ უფალმა არ ინება მათი წინ გაშვება, რომ ნადირის მსხვერპლი არ გამხდარიყვნენ. წინ თურმე ერთმა სატვირთო ცხენისოდენა დათვმა ჩაიარა, რომელიც სამი ცხენის ხმაურზე დაფრთხა და ვერ გაბედა რაიმე ზიანი მიეყენებინა მათთვის, ახლო ჩაუარა გახელებულმა და თვალთაგან მიეფარა. ამის გამო ორივეს იმდენად შეეშინდა, რომ ვეღარ გაბედეს ტყეში უფრო ღრმად შესვლა და გზის განაგრძობა. ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში რამდენიმე ხანს დარჩნენ. სანამ მეეტლემ პატრს არ უთხრა, თუ შენ ცხენებთან დარჩები, მე უკან გავბრუნდები და ტყის გავლის შემდეგ ძლიერ ყვირილსა და ღრიალს ავტეხ, იქნებ ვინმე გზად მიმავალმა გაიგონოს ჩემი ხმა, ვინ იცის, ამ უდაბურ ადგილას იქნებ ვინმე გლეხი (მიწათმოქმედი) ცხოვრობდეს კიდეც. მისიონერი დათანხმდა, დაიჩოქა მუხლებზე ცხენებთან, იმ ღამის ერთი ნაწილი თავის უბედურებაზე ლოცვაში გაატარა.

ამ ხნის განმავლობაში ის ორი ბანდიტი სხვა გზით მისულიყო იმ ადგილას, სადაც ქარავანი იდგა და ძილს მისცემოდა. პატრი რომ ვერ ნახეს, მის შესახებ აცნობეს ქარავანბაშს, რომელსაც იმდენად არ გახარებია მისი განთავისუფლება, რამდენადაც შეწუხდა ამ მისიონერის დაღუპვით. უმალვე ორი კაცი გაგზავნა იმ უდაბური ტყისაკენ. ისინი გაჰყვიროდნენ და ეძახდნენ მეეტლეს. მან რამდენიმე ხნის შემდეგ გაიგონა ღამის სიჩუმეში მათი ძახილი. ამასობაში თვითონაც დიდი გზა გაევლო. ერთმანეთს შეხვდნენ და სამივე გაეშურა ტყისაკენ, პატრი გამოიხსნეს ტანჯვისაგან და შეუერთდნენ ქარავანს. ჯარისკაცებმა მიიღეს ზოგი რამ საჩუქარი და უკან დაუბრუნეს უსახელო ქვედა ანაფორაც. როდესაც ნახეს, რომ პატრს ფული აღარ გააჩნდა და სურსათიც შემოაკლდა, სომხებმა მისცეს

მას საგზაოდ საჭმელი. პატრ დონ ჯუსტოსა და მორჩილ ძმას ასევ დაემართათ მგზავრობისას: გზაში პატრი ავად გახდა ცხელებით და ასეთ მდგომარეობაში ცხენით იმგზავრა დაახლოებით თხუთმეტი დღე, მთელი მგზავრობა კი ოცდახუთი დღე გაგრძელდა. ავადმყოფი გზას მოსწყდა და ცხენიდან ხრამში გადავარდა. ღვთის წყალობით მას დიდი არაფერი ევნო, მაგრამ ცხენმა ფეხი მოიტეხა. საჭირო შეიქნა მისი იქვე დატოვება, ხოლო ოდიშამდე სხვა ცხენის დაქირავება. ყოველივე ის, რაც მოხდა, დაწერილია გორის რეზიდენციაში იმ ორ თვეში, რომელიც პატრ დონ პიეტროს იტალიაში მგზავრობისას მოუნდა.

ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პატრი გურიის რეზიდენციის მახლობელ მხარეში ჩავიდა. დღემდე ორივეს ცნობა უნდა მოეღოდებინათ, მაგრამ შარშან ოდიშში მისგან დროზე ვერ მივიღე რელაცია, რომ გემების გასვლისათვის მოესწრო. ამრიგად, როდესაც პ. დ. პიეტრო მორჩილ ძმა ანდრეასთან ერთად წავიდა, აქ დარჩა სამი მღვდელი და ორი მორჩილი ძმა, ე. ი. პატრი დონ ვინჩენცო ჯილიბერტო (P. Don Vincenzo Giliberto), დონ ფრანჩესკო მარია მაჯო (Don Francesco Mario Maggio) და დონ ქრისტეფორე კასტელი (Don Christeforo Castelli), მორჩილი ძმები ჯაკომო (Giacomo) და კლაუდიო (Claudio), რომელნიც ჩვეულებრივი საქმიანობით არიან დაკავებულნი, განუწყვეტლივ მოგზაურობენ მთელ მხარეში ბავშვების მოსანათლავად და სხვა საკრამენტების აღსასრულებლად არაჩვეულებრივი გაჭირვებით, რადგან, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, გურია არა მარტო ესაზღვრება, არამედ ოდიშსა ჰგავს მდებარეობით, ასევე ტყითაა დაფარული, ქალაქები არ გააჩნია და სახლები სულ ტყეშია გაფანტული.

ჩვენს სახლში ქრისტიანულ მოძღვრებაზე ზრდიან ექვს ბავშვს, ნაწილი ამ ბავშვებისა პატრებს მოუყვანეს იმ პირებმა, რომელთაც ისინი მკურნალობდნენ, ნაწილი მთავარმა განუწესა. მართლა რომ ჰარმონიულია ლოცვაზე მდგარი ბავშვების ჩვენებთან ერთად ნახვა, როდესაც ქრისტიანულ მოძღვრებას ზეპირად ჰყვებიან და წირვაზე ემსახურებიან ხოლმე. ამასთან დასაწყისში დაბრკოლებას ჰქონდა ადგილი: რადგან დიდძალი ხალხის ყურადღებას იპყრობდნენ. ამიტომ ხშირად სცოდავდნენ. მას შემდეგ, რაც პატრების ხელში მოექცნენ, ვნებათა მოკვდინების მაგალითით მთელი მხარე განაცვიფრეს. იქ იყო საშუალო თანამდებობის პირის მეუღლე. ქმარს მეტად ამაყი და ამპარტავანი ხასიათი ჰქონია. გურიის მთავარმა მალაქიამ მას რაღაც მძიმე დანაშაულის გამო არა მარტო თვალები დასთხარა, არამედ ცოლიცა და ხელისუფლებაც წაართვა.

მალაქია ოთხი პროვინციის პატრიარქია, ე. ი. გურიის, ოდიშის, იმერეთისა და აფხაზეთის. იგი განსაკუთრებულ პატივს სცემდა პატრებს. ქალს სახელად ერქვა ლელორა (Lelora). ის თურქებზე გასასყიდად იყო განწირული. თურქები ხშირად მოდიან ამ მხარეში ტყვე ქალების დიდი საფასურით შესაძენად. სხვათა შორის, ერთ დღეს მთავართან პატრები ისეთ დროს შეესწრნენ, როდესაც შემთხვევით ასეთი მოლაპარაკება წარმოებდა. ისინი თანაუგრძნობდნენ იმ არსებას, რომელიც შესაძლებელი იყო იოლად დაეთმოთ ასე დიდ ფასად, ამიტომ ისეთი საბუთიანობით და თხოვნით იმოქმედეს მთავარზე, რომ მას არამცთუ გადაათქმევინეს გაყიდვა, არამედ ხელი ააღებინეს იმ მავნე ჩვეულებაზეც, რომელსაც დღემდე მისდევდა. რომ ეს ქალი თავის პროვინციაში მეტი ცოდვების მიზეზი არ გამხდარიყო, მთავარმა ისურვა მისი გადაცემა პატრების მზრუნველობის ქვეშ. პატრები მას წმინდანებად ჰყავდა წარმოდგენილი. მცირე ხნის შემდეგ ლელორას, რომელიც წინათ ცუდი ყოფაქცევისა იყო, ღვთის მსახურებმა განუწყვეტელი ქადაგებით არა მარტო გული მოულბეს, არამედ უმთავრესად მათმა წმინდა ცხოვრების მაგალითებმა მოხიბლეს იგი. მათ მფარველობაში მყოფი ლელორა სულ სხვა ადამიანად გარდაიქმნა: განერიღა ყოველგვარ მოკაზმულობას, ურომლისოდაც უწინ არც ერთ კაცს არ ეჩვენებოდა ხოლმე. სახლში ძველმანის ჩაცმით კმაყოფილდებოდა და თავი გაანება სიკეკლუცეს, რაც მას სახელგანთქმულს ხდიდა, სერიოზული სახე მიიღო და ფუქსავატ ცხოვრებას ჩამოცილდა, საოჯახო საქმეს მიჰყო ხელი, არაფერს თაკილობდა და სახლში ასრულებდა ყველაზე უფრო ათვალწუნებულ სამუშაოს. ის იმდენად გამოიცვალა, რომ ზოგჯერ მნახველები ძლივს ცნობდნენ ხოლმე. წარსულში ცუდი ყოფაქცევის გამო გული სინანულით ეტანჯებოდა. ხშირად დადიოდა ჩვენს ეკლესიაში და, ბოლოს, კათოლიკური სარწმუნოება აღიარა. მისი არაჩვეულებრივი და სამაგალითო ქცევა აცვიფრებდა ხალხს. მაგრამ გარდაიცვალა თუ არა მთავარი, პატრების ბედიც უკუღმა შეტრიალდა. ახალმა მთავარმა წაგვართვა ჩვენს მზრუნველობაში მყოფი ქალი და მიჰყიდა ადგილობრივ მცხოვრებს, ერთ ქრისტიან კაცს, რომელმაც ცოლად შეირთო იგი.

ამ ხნის განმავლობაში შედარებით უკეთესად ვცხოვრობთ, ეკლესიის ყველა წმინდა საკრამენტებით; სინიორ ნიკოლო დი კოჯევიკი (Nicolo di Coggivich) უწინ თურქი მაჰმადიანი იყო, ხოლო შემდეგ ჩვენებმა კათოლიკედ მოაქციეს. მის მიერ კათოლიკური სარწმუნოების აღიარება ღვთის მონიჭებული მადლით ცნო-

ბილ სასწაულად იქცა და განაცვიფრა არა მარტო გურია, არამედ მისი ახლომახლო მხარეებიც, ამიტომ ღირს, რომ მის შესახებ დაწვრილებითი რელაცია მოგწეროთ, დიდად პატივცემულო თქვენო უგანათლებულესობავ.

სინიორ ნიკოლო ·დი კოჯევიკი დაბადებით ქრისტიანეა სიენადან (იტალია). მამამისი, რომელიღაც კათოლიკე პრინცის ფლორენციის დუკას გულადი ჯარისკაცი, უმაწვილობაში გაბედული და ღონიერი ყოფილა. შვილსაც აღეძრა მოგზაურობის და ქვეყნების ნახვის სურვილი, გადაწყვიტა მამის მაგალითისათვის მიებაძა ომში, სადაც ფეხში დაიჭრა და საგრძნობლად დასახიჩრდა კიდეც. თურქებმა ტყვედ ჩაიგდეს. იავარქმნილმა ქრისტეს სარწმუნოება უარჰყო და, ამგვარად, ყველაფერში მიბაძა რა მათ, სასტიკი თურქი შეიქმნა. ნიკოლოს მაგიერ ეწოდა ფერინდონი (Ferindon), ჩავიდა კონსტანტინოპოლში და დაახლოებით ოცდახუთი წელი იცხოვრა თურქ ქალთან, მრავალ ცოდვაში გაეხვია. იქ ასე თუ ისე შეისწავლა ზოგადი მედიცინა. ერთი სიტყვით, ამ დროს მას იქ შეხვდა მთავარ გურიელის ელჩი, რომელსაც დავალებული ჰქონდა მკურნალის ჩამოყვანა კონსტანტინოპოლიდან. მან გადაწყვიტა აღნიშნულ ელჩთან ერთად გურიაში წამოსვლა და მთავარ გურიელის კარზე სამსახური. როდესაც გურიაში ჩამოვიდა, მთავარმა, რომელიც უკვე მოხუცებული და დაავადებული იყო, იგი მიიღო როგორც ერთი საოცრებათაგანი, თავისი ხანდაზმულობისა და ცხოვრების დასაყრდენი, თავისი ჯანმრთელობის ბედი მას ჩააბარა. ფერინდონი ტანმაღალი იყო, სახით სერიოზული, გრძელი წვერითა და გარეგნობით მიმზიდველი. უდიდეს ნიჭსა და მონდომებას იჩენდა განსაკუთრებით ენაში. ჰფლობდა იტალიურს, ლათინურს, თურქულს, სლავიანურსა და ქართულ ენებს, როდესაც მთავარი დარწმუნდა, რომ იგი კარგად მკურნალობდა, თავისი სამფლობელოს ქვეშევრდომად გახადა, ქონებით გაამდიდრა: მისცა სახლები, მონები[1] (schiavi), უფლება დართო და კარგი ოჯახიშვილს ორი ქალიც მიათხოვა, რომლებიც მას ემსახურებოდნენ მაჰმადიანური რჯულით. შემდეგ, როდესაც ჩვენი პატრები გურიაში ჩამოვიდნენ, ფერინდონმა გაითვალისწინა, რომ პატრები სარწმუნოებითა და ცხოვრებით განსხვავებული არიან, თუმცა ეროვნებით, როგორც თვით ისინი იტალიელებია, და ისე ძლიერად აინთო სიძულვილით

---

[1] ავტორი კარგად ასხვავებს მონების კატეგორიას ყმათა და გლეხთა კატეგორიისაგან, მაგრამ ამ შემთხვევაში საგანგებოდ ხაზი აქვს გასმული მონების ყოლას მთავრის ქვეშევრდომის მფლობელობაში, ასეთი გარემოება კი ანგარიშგასაწევია.

მათდამი, რომ დევნა დაუწყო. როდესაც ამ საწყალი მისიონერების სახლი ხანძარმა შთანთქა, მან სახალხოდ თავისი სიხარული ასე გამოხატა: ღმერთმა ჩემს მაგიერ შური იძიაო. ამის გამო იყო, რომ ხალხმა ჩვენი სახლის დაწვა მას მიაწერა, თუმცა ისინი მართალნი არ იყვნენ.

ვინაიდან ჩვენს პატრებს ჩვეულებად ჰქონდათ წმინდა სარწმუნოების ქადაგება, ფერინდონს უდიდესი შური და მძულვარება აღეძრა პატრებისადმი, განსაკუთრებით მედიცინის ნიადაგზე. იგი ყოველნაირად ცდილობდა ღვთისმსახურები გურიიდან განედევნა. როგორც შემდეგ შევიტყვეთ, შემთხვევას ეძებდა, რომ ერთი ჩვენთაგანი მოეწამლა. ასეთ სისაძაგლეზე ნებას არა რთავდა მთავარი, რომელმაც ის თავის ჯანმრთელობისათვის ჩამოიყვანა. პატრები ფერინდონთან სარწმუნოების საკითხზე მრავალგზის კამათობდნენ. მას ბრაზი ერეოდა დიდი გავლენა და ძალა რომ არ შესწევდა იმის სიტყვებს მაჰმადიანობის დასაცავად. სხვათა შორის განმეორებით უნდა ითქვას, რომ დიდად სწამდა მაჰმადიანობა და სჯეროდა მისი ძლიერებისა. თითქოს შეეძლო რაიმე სასწაულის მოხდენა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია და კამათი მიატოვა.

რადგან იგი ვერ ისვენებდა, დიდი ხნის განმავლობაში კარჩაკეტილად ცხოვრობდა. როცა ჩაუფიქრდებოდა მისიონერების საწინააღმდეგო მოქმედებას, შფოთავდა, რაც ჩვეულებრივია მომთმენი გულის ადამიანისათვის. მსგავსს მოვლენას აქვს ადგილი, როდესაც უცხო ქვეყნებში მშობლიური ენა და ჰავა მოუნდება კაცს, რომელსაც ბუნებრივად იზიდავს გლეხის ტკბილი საუბარი, ასევე ვეღარ შეძლო თავი შეეკავებინა და სამი წლის მდუმარების შემდეგ არ განეახლებინა ხშირი და მეგობრული კამათი პატრებთან, რომელნიც სათნო კრავებივით ყოველთვის ცდილობდნენ იგი არ გაეჯავრებინათ. წმინდა და გულჩათხრობილმა ტანჯვამ, ხშირმა მსჯელობამ, უმეტესად კი ამ პატრების უმანკო ცხოვრების მაგალითებმა (იგი ხშირად დადიოდა ჩვენს სახლში). საბოლოოდ გაუხსნა გონება. მას სიტყვიერადაც გააცნეს ის ჭეშმარიტება, რომ ოცდარვა წლის განმავლობაში ბინძურ, საძაგელ მაჰმადიანურ სარწმუნოებას აღიარებდა და ქრისტეს რჯულს მოშორებული იყო.

როდესაც ხანგრძლივ სიბნელეში მყოფმა თვალები გაახილა სინათლეში, მაშინვე ბუნდოვან ქაოსში ჩაიძირა და, ახლად გონებაგანათებული, ვითარცა საული, სამი დღე კი არ დარჩა დაბრმავებული, არამედ სამი თუ ოთხი თვე გაბრუებული თავის ჭკუაზე არ იყო. ძას ელანდებოდა, თითქოს დიდ ზღვებში ცურავდა ან მიუდგომელ მთებზე ადიოდა. ერთის მხრით, თუკი წინ აყენებდა ქრის-

ტიანების უბედურ და უგულვებელყოფილ ცხოვრებას, მას უპირისპირებდა პატივისცემასა და პატივმოყვარეობას, რომელიც ამ მხარესა და მთელ აღმოსავლეთში თურქების გარყვნილების დამახასიათებელია, მეორე მხრით, როგორც სულგრძელ არსებას, მას სთავაზობდნენ მრავალი ცოდვისაგან მონანიებასა და განწმენდას. სხვათა შორის, უარს ამბობდა თავის ორ ხასაზე, ერთისაგან ორი შვილიც კი ჰყავდა. როგორც იგი ამბობდა, ამ ქალებს ორი ჯაჭვით შეუბრალებლად შებოჭილი აქვთ ჩემი გული. კვნესისა და ოხვრის გარდა, სხვას არაფერს არ აკეთებდა, თითქოს დაჭრილიაო, მაგრამ მთლად პატრების გავლენის ქვეშ არაა. პატრის დაჟინებით მოთხოვნით ერთ დღეს ალყორანი გადაუგდეს, რომელსაც იგი მუდამ ყელზე ატარებდა და მის ადგილას ჯვარი ჩამოკიდეს, რომ დაენახა მის მთავარ ციხე-სიმაგრეზე აფრიალებული ჯვარცმის ახალი ალამი, რომ ამიერიდან უფრო მეტად ებრძოლა ქრისტიანული სარწმუნოებისათვის. მის ოჯახში ერთთავად ტირილი ისმოდა როგორც მისი, ასევე მისი ხასებისაც. აცრემლებული ეთხოვებოდა თავის ცოლებს და კათოლიკურ ქრისტიანობაში დაბრუნებას ამცნობდა მათ.

იგი პატრებთან თათბირობდა სულიერი ხსნისა და ცთომილების შესახებ, რომელშიაც დიდ ხანს იყო ჩავარდნილი, და, ასე ვთქვათ, რაც უფრო მეტად აღიზიანებდა ცრემლი, რომელიც სანეტარო ხდებოდა, ამავე დროს უფრო ხელს უშლიდა, ვიდრე უმსუბუქებდა მის მთლიან მოქცევას. ხოლო უფალმა, რომელიც სასოებით უცქეროდა მის სიკვდილს, აღარ დააყოვნა და სნეულება მოუვლინა მას. დაავადმყოფებულმა ნიკოლო კოჯევიკმა ერთ დღეს წერილი მისწერა ჩვენ მისიონერებს, გორის ეპისკოპოსის წმ. ნიკოლოს დღესასწაულის წინა ღამეს (ამ წმინდანის სასწაულმოქმედება ჩვენა გვწამს). აღნიშნული დღესასწაულის ღამეს მან მოიპოვა და ხელახლა დაიბრუნა ის სახელი, რომელიც მას დაარქვეს წმინდა ნათლობისას, ხოლო შემდეგ უარჰყო და გამოიცვალა სარწმუნოებასთან ერთად.

წერილში პატრს დაჟინებითა სთხოვდა საჩქაროდ მისულიყო მასთან აღსარებისა და ქრისტეს წმინდა ეკლესიასთან შესარიგებლად, ვინაიდან იგი ქრისტიანად იყო დაბადებული. ღვთის სიკეთეს ადიდებდა, უფალმა გაჭირვებაში ჩამაგდო, ამიტომ მსურს პატრების დახმარებით დავიხსნა სულიო. პატრი დაუყოვნებლივ მივიდა მის ოჯახში და აქვითინებული მოინათლა იმ პირობით, რომ მკაცრ მონანიებას გაივლიდა. გამოჯანსაღების შემდეგ მან უარჰყო მაჰმადის ყალბი სექტა, პატრისა და თავისი სახლობის თანადასწ-

რებით დასწვა ყველა თურქული წიგნი და ორი დღის შემდეგ ცრემ-ლებითა და სასოებით აღელვებულმა მიიღო ევქარისტიის მეორე საკრამენტოც.

განიკურნა თუ არა ავადმყოფობისაგან, ნიკოლო მაშინვე გან-მარტოვდა მეტად პატარა ოთახში, რომელიც საგანგებოდ ააგო თავისი ეზოს ერთ კუთხეში, რომ შესდგომოდა მონანიებას. ერთი ცოლი, რომელთანაც შვილი არა ჰყავდა, გაათავისუფლა, მეორე კი დათანხმდა, რომ მონანიების გზას დაადგებოდა, თავისი ტანსაც-მელი გაიხადა; ჩვენი ჩაიცვა და მეორე ოთახში განმარტოვდა ორი შვილით. ნიკოლომაც ჩაიცვა ბალნის ძაძა, რომელიც კანს ხეხდა, თავი მისცა ლოცვებსა და თავისი ცოდვების მონა-ნიებას. თავს იწვრთნიდა მკაცრი რეჟიმით: იძინებდა შიშველ ფიცარზე, კვირაში უმეტეს დღეებს მარხულობდა. ჩვენს ეკლესია-ში ხშირად დადიოდა საკრამენტებზე, ცოდვები გამოისყიდა სათნო ქცევით, აღარ ჰყიდდა ქრისტიან ტყვეებს თურქებზე, ურიგებდა ქონებას ყველას და დიდ სიღარიბეში ჩავარდა, რასაც იტანდა იესო ქრისტეს სიყვარულისათვის, პირად მტრებს შეურიგდა. წინათ მათ ძალიან ცუდად ეპყრობოდა, როდესაც მთავრის მფარვე-ლობით სარგებლობდა. ახლა შარა გზაზე დადიოდა, რათა მათ ფეხთა წინ დამხობილიყო საამბორებლად, როგორც მაჰმადიანი. ბუნებით ამპარტავანი იყო, მთელ გურიას შიშის ზარს სცემდა. ერთხელ სახალხოდ გაჯოხა ერთი თავისი მტერი, კალებუკი (Calebuch), ამ მხარის ყველა სომხის მეთაური. სხვა მსგავს რამესაც სჩადიოდა მთელ ამ პროვინციაში მთავრის მხარდაჭერით და არავისი შიში არა ჰქონდა. შემდეგ უწყინარ კრავად გადაიქცა. არავის უხილავს თავი მაღლა აეწიოს მისი მოქცევის დღიდან სიკვდილამდე.

ერთი წელი და რამდენიმე დღეა, რაც ეს ამბავი მოხდა. საცო-დავი ავადმყოფობასა და სიღარიბეში ჩავარდა. უფალმა ინება ეს მრავალტანჯული კაცი შეეწყნარებინა. ძალიან გვთხოვდა მიგვეღო ჩვენი სარწმუნოების მორჩილ ძმობაში, ამისათვის გურიიდან ოდიშს ჩამოვიდა, რომ დანარჩენ ჩვენს პატრებს მოლაპარაკებოდა, რომელთაც იმედი მისცეს, თუკი ურყევად დარჩებოდა და დაწყებულ კეთილ ცხოვრებას განაგრძობდა გარკვეული დროის მონაკვეთზე. სიკვდილს რომ არ ემსხვერპლა, საქმე სხვაგვარად არც იქნებოდა. რამდენადაც ავადმყოფობა საშუალებას აძლევდა, იგი უჩვეულო ენერგიითა და გულმოდგინებით უქადაგებდა ჩვენს წმინდა სარწმუნოებას თურქებს (მაჰმადიანებს), სომხებსა და ქარ-თველებს და წარმატებასაც აღწევდა. სხვათა შორის, დაიყოლია მთავარი, რომელიც უწესო ცხოვრებას ეწეოდა, ეღიარებინა თავისი

ცოდვები საქვეყნოდ, რამაც ყველას განცვიფრება და სიხარული გამოიწვია. ეს შეასრულა ნიკოლომ მხოლოდ თავისი სიკვდილის წინ.

ერთ დღეს აღგზნებული ლანძღავდა იმათ, ვინც ბერძნულ-ლათინური ეკლესიების ერთმანეთისაგან გათიშვის მიზეზი გახდნენ. დიდი სურვილი ჰქონდა ქრისტესათვის წამებული სიკვდილი მიეღო და ავადმყოფებს მომსახურებოდა ღვთის სიყვარულით იმ საავადმყოფოში, რომლის აშენებას დაჰპირდა გურიის მთავარი. ამას კიდევაც შეასრულებდა, რომ არ გარდაცვლილიყო უწმინდესი სამების დღესასწაულზე. ჩვენი პატრების საზეიმო წირვაზე ეკლესია სავსე იყო ქართველებითა და სომხებით. საკურთხეველს მიუახლოვდა ნიკოლო მეუღლესა (მოქცევის დროიდან სიკვდილამდე ამ ქალს აღარ მიჰკარებოდა) და ორ ქალიშვილთან ერთად. სამივეს თეათინელების ტანსაცმელი ეცვა. მსხვერპლის შეწირვის შემდეგ, მღვდლის წინ დაჩოქილმა, ქვითინითა და ცრემლით ხმამაღლა წაიკითხა წერილი, რომაც ყველა დამსწრეს გული აუჩუყა. ამ წერილით უწმინდეს სამებას სწირავდა თავს, ცოლსა და ორ ქალიშვილს უტოვებდა უფალს ნეტარხსენებული ჩვენი დედის სუორ ორსოლას (Suor Orsola) სამონასტრო წესდებისა და ჩვენი მფარველობის ქვეშ. გარდა ამისა, პატრებს უწყალობა თავისი სახლი, მოსამსახურენი (servi), მიწები და ქონება. უფალმა ინება 3 თვის ავადმყოფობის შემდეგ მოეკითხა იგი ყველა წმინდა საკრამენტით და 1638 წლის 29 დეკემბერს მან განუტევა სული. მთელი ამ მხარის დამქცევი პიროვნების კათოლიკობაში მოქცევა მიზეზი გახდა იმისა, რომ მისიონს მადლობა გადაუხადეს და მრავალმა მიიღო კათოლიკობა, კერძოდ მთავარმა და შემოქმედელმა ეპისკოპოსმა (Sciamochmedeli) ამჟამად ამ პროვინციის პატრიარქმა, რომელიც მისი პირადი მტერი იყო იმ ხანად, როდესაც იგი მაჰმადის სჯულზე იყო შემდგარი (turco) და დიდი მეგობარი გაუხდა მას შემდეგ, რაც მან კათოლიკური სარწმუნოება აღიარა.

ნიკოლოს სიკვდილმა ავადმყოფების დასახმარებლად წასულ მისიონერებს ჩვეულებრივზე უფრო მეტად მისცა შემთხვევა ტყეტყე ეელოთ მთელ გარშემო მდებარე მხარეში და, ამგვარად, უფრო ხელსაყრელი გარემოება შეექმნათ წმინდა სარწმუნოების საქადაგებლად და აქ ბოროტად გამოყენებული ჩვევების წინააღმდეგ საბრძოლველად. დიდი მოწიწებით უსმენდა მათ ხალხი, მდიდარი თუ ღარიბი, მრავალმა სარგებლობა ნახა არა მარტო თავისთვის, არამედ ცდილობდნენ, რომ სხვებსაც ასევე ესარგებლათ. მესხეთის სინიორემ ბავშა ქავთარაძემ (Bavscia Contarizze

signore de Meschi) და მამუკა ვასკორტოშვილმა (Mamochà Vascortosfili), დადიანის ცოლის ძმამ (სიძემ), პატრებისაგან კარგად შეისწავლეს სულიწმინდის გადმოსვლა. ამ მოძღვრებას იცავდნენ სხვების წინაშეც, როცა კი მსჯელობის საჭიროება ამას მოითხოვდა ხოლმე. წარჩინებულმა თავადმა (barone de principali) მამუკა ნაკაშიძემ (Mamochà Nacascizzé) სინიორების წინაშე სიტყვა წარმოსთქვა და აუხსნა, რომ ფრანკები ქრისტეს სახარების ნამდვილი აღმასრულებელნი არიანო. უნდა ვაღიარო, რომ ყველა ქვეყნის მტარვალის წინაშე ქრისტიანობას იცავენ და მისთვის სიკვდილსაც არ ერიდებიან. დასასრულს (როგორც მათ სჯერათ) ზეციური სასუფევლისათვის თავი დაუსაჭურისებიათ, ხორციელი სიწმინდის დასაცავად, და ასკვნის, რომ ესენი ჭეშმარიტი მოციქულებრივი კაცები არიანო.

ბევრმა ქალბატონმა და მათ შორის ერთმა ბარონესა ნიკოდიამ, გურიის მთავრის ქალმა თამარმა, იმერეთის (Bassaciuch) დედოფალ-ყოფილმა, როდესაც ქადაგების დროს მოისმინეს ჩვენი მისიონერებისაგან, რომ საფრანგეთის მონასტრებში ქალები, ხორციელ სიამოვნებას განრიდებულნი, სიწმინდით ღმერთს ემსახურებიანო, მწუხარე გულითა სთქვეს, სხვათა შორის, ეს სიტყვებიც: „ეჰ, როდის გვიღირსებს ღმერთი, რომ აქედან გავიპაროთ და იქ ღვთის სამსახურისათვის ვიცხოვროთო“.

ელიზბარ მარაშვილმა (Vezzebari Marasfili-Morasfili), რომელიც დიდი პიროვნებაა და ყველაზე ბრძენი ამ მხარეში, ჩვენს სახლში თავადების (baroni) ერთი ჯგუფი მოიყვანა (ისინი თათრებზე ჰყიდდნენ საკუთარ შვილებსა და ტყვეებს) იმ მიზნით, რომ პატრებს ექადაგათ ტყვეთა გაყიდვის უდიდეს ბიწიერებაზე, რაც მათ უდიდესი სიამოვნებით შეასრულეს. ელიზბარ მარაშვილი ფიქრობდა, ამის საწინააღმდეგო ყველაზე უფრო ძლიერი წამალი მხოლოდ ფრანკების ქადაგებაა.

ამ მოსაზრებას ამართლებდა ერთი შემთხვევა, რომელიც ღირსია აღნიშვნისა. პატრებმა დიდ სათნოებაში აღზარდეს 13 წლის ერთი ქართველი ყმაწვილი, მათი მონა (loro schiavo), სახელად მიქელე, რომელიც დაჯილდოებული იყო დიდი ნიჭით, კარგი სულიერი თვისებებით და სხეულითაც ლამაზი იყო. ამ ყმაწვილის შესახებ ამბავი მიუტანეს ახალ მთავარს, მისიონის მტერს, რომელმაც პატრებს გაუგზავნა შიკრიკი და აცნობა წერილობით, ხსენებული ვაჟი თურქების ერთ ფაშას უნდა მივყიდოო, რადგან მთელ ჩემს მხარეში ვერ მოვნახე უკეთესი — კოხტა ვაჟიო. ამაზე პატრებმა მთავარს დასაბუთებულად უპასუხეს და ემუდა-

რებოდნენ არ მიეყენებინა მათთვის უსიამოვნება, რადგან ისინი თანახმანი იყვნენ საკუთარი სისხლი დაეფქიათ ამ ყმაწვილის გასათავისუფლებლად ჯოჯოხეთიდან. მთავარი ასეთმა პასუხმა არ დააკმაყოფილა, გადაწყვიტა კაცების გაგზავნა, რომ მათ ყოველი საშუალება გამოეყენებინათ და ეს ვაჟი პატრებისთვის წაერთმიათ ჩვენებმა შეიტყვეს თუ არა ეს გადაწყვეტილება, ბავშვი მაშინვე წაიყვანეს ეკლესიაში, სადაც მუხლმოყრილებმა უფალს შეავედრეს მისი უბედურება. პატრებმა იგი შეახვედრეს ხელმძღვანელებს და იმდენი ილაპარაკეს ამ ცოდვის წინააღმდეგ, რომ დაარწმუნეს ისინი და ბული მოულბეს, ისე რომ მათვე გააგზავნეს კაცი მთავრისათვის ეთქვა, რომ უმაღლეს სასულიერო პირს არ ეკადრებოდა ღვთის მიერ ბოძებული უმწიკვლო არსება თურქების ხელში დაეღუპა. თუ მაინც და მაინც ასეა გადაწყვეტილი, პატრები კმაყოფილნი იქნებოდნენ ბავშვის მაგიერ მის მიერვე არჩეული ერთ-ერთი პატრი დაეთმოთ თურქებისათვის, რადგან პატრი ქრისტეს სარწმუნოებას არ უარჰყოფდა თურქების ხელში, ამავე დროს ერთ არსებას გადაარჩენდა, ვინაიდან ჩვენი ხსნისათვის ისურვა სიკვდილი თვით ღვთისშვილმაო.

ამგვარი მსჯელობა მთავარს მოეწონა და პატრების გულშემატკივრობამ მთელი ეს პროვინცია უზომოდ განაცვიფრა. ყველამ მოიწადინა, რომ თავიანთი შვილები, ასეთ შემთხვევაში, პატრების ხელში მოხვედრილიყვნენ. მოხდა ისე, რომ ზემოხსენებული მესხეთის სინიორე ბავშა ქავთარაძე ლოგინად ჩავარდა, ერთ ჩვენთაგანს მესხეთში წასვლისა და ქადაგების საშუალება მიეცა. მან სარწმუნოებაში მოაქცია ის ხალხი. თუმცა ისინი ქართველები არიან და გურიიდან ორი დღის სავალზე ცხოვრობენ, მაინც დიდი სულთანის გამგებლობაში იმყოფებიან და ბევრი ქართველი ქრისტიანული სარწმუნოებიდან მაჰმადიანობაში გადადის. სხვათა შორის, ერთი ქართველი, სარწმუნოებით უკვე მაჰმადიანი, სახელად აზინა (Azina), პატრის მიერ შთაგონებული დაჰპირდა, რომ გულით ირწმუნებდა იესო ქრისტეს და თავისი ცოდვების აღსარებასაც იტყოდა, მაგრამ ეს მისიონერი სწორედ ამ დროს უკან გამობრუნდა და ეს ხელსაყრელი შემთხვევა მან ასე მოაგვარა: რადგან აზინა საკმაოდ არ იყო განწყობილი და მომზადებული, ამიტომ რასაც კი ეს წერილობით დაჰპირდა სარწმუნოების საკითხში, პატრის დაბრუნების შემდეგ საქმით უნდა გაემართლებინა.

იმხანად წმინდა მისიონი ამ პროვინციაში იფურჩქნებოდა. უზომოდ უყვარდა ისინი მთავარსა და ამავე დროს პატრიარქ მალაქიას.

მან მიგვიჩინა სახლი, გვიბოძა მამულები, მსახურები (servi)

და ყმები ოჯახებიანად (case di vassalli), როგორც თავის დროზე ამის შესახებ უკვე მოგწერეთ. ის უვლიდა და მფარველობდა პატრებს, როგორც თავის საკუთარ შვილებს. ერთ დღეს, პურის ჭამისას იგი სცადა აეღელვებინა მისმა ძმამ ვახტანგმა (Vattàn), რომელიც ახლა ს.მთავროს მემკვიდრე გახდა და სამთავროდან პატრეების განდევნა განიზრახა, როგორც მწვალებლებისა და ორთოდოქსალური სარწმუნოების შემბღალველებისა. მთავარმა ამაზე მშვიდად უპასუხა, რომ სარწმუნოებიდან გამორიცხული უნდა იყოს ყოველგვარი უთანხმოებაო, რადგან ,ესეთი ბრძენი და კეთილი ადამიანები არასდროს არ მოსულან ჩემს სამფლობელოშიო. მას არა მარტო უყვარდა პატრები, არამედ აფასებდა და აღტაცებული იყო, როცა სხვებიც, მისი თანდასწრებით, ,ესეთ მოსაზრებას გამოთქვამდნენ მათზე. მას სიამოვნებდა ჩვენს ეკლესიაში წირვაზე დასწრება და ხშირად დადიოდა, აღფრთოვანებული იყო მათი ყოფაქცევით, ცერემონიებითა და სასოებით შესრულებული წირვით. იგი იმდენად მოხიბლული იყო ღვთისმოსაობით, რომ ხშირად წარჩინებულ პირთა თანხლებით მოდიოდა ჩვენს სამყოფში და გაკვირვებული რჩებოდა პატრების მოწესეობით. ყველას ეუბნებოდა: „თუ ესენი აქ, დიდ სიღარიბესა და უცხოობაში მყოფნი, პატივსა სცემენ ღვთის კულტს, მაშ რაღა იქნება მათ სამშობლოშიო". საბოლოოდ ჩვენების სათნოებით განცვიფრებულმა, მტკიცედ გადწყვიტა თავისი შემოსავლიდან აეშენებინა ერთი ჰოსპიტალი ავადმყოფებისათვის, რომელსაც გადასცემდა პატრების მზრუნველობის ქვეშ. მაგრამ მძიმე ავადმყოფობამ შეიპყრო და 62 წლის ასაკში გარდაიცვალა 1639 წელს და მისი სიკვდილის შემდეგ მისიონერების ეს წმინდა რეზიდენცია დასტოვა უკიდურეს მწუხარებასა და შიშში.

დადიანმა, როდესაც თავისი მტერი სიმონ ხანი[1] დაამარცხა ბრძოლაში, ტყვედ ჩაიგდო, თვალები დასთხარა და გურიის სამთავროდან განდევნა, სიმონის ბიძა, გურიის მთავარი მალაქია, ამ მხარის მთავრად და პატრიარქად დაადგინა. როდესაც შეიტყო მისი გარდაცვალება, იმის გამო, რომ სამფლობელო არ დამეკარგოსო, სასწრაფოდ იქ გაჩნდა თავისი ჯარით, ისე რომ ვერავინ შეძლო მისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

ჯარის მძვინვარებისაგან თავი რომ დაეღწიათ, პატრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს სხვებთან ერთად ტყეში გაქცეულიყვნენ და გაფანტულ სახლებში თავი შეეფარებინათ, ეს გჯერვე-

[1] სიმონ გურიელი, ლევან დადიანის სიძე, მისი და ჰყავდა ცოლად.

ბაც აეტანათ სხვა ბევრ უბედურებასთან ერთად, რადგანაც იმ წელს მორგეთში (Morghet), სადაც მათი სახლი იდგა, გავრცელებულმა სენმა ღვთის მსახურებს დიდი ვნება მოუტანა. დადიანმა, შემოვიდა თუ არა ჯარით, დაიპყრო ეს მხარე და სხვათა სურვილის წინააღმდეგ მოითხოვა მთავრად ყოფილიყო მალაქიას ძმა, მისიონის უდიდესი მტერი, ვახტანგი (Vattàn). ჩააბარა თუ არა მას საგამგეოდ გურიის სამთავრო, ოდიშში დაბრუნდა და თან წაიღო გარდაცვლილი მთავრის დაახლოებით. ერთ მილიონად ღირებული მთელი ქონება.

მთავარმა ვახტანგმა, ხელთ იგდო რა დაშოშმინებული სამფლობელო, იწყო მისიონის დარბევა. მან ჩამოართვა არა მარტო ზოგიერთი ყმის ოჯახი, მიწები, არამედ მოისურვა საცხოვრებელი სახლის წართმევაც. ბავშვები და დანარჩენი ყველაფერი დაურიგა თავის ფავორიტებს (რჩეულებს). გარდა ამისა, იმსახურებდა ხოლმე პატრებს, რომელთაც უწოდებდა თავის მსახურებს (servi), იგი ძალდატანებით გზავნიდა მათ ყველგან, რათა მომსახურებოდნენ მის ავადმყოფებს და არ დაგიდევდათ იმას, რომ თვით პატრები ციებცხელებით იყვნენ დაავადებულნი, თანაც ემუქრებოდა, რომ შომავალში მათ უფრო სასტიკად მოეპყრობოდა. ვარაუდობდა, რომ ისინი ასე შევიწროვებულნი და სიმშილით დაოსებულნი იქნებოდნენ მრავალი წლის განმავლობაში, რადგან საფრანგეთიდან დახმარებას ვერ მიიღებდნენ და ოდიშშიც ვერ გაიქცეოდნენ, რაზედაც ისინი მართლაც ფიქრობდნენ. მთავარმა პატრებს მიუგზავნა თავისი მოხელენი (ministri) და უბრძანა ყველას დაეფიცა, კათოლიკური ჩვეულების შესაბამისად, ერთ ხატზე, რომ მის სამფლობელოდან არასდროს არსად არ წავიდოდნენ. პატრებსა და მორჩილ ძმებს ამის ჩადენა არ უნდოდათ არავითარ შემთხვევაში.

ეს მოხელენი მივარდნენ მორჩილ ძმას კლაუდიოსა და კისერზე აღმართული გაშიშვლებული ხანჯლით ემუქრებოდნენ, რომ თუ არ დაიფიცებდა, აქვე მოჰკლავდნენ. ამის გამო, უკიდურეს გაჭირვებამდე მისულმა ერთმა მორჩილმა ძმამ ყოყმანით და რუდუნებით, იმის შიშით, რომ ღვთის წინაშე ცოდვა არ ჩაედინა და გაწბილებული არ მომკვდარიყო — დასთანხმდა მიეცა ფიცი მათთვის. არ დასჯერდა რა ამას, ვახტანგმა მიუჩინა დარაჯები, რომელნიც თვალყურს ადევნებდნენ ყოველგვარ საეჭვო მოქმედებას, ისე რომ გაქცევა შეუძლებელი შეიქნა.

ამგვარად, საბრალო პატრები ყმებად დარჩნენ მძიმე მონობაში. გარდა ამისა, ერთ მორჩილ ძმას ოდიშში წასვლა მიენდო. ეს ამბავი გაიგეს მთავრის მსახურებმა და ამის გამო მას საჯაროდ

სცემეს. რადგან გაქცევა აღარ შეეძლოთ, ყველას აზრად მოუვიდა დიდ თავადს (barone grande), დადიანის სიძეს (ცოლის ძმას) მამორა თამელეიას (Mamorà Tameleia) მსახურებად დასდგომოდნენ. გაიგეს თუ არა ძმების გაჭირვება, ოდიშში მყოფ პატრებს შეებრალათ და მაშინვე გაეშურნენ დადიანთან, დიდის ვაივაგლახის შემდეგ მთავრისაგან მიიღეს წერილი, რომელშიაც ვახტანგს სთხოვდა ოდიშში გამოეგზავნა ღვთის მსახურნი, რომელთაც მის სამთავროში მეტი დარჩენა აღარ უნდოდათ, ნუ გადააქცევდა მონებად იმათ, ვინც ფრანკების სახელს ატარებდნენ და მის სამფლობელოს უსაზღვრო სარგებლობა მოუტანეს.

ამგვარად, დადიანმა გურიაში გააგზავნა ჩვენი პატრი ვიკარი (მოადგილე) ამ წერილით, მისცა ნავი და მეგზურიც გააყოლა, რომელსაც უკანვე უნდა წამოეყვანა ჩვენი მეგობრები. ის ჩავიდა გურიაში და წერილი გადასცა ვახტანგს. მთავარმა უპასუხა, რომ იგი დადიანს დააკმაყოფილებდა, ფრანკებს კი მისი ქვეყნის გარეთ წასვლის ნებას არ მისცემდა, რადგან ისინი ღმერთმა სამთავროსთან ერთად უწყალობა.

— ბატონო, — დასძინა პატრმა, — მართალია; უფალმა თქვენ სამთავრო მოგცათ, მაგრამ ფრანკები მონები კი არა, პაპის ქვეშევრდომნი არიან და იესო ქრისტეს მსახურნი; იესო ყველას პატრონია და უფრო ძლიერი, ვიდრე თქვენ თვითონ ბრძანდებითო.

ამაზე მთავარმა მიუგო, თითქოს ამით პატრებს შეაშინებდა და ხელს ააღებინებდა თავიანთ განზრახვაზე, რომ მათ ტიტვლებს გაუშვებდა თავისი სამთავროს გარეთ, მაგრამ ამის საპასუხოდ პატრებმა ყველას თანდასწრებით აქვე გაიძვრეს ფეხსაცმელები ფეხებიდან, მტვერი გაიბერტყეს და უთხრეს, რომ სახარებაში ქრისტეს მიერ მიცემული წესისამებრ მათ არ სურდათ თან წაეღოთ ამ ქვეყნიდან მტვერიც კი, რადგან ამდენი ხნის განმავლობაში ჭეშმარიტი სარწმუნოების მქადაგებელნი დიდად დამაშვრალნი და სარგებლობის მომტანნი უგულვებელჰყო და არ მოისურვა პატივი ეცა ჭეშმარიტ ღვთისმოსავთათვის. ამის შემდეგ სახლში დაბრუნდნენ თუ არა, მათ ბინას გარს შემოერტყნენ მთავრის რაზმის ჯარისკაცები, რომელთაც დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში დაჰყვეს აქ, რათა პატრები არსად გაპარულიყვნენ.

როდესაც დადიანმა ნახა, რომ პატრი მარტო დაბრუნდა და ამავე დროს მისგან არც ბარათი მოუტანა, ძალიან გაჯავრდა და აღშფოთებულმა მეორე წერილი მისწერა. ამჯერად გურიის მთავარი იძულებული შეიქმნა ქრისტეს სარწმუნოებისათვის მონებად ქცეული მისიონერები დადიანისათვის გაეგზავნა. დადიანმა ისინი

გადაყვანა ოდიშის ადგილსამყოფში, მორჩილ ძმა კლაუდის გარდა, რომელიც დღემდე იქ დარჩა თავისივე მიზეზით. მასაც მალე ვიხილავთ.

პატრების განშორებამ დიდი მწუხარება და სიბრალული გამოიწვია ყველა იმ ხალხში, რომელთაც გულწრფელად უყვარდათ ისინი. აღმოჩნდა, რომ ამ მხარეში მონათვლა არაკანონიერი წესით სრულდებოდა. ამიტომ მათ გადაწყვიტეს ბავშვების საიდუმლოდ მონათვლა. ეს ამბავი მაშინვე ვაცნობეთ გურიაში. პატრებმა ეს საქმე ერთ თვეში მოათავეს, მანამ, სანამ ეს რეზიდენცია აქ გადმოვიდოდა, და დრო აღარ დარჩათ მოენათლათ ოცდათერთმეტზე მეტი ბავშვი. მომავალში იმედი გვაქვს, ღვთის წყალობით, გავხსნათ რომელიმე სხვა რეზიდენცია ისეთ ადგილას, სადაც ხალხს სარგებლობას მოვუტანთ, თუკი ბარბაროსი მომავალში გზას არ გადაგვიღობავს, როდესაც გურიის სამთავროში კვლავ დავბრუნდებით იმ თანაგრძნობის გამო, რომელიც ამ ხალხს ჩვენდამი აქვს. დალოცვილი ღმერთი ყოველთვის სასტიკად სჯის ხოლმე კათოლიკური ეკლესიისა და მისიონის მტრებს. დროის უქონლობის გამო ბევრი შემთხვევა აღუწერელი გვრჩება.

მას შემდეგ, რაც ამ მთავარმა პატრების განსაკუთრებული დევნა დაიწყო, ღვთის რისხვა დაატყდა თავს. ერთხელ ცხენიდან გადმოვარდა, საკუთარ ხანჯალზე დაეგო და მუცელი გამოიფატრა. ერთი თვე იქნება, რაც მას სასტიკი შეთქმულება მოუწყეს. ინებოს უფალმა, რომ მომავალ წელს არ მოგვეწეროს მისი ტრაგედიის შესახებ. დასასრულს, ყველანი უღრმეს სალამს გიძღვნით, დიდად პატივცემულო მამაო, უმდაბლესად ვემთხვევით თქვენს ხელებს და გთხოვთ მოგვმადლოთ თქვენი წმინდა ლოცვა-კურთხევა.

ღვთის უმდაბლესი მსახური, რეგულარების მღვდელი.

**დონ ჯუზეპე ჯუდიჩე.**

ოდიში. სამეგრელო. 1640 წლის 20 სექტემბერი.

* * *

ძველად საქართველოს თვითმპყრობელი მეფე განაგებდა. მისი საცხოვრებელი და ადგილსამყოფელი იყო ამჟამად იმერეთად (Imereti) წოდებულ პროვინციაში ანუ ბაშიაჩუკში (Bayachuch), ქალაქ ქუთაისში (Cotatis). ეს ქალაქი დღესაც არსებობს, თუმცა ნაწილობრივ დანგრეულია. ამავე ქალაქში გადარჩენილია ეგრეთვე

უძველესი მეფის — სასახლე, რომელიც აშენებულია ფაზისის (Faso), ეგრეთწოდებულ მდინარე რიონის ნაპირზე. სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა (Levant Dadian) უკანასკნელ ომში, რომელიც მეფე ბაშიაჩუკს (Bassaciuch) ანუ ალექსანდრე მეფეს (Meppe) გაუმართა, ეს სასახლე ნაწილობრივ დაანგრია, მაგრამ ზემოხსენებულმა მეფე (Principe) ალექსანდრემ ის ხელახლად აღაშენა.

იმ დროს, როდესაც საქართველოს თავისი მკვიდრი მეფეები ჰყავდა, მისი საზღვრები აღმოსავლეთით აღწევდა თავრიზამდე (რომელიც ახლა სპარსეთის მეფის ხელშია), დასავლეთით არზრუმამდე (რომელიც ახლა თურქების ხელშია), ხოლო ჩრდილოეთით აფხაზეთამდის, რომლის მთაგორიან ადგილებში მეტად სასტიკი ხალხი ცხოვრობს. ქართველები ჩვენს წმინდა სარწმუნოებაზე მოქცეულან ქრისტეს წელთაღრიცხვიდან 327 წელს წმინდა სილვესტროს პაპობის მეთოთხმეტე წელს და იმპერატორ კონსტანტინეს მმართველობის ოცდამეორე წელს ერთი ქრისტიანი ტყვე ქალის მიერ, რომელსაც ქართველები წმინდა ნინოს (Zmida Nino) უწოდებენ, რაც წმინდა ქრისტიანეს (Christiana) ნიშნავს. კარდინალი ბარონიუსი (Baronio) შემდეგი სიტყვებით გვამცნობს ამ ამბავს:

„იბერიის ქრისტიანი ტყვე ქალი, სამაგალითო ღვთისმმოსავი და მკაცრი მოწესე, სახელგანთქმული სასწაულთმმქმედი ყოფილა, ერთ მეფე ბაკურს (Baccurio) აქვს ნათქვამი, რომ წმინდა ნინოს მათი ერისათვის ჭეშმარიტება შეუგნებინებია. მისი ღვაწლი ყოფილა ის, რომ [ქართველებს] კონსტანტინე იმპერატორთან წარმომადგენლები გაუგზავნიათ თხოვნით, რომ მას იბერიაში მღვდლები გამოეგზავნა. კონსტანტინე იმპერატორს ეს თხოვნა დაუკმაყოფილებია. რეფინუსი (წიგ. I, თავი 10) ამ ფაქტს ადასტურებს. მას ეს ამბავი იერუსალიმში თვით მეფე ბაკურისაგან მოუსმენია. ბაკური იერუსალიმში კონსტანტინეპოლიდან ჩამოსულა და იქ სამეფო სახლის მოურავად უმსახურიაო, ამბობს ბარონიუსი.

დროთა განმავლობაში ერთ მეფეს, რომელსაც ოთხი ვაჟიშვილი ჰყოლია, სიცოცხლეშივე თავისი სამფლობელო ოთხ ნაწილად დაუყვია: ერთი ეგრეთ წოდებული ქართლის (Cartalo) პროვინციის ერისთავად (Aristaf) ანუ მარკიზად დაუდგენია, მეორე — კახეთის — (Cacheto) პროვინციის ერისთავად, მესამე — გურიის (Goriel) პროვინციის ერისთავად და მეოთხე — სამეგრელოს ერისთავად.

რამდენიმე ხანს ერისთავები (Marchese) თავიანთი მეფე ბაში-

აჩუკის მორჩილნი და გამგონნი ყოფილან, მაგრამ შემდეგ მას განდგომიან. ყოველ მათგანს დამოუკიდებელი ცხოვრება დაუწყია, როგორც უფლებაშეუზღუდველ მთავარს. დღეს კი ლევან დადიანად წოდებული სამეგრელოს მთავარი ყველაზე ძლიერია. მან დაიმორჩილა და მოხარკედ გაიხადა მეფე ბაში-აჩუკი, მთავარი გურიელი, სამეგრელოს მეოთხე ერისთავი და აფხაზეთის ერთი მთავარი. სიმონ გურიელი, მიუხედავად იმისა, რომ მისი ნ:თესავი[1] იყო, ბრძოლაში დაატყვევა, სამეფო მისი მიიტაცა, თვალები დასთხარა და ამ მთავრის მეუღლე, დადიანის და[2], ძალად შერთო (ოლად ქრისტიან როსტომ ხანს, შემდეგ გამ:ჰმადიანებულს, რომელიც მორჩილობს სპარსეთის ხელმწიფეს.

საქართველოს უამრავი ომებისაგან გამოწვეული უბედურება განმეორდა. ახლა ჩვენს დროში, დაახლოებით 30 წელი იქნება, რაც სპარსეთის ხელმწიფემ შაჰ-აბასმა განსაკუთრებით გაანადგურა ქართლ-კახეთი. მან მთელი კახეთის მკვიდრნი აჰყარა და სპარსეთის პროვინცია ფერაბადში (Ferrabat) გადაასახლა. ამ უკანასკნელ წელს ხელახლად აუჯანყდა სპარსეთის შაჰს ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზი დაუდ ხან[3] (Daut Can) განჯელთან (ეს ქა-

---

[1] ლევან დადიანის სიძე, მისი დის მარიამის ქმარი.

[2] მარიამი.

[3] დაუდ-ხანის პორტრეტი გამოქვეყნებულია კრებულ „Georgica"-ში 1937 წ., № 1—5. ზურაბ ავალიშვილი თავის გამოკვლევაში აღნიშნავს, რომ პორტრეტის ორიგინალი ინახება პალერმოს „Biblioteca Communale"-ში. ის სურათი ქრისტეფორო კასტელის ნახატს წარმოადგენს. პორტრეტს აქვს წარწერები. — ბერძნულად: „განჯის ბეგლარ-ბეგი" და იტალიურად: „დაუდ-ხან სპარსელი". კელავ შემდეგი წარწერა: 1. დაუდ-ხანი, შირაზის ხანის ძმა, ჩვენი პატრების კეთილისმყოფელი და მწყალობელი საქართველოს სამეფოში. 2. დაუდ დოკა ანუ ხანი განჯისა, იბერიის სამეფოს პროვინციისა, ძმა მამული-ხანისა — შირაზელის. სპარსეთის პროვინციისა, რომელიც სპარსეთის მეფემ მოკლა. იმის შიშით, რომ დაუდ ხანიც არ მოიკლა სპარსეთის მეფეს, იგი თურქეთში გაიქცა. გზად მიმავალმა სახლში გვინახულა და ჩვენს პატრებთან ისაუბრა". საქართველოში მისიონერად ყოფნის დროს კასტელიმ მისი სურათი დახატა დაახლოებით 1633 წელს.

დაუდ-ხანს, იმამ-ყული-მამული ხანის ძმას, შაჰ-აბასის მთავარსარდლის, ალავერდი-ხანის შვილს, მაღალი თანამდებობა ეკავა მისი ძმის სამფლობელოში. მისი სახელი, ისევე როგორც მისი ძმის, იმამული-ხანის, ნახევარი საუკუნის განვლის შემდეგაც არ წაშლილიყო სამხრეთ სპარსეთში. 1674 წელს შარდენი იხსენიებს დაუდ-ხანის ბაზარს და ქარვასლას ან 200-ოთახიან სასახლეს, განკუთვნილს ინდოელ ვაჭართა მოსასვენებლად. ეს დაუდ-ხანის განკარგულებით იყო აშენებული, ცნობილი იმამ-ყული ხანის ძმისაო. ისპაანიდან ბენდერაბასში მიმავალმა შარდენმა გაიარა ამნაბადის სოფელზე, რაც ეტიმოლოგიურად შემდეგსა ნიშნავს: საკაშირო, მუუდრო სადგური. ასე ეწოდება, თანახმად შარდენისა, სიმაგრის მსგავს ნაგებობას, რომელიც აგრეთვე დაუდ-ხანის მიერაა აგებული. ეს

ლაქი სპარსეთის მხარესაა) ერთად. ამის გამო სპარსეთის უძლიერესმა ჯარმა ხელმეორედ გაანადგურა კახეთი, თუმცა ქართლს იმდენი ზიანი არ მოსვლია, რადგან როსტომ ხანმ (Rostoan Can) იცავდა იმ პროვინციას, რომელიც მას ეკუთვნოდა, როგორც ტახტის მემკვიდრეს. სპარსეთის მეფემ ეს პროვინცია მას დაუთმო ხელშეკრულების იმ მუხლით, რომლითაც მას უნდა ეცნო მისი სუვერენობა და შაჰის სამფლობელოს ვასალურ დამოკიდებულებაში დარჩენილიყო.

რაც შეეხება სამეგრელოს მთავარს, იგი დღეს ყველა სხვა მთავარზე უძლიერესია. მან ომში ყველას სძლია და დაიმორჩილა. ამ მთავართა მტრობის გამომწვევი მიზეზი ის იყო, რომ დადიანის მოსაკლავად მოაწყვეს შეთქმულება, რათა მთავრად აერჩიათ დადიანის უმცროსი ძმა იოსები (Giosefo). ისინი შეთანხმდნენ. ერთ საღამოს, როდესაც დადიანი ვახშმობდა, შუბით დასჭრეს. ეგონათ მოჰკლეს, და ბოროტმოქმედებმა სხვადასხვა მხარეს შეაფარეს თავი. დაჭრილი მთავარი განიკურნა და ნელ-ნელა ყველა მთავარი გაანადგურა. აფხაზეთის მთავარზე მეტადაა გაჯავრებული,

---

ადგილი დაუდ-ხანის თანამედროვის ჰემბერტის მიერაცაა აღწერილი, რომელიც იქ იყო 1627 წელს. იმ ხანებში იქ ცხოვრობდა ორმოცი ოჯახი, რომელთა უმეტესობა მაჰმადიანი ქართველობა იყო. ეს სოფელი ირგვლივ გალავნით იყო შემოვლებული და ციხე-სიმაგრეს ემსგავსებოდა. ეს იყო დაუდ-ხანის რეზიდენცია.

სპარსელთა წინააღმდეგ დიდი აჯანყების დროს, 1625 წელს, დაუდ-ხანს მაღალი თანამდებობა ეკავა საქართველოს მეზობლად. მისი პოზიცია ამ პერიოდში შაჰისადმი ერთგულების მაჩვენებელი არ იყო. იგი აშკარად ეხმარებოდა გიორგი საკაძეს.

დაუდ-ხანის ვინაობის დამადასტურებელი ცნობა მოეპოვება არჩილ მეფეს, როდესაც იგი თეიმურაზს ათქმევინებს (იხ. 523, 1 — 2) — „დაუდ-ხანი განჯაში იჯდა, ვით ბეგლარ-ბეგი, იგი იქიდან დაიძრა და მე მხარში ამომიდგაო". აქედან ნათელია, რომ მისი გვარი უნდილაძეა. ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს რა დაუდ-ხანის ორგულობასა და სპარსელთა მიმართ მის ცბიერებაზე, გადაწყვეტით აღნიშნავს, რომ იგი შირაზის ბატონის, იმამ-ყული-ხანის, ძმა არის. აქ არ შეიძლება ეჭვი იქონიოს მკვლევარმა, რომ დაუდ-ხან უნდილაძე და შირაზის ბატონი, იმამ-ყული-ხანის ძმა, ერთი და იგივე პირია.

დაუდ-ხანმა ივრის ნაპირზე დააყენა ყაჯარი ნომადების ჯარი, რომელიც არჩილის სიტყვებით „კახელებს მისცა გასანადგურებლად, გასაწყვეტად".

ასეთი აქტით დაუდ-ხან უნდილაძემ შური იძია მათზე, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოსა და, განსაკუთრებით კახეთის უმაგალითო აოხრებაში, ჯავრი იყარა სპარსელებზე, რომელთაც ქართველი მოსახლეობა გაანადგურეს.

რადგან აფხაზეთის მთავრის ქალი[1] ჰყავდა ცოლად, მან კი ულალატა[2]. ამისათვის მას ცხვირი, ყურები და ენის წვერი მოსჭრა და თავის სამშობლოში გააგდო (ამ სასჯელს მიმართავენ ხოლმე, როდესაც ცოლი ქმრის ერთგულებას არ იცავს), მისი საყვარელი[3] კი ქვემეხში შეაგდო და ჰაერში ააფეთქა. პირველი ცოლისაგან ორი ვაჟი დარჩა. ცოლად შეირთო თავისი ძალუა, მკვიდრი ბიძის მეუღლე[4]. ჯერ ისევ ცოცხალ ბიძას[5] ლიპარტიანს (Lipardian) ცოლი ძალად წაართვა და მასთან იქორწინა. ამ ქალმა, როდესაც ნახა, რომ დადიანს პირველი ცოლისაგან ორი ვაჟი დარჩენოდა, მათ საწამლავი დაალევინა და ორ დღეში ორივე წუთისოფელს გამოასალმა. ეს იმისათვის ჩაიდინა, რომ თავის შვილებს მემკვიდრეობა დარჩენოდათ.

დადიანს მეორე ცოლისაგან ორი ვაჟი შეეძინა: პირმშოს ალექსანდრე ჰქვია, მომდევნოს კი მანუჩარი (Manuchiar). შემდეგ მიეცა ორი ქალი: პირველი დაიბადა კუტი, რომელიც ჩვენმა პატრებმა თითქმის სასწაულებრივი ძალით განკურნეს. მის შესახებ აქვე ვიტყვით: მას გულ (Gul) დადიანი ერქვა, რაც ვარდს ნიშნავს. იგი ახლახან გარდაიცვალა. მეორეს ზივაკანი (Zivakan) ჰქვია, ანუ ბატონიშვილი ქალწული დადიანი. ეს ქალიშვილი ცოლად შეჰპირდა მთავარ გურიელს. მაგრამ ამ ბოლო ხანს ხმა დირხა, რომ მთავარი გურიელისადმი შეპირებულ ქალიშვილს მეფე ბაშიაჩუკის უმრწემეს ვაჟზე[6] ათხოვებსო, რომელსაც მსგავსივე მიზე-

---

[1] აფხაზეთის მთავრის შარაშია აბეძანის (Siarassia Abedsan) ქალიშვილი დარუნდია (Darundia).

[2] ავტორის მიერ აღწერილ ამ ფაქტს აღნიშნავს როგორც ლამბერტი, ასევე ავტორი უცნობი და გამოუქვეყნებელი რელაციისა დონ პიეტრო ავიტაბილე, რომ ლევან დადიანმა თავის მეუღლის ერთგულებაში ეჭვი შეიტანა და ამის გამო იგი სასტიკად დასაჯა, ამ მოტივის ავიტაბილეს არა სჯერა. სინამდვილესთან უფრო ახლო იქნებოდა გვეფიქრა, რომ ლევან დადიანის უზნეო ტრფიალი ძალუა ნესტანდარეჯანისადმი საკმაო საბაბი უნდა ყოფილიყო თავისი მეუღლისათვის ცილის დაწამებისა, მისი თავიდან მოშორების მიზნით. ამ საქმეში, ალბათ, თვით ჭილაძის ქალი ნესტანდარეჯანიც დაეხმარებოდა, ოღონდაც დადიანის ცოლი გამხდარიყო.

[3] ლამბერტის აღწერით დადიანის ვეზირს პაპუნა (Paponia) რქმევია.

[4] ჭილაძის ქალი ნესტანდარეჯანი (იხ. ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა").

[5] ლევან დადიანის ბიძა გიორგი ლიპარტიანი.

[6] იმერეთის მეფე გიორგის სამი ვაჟი ჰყოლია: ალექსანდრე, რომელზედაც ჩვენი ავტორი ლაპარაკობს, მამუკა და ბერი (იხ. ვახუშტი, ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 302).

ზით თავისივე კანონიერი მეუღლე მრუშობისათვის დაუთხოვია[1] და მხოლოდ ეს ვაჟი დარჩენია. მეორე ცოლად შეურთავს კახეთის მეფის თეიმურაზის (Faimuvar Can) ქალიშვილი[2], მაგრამ ამ მეორე ცოლისაგან შვილები არა ჰყოლია. დადიანმა იცოდა, რომ ოდესმე ორ ძმას შორის განხეთქილება მოხდებოდა მმართველობისა და ქონების საკითხში, განსაკუთრებით როდესაც მისდა საუბედუროდ თავისი ღვიძლი ძმის წარმატებას ხედავდა. იმ მიზნით, რომ თავის შვილებს, ალექსანდრესა და მანუჩარს, შორის განხეთქილება არ მომხდარიყო, უმცროსს გამოუყო ორასი ოჯახი რაია (Raia), ანუ ყმა, მაგრამ კარგი ხალხი უბრალო და მდაბიო, ვინც მის შვილებზე იზრუნებდა. ისინი დააფიცა, რომ არასდროს არ ჩაერევიან ხსენებულ ძმათა შორის წამოჭრილ რაიმე დავაში. არ ვიცი როგორ მოევლება ამ საქმეს, რადგან უმცროსი მეტად ჭკვიანია, მაშინ როცა უფროსი ასეთი არ არის. ჩემი ყურით მოვისმინე, რომ განზრახვა ჰქონიათ ამ უმცროსის გამეფებისა, უფალო, შენი სიკეთით ყველას ხელი მოუმართე. მინდა ზოგი რამ ვთქვა განსაკუთრებით სამეგრელოზე.

სამეგრელო პონტოს მცირე ნაწილია, რომელსაც ერთი მხრიდან აფხაზეთი საზღვრავს, მეორე მხრიდან კი შავი ზღვა, პონტო კუშინოდ (ponto cuscino)[3] წოდებული. დანარჩენ ორ მხარეს გურია და იმერეთი აკრავს. ამ მხარის გარე მოხაზულობა ოთხასი მილია, უმთავრესად მთაგორიანია, ხშირი ტყითა და უხვი მდინარეებით დასერილი, ამითგან ყველაზე შესანიშნავია ფაზისი (Fasso), მას ქართულ ენაზე რიონი (Rione) ეწოდება. იგი მოედინება კავკასიონის მთის კალთიდან. გარემო მიდამოსთან შედარებით რიონის ხეობის ადგილმდებარეობა ვაკეა, რის გამოც განსაკუთრებით წყალუხვია, ზომიერი ჰავაა, თუმცა განუწყვეტელი წვიმების გამო ჰავა მეტად ნესტიანია. ეს იწვევს უამრავ დაავადებას. სამეგრელოს ქალაქი არ გააჩნია. აქაა მხოლოდ ერთი სასახლე, რომელიც

---

1 ამ ფაქტს ვახუშტი ბატონიშვილიც ადასტურებს, იგი ამბობს, რომ იმერეთის მეფე გიორგიმ თავის შვილს ალექსანდრეს საცოლედ მამია გურიელის ქალი მოუყვანა, რომლისაგან მიეცა შვილი ბაგრატი, ორი წლის შემდეგ ალექსანდრემ მის მეუღლეს ღალატი დასწამა და თავისი ცოლშვილი სიმამრს უკან მიპგვარაო (იხ. ვახუშტი. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 303).

2 თეიმურაზ მეფემ თავისი ასული დარეჯანი, ზურაბ ერისთავის ნაქვრიეალი, გიორგი მეფის შვილს ალექსანდრეს მიათხოვა," (ვახუშტი, გვ. 304).

3 „Ponto Cuscino" იტალიურად ნიშნავს „ბალიშს", რაც პონტოსთან არაფერ შუაშია; ალბათ, უნდა ყოფილიყო „პონტო ევქსინო", რაც, მართლაც, შავი ზღვის ბერძნული სახელია.

დღევანდელი მთავრის ლევან დადიანის მიერაა აშენებული. ვინაიდან სასახლეს კარგი საძირკველი არ ჰქონდა, ამიტომ ნაწილობრივ ჩამოინგრა. ამ მხარის ხალხი ძალიან გაფანტულად ცხოვრობს ხის სახლებში, ფიცარი ფიცარშია ჩასმული ულურსმოდ და ისლითაა დახურული.

მდიდარი საძოვარი უზრუნველყოფს საკვებით მთელი წლის განმავლობაში მსხვილფეხა საქონლის ჯოგს, უპირატესად ცხენებს, რომლებიც ისეა მომრავლებული, რომ ცხვრის ფარასავით სძოვენ და მხოლოდ ბალახით იკვებებიან. როდესაც ეს მხარე თოვლით იფარება, თითქმის ყველა პირუტყვი მინდვრადაა გაშვებული და ხის ქერქით ირჩენს თავს. ცხენთა ერთ ნაწილს წინა ფეხები დაბორკილი აქვს ომიანობისა და ნადირობის შემთხვევისათვის.

სამეგრელო სავსეა ყოველნაირი ჯიშის ნადირით, განსაკუთრებით შვლით და ხოხბით. აქ არის აგრეთვე მრავალი ყარყატი, წავი, დათვი, ვეფხვი და ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი ჯიშის მხეცი და ფრინველი. ნიადაგი იძლევა ყოველი სახის ბოსტნეულსა და ხილს, რომელთაც ჭაობიანი ადგილი უყვარს, როგორიცაა ბრინჯი, ღომი, ფეტვი, პარკი ლობიო. სხვა დანარჩენი მარცვლეული მეტად მცირეა. აქ ხარობს სხვადასხვა ჯიშის კიტრი, განსაკუთრებით ნესვი, რომელიც მეტად დიდი ზომის იზრდება, ღვინო ბევრი მოდის. ხილი უხვადაა, მაგრამ უგემურია. საზრდოს სიმცირის გამო უმწიფარსა ჭამენ. სამეგრელოს მდინარეებში უგემრიელეს თევზს ზუთხს იჭერენ.

სამეგრელოში მთავარი ინიშნება მემკვიდრეობით. იგი ყოველთვის დადიანად იწოდება, რომელიც ამავე დროს გვარიცაა. ხონთქარს (turco) ხარკის სახით ყოველწლიურად უგზავნის ქალ-ვაჟებს, მიმინოებსა და სხვ. ამას შიშის გამო კი არ სჩადის, არამედ უფრო იმიტომ, რომ უზრუნველყოფილი იყოს და თავის სამთავროს უცვლელი ძველი კანონებით განაგებდეს. ორ-სამ წელიწადში ერთხელ სპარსეთის ხელმწიფის კარზე დიდ ელჩიონს გზავნის ხოლმე საჩუქრებით. ელჩიონი შედგება საპატიო და თანამდებობის პირთაგან. ამგვარად იგი მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობაშია მასთან. სამაგიეროდ სპარსული თავაზიანობით საჩუქრებსა და წერილებს ღებულობს.

მეზობელ მთავრებთან შედარებით ყველაზე უფრო ძლიერია. მის გამგებლობაშია 150 თავადი (baroni), რომლებიც მთავარს დესპოტური ბატონობის ქვეშ ჰყავს, 8000 კომლი ყმადნაფიცი, რომელთაც ისე ეპყრობა, როგორც მონებს. საომრად გამოჰყავს

35 ათასი ქვეითი და 15 ათასი ცხენოსანი. ზემოხსენებული სამი მთავარი, რომელთა შორის ერთი იმერელია, მეორე გურული, ხოლო მესამე აფხაზი, მოვალენი არიან ომის დროს დაეხმარონ. ჯარს ხანგრძლივად უმოქმედობა — დაახლოებით ერთ თვეზე მეტ ხანს — არ შეუძლია, რადგან საზრდო არ ეყოფა, ამიტომ ყოველი მათგანი მოვალეა საჭირო საკვები თან წამოიღოს.

სამეგრელოს მთავარს თავის საცხოვრებლად, სხვა ნაგებობათა გარდა, ერთი დიდი ქვის შენობა აქვს. მთელ სამფლობელოში გაფანტული აქვს ხისაგან ნაშენი 15 მოზრდილი საფრინველე, ამდენივე მამული, რომლებსაც მთელი წლის განმავლობაში ესტუმრება ხოლმე ჩვეულებრივი ამალით სამასი კაცით. ერთში ოთხ დღეს დაჰყოფს, მეორეში — ექვსს. არასოდეს ერთ ადგილას ამაზე მეტ ხანს არ ჩერდება. ამისათვის თავის ბარგს ქვეითად მოსიარულეთ აზიდვინებს, არა იმის გამო, რომ ცხენები არ გააჩნია (მას ოთხი ათასზე მეტი ცხენი ჰყავს), არამედ იმიტომ, რომ ამ მხარის ჩვეულებაა დატვირთულებმა შიშვლად ტალახში იარონ, მთებზე ავიდნენ, მდინარეები გადალახონ; წყლის ჩქარმა დინებამ რომ არ გაიტაცოს, ამისათვის ხელიხელჩავლებულები ეხმარებიან ერთმანეთს წყლის გადალახვის დროს.

მთავართან ერთად დედოფალიც მოგზაურობს. მას თავისი სეფე-ქალები ახლავან ცხენით, რომელზედაც მიმაგრებულია ჩექმიანი უზანგები. თან ახლავს მომღერალ-მუსიკოსთა გუნდი. ქალები ცხენებს მეომრებივით დააჭენებენ. მამაკაცები და სხვა მსახურნი ქვეითად დადიან, ვინაიდან სამეგრელოს ჩვეულებით ქალებმა, ამორძალების მსგავსად, ცხენებით უნდა იჯირითონ და წავიდნენ იქ, სადაც მათ მოესურვებათ.

მთავარსა და მის ამალას სურსათ-სანოვაგეს ჩვეულებრივად მისი ყმები აძლევენ თავისი მეურნეობიდან, უმთავრესად კი — ნანადირევიდან. ამის გამო იგი არასოდეს არავითარ სანოვაგეზე არ ზრუნავს და ყოველთვის უდარდელად ცხოვრობს, ტანსაცმელსაც აგრეთვე იმავე ყმებისაგან ღებულობს. არც ერთსა და არც მეორეში ფული არ ეხარჯება, ამის გამო იგი მდიდარია ოქრო-ვერცხლით. როგორც თავადები მემკვიდრენი ხდებიან თავიანთი ყმების ქონებისა, როდესაც ისინი (მამრობითი სქესი) უმემკვიდრეოდ გარდავლენ ხოლმე, თუნდაც მემკვიდრედ ქალი დარჩეთ, ისე მთავარიც ეუფლება თავადის ქონებას, როდესაც უკანასკნელი უმემკვიდროდ რჩება, თუმცა ქონების უმცირეს ნაწილს მემკვიდრე ქალს მაინც მიაკუთვნებს ხოლმე. მთავრის სუფრას ჩვეულებრივად თავისი კარის დიდი ნაწილი ესწრება. მის

ახლოს დაალაგებენ ხოლმე რვა-ათნაირ ტლანქად შენელებულ საჭმელს, ხოლო დანარჩენთა წინ, ჩვეულებრივად, მხოლოდ ერთნაირ, ასე ვთქვათ, ერთი პატარა ხორცის ნაჭერს, უმარილო წყალში მოხარშულს, და პურის მაგიერ ღომს.

ამალის წევრები ქამარზე ატარებენ პატარა ქისას, სადაც მარილი აქვთ შენახული, რომ ჭამის დროს იხმარონ ხოლმე. მთავარს ჩვეულებად აქვს ყველა იმ საჭმელიდან, რომელიც მის წინ აწყვია, გაუგზავნოს სუფრაზე მყოფ თავის ყველაზე დიდ რჩეულებს და იქ არ მყოფთ ერთი პატარა ნაჭერი ხორცი, ზოგს კი ორი. როდესაც მის სუფრას დავსწრებივართ, ბევრჯერ ჩვენი პატრებისთვისაც გამოუგზავნია პურის ნარჩენები; პური სამეგრელოში მხოლოდ მთავრისა ან ზოგიერთი თავადის ოჯახებში იშოვება. მან იცოდა, რომ ეს საჭმელი ჩვენ მეტად გვესიამოვნება, ზოგჯერ თევზის ფხას, ნესვის ქერქებს და უხორცო ძვლებს გვიგზავნის ხოლმე. ასეთი ძღვენი დიდ წყალობად არის მიჩნეული... ამ ქვეყნის ყველა თავადიც ასევე იქცევა. ამ მიზეზითაა, რომ სამეგრელოში ხშირად ნახავთ დამშეულ, გაძვალტყავებულ ძაღლებს.

როდესაც მთავარს სურს რომელიმე უცხო პირს უჩვენოს თავისი განთქმული ნადიმი, მაშინ თავისთან იხმობს ყველა თავადს, რომელთაც ეკისრებათ სუფრის მომსახურება მათი თანამდებობის კვალობაზე. ასეთი თანამდებობა კი, როგორც ტიტული, მათ გვარეულობას აქვს მიკუთვნებული. ეს გავრცელებული ჩვეულება როგორც ამ ნადიმზე, ისე სამეგრელოს სხვა ადგილებში შემდეგია: ლხინს აწყობენ დიდ დარბაზში, რომლის შუაში მარანის მსგავსად გამზადებულია ღვინით სავსე მრავალი დიდი კასრი და ქვევრი, რადგან ღვინის სიუხვეზეა დამოკიდებული წვეულების ბრწყინვალება. აგრეთვე დაუჭრელი ღორები და მსხვილად დაჭრილი ძროხის ხორცი. ხორცეული მეტად დიდი ზომის ქვაბებშია უმარილოდ მოხარშული და სანახევროდ შემწვარი. დიდი ეფექტის გამომხატველად მიჩნეულია ის, თუ რაოდენად დიდია ქვაბი, რომელიც მათ მოეპოვებათ. ასე, მაგალითად, მთავარს სხვა ქვაბებს გარდა, ორი იმდენად დიდი ქვაბი აქვს, რომ თითოეულში 30 ძროხა იხარშება.

ლხინი დილიდან მომდევნო დილამდე გრძელდება. ამ დროის განმავლობაში ჭამენ, სვამენ, მღერიან და მსჯელობენ სალაღობო გართობაზე. ლხინი სამ სუფრადაა გაყოფილი. ყოველი სუფრის ბოლოში ყველაზე საპატიო სამი პირი ფეხზე დგება, სუფრას განშორდება და დარბაზის შუაზე დადგება. მათ ხელში უჭირავთ ღვინით სავსე მეტად მოზრდილი სამი თასი. ისინი ნელნელა იწყე-

ბენ სმას და მხიარულ სიტყვებს წარმოსთქვამენ. ლხინში ყველა მონაწილე ან ერთი ნაწილი რიგრიგობით მღერიან. პირველი სამი გაათავებს თუ არა სმას, მიდიან და მეორე სამის წინ ცალ მუხლს იყრიან. ასეთი თავაზიანობის საპასუხოდ ეს სამი ფეხზე დგება, მათ ეხვევა და ჰკოცნის, მერმე თავის ადგილს უბრუნდებიან და ნელ-ნელა სმას განაგრძობენ. პირველი სამი თავის ადგილზე ჯდება, რომ მეორე სამმა იგივე შეასრულოს. მეორე სამეული მსგავსი ცერემონიით ახლა სხვებს გამოიხმობს და, ამგვარად, გრძელდება ბოლომდე. ეს ცერემონია სრულდება ზომიერი სიმღერით, რომლის დასასრულს თავდება პირველი ნაწილი. მსგავსადვე იქცევიან მეორე და მესამე წყების დასრულების შემდეგაც. ვინც პირველად ფეხზე დგება, რამდენიმე ხანი რომ გავა ერთ წყებასა და მეორეს შორის, მათ წილად ხვდება დასაწყისი მისცეს პირველს, მეორესა და მესამე წყებას. დიდ ბატონთა ნადიმებზე მეორე წყებაში ტანისამოსს იცვლიან, რაც სიდიადის მაჩვენებლადაა მიჩნეული. ნადიმის დასასრულს რიგი ხვდება დამსწრეთა შორის ყველაზე საპატიო პირებს.

ჩვეულებრივი ვარჯიშობანი როგორც მთავრის, ისევე ამ ქვეყნის მცხოვრებთათვის, ნადირობაა. არაფერი ისე არ სიამოვნებს მათ, როგორც ეს გართობა. ძალიან გაწვრთნილი არიან ისრის ტყორცნასა და შუბის ხმარებაში. ნადირობისას ამ იარაღს იყენებენ, თოფს არ ხმარობენ. სანადიროდ მრავალი სხვადასხვა ჯიშის ძაღლი მიჰყავთ და მიაქვთ დაფდაფიც, რომ ხშირი ტყიდან ნადირი გამორეკონ, თვითონ კი მეტად ფეხმარდი ცხენებით უკან მისდევენ, ორმაგ, ე. ი. ორწვეტიან, ორლესულ ისარს ტყორცნიან, რომლითაც ნადირს ხშირად ფეხებს სჭრიან. როგორც ამბობენ, ასეთი ნადირობა იმდენად სახიფათოა, რომ, სამწუხაროდ მრავალი დახოცილა და დაჭრილა (ასეთი ბედი ეწია მთავრის მამას). მონადირეთა სიმრავლის გამო სროლის დროს ნადირის ნაცვლად ისარი ადამიანებს ხვდება ხოლმე. თუმცა სანადიროდ მრავალი ძაღლი მიჰყავთ, მაგრამ ყოველთვის დაბმული ჰყავთ იმის გამო, რომ მხეცები არ დაგლიჯონ, რადგან მათ სიამოვნებას გვრის ხოცვა ცხენდაცხენ.

ქურდები სასამართლოს მიერ ისჯებიან. დამნაშავეს ქონებას ჩამოართმევენ, ცალი ხელით ხეზე ჩამოჰკიდებენ, ხელ-ფეხს მოსჭრიან. მიუტევებელი ბოროტმოქმედების ჩადენისათვის, რომელიც სიკვდილით უნდა დაისაჯოს, თვალებს თხრიან, ვინაიდან სიკვდილით დასჯა ცოდვად ითვლება. გამონაკლისს წარმოადგენს ეკლესიის გაქურდვა, რის გამოც ყველას სასიკვდილო განაჩენს გამოუტანენ ხოლმე.

მთავარი მრჩეველ ვაზირებთან ერთად განაგებს მართლმსაჯულების საქმეს მთელ თავის სამთავროში, ასევე თავადები თავიანთ სათავადოებში ყმების სამართალს აწესრიგებენ და სიკვდილით დასჯის უფლება აქვთ.

სამეგრელოში ყველა ყმა, მთავრისაა იგი თუ თავადისა, შეუძლიათ გაყიდონ. მართლაც, ყოველ წელს მრავალრიცხოვან ქალსა და კაცს თურქებზე ჰყიდიან... თუმცა მონებით, ტყვეებით ვაჭრობა ცოდვად მიაჩნიათ, მაგრამ თითქმის ყველა იღებს მონაწილეობას ამ ვაჭრობაში, რომლის მეშვეობითაც ტანსაცმელს, მოვერცხლილ იარაღს და სხვა საჭირო ნივთებს იძენენ ოჯახისათვის.

სამეგრელოში არ არის არც ქალაქი და არც მჭიდროდ დასახლებული ადგილსამყოფელი, რასაკვირველია, არა აქვთ ბაზარიც... სავაჭროდ ფულს არა ხმარობენ, არამედ სყიდვა-გაყიდვისათვის საქონლის გაცვლა-გამოცვლა წარმოებს... თავადები მთელი წლის საჭირო სანოვაგეს იმარაგებენ თავიანთი ყმებისაგან. ერთი თხა რვა ან ათ დედლად (ქათამი) იყიდება: ერთი ჭედილა — ორ თხად, ერთი ძროხა — ორ ჭედილად, ერთი ცხენი — ორ ან სამ ძროხად. თურქ ვაჭრებსაც მოაქვთ და მონებზე ცვლიან ფულის საფასურში, შემოაქვთ აბრეშუმის დრაპი (ქსოვილი), მატყლი, რკინა, მარილი, ბრინჯაო და ტყვეებზე ცვლიან. ვაჭრობა წელიწადში რვა ან ათჯერ ეწყობა. დანიშნულ დროს ცალკე გამოყოფილ ადგილას ხალხი თავს იყრის სავაჭროდ, რაც ორი-სამი დღე გრძელდება.

როდესაც თავადთა შორის თავს იჩენს უკმაყოფილება და განხეთქილება, საქმე იარაღითა წყდება. ერთმანეთის წინააღმდეგ საკუთარი ყმები გამოჰყავთ. ორივე მხარე ნადგურდება და ზარალდება, ვენახებს ჭკაფავენ, ისლით დახურულსა და ხის სახლებს წვავენ. სკდება დიდი ქვევრები, რომლებიც ცისტერნებივით მიწაშია ჩაფლული ღვინის შესანახად. ბრძოლის მიზანია გაგოარკვიოს ის, თუ ვინ უფრო ძლიერია. მთავარი ხელს არ გამოიღებს მანამ, სანამ საჩივრით არ მივლენ მასთან.

სხვა ცრურწმენათა გარდა, შემდეგ ჩვეულებასაც აქვს ადგილი: როდესაც ვინმე დაავადდება, სნეულის თავის ირგვლივ სამგზის შემოატარებენ ჭედილას, მერე ცხოველს რამდენიმე ადგილას მატყლს შეუტრუსავენ, ზოგიერთი ლოცვის წარმოთქმის შემდეგ დაჰკლავენ და, ამგვარად, ავადმყოფისათვის საღმთოს სწირავენ. მეორე შემთხვევაში ასევე იქცევიან ხარის მიმართაც. მხოლოდ მას კი არ კლავენ, არამედ ცალ ყურს აჭრიან, შემდეგ ავადმყოფის თავზე ამ მოჭრილ ყურს შემოატარებენ. სხვა შემთხვევაში ხარს სახლის ირგვლივ შემოატარებენ ხოლმე. შემდეგ

მღვდელს ეკითხებიან, რა მოელის ავადმყოფს და ღმერთმა რა მიზეზით მოუვლინა მას ავადმყოფობა. მღვდელი ბედსა ცდის წიგნის მიხედვით და მათ სხვადასხვა პასუხს აძლევს. უმეტეს შემთხვევაში ეუბნება, რომ cate, რომელსაც ჩვენ ხატებს ვუწოდებთ, ავადმყოფზე მეტად გამწყარალნი არიანო, ამიტომაც საჭიროა მათი მომადლიერება საჩუქრებითა და შესაწირავებით, რომელთაც შემდეგ მღვდელი ითვისებს.

ავადმყოფი მოკვდება თუ არა, მის ოჯახში ქელეხი გაიმართება გარდაცვალებულის სულის მოსახსენებლად. ჭირისუფლები და მეგობრები ცხედარს ზედ აყრიან ფულს ან სხვა რამეს, რომლითაც შემდეგ ოჯახის უფროსი რვა დღის საჭმელს ამზადებს გარდაცვალებულის სამძიმარზე მოსულთათვის. ცხედარს ღამით წაასვენებენ ხოლმე რომელიმე ეკლესიაში, რომელიც თითქმის ყველა თავადს აქვს თავის ადგილსამყოფელში, ან ოთახში განცალკევებით, თუ ეკლესია არ არის. გარდაცვალებულის სულისათვის მიაქვთ სასმელ-საჭმელი. ამბობენ, რომ ღამე მოდის და მიირთმევსო. მე ვეკითხებოდი: როგორ შეიძლება სული მოვიდეს და ჭამოს-მეთქი. ისინი ასეთ პასუხს იძლეოდნენ: რამდენჯერაც საჭმელი დაგვიდგამს, იმდენჯერ საჭმელი აღარ დაგვხვედრია, მაშასადამე, სულს უჭამია და, ცხადია, ადგილზე აღარ იდგმებოდაო. ამაზე არ ვიცოდი, რა მეპასუხა. ასე ამბობდნენ: ატეი ზეზ ვენ (Atei zez ven)[1], რაც ნიშნავს: ასეთია ჩვეულება.

მოსული ნათესავები და მეგობრები ცხედრის ახლო ქმნიან ორ გუნდსა, რომლებიც რიგრიგობით მოსთქვამენ დილა-საღამოს საზარელი ხმით. მერმე სხდებიან და მიცვალებულის სულისათვის ქელეხს მართავენ. რვა დღის შემდეგ ყველანი, მიცვალებულის ოჯახის წევრებთან ერთად, დასაფლავებაზე მიდიან. მიცვალებულს აცილებენ თავმოხდილნი და წელამდე შიშველნი და მოსთქვამენ. სასაფლაოზე მისვლისთანავე ყველა გარს შემოეხვევა საფლავს, მიწაზე დაჩოქილი, თავსა და მკერდში იცემს, სახეს იკაწრავს, თმებს იგლეჯს, გადაუარბებით მოსთქვამს და ტირის. დასაფლავების რამდენიმე დღის შემდეგ ოჯახის მეთაური მიდის საფლავზე, მის წინ მუხლს იყრის წელზემოთ შიშველი, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, და მოსაკითხად მოსულ ნათესავებს იქ იღებს. ისინი წელზევით შიშველნი დგანან. ყოველი მათგანი რიგრიგობით ოჯახის მეთაურის წინ წარსდგება, სახეს იკაწრავს და თავს იხოკს მძიმედ და დარბა-

---

[1] ათენერი რე ზნე ჩქინი — ასეთია ჩვენი ჩვეულება.

ისლურად, უტირლად და მდუმარედ ერთი მეორეს მისდევს და მხოლოდ მწუხარების გამომხატველი მოძრაობით ამცნობენ თავიანთ ტანჯვას. ოჯახის უფროსი თითოეულს უპასუხებს აგრეთვე მსგავსი მოძრაობით და ძლიერად იკაწრავს სახეს. ამ დროს არაჩვეულებრივ სიჩუმეს იცავენ.

ვინმეს გარდაცვალების შემდეგ ნათესავები და ყმები მგლოვიარობის აღსანიშნავად თავს, წვერ-ულვაშსა და წარბებს იპარსავენ, რამდენიმე თვის განმავლობაში თავზე ჭედილას ტყავის ფაფახს იხურავენ და ამისივე ქალამანი აცვიათ. ძირს მიწაზე გაშლილ ჭილობზე იძინებენ, მთელი წლის მანძილზე არ ჭამენს ხორცს, თევზს, კვერცხსა და რძის ნაწარმს. ამ ხნის განმავლობაში წვერსა და თმას აღარ იპარსავენ. ამჟამად მთავარ დადიანს ოთხი წელია რაც მეუღლე გარდაეცვალა და არ უჭამია ხორცი, კვერცხი და ყველი, თუმცა ერთი წელია თევზის ჭამა დაიწყო.

როდესაც ვინმეს სადღეგრძელოს თქმა უნდათ, ასეთ ცერემონიას ასრულებენ: ცოტა ღვინოს მოსვამენ მოტანილი სასმისიდან; შერმე დააფარებენ ხელსახოცს სასმისს იმ ადგილას, სადაც დალევის დროს პირით შეეხნენ, და ამგვარად სასმისს უგზავნიან მას, ვისი სადღეგრძელოც სურთ მიირთვან. ის იღებს ამ სასმისს, გამომგზავნელს ესალმება და იწყებს სმას. ასევე იქცევა ის, ვინც სადღეგრძელო მიიღო და სურვილი აქვს ალავერდი სხვასთან გადავიდეს.

დიდკაცები (persone grande) მეტად თავაზიანნი არიან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მრავალრიცხოვანი ამალით სტუმრად უხდებათ წასვლა. დანიშნულ ადგილას მისვლისთანავე ცოტა მოშორებით ცხენებიდან ყველა დაიქვეითებს. ყველაზე მთავარი პირი წინ წარსდგება, დანარჩენნი უკან მისდევენ. მათ შესახვედრად ოჯახის ქალბატონი გამობრძანდება თავისი სეფე-ქალებით (damigelle). როდესაც მიუახლოვდებიან ერთმანეთს რვა-ათ ნაბიჯზე, ცალ მუხლს მოიყრიან, ესალმებიან, ეხვევიან და ეამბორებიან (თუ ნათესავები არიან). შემდეგ ქალბატონი შეიპატიჟებს სახლში, სადაც გულღიად საუბრობენ. დასასრულს, წასვლის ხანს გამოსალმების არავითარ ცერემონიას უკვე ადგილი აღარა აქვს და ერთმანეთს უბრალოდ ეთხოვებიან.

სამეგრელოში უამრავი ძაღლია. ამათგან მწევარს ირმისა და სხვა ნანადირევის ხორცით კვებავენ. ბრწყინვალების გამოსახატავად მწევრებს შიგნით შემოიყვანენ და ყველას დასანახად უხვად აჭმევენ ხორცს.

როდესაც დიდკაცები ავადმყოფობის შემდეგ განიკურნებიან, მათ

ნათესავები პატივით იღებენ, შესასვლელში, სადაც გამოჯანმრთელებული ავადმყოფი დგას, მოკრძალებით ესალმებიან და სიხარულის აღსანიშნავად ფულით ან ვერცხლის თასით ასაჩუქრებენ. მსგავსივე ცერემონიით გამოხატავენ ქალის მომშობიარებას, განსაკუთრებით, როდესაც დედოფალი მოილოგინებს ხოლმე. ამ შემთხვევაში იგი მრავალი ვერცხლისა და ოქროს საჩუქარს იღებს.

ომიდან არავინ არ თავისუფლდება, არც ეპისკოპოსი, არც ბერი, არც მღვდელი და არც ბრძენი. თუ ვინიცობაა ვინმე ომს თავს აარიდებს, მას სასტიკად სჯიან და ხელჰყოფენ მის ქონებას, ართმევენ საქონელსა და ყმებს.

მტრული ურთიერთობის შემდეგ, როდესაც იმერეთის მეფეს[1] დადიანი შეურიგდა, დიდი მეგობრობის გამოსახატავად თავისი მეუღლის, დედოფლის ძუძუ მოაწოვინა და მხოლოდ შერიგების შემდეგ უსაყვედურა უმადურობა.

როდესაც ომში ვინმე დაიღუპება, მის პატივსაცემად წარჩინებული პირების (genti grandi) თანხლებით უნდა გააგზავნონ დაღუპულის სისხლში ამოსვრილი პერანგი და სხვა რომელიმე მისი ტანსაცმელი. ოჯახის ჭირისუფალი მიდის თავისი ყმებით მის დასატირებლად, სახეს იკაწრავს და შემაძრწუნებელი ხმით გაჰკივის, თითქოს მის წინ ცხედარი იყოს დასვენებული.

ვისაც სურს ამ მხარეში ჩამოსვლა, მისთვის ზედმეტი არ იქნება იცოდეს, რომ მთავართან ერთად მგზავრობის დროს რვა თვის განმავლობაში ასეთ ყოფაში ვიყავით: საზრდოს მიღების შემდეგ უცნაურ წუხილს განვიცდით ხოლმე საპირფარეშოს უქონლობის გამო, რადგან ასეთი ადგილი მხოლოდ მთავრისა და დიდკაცებისათვის იყო განკუთვნილი, დანარჩენებს კი უნდა შეგვეფერებინა და მოხერხებული ადგილები მოგვენახა.

მეგრელები მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან და იცავენ ბერძნული ღმრთისმსახურების წესებს. თუმცა მეგრული ენა ცალკე ენას წარმოადგენს და ყველა დანარჩენებისაგან განსხვავდება, მაგრამ საღმრთო და საერო წიგნებს ქართულად კითხულობენ და წირვასაც ქართულ ენაზე ასრულებენ, ისევე როგორც ევროპელე-

---

[1] იმერეთის მეფე ალექსანდრე.

ბი საეკლესიო ენად ლათინურს მიიჩნევენ. ამასთანავე მთავრის კარზე და დიდებულნიც (grandi) ქართულ ენას ხმარობენ, როგორც უფრო ლამაზსა და პატივდებულს...

სამეგრელოს ჰყავს პატრიარქი, რომელსაც კათალიკოსს უწოდებენ. ამასთანავე იგი საქართველოს პროვინციების, ე. ი. ბაშიაჩუკად წოდებული[1] იმერეთის, გურიის, აფხაზეთის პატრიარქიცაა. პატრიარქი მთავარ დადიანის მიერაა დანიშნული, ისევე როგორც ამ ქვეყნის ყველა ეპისკოპოსი. ისინი არ შეიძლება ეპისკოპოსად ან პატრიარქად გახდნენ, თუ ბერები არ არიან (Beri). ამ წოდებით შერაცხავენ ისეთ მორწმუნეებს, რომელთაც არასოდეს ხორცი არ უჭამიათ. ასე უწოდებენ აგრეთვე სხვებსაც, რომლებიც ცოლებს განშორდნენ ან კიდევ მოუკვდათ. ეპისკოპოსებს თავიანთ უფროსად მიაჩნიათ პატრიარქი, ეკლესიის მეთაურად კი ანტიოქიის ბერძენი პატრიარქი.

მთელ სამეგრელოში ექვსი სამთავრო და ამდენივე საეპისკოპოსო ეკლესიაა, ტყეში აქა-იქ აგებული, რომლებიც მდიდარია ქონებითა და ყმებით. ამ ეკლესიებში მხოლოდ მთავარ დღესასწაულებში წირავენ და ჩვეულებად არა აქვთ წირვაზე დასწრება, გარდა უქმე დღეებისა... ეკლესიაში ისე არ წავლენ, თუ არა საჭმელად. ქალი და კაცი დღეობაში მიდის და თან მიაქვთ სასმელ-საჭმელიც, რომელსაც მღვდელი აკურთხებს ხოლმე, შემდეგ ერთად სხდებიან და შეექცევიან. დარწმუნებულნი არიან, რომ ლოცვასთან შედარებით ღვთისათვის ეს უფრო მისაღები იქნება.

გაჭირვებისა და მწუხარების შემთხვევაში უმალვე ეკლესიას მიაშურებენ ხოლმე, ეკლესიის კარების წინ გაჩერდებიან და თავიანთ გაჭირვებაზე ლოცულობენ, ღვთისმშობლის ხატს ევედრებიან (რომელსაც ხელში ყრმა ქრისტე უჭირავს). ასეთი ხატები ჩვეულებრივია ყველა ეკლესიაში, თითქოს ადამიანებს ესაუბრებიანო ამგვარად: „ოო, უნეტარესო ქალწულო! შენ ხომ იცი, რომ მე მდიდარი ვარ და ბევრი ფულის მოცემა შემიძლია. შენზე არასოდეს უმადური არ ვყოფილვარ, წყალობით მოხედე ჩემს გაჭირვებას, რისთვისაც შენ მოგემსახურები და შემოწირულებასაც არ დავიშურებო“, და სხვა მსგავსი სიტყვები. ამ სიტყვებს ხმამაღლა ამბობენ და მეტად მკაფიოდ გამოსთქვამენ, რომ სხვებმაც კარგად გაიგონონ. ზოგჯერ შუამავალნი მოჰყავთ, რომელნიც თითქოს ვექილებიაო, ისე ელაპარაკებიან ხატს მრავალი საბუთის მოტანით, რის შედეგადაც ხატი უნდა განეწყოს მისი პატი-

[1] იმერეთი.

ვისმცემელისადმი და იგი შეიწყნაროს. ყველაზე ძლიერი საბუთი ის არის, რომ დამწუხრებული მდიდარია და სიკეთის გადახდა შეუძლია. ასე რომ თუ ავადმყოფნი ღარიბნი არიან, ტირიან მხოლოდ იმიტომ, რომ არაფერი არ გააჩნიათ ხატისათვის შესაწირავი და უნდა დაიხოცონ.

დედოფლის ავადმყოფობის დროს, რომელიც გარდაიცვალა და მეუღლე იყო მთავარი დადიანისა, სნეულისათვის მთელ სამეგრელოდან მრავალი ხატი მოაგროვეს და თავისი კარისა და დიდებულთა თანადასწრებით მთავარმა ხატებს შესწირა დიდი რაოდენობით ოქრო-ვერცხლი. ხატების წინ მთავარი დაჩოქილი იყო, კარისკაცნი და დიდებულნი ხატებთან სათითაოდ შედიოდნენ სალაპარაკოდ და ვექილებივით არსებით მოსაზრებებს უსაბუთებდნენ, რომ დედოფალი სიკვდილს გადაერჩინათ. მიუხედავად ყოველივე ამისა, ხატებმა მათი ვედრება არ შეისმინეს.

სწამთ, რომ სიკვდილ-სიცოცხლე მათზეა დამოკიდებული. ცხენით მგზავრობის დროს ეკლესიასთან ისე არ გაივლიან, რომ რამდენჯერმე მაინც გარშემო არ შემოუარონ. ეკლესიის კარებს გაუსწორდებიან თუ არა, ხატს ესალმებიან, რომელსაც პატივს ისე არ სცემენ, თუ ის ოქროსი ან ვერცხლისა არ არის.

მეგრელთა მონათვლის წესი მრავალ მუხლში სრულფასოვანი არ არის, უმთავრესად იმიტომ, რომ არ წარმოსთქვამენ სავალდებულო ფორმის საჭირო სიტყვებს. მრავალი ლოცვის წაკითხვის შემდეგ მღვდელი ბავშვს გადასცემს ნათლიას, რომელიც მას წყალში ნათლავს. ამბობენ, რომ დიდებულთა შვილებს ღვინოში ნათლავენო. მართლაც, რამდენიმე წელია მას აქეთ, რაც ნათლობის საკითხის შესახებ ჩვენი ქადაგება მიიღეს და მრავალი ბავშვი, ჭაბუკი და ხანდაზმული, სრულფასოვნად მოინათლა. მიუხედავად ამისა ბევრმა ბავშვი მაინც არ მონათლა, რადგან, მათი ჩვეულების თანახმად, ვინმეს მონათვლისას აუცილებელია ძროხისა და ღორის დაკვლა, მღვდლისა და სხვებისათვის სადილის გამართვა. სიღარიბის გამო ბევრი ერიდება თავიანთი შვილების მონათვლას.

სამეგრელოში ეპისკოპოსები და ბერები ძალიან კარგად ბრიან მოწყობილნი. მათ მოსამსახურე ბევრი რაია (Raia)—ყმა ჰყავთ. ამ ყმებიდან მხოლოდ მამაკაცებს ამუშავებენ. შემოსავლის ძირითად წყაროდ ითვლება ბევრი მოსამსახურეს ყოლა (ნაწილი ქვეითად და ნაწილი ცხენოსნად). მღვდლები როდესაც წირვას აყენებენ (იშვიათად სწირავენ, ისიც მხოლოდ გარდაცვალების შემთხვევაში), მათ მრავალ საჩუქარს მიართმევენ ხოლმე. ზოგჯერ ერთ წირვაზე მრავალი აბრეშუმის ქსოვილი, დიდი ვერცხლის თეფში ან ცხენი და

სხვა მსგავსი რამ მიუღიათ. რამდენადაც უფრო დიდია პიროვნება, ვისთვისაც სწირავენ, იმდენად მეტად ასაჩუქრებენ მღვდლებს. ზოგჯერ სანამ წირვა დადგებოდეს, შეთანხმდებიან, რომ ესა და ეს ცხენი მსურსო ან ესა და ეს ნივთიო. უფრო ხშირად წირვას ისე დააყენებენ ხოლმე, რომ აღსარება არა აქვთ ნათქვამი. ამგვარად 40 ან 60 წელიწადი ისე გადის, რომ არასოდეს აღსარება არ უთქვამთ. ასევე იქცევიან, როდესაც რომელიმე მომაკვდავს აზიარებენ უაღსარებოდ. უდიდესი მკრეხელობაა, როდესაც უწმინდესი ზიარება ჩანთით მიაქვთ ხოლმე.

დიდად აფასებენ იმას, ვინც ხორცს არ ჭამს და ბერად შედგება. ამიტომ ზოგიერთს მოუკვდება თუ არა ცოლი, ბერად აღიკვეცება და ხორცს აღარ ჭამს. მე ვიცნობ ერთ კაცს, რომელიც თავის ცოლს გაეყარა და მას კვლავ გათხოვების ნება მისცა, თვითონ კი ბერად შედგა. თუმცა ჩემგან გაფრთხილებული იყო, რომ ცოლისაგანაც უნდა ჰქონოდა თანხმობა და მასაც აგრეთვე თავშეკავება უნდა დაეცვა...

მეგრელები მრავალ უქმეს დღესასწაულობენ. ყველა ეს ჭამა-სმასა და გართობა-სიამოვნებაშია გამოხატული. განსაკუთრებით ოთხი დღესასწაულია აღსანიშნავი.

პირველი აღდგომის მეორე დღეა გარდაცვალებულთათვის განკუთვნილი. ამ დღისათვის ამზადებენ ერთგვარ ხის გალიას, რომელსაც ყვავილებითა და სანთლებით რთავენ და თავიანთი ახლობლების საფლავზე დგამენ. შემდეგ მოდის მღვდელი და გარდაცვალებულის სულისათვის საფლავზე ჭედილას ან მტრედს დაჰკლავს; ხორცი სახლში მიაქვთ და უმალვე საუმეოს ამზადებენ. დაახლოებით 20 საათის შემდეგ თითოეული თავის სამრევლოში მიდის დატვირთული სურსათ-სანოვაგით. ღვინითა და პურით, ამ დღისათვის ყოველ მათგანს შემონახული აქვს ცოტაოდენი ხორბალი. ეს არის მათი საერთო ზიარება, რომელსაც ყოველ წელს აწყობენ.

მეორე უქმედ დღესასწაულობენ დადიანის (Sinteli)[1] ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დღეს. მაისის რომელ დღეს ხვდება ეს დღესასწაული, მე აღარ მახსოვს. ამ დღისათვის მოიწვევენ თორმეტ პაპას[2] (Dapas), დიდი ბრწყინვალებით ეწყობა წირვა. უამრავი ხალხი იყრის თავს. წირვის დასასრულს მიდიან ერთ-ერთ გამოყოფილ სახლში, სადაც ჰკლავენ თხას და სვამენ ღვინოს იმ ქვევრიდან, რომელიც ამ დღესასწაულისთვისაა შემონახული ეკლესიაში.

---

[1] Sinteli „სიმთელე", ე. ი. ჯანმრთელობა.

[2] უნდა იყოს Papa და არა Dapas, რადგან მეგრულად მღვდელი პაპაა.

ჭამენ, სვამენ, მღერიან და მთავარს ხანგრძლივ სიცოცხლეს უსურვებენ, შემდეგ თხის ტყავს გაბერავენ და მახლობლად ყველაზე მაღალ ხეზე ჩამოჰკიდებენ ნიშნად სამარადისო ხსოვნისა... რამდენიც კი შეუძლიათ, მაღლა დაჰკიდებენ ხოლმე, რომ ყველა გამვლელისათვის ადვილი დასანახი იყოს.

მესამე უქმეს დღესასწაულობენ პირველი აგვისტოდან უწმიდესი ქალწულის ამაღლებამდე, რომელსაც მეგრულ ენაზე მარაძინა პიჩანს (Marazina piccian), ანუ უწმინდესი ქალწული მარიამის მარხვას უწოდებენ. დღისით, თვის დადგომიდან აღნიშნული დღესასწაულის გასვლამდე, ხორცს არ ჭამენ, მაგრამ ღამით კი თავიანთ ოჯახებში მშვენივრად მიირთმევენ. მერე გარეთ გამოდიან როგორც კაცები, ისე ქალები, და შუაღამემდე მღერიან: ოჯახის თვალყურისმგდებლად მოხუცებს სტოვებენ. გამხიარულებულნი ერთად ცეკვავენ როკანს[1], ოკკუმს[2] (Rochans, Ozchums) ანუ ცეკვისა და ჭამის დრო. ყოველ საღამოს ასე მხიარულებას განაგრძობენ მომდევნო დღეებშიც. თავს ვეღარ იკავებენ, უცნაურობანი რომ არ ჩაიდინონ. ასე ემზადებიან უწმინდესი ამაღლების საზეიმო დღესასწაულისათვის. დადგება თუ არა ეს უწმინდესი დღე, თითოეული ჰკლავს საქონელს, ვინ ძროხას, ვინ ღორს და საჭმელ-სასმელით ხვდება დღესასწაულს.

მეოთხე დღეს სწაული, რომელიც მიძღვნილია წმინდა გიორგისადმი, ყველა დანარჩენ უქმესთან შედარებით მთავარ დღესასწაულად ითვლება. მას უქმობენ ილორში (Jllors) 21 ნოემბერს. ილორი ზღვასთან ახლოს მდებარეობს, პატარა სოფელია (Sopelli), სადაც აქა-იქ გაფანტულია ოცდაათამდე სახლი. აქ არის წმინდა გიორგის სახელობაზე აშენებული ვერცხლის კარებიანი ეკლესია. ეს ეკლესია დიდი თაყვანისცემის სიმბოლოდაა გადაქცეული. ამ ეკლესიაზე ამბობენ, რომ წმინდა გიორგი ღამის თევისას, მის დღესასწაულს რომ უსწრებს, ერთ ხარს იპერს და ღამით ეკლესიაში ამწყვდევსო. ღამის სათევად მთავარი დადიანი აქ მობრძანდება ხოლმე, რომ მის სასწაულს დაესწროს. საღამოთი ეკლესიას მაგრად ჰკეტავენ და ვერცხლის გასაღებს მთავარს ჩააბარებენ. დილით დიდძალი ხალხი იყრის თავს, რომ მოწმე გახდეს ასეთი საოცრებისა. მთავარი გასაღებს გადასცემს მღვდელს, აღებენ, შედიან შიგნით და ხედავენ ხარს. გამოჰყავთ გარეთ და ჰკლავენ. როგორც ნაკურთხ ხორცს, დადიანი მას მეზობელ მთავრებს უგზავნის, რაც დარჩება მთავრის სუფრაზე დიდ თავადთა შორის ნაწილდება. ამ

[1] როკვა.

[2] ოკკომალი.

დღეს დადიანი და მასთან მყოფნი, წმინდა გიორგისადმი ერთგულების აღსანიშნავად, ამ ხარის ყანწით სვამენ ღვინოს. ბედიელმა (Bidiel) ეპისკოპოსმა, რომელსაც ამ ეკლესიის მოვლა აბარია, მთავრისათვის მოაწყო მეტად ბრწყინვალე ნადიმი, დაკლა 10 ძროხა, 20 ღორი და 100 თხა. დიდძალი პური და ღვინო მოემარაგებინა. ბერებისათვის, რომელნიც ხორცს არ ჭამენ, ეპისკოპოსს მოემზადებინა დიდი რაოდენობით მარილიანი და ახალი თევზი, ნაღები და სხვ. მაგრამ განსაკუთრებით უხვად ჰქონდა ღვინო. აღნიშნული დღესასწაულის დროს იმართება უდიდესი ბაზრობა, სადაც თავს იყრის 20.000-მდე კაცი გურიიდან, ბაში-აჩუკიდან (Bassaciuch, იმერეთიდან) და სხვა მახლობელი მხარეებიდან. განსაკუთრებით ესწრება კათალიკოსიც, რომელიც მათ რომის პაპსავით მიაჩნიათ...

ძველად ერთი თურქი მოსულა სამეგრელოში. რამდენიმე მეგრელთან მსჯელობა ჰქონია იმის შესახებ, თუ წმინდა გიორგის რა ადგილი უკავია სამოთხეში. თურქს განუცხადებია, რომ არასოდეს დაიჯერებს, ის ასეთი დიდი წმინდანი იყოსო. თუ ის მართლაც ასეთი სასწაულთმოქმედია, აბა შესძლოს ერთი ჩემი ქვეყნიდან ხარი გადმომიყვანოს სამეგრელოშიო. როგორც ისურვა, ასე მოხდა კიდეც: წმინდანმა სასწაულებრივი ძალით ხარი სამეგრელოში მოიყვანა, რის შემდეგ თურქი მოიქცა და გაქრისტიანდა. ამ ფაქტის აღსანიშნავად ყოველ წელს ერთი ხარი იკვლებოდა და ხალხს ურიგდებოდა. დროთა მსვლელობაში ღვთისმოსაობა შეცვალა ბოროტმოქმედებამ. იმისათვის, რომ მღვდლებს ხალხი მოეზიდათ და შემოწირულება შეეგროვებინათ, ხმა გაავრცელეს, წმინდანს ყოველ წელს მოჰყავს ხარიო. ამბობენ, წმინდანს ჯერ თურმე მოჰყავდა ირემი, მაგრამ ვინაიდან (ჩემი აზრით) ირემი ძნელი დასაჭერია, იგი ხარით შეცვალეს. რამდენადაც არ ვეცადეთ, დღემდე ეს დანაშაულობა ვერ მოვაშლეგინეთ, რადგან წმინდანისადმი ღვთისმოსავობას წამაქეზებელი მიზეზი აქვს, რომელიც ხალხში მეტად ფესვგამდგარია.

ამასთანავე გამოვარკვიე, რომ საკმეველი, რომელსაც მათ ენაზე საკმელი (Sakmeli) ეწოდება, მეგრელების რწმენით ცოდვებსა წმენდსო. როდესაც ჩვენ ზოგიერთს ვკიცხავდით რომელიმე ცოდვის გამო, იგი ასე გვიპასუხებდა: თუ ქვეყნის ჩვეულების თანახმად თავზე შემოივლებს ცოტაოდენ საკმეველს, განიწმინდებაო. დავავალე პატრებს, რომ არაფის არ მისცენ საკმეველი. შემთხვევა არ უნდა გაუშვან და ეს მეტად აუცილებელი ჭეშმარიტება ხალხს გააცნონ, რომ ცოდვების მისატევებლად საჭიროა აღმსარებელთან მისვლა, რომელსაც მათ ენაზე მოძღვარი (Mozgwari) ეწოდება,

გულწრფელი აღსარების თქმა და მერე უნდა ითხოვონ განდობა (Gandoba).

ვინმეს ავად გახდომისას პირველ ყოვლისა მღვდელი უნდა იხმონ, რომ მან გამოარკვიოს, თუ რა მიზეზით მოევლინა მას ასეთი სნეულება. მოვა თუ არა მღვდელი, მას აუწერენ სნეულებას, შეპირდებიან ერთ ჭედილას ან მსგავს რამეს, რომ კარგი პასუხი მიიღონ. მღვდელი მოისმენს თუ არა ყოველივეს, ლოცვანის წიგნს აიღებს, რომელსაც მათ ენაზე „ჟამნის წიგნი" (Giamnizirghi)[1] ეწოდება. წიგნის გადაფურცვლამდე პირჯვარს იწერს და ამ წიგნის საშუალებით ავადმყოფობის მიზეზს არკვევს. გადაშლის თუ არა წიგნს, ხელახლა პირჯვარს გამოისახავს და თან დასძენს: სკანი მარდიგე (scani mardighe), ე. ი. ავადმყოფს ღმერთმა კეთილი ბედი და ბედნიერება მოუვლინეო. მერმე კამათლების მაგვარ ეკვანს გააგორებს, რომელსაც ნარდს (lardi) უწოდებენ). გულმოდგინედ თვალყურს ადევნებს, თუ რა ნიშანი გამოისახება და, როდესაც ის უკვე გამოჩნდება, მღვდელი, თუ დაპირებულ ძღვენს იცოტავებს და უფრო მოზრდილ ძღვენს ისურვებს, მეგრულად ამბობს: ინტუ (intu), რაც ნიშნავს, რომ ძალიან კარგი ამბავი არ არისო. ავადმყოფის მშობლები მოისმენენ თუ არა ამას, ერთ ხარს ან ერთ ძროხას უმატებენ. ახლა მღვდელი მეორეჯერ ცდის ბედს იმავე ეკვნით და შენიშნავს თუ არა ნიშანს — უპასუხებს, ჯგირო ქიმინას (zguvo chiminas), ანუ კარგი ამბავია, სნეული განიკურნებაო. მერმე დასძენს — ეს ავადმყოფობა ამა და ამ მიზეზით გაჩნდა, მაგალითად, იმიტომ რომ, კარში არ დაიძინაო. სამეგრელოში ჩვეულებად ითვლება, რომ იმ დღეს, ე. ი. 14 სექტემბერს, გარეთ უნდა დაწვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში რაიმე უსიამოვნება შეხვდება. ან კიდევ ამან და ამან დასწყევლაო, რისაც მეტად ეშინიათ. მე მაგონდება ასეთი შემთხვევა: ერთმა მეორე ძალიან შეაჩვენა და დარწმუნებული იყო, რომ ამ მიზეზით ჩავარდა ლოგინადო. ლოგინად ჩავარდნილმა ინება, რომ ორი უმშვენიერესი ცხენი მიეცათ მაწყევრისათვის, რათა მას წყევლა უკან წაეღო და დაელოცა იგი.

უკვე მოგახსენეთ, რომ აქ მრავალი ცრუმორწმუნეობა არის გავრცელებული, ამასთან ერთად — მაგიზმიცა. მე აქ ზოგიერთ მცირე რამეს დავუმატებდი, რაც მაგონდება: თუთაშხას (Tutascà), ე. ი. ორშაბათს ხორცს არასოდეს არ ჭამენ თავიანთ

---

[1] ე. ი. ჟამნის წიგნი.

კარმიდამოზე. ამბობენ, აქ რომ ვჭამოთ, მგელი მოვა და ოჯახს ზიანს მიაყენებსო, ამიტომ ცოტა მოშორებით სადილობენ. ასეთი ჩვეულებაა ამ ქვეყანაში: ამ დღეს ბაკოს (Bacco), ე. ი. ღომის (gomo) ჩასაყრელ ადგილს, არ გაღღებენ, ოჯახიდან არაფერს არ გაასესხებენ, საჩუქარს არ გასცემენ, სამგზავროდ არ წავლენ. ეს დღე ყველაფერში უბედურების მომტანად მიაჩნიათ. როდესაც ახალი თუთაშხაა (acvali Tutasicà), ე. ი. ახალი მთვარის პირველი ორშაბათი, ამ ცრურწმენას უფრო მტკიცედ ადგანან.

მარხვის დადგომის პირველ დღეს მეგრელები კაპანობას (Capanubà) უწოდებენ. ამ დღეს ჰკლავენ და სჭამენ ყვერულებს. თვითეული ერთ ყვერულს ჰკვებავს იმ ზომამდე, რომ ძალზე გასუქდეს. დადგება თუ არა ეს დღე, ამ ფრინველს დაჰკლავენ, რომელიღაც ლოცვას იტყვიან და თითოეული თავის ყვერულს შეექცევა ისე, რომ სხვას არ უწილადებს. ერთ ჩვენ პატრს, რომელიც იმ დღეს შეესწრო, ბარაქიანად გამზადებული ამდენი ფრინველის შეწვას რომ უმზერდა, დიდი მადა აღეძრა და მოუთმენლად ელოდა გამასპინძლებას. სიმშილით დაოსებული შესცქეროდა, როცა თითოეულმა თავისი ყვერული გადმოიღო, ჭამას შეუდგა და საწყალ პატრს კი ერთი ნაჭერიც არავინ უთავაზა.

ავადმყოფს გარშემო ბადეს შემოაფენენ ხოლმე, ეშმაკებისაგან დაიფარავსო, დარწმუნებულნი არიან, რომ მას შეეშინდება და ბადეში გაეხვევა. ფეხზე მოსიარულე ავადმყოფს (ეს მე ვნახე, მთავრის ქალიშვილს რომ ვასეირნებდი) ერთი წინ სახარებით ხელში მიუძღოდა, მეორე კი მისდევდა ხმალამოწვდილი, რომ ავი სულისაგან დაეცვა.

სამეგრელოში ღვინის შესანახად, როგორც იტალიაშია, დიდ კასრებს კი არ ხმარობენ, არამედ მიწაში ჩაფლულ დიდ ქვევრებს. როდესაც ქვევრის ახდა სურთ, წირვას აყენებენ, ძროხასა ჰკლავენ. წირვა დასრულდება თუ არა, მღვდელი სარდაფში ჩადის, რომელსაც მარანი (Marano) ეწოდება, და ჭურის თავზე ლოცვას ამბობს. ცერემონიის დასასრულს დასხდებიან, შეექცევიან და მხიარულადა სვამენ. სადაც ეკლესიები არ არის, მარანი ხშირად ეკლესიის მაგივრობასაც სწევს. წმინდა წირვის შესასრულებლად საუკეთესო ადგილია მარანი. ბავშვების ნათლობასაც აქვე აწყობენ. წლის დამლევს, სანამ ახალი წლის პირველი დღე დადგებოდეს, დიდკაცებს ჩვეულებად აქვთ საღამოს თავიანთი ვერცხლეულობა გააგზავნონ ეკლესიებში, სადაც მღვდელი რამდენიმე მსახურთან ერთად ღამეს ატარებს. დილით საზეიმო პროცესიაზე გამოდიან ვერცხლეულობით. ერთი გალობას იწყებს, მეორენი ბანს აძლევენ და კეთილი ახალწლის დაწყებას უსურვებენ პატრონს.

რაც შეეხება მაგიზმს, თუ რას აკეთებენ საიდუმლოდ, ამის შესახებ მე დაწვრილებით არა ვიცი რა. მხოლოდ მომისმენია, როდესაც საქურდლად მიდიან, ძაღლებმა რომ არ დაიყეფონ და შინ არავის გამოეღვიძოს, მკვდრის ძვალს აანთებენ ხოლმე. სხვა ვერაფერი ვერ გავიგე. ეს კი სინამდვილეა, რომ როდესაც ჩვენ გაგვძარცვეს, ძაღლებმა არავითარი ხმაურობა არ ასტეხეს. სახლში მძინარე ხუთმა პატრმა ვერც იგრძნო, თუ როგორ გათხარეს მიწის ქვეშ ხვრელი, შემოვიდნენ, მოიპარეს ექვსი ქვაბი და სხვა რამეები, ჩამი-ჩუმიც კი არ ისმოდა თურმე...

მიუხედავად იმისა, რომ სამეგრელოში ღვინო უხვადაა, ნახევარი წლის განმავლობაში მაინც წყალსა სვამენ. ეს იმის გამოა, რომ სურსათის ნაკლოვანების დროს ყურძნის მოსავლის ნახევარს მიირთმევენ. რადგან წვეულებისას ერთ დღეში თითქმის ერთ დიდ კასრ ღვინოს შესვამენ ხოლმე, ამიტომ უღვინოდ რჩებიან და შემდეგ წყლის სმითაც კმაყოფილდებიან. ასევეა ხილიც, რომელიც ძალიან უხვადაა, მაგრამ თითქმის მოუწევარს ჭამენ.

ამ ქვეყნის ჩვეულების თანახმად, წელიწადში ერთხელ კაცებს აძლევენ ერთ გარტოს (garto), ანუ კურტაკს (რომელიც მუხლამდე სწვდება), პერანგს, ზოგიერთს კი ერთ წყვილ წინდას, ქალებს ერთ წყვილ ლურჯი ტილოს შეიდიშს და იმავე ტილოს გრძელ პერანგს. მზა ტანსაცმელი იმდენად პატარაა, რომ ჩაცმისას იხევა. უმეტეს შემთხვევაში ნემსის უქონლობის გამო დახეულ ტანსაცმელს აღარ აკერებენ და ასე ნახევრად შიშველნი დაიარებიან.

უდიდესი ყურადღება აქვს მიქცეული დიდმარხვას. მათ ჰგონიათ, რაკი მარხულობენ, ცხონდებიან. ეს იმდენად საგულისხმოა, რომ ამ ხნის მანძილზე ქალებს კანონიერ ქმრებთან მიკარებაც კი არა სურთ. მე ვიცნობ ერთ დიდ პიროვნებას, რომელსაც ორი ცოლი ჰყავდა, დიდმარხვის განმავლობაში კანონიერი ცოლი მიდიოდა და მხოლოდ აღდგომის შემდეგ ბრუნდებოდა ოჯახში. მარხვას იმდენად იცავენ, რომ ავადმყოფობის დროსაც კი სიკვდილს ამჯობინებენ, ვიდრე ხორცისა და რძის ნაწარმი ჭამონ.

მოხდება ხოლმე, ისე, რომ ცოლ-ქმარი ურთიერთს მოიძულებს უშვილობის ან სხვა რაიმე მიზეზით, ადვილად იყრებიან და სხვას ირთავენ, მაშინ, როცა ყოფილი ცოლი ჯერ კიდევ ცოცხალია. ზემოთ უკვე გვქონდა ნათქვამი, რომ ეპისკოპოსები ბიწიერებით სავსენი არიან, ვინაიდან როდესაც ჟინი მოუვლით, ეპისკოპოსობას მიატოვებენ და ცოლს ირთავენ ხოლმე, როგორც ამ ბოლო დროს ჩაიდინა ერთმა ეპისკოპოსმა, დიდმა თავადმა (principalissima), დადიანის ცოლის ძმამ, რომელმაც შეირთო მთავარ გურიელის ქალიშვილი.

ახლა ზოგი რამ უნდა ვთქვათ, რაც გაკეთებულა და რა გაჭირვებაც გამოიარეს მისიონერ-პატრებმა, თეათინელმა მოწესე მღვდლებმა. დაუჯერებელია ის, რაც გადავიტანეთ სამეგრელოში ჩამოსვლისას და იქ დასამკვიდრებლად. ქართლის (Cartalo) პროვინციის ქალაქ გორიდან სამეგრელოში მგზავრობას მოვუნდით 23 დღეზე მეტი. უმთავრესად ქვეითად დავდიოდით კავკასიონის მთის უფსკრულებზე, სიმშილით შეწუხებულნი ვიყავით, მაგრამ უფრო მეტად წყურვილმა დაგვტანჯა. ვჭამდით ტალახში ჩაცვივნულ ტყის პანტასა და მაჟალოს, ვსვამდით ყინულივით წყალს, რომ საშინელსა და უღრან ტყეში არსებობა შეგვენარჩუნებინა.

მივაღწიეთ რა თურქეთ-სპარსეთის საზღვარს, უკვე აღარ შეგვეძლო ქარავანს მივყოლოდით, რადგან ქვეითად გვიხდებოდა სიარული; ჩვენი ცხენები მისიონის ბარგით იყვნენ დატვირთული, ამიტომ უკან ჩამოვრჩით და გზაც ვეღარ გავიგნეთ. მაგრამ ღვთის მადლით ვიღაც სპარსელმა ჯარისკაცებმა გვიშველეს და ცხენებზე შეგვსვეს, რომ ქარავანს დავწეოდით. როდესაც ქარავანს დავეწიეთ, ცხენებიდან ჩამოგვსვეს და მათრახის ცემით იძულებული გავხდით ქვეითად გვეევლო, რომ ქარავანს არ ჩამოვრჩენილიყავით. ზამთრის ბნელი ღამე იყო; სხვა რომ ვერაფერი მოვახერხეთ, გადავწყვიტეთ ცხენის ძუაზე ხელის ჩავლება, რითაც ხიფათს ავცდებოდით ტალახსა, წყალსა და ფრიალო კლდეებს შორის მთელი ღამე ფეხით სიარულში. დილით დარწმუნებული ვიყავით იმაში, რომ ჩვენი ტანჯვა-წვალება უკვე დასრულდა და ასე თუ ისე თავისუფლად უნდა ამოგვესუნთქა, მაგრამ დახე უბედურებას! ახალი გაჭირვება იწყებოდა — საჭირო გახდა კავკასიის უმაღლეს მთაზე ასვლა. ცხენები დაგვიცვივდნენ, კაცები უფსკრულში გადავარდნის საშიშროების წინაშე იდგნენ. ჩვენი ერთი დატვირთული ცხენი გადაიჩეხა, ჩვენ კი სიმშილითა და წყურვილით დახოცილები ფეხზე ძლივსღა ვიდექით. ასე რომ კავკასიის მთაზე ქარავანმა კვლავ მიგვატოვა.

ყაჩაღების შიშიცა გვქონდა, მაგრამ უფალმა ღმერთმა ამ მწუხარების ჟამს არ მიგვატოვა. ვინაიდან ერთ ბერს, შეუტყვია თუ არა პატრების ჩამორჩენის ამბავი, შევცოდებივართ და თავისი ერთი მსახური უკან გამოუგზავნია იმის შიშით, რომ ჩვენები ყაჩაღების ხელში არ ჩავარდნილიყვნენ. მან გვანუგეშა, გაგვამხნევა და დანარჩენ გზაზე თანამგზავრობა გაგვიწია. ჩვენმა უფალმა კი უფრო მეტად გვცა ნუგეში, რადგან ესოდენ დაქანცულებს სანადიროდ მიმავალი ორი კაცი მოგვიელინა ღომითა (gomo) და ღვინით დატ-

ვირთულები. ერთი ჯულიოთი[1] (Giulio) მათგან ჩვენ ვიყიდეთ სურსათი, რითაც რამდენადმე მოვსულიერდით და მოვღონიერდით. საღამოს შეგვიანებით ერთ უსაშინელეს ტყეს მივაღწიეთ, სადაც უნდა შევჩერებულიყავით. თუმცა ჩვენი ჩვეულებრივი გაჭირვებით ქვეითად სიარულით მეტად დაღლილი ვიყავით, მაგრამ მხოლოდ ცოტა დასვენება შეგვეძლო, რადგან, ჯერ ერთი, ცხენებისათვის ყური უნდა გვეგდო და, მეორეც, ღამე ღია ცის ქვეშ უნდა გაგვეტარებინა. გარდა ამისა, ერთ ჩვენგანს ჭაჭები ასტკივდა. გათენდა თუ არა, ჩვენი ჩვეულების თანახმად ქვეითად მგზავრობა განვაგრძეთ. საღამოს კავკასიის მთის ქედს მივაღწიეთ, სადაც რამდენიმე პატარა ისლის სახლი იდგა. აქ ერთი ცხენი გადაიჩეხა უფსკრულში. ღმერთს ცხარე ცრემლებით მივმართავდით თხოვნით გაეწია ჩვენთვის შემწეობა, რადგან დარწმუნებული ვიყავით, რომ დავიღუპებოდით. დილით, განვაგრძეთ თუ არა გზა, ჩვენდა სასიხარულოდ ქარავანიც გამოჩნდა, მაგრამ კვლავ მიგვატოვა. ცოტა სული მოვითქვით. ამასობაში ერთმა დიდი კაცთმოყვარეობა გამოიჩინა და თავის ოჯახში დაგვაბინავა. რადგან ფეხით სიარული უკვე აღარ შეგვეძლო, დილით გადავწყვიტეთ ცხენი დაგვექირავებინა, მაგრამ როდესაც ერთ უსაშინლეს უფსკრულს მივაღწიეთ, თითქმის სასწაულებრივ გადავრჩით, ცხენი პატრთან ერთად კინაღამ ხრამში გადაიჩეხა, მაგრამ ერთმა ქართველმა ეპისკოპოსმა რომ დაინახა ეს ხახიფათო მომენტი, ცხენიდან ჩამოხტა და დიდის კაცთმოყვარეობით პატრს მიეშველა, რითაც ღვთის შემწეობით ხიფათს გადაარჩინა.

გურიაში (Goriel) ჩამოსვლისთანავე ვეახელით კათალიკოსს, რომელიც გურულებს რომის პაპსავით მიაჩნიათ. მან თავაზიანად გვთხოვა წირვის დაყენება და თან ისურვა მოესმინა ფრანკების ქადაგება. წირვას პირადად დაესწრებოდა მთელი თავისი ამალით. თხოვნა სიამოვნებით მივიღეთ. დილითვე, რამდენადაც კი შესაძლებელი იყო, საზეიმო წმინდა წირვის დასაყენებლად მოვემზადეთ. კათალიკოსისა და მისი ამალისათვის კარგი მაგალითი რომ გვეჩვენებინა, პირველ ყოვლისა, აღსარება ვთქვით, შემდეგ ამისა ვწირეთ და ვიქადაგეთ, როგორც საჭირო იყო. იგი ბოლომდე დაესწრო და გულდასმით თვალყურს ადევნებდა ყოველ ცერემონიას. ფრანკების ღვთისმსახურებამ ჩააფიქრა და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. გვითხრა: „ჩემს ქვეყანაში სიამოვნებით დაგტოვებდით, დადიანისა რომ არ მეხათრებოდესო“.

---

[1] იტალიური ფულის ნიშანია.

კათალიკოსისა და მისი ამალის გარდა, უამრავი ხალხი შეგროვდა, სულ თავადობა (Signori), დედოფალი, ბერები და ეპისკოპოსები იყვნენ. წირვის დასასრულს ბევრი დარჩა მეორე წირვაზე დასასწრებლად, როგორც მაგალითად, ზოგიერთი დიდი თავადი (Signore principale), კათალიკოსის ნათესავები, უპირველესი (principialissimo) თავადი-ეპისკოპოსი, მთავრის გაკათოლიკებული ნათესავი შამოკი (Sciamoch), შემდეგ დიდ საზეიმო ნადიმზე მიგვიწვიეს, დაგვასაჩუქრეს და ნაირნაირი საჭმელებით გაგვიმასპინძლდნენ.

ბოლოს, ჩვენ ჩავედით სამეგრელოში. დადიანის კაცებმა ჩამოგვიყვანეს და მთავარმაც დარბაზობა გაგვიმართა. გვიჩვენა თავისი საპყარი ქალიშვილი, რომელსაც ბნედა სჭირდა და ლაპარაკიც უჭირდა. როდესაც დადიანმა გაიგო, რომ მკურნალები ვიყავით, იკითხა: განკურნებულს სული თუღა შერჩებაო. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ძალიან ძნელია რამის თქმა, ზოგიერთ წამალს ვახმართ და, თუკი განიკურნა, ეს უკვე ღვთისწყალობა იქნება. მთავარი მაშინვე გაემართა, ჩვენც უნდა გავყოლოდით მას. გამოვლილ გაჭირვებაზე უფრო მეტი მწუხარება განვიცადეთ, ვიდრე სახლს მოგვცემდა: რვა თვე გაგვტანჯა. აქ ქალაქი არსად არი. ჩვენ მას უკან უმთავრესად ქვეითად მივჩანჩალებდით დატვირთულ ცხენებთან ერთად.

სამეგრელო მთლიანად დაფარულია ტყით, მეტად ძნელი გასავლელებით, ატალახებული გზებით, მრისხანე და ღრმა მდინარეებით, პირქუში მთებითა და ამავე დროს... მათი ენა არ ვიცოდით და მუნჯად უნდა მივყოლოდით მთავარს, რომ არ გავეძარცვეთ და სიმშილით არ დავხოცილიყავით. მის ამალასთან ერთად სიარული უდიდესი წვალება იყო ჩვენთვის, რადგან ცხენებისათვის უნდა მოგვევლო, დაგვეტვირთა და თვალყური გვედევნებინა. ერთ ღამეს მთავრის სასახლეს მივაღწიეთ, სადაც სამ დღეში ორი ცხენი დაგვეღუპა. მართალია, მათი დახოცვა გვეწყინა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში განვთავისუფლდით ამ დიდი წვალებისა და ტარებისაგან. მაგრამ გამოვლილი გაჭირვების ასანაზღაურებლად და მისიონის აუცილებელი საჭიროებისათვის ვერავითარი სანოვაგე ვერ ვიშოვნეთ. საცოდავ მდგომარეობაში ჩავცვივდით და მხოლოდ ღმერთსღა მივანდეთ ჩვენი თავი.

მთავარმა შეიტყო თუ არა ჩვენი გაჭირვება, შეეეცოდეთ. შემოგვითვალა რომ წავსულიყავით კოზხეთად[1] (Ghoz Gheti) წოდებულ

[1] არქ. ლამბერტის ჩაწერილი აქვს — კორცხელი (Corzcheli), გვ. 158.

ერთ ადგილას, სადაც საყდარს აშენებდა. აღნიშნულ ადგილას ქვეითად წავედით. იქ ერთი თვე დავრჩით და მართლაც სული მოვითქვით. რადგან დარწმუნებული ვიყავით, რომ სახლი უკვე მოცემული გვაქვს, ამიტომ ცოტაოდენი სურსათ-სანოვაგე მოვიმარაგეთ, მაგრამ ეს ჩვენი სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთ დილას საჩქაროდ დაგვიბარა თავისთან და იძულებული შევიქენით ყველაფერი მიგვეტოვებინა. თოვლსა და ტალახში ქვეითად გზას გავუდექით. ამ ქვეყნის ჩვეულებისამებრ ბარგი ზურგით წავაღებინეთ კაცებს. მთავარმა სიამოვნებით მიგვიღო, თავის სასახლეში ადგილი მიგვიჩინა და ყოველ დღე გვინახულებდა ხოლმე. ჩემს მომვლელად ერთი კაცი გამოჰყო. იტალიიდან ჩამოტანილი ნივთების სანახავად თითქმის ყველა დიდებული (grandi) დღეში ორგზის და სამგზისაც მოდიოდა. წამლებსაც გვთხოვდნენ, რადგან ხმა დაირხა, რომ ჩვენ მკურნალები ვიყავით. ამასთანავე სიამოვნებით ათვალიერებდნენ სურათებს, საათებს და სხვა ნივთებს, რომლებიც ჩვენ თანა გვქონდა, განსაკუთრებით პერგამენტს. ყველაზე უფრო შინაურულად დედოფალი გვექცეოდა, რომელსაც უნეტარესი ქალწულის ხატთან ერთად უმშვენიერესი რელიკვარი მივართვით, რაზედაც უღრმესი მადლობა გადაგვიხადა.

მათთან ორი კვირის გატარების შემდეგ მთავარმა ხელახლად წინადადება მოგვცა, რომ მისი კუტი ქალიშვილისათვის გვეწამლა, და დაგვიბარა, რომ მას გავყოლოდით ორი დღის სავალზე, სადაც იგი ცხოვრობდა... გზაში იმდენად აღარ გაგვჭირვებია იმის გამო, რომ ცხენებზე ვისხედით. ღმერთო ჩვენო! ამ ქალიშვილს ზრუნვა არ მოაკლო, რადგან ჩვენი მკურნალობის ოცი დღის მანძილზე თითქოს სასწაული ეხილოს... ლაპარაკი დაუწყია, დაკუტებული ხელი და ფეხი აუმოძრავებია. ეს სასწაული უნახავს აგრეთვე მთავარსა და დედოფალსაც, რისთვისაც სურსათით დაგვასაჩუქრეს. იგი სრულიად გამოსაღდებოდა, გულნიაზობა რომ არ გამოეჩინა: მარხვაში კარგი არ არისო ქალიშვილისათვის იმ წამლის წასმა, რომელშიაც ძაღლის ქონი ურევიაო. ერთი წიგნიდან ამოვიკითხეთ და დავისწავლეთ, რომ ყვითონი (atrati) ნერვების მკურნალობისათვის უებარი წამალია ზეთში შემწვარი ძაღლისა და სხვა კომპონენტთა ნარევის ავადმყოფის კანზე წასმა. საჭირო იყო მთავართან შეთანხმება, რადგან ძაღლის ხორცის გამოყენება ეზიზღებათ, განსაკუთრებით შემწვრისა, თუგინდ სხვაგვარადაც. თუმცა ჩვენ მას ვაკეთებდით კიდეც, მაგრამ უკეთ მივიჩნიეთ, ჩვენ კი არა, არამედ სხვებისათვის გაგვეკეთებინებინა, რისთვისაც მთავრის განსაკუთრებული დასტური გვქონდა. მან ერთი კაცი ძაღლის მოსა-

...

ძებნად მიუჩინა, მეორე მის მოსაკლავად და შემდეგ ამისა ჩვენ გვბარდებოდა. სამკურნალო წამალი დიდის საიდუმლოებით ერთ ჩაკეტილ სახლში მოვამზადეთ, თუმცა დიდი ნაკლი კი გააჩნდა, რადგან შემაზავებელი ყველა საჭირო ელემენტი გვაკლდა. წამლის გამოყენება დავიწყეთ, რამაც ავადმყოფს დიდად არგო.

ამ ხნის განმავლობაში მარხვაც დადგა და უნეტარესი ქალწულის ამაღლების დიდმარხვაც დაიწყო. ამიტომ 15 დღით ადრე ხორცს არა ჭამენ. დედოფალს აქაც გულნიაზობა დაემართა. აბ არისო კარგი, რომ მარხვის დროს ქალიშვილს ქონი წაესვას, განსაკუთრებით ძაღლისა, მით უმეტეს, რომ მთავარი ეკლესია ახლოს გვაქვს; ამბობდა, რომ უხერხულია ხატმა ძაღლის ქონის სუნი იყნოსოსო. დედოფალი იმდენად შეუჩნდა ქმარს, რომ მთავარი თავის ნებაზე დაიყოლია. ამის გამო ავადმყოფი ქალიშვილი სხვაგან გახიზნეს და ჩვენ კი გაგვათავისუფლეს. მთავარი მეუღლითურთ მეტად განცვიფრებული იყო, რომ მათი ავადმყოფი ქალიშვილი იკურნებოდა, ამიტომ გვიბოძა ქვით ნაშენი მშვენიერი ორი ეკლესია თავისი ტერიტორიითა და ყმებით, რომ ჩვენ მოგვმსახურებოდნენ, ამასთანავე უფრო მეტსაც შეგვპირდა.

ჩვენ გახარებული წავედით და ღმერთს მადლობას ვწირავდით, რომ დადიანის ნაბოძებ ქონებას დავეპატრონებოდით. მაგრამ დახეთ, ჩვენი სიხარული ხანმოკლე გამოდგა. ჩვენმა მოწინააღმდეგე ბერძნებმა დადიანს უკიჟინეს, რომ იგი ცუდად მოიქცა, როცა მათ ეკლესია ჩამოართვა და კათოლიკური სარწმუნოების ფრანკებს გადასცა. ერთი სიტყვით, იმდენი იბრძოლეს, რომ მთავარმა ორივე ეკლესია ჩამოგვართვა და მათ დაუბრუნა. გულმოკლული დავრჩით სამწუხარო შედეგით, მაგრამ მაინც ღმერთს მივენდეთ და სულიერ სიმხნევეს არ ვკარგავდით. დადიანს ვაცნობეთ, რომ ჩვენ უეკლესიოდ აქ გაჩერება არ შეგვიძლია, ამიტომ ქართლში დაბრუნების ნება დაგვრთოს. ვხედავდით, რომ მთავარი დაღონებული იყო და ჩვენგან განშორება არ სურდა, რადგან ძალიან ვუყვარდით. იმ ორი ეკლესიიდან ერთი დაგვიბრუნა, მაგრამ ეკლესიის მსახურები შეეცადნენ კვლავ ჩამორთმევას და კლიტეებიც წაგვართვეს. უფალმა ინება, რომ მთავარი ავად გამხდარიყო მაშინ, როცა ალექსანდრე მეფის—ბაში-აჩუკის წინააღმდეგ სალაშქროდ ემზადებოდა. პატრმა დონ არქანჯელომ იგი განკურნა. რამდენიმე დღის წინათ შემთხვევით ვინახულე მთავარი, რომელმაც მითხრა: შენმა ამხანაგმა განმკურნაო. ჩემი მოხელენი ჩაგაბარებენ ეკლესიის კლიტეებსო. ახლა ეს ეკლესია ჩვენს ხელშია. ის ჩვენ მოვაწყეთ და რომაელი ღვთისმსახურების წესზე ცერემონიას ვასრულებთ,

თუმცა ბერძნებმა არაფერი დაზოგეს და ყოველი ღონე იხმარეს, რომ მთავარს ჩვენთვის მესამედ ჩამოერთმია ეკლესია.

ამ რვა თვის მანძილზე, რაც სამეგრელოში ვმოგზაურობდით, წარმოუდგენელი გაჭირვება გამოვიარეთ: ღომსაც კი ძლივს ვშოულობდით. საჯინიბოში ტანგაუხდელებს ცხენებივით მიწაზე გვეძინა. ერთხელ ჩვეულებისამებრ ქვეითად მგზავრობის დროს ერთ მდინარეს მივადექით, დაუხმარებლად მდინარეზე გადასვლა არ შეგვეძლო და რამდენიმე ხანს დავყოვნდით. ამასობაში დედოფალიც მოვიდა. იგი შეჩერდა, ერთ თავის სეფე ქალს უბრძანა ცხენიდან ჩამოსულიყო და ჩვენთვის გადმოეცა მდინარეზე გადასასვლელად. მეორეჯერ ასეთი ამბავი შეგვხვდა. მთავარმა ერთ ჩვენგანს დაავალა, რომ ერთი ცნობილი პირისათვის ბინაზე ემკურნალა. უკან გამობრუნებისას ორმა გამცილებელმა გზაში მიატოვეს და გაიქცნენ. ჩვენი სახლიდან ორი დღის სავალზე მარტოდ დარჩენილმა და თვალცრემლიანმა ღმერთს მიმართა. ამ უმწეო მდგომარეობაში მყოფი პატრი უნახავს დადიანის მოიჯარეს (მმართველს, კომისიონერს — Fattore), რომელმაც იგი თავის სახლში წაიყვანა და ანუგეშა, თან დაჰპირდა, დილით დანიშნულ ადგილამდე მიგაცილებო. მასპინძელმა პატრს უთხრა, შეგიძლია ღამე ქალთან გაატაროო, ეგონა, რომ ამით სიკეთეს სჩადიოდა. მაგრამ პატრმა მიუგო, მსგავსი საქციელი ცოდვადაა მიჩნეული და ასეთი უმსგავსოების ჩადენა უფლის შეურაცხყოფად ითვლებაო. მასპინძელი ჩააფიქრა პატრის პასუხმა, ვინაიდან სამეგრელოს სინამდვილეში ასეთი მოქმედება არაჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა.

პატრი დილით ადგა და მეგზურთან ერთად ქვეითად გაუდგა გზას. ერთ მდინარესთან მისვლისას გამყოლს მიუტოვებია და მერმე ვიღაც კაცს ზურგზე მოკიდებული გადაუყვანია ნაპირზე. კვლავ ქვეითად განაგრძო გზა. გზად მიმავალს სამი კაცი შემოეყარა, რომელთაც აცნობეს, რომ ერთი მისიონერთაგანი სამი თუ ოთხი მილის მანძილზე იმყოფებოდა, რითაც თავი ინუგეშა. წუღები დაეხა სრულიად. ფეხშიშველი რომ არ დარჩენილიყო, იძულებული შეიქნა ბაწრით შეეკრა. სხვა უამრავ გამოვლილ ტანჯვა-წვალებაზე ხომ აღარაფერი მეთქმის.

სამეგრელო სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით თავისებური ქვეყანაა. ფულით არ იყიდება სანოვაგე და ტანსაცმელი, რომ საკუთარი საჭიროებისათვის მოიხმარო, არამედ აქ აუცილებელია შენვე დათესო, ბაღი გააშენო, შეშა მოიტანო, გყავდეს დამხმარენი ღვინის დასაყენებლად. ყველა ეს სამუშაო რომ შეასრულოს კაცმა,

ბევრი უნდა იტანჯოს. რაც გაგვაჩნდა, ისიც მოგვპარეს. ოქროს თასის გასაკეთებლად მთავარმა 150 ძეკინი მოგვცა. ერთ ღამეს ქურდებმა სახლის ქვეშ დიდი ხვრელი გამოთხარეს იქ, სადაც სალარო იდგა ოქროთი და ძვირფასი წმინდა მოსართავებით. გარდა ამისა, დაახლოებით 100 სხვა პიასტრიც ეწყო შიგ, და ყველაფერი წაიღეს. ამ ამბავმა მეტისმეტად დაგვაღონა. საგონებელში ჩავვარდით, ვაითუ მთავარმა ამაზე ჩვენ გაგვიცხოსო. მიუხედავად ამისა, ღმერთმა მოგვაგო ნუგეში. მთავარმა შემოგვითვალა, რომ მაგაზე ნუ იდარდებთო, ვინაიდან მე საკმაოდ მომეპოვება ოქრო. ამ უკანასკნელ ხანს ქურდი აღმოაჩინეს. ის უპირველესი თავადი აღმოჩნდა.

სამეგრელო თითქმის უღრან ტყეს წარმოადგენს, გველებითა და ეკლებით სავსეს, დაუჯერებელია, თუ ოდესმე აქ მისიონი არსებულა. ჩვენ, საბრალო მისიონერებს, წილად გვხვდა აქ მოსვლა. თუმცა შეძრწუნებულნი მაინც არა ვართ. ღვთის სასწაულით დიდი გაჭირვება გამოგვიცდია, მაგრამ მაინც შესაფერისი მოთმინებით გადაგვიტანია. მრავალგზის ცხენიდან გადმოვარდნილვართ, ბევრჯერ წვიმასა და თოვლში დავრჩენილვართ, ფეხსაცმელი დაგვხევია და ფეხები სიცივისაგან გაგვყინვია. რამდენჯერმე ტალახსა და წყალში ჩავვარდით, ერთი გადარჩა მხოლოდ იმით, რომ ცხენის ძუას მოეჭიდა, როდესაც დიდ მდინარეს გადიოდა. საჭმლის უქონლობასა და სხვა გაჭირვებაზე აღარას ვიტყვი, ისიც საკმარისია ითქვას, რომ სამეგრელოში სასტუმროები არ არის და საჭირო ხდებოდა ალალბედზე მთელი დღე კარდაკარ სიარული ცოტაოდენი ღომის საშოვნელად.

ერთხელ ორი ცხენი საძოვარზე გავუშვით, მაგრამ ორივე მოგვპარეს. სხვა დროს ხანჯოლითა და ჭინჭრით იოლად გავდიოდით, ღვინის დურდოც შეგვიფერებია ან ორი სამი თვის განმავლობაში წყალში უმარილოდ მოხარშული სამკურნალო მცენარეების ყლორტებით ავადმყოფობის დროს ტკივილებს ვიყუჩებდით. ერთ პატარა ოთახში, ვიწროდ ვცხოვრობდით. არ გვქონდა რიგიანი საწოლი. აქვე ცეცხლს ვანთებდით და ვამზადებდით საჭმელს, ვსადილობდით და ასეთ გაჭირვებაში მისიონის საქმიანობასაც ვეწეოდით. ახლა ღვთის მიერ გამხნევებულნი და მხოლოდ ქრისტეს ხსნისათვის აღტყინებულნი მზად უნდა ვიყოთ ქრისტეს მიბაძვით სისხლის დასანთხევად. შეევცადეთ შეცდომების აღმოჩენას და სულიერი დახმარების გაწევას ამ საცოდაავი ხალხისათვის.

გულმოდგინე ძიების შემდეგ გამოვარკვიეთ, რომ სამეგრელოში ნათლობის უწმინდესი საიდუმლოება არ არსებობდა, მიუხედა-

ვად ამისა მაინც ნათლავენ ბავშვებს — მხოლოდ ლოცვას წარმოთქვამენ და არ ასრულებენ ნამდვილ წესს. ამაში უკეთ რომ დავრწმუნებულიყავით, ერთ მღვდელს მოვუხმეთ და მას შევეკითხეთ, ნათლობის დროს თუ წარმოსთქვამს საიდუმლო სიტყვებს. მან, სამეგრელოში ყველაზე განსწავლულმა ეპისკოპოსმა, ძლივს გაგვაგებია, თუ რა სიტყვები წარმოითქმოდა მონათვლისას. სიტყვა-სიტყვით ეს წესი ასეთია: Baptizetur servus Christi Ambrozius in nome del Padre amen, del Figlio amen, et dello Spirito Santo amen.

წმინდა ნათლობის წესი და სიტყვები მეგრულად არა აქვთ, ქართულად კი ამას ნიშნავს: ნათელს იღებს მონა ღვთისა ამბროსი, სახელითა მამისათა ამინ, ძისათა ამინ, და წმიდისა სულისათა ამინ. როგორც ვთქვით, ეს წესი და სიტყვებია საჭირო. ამ მღვდელს შევეკითხეთ, ამ წესს თუ იყენებდა ნათლობისას. გვიპასუხა: თუ წიგნში წერია, ვიტყვი, თუ არა, ვერ გეტყვითო. ჩვენ წიგნი მოვუტანეთ, რომ ეს ადგილი მოენახა. როდესაც კითხვა დაიწყო, წესი და სიტყვები მაინც ვერ მოძებნა. ამის შემდეგ ჩვენ მას ვასწავლეთ, წესისა და სიტყვების გადაწერილი ასლი მივეცით არა მარტო თავის სახელმძღვანელოდ, არამედ აგრეთვე სხვა მღვდლებისათვისაც უნდა ესწავლებინა. ავუხსენით, რომ როდესაც წესი და სიტყვა სრულდება, ერთმა წესი და სიტყვა უნდა შეასრულოს და მეორემ კი ბავშვი განბანოს. გარდა ამისა, გაგონილი მაქვს, რომ ზოგჯერ ბავშვს ღვინოში აბანებენო. ბევრი სრულიად მოუნათლავია, რადგან ნათლობის გადახდის დროს ჩვეულებით უნდა მოაწყონ ლხინი, ძროხა და ღორი დაკლან და ღვინოც ბლომად დალიონ, ამიტომ, ვისაც შეძლება არა აქვს და ღარიბია, თავისი შვილების მონათვლას აღარ ცდილობს და, ამგვარად, მოუნათლავს ტოვებს. სამეგრელოში ბერძნები და ზოგიერთი სხვა ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ, რომელთაც ნათლობის ნამდვილი წესი და სიტყვები იციან. დიდკაცები უმთავრესად ეპისკოპოსებს ან ბერძნებს გამოიძახებენ ხოლმე, რომელნიც, იმედი უნდა ვიქონიოთ, კანონიერად ნათლავენ. ხოლო მდაბიო პირთა (Persone basse) შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის არავინაა მონათლული.

ყველა ამ მოსაზრების საფუძველზე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ რამდენადაც კი შესაძლებელი იყო, დაგვენათლა (თუმცა პირობით). უშუალოდ ჩვენ თვითონ ოთხასზე მეტი მოვნათლეთ. უმრავლესობას ყველა საზეიმო ცერემონია შევუსრულეთ ჩვენს ეკლესიაში სხვების თანდასწრებით. ჩვენი ცერემონიით ისინი მეტად აღფრთოვანებულნი დარჩნენ, დანარჩენი საჯაროდ კი არ მოვ-

ნათლეთ, არამედ საიდუმლოდ, ამათგან დაახლოებით 300-ზე მეტი პატარა ბავშვი, რომელთაც ჯერ შვიდი წელი არ შესრულებოდათ. როგორც შევიტყეთ, ამათგან ოცზე მეტი მოკვდა და სამოთხეში მოხვდა. როდესაც ჩვენ წამლების მისაცემად ავადმყოფების შემოვლა გვიხდებოდა, თითოეულს ნაკურთხი წყალი მიგვქონდა ლარნაკით. დავინახავდით თუ არა რომელიმე ბიჭს, რომელიც, ჩვენის აზრით, შეიძლებოდა მონათლულიყო, თავს ისე ვაჩვენებდით, ვითომ ჭიის წამალს ვაძლევდით (ხმა დავარხიეთ, თითქოს წმინდა ნათლიღების წყალი, ლარნაკში რომ გვქონდა შენახული, ჭიების წამალია). ამ წყალს ცოტას მოვასმევინებდით, მერმე საიდუმლოდ ვიტყოდით წესსა და სიტყვას, შუბლს მოვბანდით და ვნათლავდით ხოლმე. ამგვარად 300-ზე მეტი მოვნათლეთ. მონათლული ბიჭის გვარს მაშინვე ვიწერდით, რომ რომელიმე პატრთაგანს შეცდომით მეორედ არ მოენათლა.

ჩვენი უფალი, ალბათ, კმაყოფილებით შესცქეროდა ჩვენს თვალთმაქცობას. ბევრი ავადმყოფი თითქმის სასწაულებრივ გაჯანსაღდა არა მარტო სულიერად, არამედ ფიზიკურადაც. სხვათა შორის, ერთ ფაქტს გვიამბობენ, რომელიც ერთ ჩვენთაგანს თავს გადახდა. პატრი გამოიძახეს, რომ ერთი აზნაურისათვის (Atnaur) ანუ კეთილშობილისათვის ეწამლა. იგი მივიდა მასთან და ნახა, რომ მისი ორი წლის შვილი წყალმანკით იყო ავად. პატრმა განუცხადა დედამისს, ბავშვს უნდა მივცე ჭიის წამალი, რომელიც ჭიებს დახოცავს და ავადმყოფს მოარჩენს, თუ ამის მიზეზით არის ავადო. ბავშვის დედა კმაყოფილი დარჩა და, თანახმად ჩვეულებისა, მონათლა. დილით უზომოდ გახარებული პატრთან მივიდა და მოახსენა, რომ მისმა შვილმა ძალიან დიდი ჭია დააგდოო. ამ ფაქტმა წამალს იმდენად გაუთქვა სახელი, რომ მეორე სინიორამ, ზემოხსენებულის ცოლის დამ (cognata), რომელსაც ორი ბავში ჰყავდა და მათთვის მამამისს ჭიის საწინააღმდეგო წამალი ეშოვნა, თქვა, რომ მათი შვილები არ საჭიროებენ არავითარ წამალს, რადგან ჯანმრთელნი არიანო. მაგრამ როცა გაიგო, თუ რა შედეგი გამოიღო მისი დისწულის მიერ მიღებულმა წამალმა, უმალვე ორივე შვილი პატრის სენაკში მიიყვანა, რომ მათთვის წამალი მიეცა. პატრმა (რომ წამლისათვის უფრო მეტი ფასი დაედო) ჯერ ახვეწინა და მერე მისცა. შემდეგ კი ორივე მონათლა.

დასაწყისში ცოტას ვფრთხილობდით და ვაცხადებდით, რომ სამეგრელოში ნათლობა არ არსებობსო, რადგან გვეშინოდა ჩვენი მიზნისათვის ხელი არავის შეეშალა. შემდეგმა გამოცდილებამ, ისე როგორც ზემოთ დასახელებულმა ეპისკოპოსმა, რომელიც

აცხადებდა, რომ ჩვენი ნათლობა არ არსებობსო, იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ აშკარად უნდა გვეთქვა ჩვენი მოსაზრება. ამან ჩვენს სიტყვებს იმდენი ძალა მისცა, რომ მრავალი ყრმა და ამასთანავე მღვდელი მოინათლა. ყველაზე უფრო შესანიშნავი ის არის, რომ ორი ეპისკოპოსი საფუძვლიანად მოინათლა და ხელახლად უკურთხა. ამ ბოლო დროს მთავრის ვეზირმა პაპუა წულუკიამ (Papa Zulachia), დადიანის შემდეგ მეორე პირმა, ჩვენი ჩაგონებით გადაწყვიტა მონათლულიყო, რადგან ეჭვი ჰქონდა, რომ არასრულყოფილად იყო მონათლული. მან თავისთან იხმო ერთი ჩვენგანი, რათა ორივე დასწრებოდა და ეხილათ — მართლმადიდებელი მღვდლები ყველაფერს სწორად ასრულებენ თუ არა. მერმე იკითხა: რანაირი წესით უნდა ვთქვა ჩემი ცოდვების აღსარებაო. ასეთი პასუხი მიიღო: ნათლობა არათუ თანდაყოლილ ცოდვებისაგან განწმენდს ადამიანს, არამედ მიეტევება ახლად ჩადენილი შეცოდებანი და დანაშაულობანიცო. ვინაიდან არ იცოდა, კანონიერად იყო მონათლული თუ არა, ამიტომ ხელმეორედ მოინათლა იმ პირობით, რომ ყველა თავისი ცოდვა ეღიარებინა და, მაშასადამე, პირობითვე ცოდვები მიეტევებოდა. შემდეგ კი უნდა ზიარებულიყო, ვინაიდან ბერძნები (რომელთა ღმერთმსახურების წესსაც მართლმადიდებლები აღიარებენ) მონათვლის შემდეგ მყისვე აზიარებენ ხოლმე. როგორც ვურჩიეთ, მან ისე შეასრულა. შეეცადეთ და ჩვენ ვეზირთან ერთად მისი ოჯახის ზოგიერთი წევრიც მოვნათლეთ.

ხსენებული სინიორე (პაპუა წულუკია) იმდენად კარგ დამოკიდებულებაშია ჩვენთან, რომ მრავალგზის წინადადება მოგვცა (ჩვენთან შეთანხმებით) დადიანისათვის ჩაგვეგონებინა მონათვლა. თუ სინიორე ასეთ წყალობას გვიზამს და ამას შეასრულებს, მაშინ, უეჭველია, სამეგრელოს დიდი ნაწილი მოინათლება; შესაძლოა ამასვე ჩაიდენდა იმერეთის ერთი ნაწილიც, ალექსანდრე მეფე და გურიელი, რადგან მათი ნათლიღება, ჩვენის აზრით, ჯერ კიდევ საეჭვოდაა მისაჩნევი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერთმა უნდა წარმოსთქვას წესი და სიტყვები და მეორემ განბანოს.

ამ ბოლო დროს მათ კათალიკოსს ველაპარაკეთ მათი ნათლობის უვარგისობაზე. ჩვენდა სასიხარულოდ ნებას დაგვყვა, კიდეც მოინათლა და ხელმეორედ ეკურთხა. ამასაც დავსძენთ: საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთი უპირველესი თავადი (principalissima) გვარად ჩერტუა (Certua), სამეგრელოში ყველაზე მდიდარი, დავიყოლიეთ, რათა მას მოენათვლინებინა თავისი ყმების ყველა პატარა ბავშვი და მღვდლებისთვისაც შეესწავლებინა ის წმინდა ნათლის-

ღების წესები და სიტყვები, რომელთაც აღნიშნული საიდუმლოების კანონიერი შესრულება მოითხოვდა. თვით ეს სინიორე ჩვენის წყალობით გათვითცნობიერდა; გარდა ამისა, დავარწმუნეთ, რომ თავის ყმებს აღარ გაჰყიდის მონებად თურქებზე. მან არა მარტო პატიოსანი სიტყვა მოგვცა, არამედ საქმით მეტიც გააკეთა, რამდენიც კი შეეძლო, ტყვეები გამოისყიდა...

ნათლობის საკითხზე, კერძოდ, ორ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. ერთი მანდილოსანი იმდენად ეწინააღმდეგებოდა ჩვენი ღმერთმსახურების წესს, რომ მოიწადინა ჩარევა ჩვენი მოძღვრების საქმეებშიც, რომელიც ყოველ კვირა ეწყობოდა ხოლმე. ქალი საიქიოზეც ლაპარაკობდა და ამბობდა, ის არაფერს არ შველისო. ეს მანდილოსანი ხანგრძლივად ავადმყოფობდა. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში მასთან მივიდა ერთი პატრი, რომელიც არწმუნებდა, რომ ამ უკიდურეს მდგომარეობაში მაინც... მონათლულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სული სამუდამოდ დაიღუპებოდა. ღვთის შემწეობით პატრმა იმდენად დაარწმუნა იგი, რომ ქალმა წმინდა ნათლიღება ითხოვა. პატრმა იგი მონათლა, მაშინვე აღსარება ათქმევინა და პირობით ცოდვანიც მიუტევა. ამის შემდეგ ერთ საათზე ცოტა მეტი იქნებოდა გასული, რომ იგი გარდაიცვალა. ყველა კმაყოფილი დაგვტოვა, რადგან მან ამ უკანასკნელ წუთებში შეიგნო ის სარგებლობა, თუ რა იმედი გვასულდგმულებს ჩვენ სამოთხეში მოხვდომისას.

უფრო ღირსსახსოვარი მეორე შემთხვევა გადახდა იმავე პატრს. ჩვენი მოწინააღმდეგე იყო ერთი მღვდელი, რომელიც სხვებს აგულიანებდა ჩვენს ღმერთმსახურებას არ მიჰკედლებოდნენ, რადგან ფრანკები კარგი ქრისტიანები არ არიანო. გარდა ამისა, ზოგჯერ ცრუმორწმუნეობით სავსე სხვა მოსაზრებასაც გამოთქვამდა. ისე რომ ბევრი მასთან მიდიოდა, როცა რაიმე უბედურება შეემთხვევოდა და მიზეზის გამორკვევა სურდათ. მღვდელი აიღებდა ხელში ლოცვანის წიგნს, გადაფურცლავდა, ნებისმიერად ამოიკითხავდა ამა თუ იმ ადგილს და აძლევდა ღვთისმგმობ პასუხს, რომ ამის მეოხებით რაიმე გასამრჯელო მიეღო. ერთი სიტყვით, ჩვენ მას იმდენად ვძულდით, რომ, როდესაც გაიგო, ჩვენ მიერ მონათლული ორი თვის ბავშვი გარდაიცვალა, მან მკვდარი ხელახლა მონათლა, თანაც განაცხადა, ფრანკების ნათლიღება კანონიერი არ არისო და ჩვენს შეუტყობინებლად მყისვე დამარხა. ჩვენ განზრახვა გვქონდა გარდაცვალებული საზეიმოდ დაგვეკრძალა, ჯერ ერთი, გვინდოდა ჩვენი დასაფლავების ცერემონიის ჩვენება და, მეორეც, პატივი გვეცა ამ ნეტარი არსებისათვის.

ეს მღვდელი მძიმე ავადმყოფი რომ შეიქმნა და სიკვდილის პირას იყო მისული, პატრი მის სანახავად წავიდა, ვითომდა წამლების მისაცემად (ამ საშუალებით შეგვეძლო შესვლა სახლში და ყველა სიამოვნებით გვიღებდა კარებს). პატრმა ავადმყოფის ოთახიდან ყველა დაითხოვა, რადგან არ სურდა სხვებს ენახათ ის წამალი, რომლის მიცემასაც აპირებდა. ეს იმიტომ ჩაიდინა, რომ ავადმყოფი არ განრისხებულიყო და უარი არ ეთქვა ნათლიღების მიღებაზე, რადგან იგი მღვდელი იყო. როდესაც მარტო დარჩნენ, პატრმა (იგი გვარად გვავისელი-გავისელი Guavisseli)[1] განუმარტა მას, თუ რა საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა მისი სული და უთხრა თუ სურვილი გაქვს, მოგნათლავ, რადგან თქვენი ნათლიღება კანონიერი არ არისო. მღვდელმა ჰკითხა: „რომ მოვინათლო, მომარჩენო?“ პატრმა მიუგო: „გარწმუნებ, რომ მოგარჩენო“. ერთი სიტყვით, ბევრი მტკიცებისა და კითხვა-პასუხის შემდეგ პატრმა მღვდელი დაიყოლია. პატრს თან ჰქონდა წმინდა ნათლიღების წყალი. ავადმყოფმა თავი მოიხარა. პირველ ყოვლისა, თავისი ცოდვები მოინანია და მერმე მოინათლა, თანაც ჰპირდებოდა, თუ ვინიცობაა სიკვდილს გადარჩებოდა, პატრებისაგან მიღებულ რჩევა-დარიგებებს უკლებლივ შეასრულებდა. მღვდელი რამდენიმე დღის შემდეგ, განიკურნა თუ არა, პირველ ყოვლისა პატრს ეახლა. მან იგი შეაგონა, რომ კეთილი ცხოვრება დაეწყო და მრავალი ცრურწმენა მიეტოვებინა. წმინდა ნათლიღების ცერემონია შეასრულა თუ არა, ბერძენი კათოლიკე ეპისკოპოსის[2] ხელით ხელახლად ეკურთხა და ცრუმორწმუნეობის წიგნის ჩაბარებასაც დაგვპირდა. ცხადია, ცრუმორწმუნეობის ფუნქციას მხოლოდ იმიტომ ასრულებდა, რომ თავისი სიღატაკისათვის ეშველა რამე. პატრს შეეხვეწა, მოწყალება მიეღო და გაჭირვებაში მყოფს დახმარებოდა. პატრი შეჰპირდა, რომ ამაზე იზრუნებდა მას შემდეგ, რაც იგი კეთილ ცხოვრებას მოეკიდებოდა. ვიმედოვნებთ, რომ ამ მღვდლის მეშვეობით სხვებსაც ღვთის წიაღს დავუბრუნებთ.

მთავრის ბიერ მოცემულ ეკლესიასთან ერთად უფალმა ინება, რომ მას ჩვენთვის კვლავ ყურადღება მოექცია და რამდენიმე კომლი მშრომელი გლეხი ებოძა. ჩვენთვის ეს მეტად ძვირფასი საჩუ-

---

[1] შეიძლება იყოს „გავაშელი“.

[2] იმხანად დადიანის სანახავად სამეგრელოში მოსული ტრაპიზონის მიტროპოლიტი, ბერძენი ეპისკოპოსი კირილე. პატრებმა თავისი ქადაგებით იგი გააკათოლიკეს. ასე რომ, როდესაც პატრები მღვდლებს ნათლავდნენ, ეს მიტროპოლიტი ახლადმონათლულ მღვდლებს ხელახლა აკურთხებდა ხოლმე. პატრები ასეთსავე ფუნქციას გურიის მიტროპოლიტ ალავერდელსაც ასრულებინებდნენ.

ქარი იყო, რომ უფრო ადვილად შეგვძლებოდა კათოლიკურ წესზე მათი მოქცევა. ჩვენი მოწინააღმდეგენი, თუმცა ძნელად, მაგრამ მაინც აღწევენ წარმატებას, ვინაიდან დაჟინებით არწმუნებენ ხალხს, რომ ვინც ჩვენი ღმერთმსახურების წესს მისდევს, ის უსათუოდ მოკვდებაო. ამათში იყო დაახლოვებით 14 წლის ქალიშვილი, რომელიც ყოყმანობდა, ჩვენს წესზე მოქცეულიყო თუ არა. იმის მიხედვით, რასაც მართლმადიდებლები ლაპარაკობდნენ, დარწმუნებული იყო, რომ იგი მოკვდებოდა და ამის გამო გადამწყვეტ ნაბიჯს ვერა სდგამდა. ბოლოს თავის თავს გაენდო: როგორც ვხედავ, ფრანკები არ კვდებიან, მეც მინდა ვცადო, იქნებ გამიმართლდესო. ამისათვის პატრებს შეუთვალა, რომ სურვილი აქვს მოინათლოს და ყველაფერში და ყველგან მათი ცხოვრების წესი გაიზიაროს. როცა ეს ამბავი მისი ოჯახის წევრებმა შეიტყვეს, ყოველი ღონე იხმარეს, რომ მას კათოლიკური სარწმუნოება არ მიეღო. ამისათვის მას შეურაცხყოფდნენ, აწვალებდნენ, ურიას ეძახდნენ, მაგრამ იგი მედგრად ეწინააღმდეგებოდა ყველას. ხოლო პატრებმა, რომ იგი უკეთ გამოეცადათ, მისი მონათვლა რამდენიმე ხნით დააყოვნეს. ბოლოს ნახეს, შეურყევლად და დაჟინებითაც ითხოვდა მონათვლას. ამის შემდეგ დიდის დიდებით მოვნათლეთ და კატერინა (Caterina) დავარქვით. იგი ჩვენი ღმერთმსახურებისა და ცერემონიის აღსრულებას შეუდგა. განსაცვიფრებელი კია: თუ უწინ ხშირად ავადმყოფობდა, ისე იყო გამხდარი, რომ მცირე შრომა შეეძლო, მონათვლის შემდეგ ავადმყოფობისაგან განიკურნა, ხორცი შეივსო და ყველას გაკვირვებას იწვევს; ამჟამად ყველაზე მეტს მუშაობს.

სხვები ემუქრებოდნენ და მოლოდინში იყვნენ, მათი მარხვა რომ დადგება, მაშინ უსათუოდ მოკვდებიო. და ყოველი საშუალებით ცდილობდნენ თავისკენ გადაებირათ. კატერინა მუდამ შეუდრეკელად უპასუხებდა ხოლმე: „ისევე მოვიქცევი, როგორც პატრები იქცევიან და სიკვდილის სრულიადაც არ მეშინიაო. მარხვაც დადგა და ღვთის წყალობით იგი არ მოკვდა. როდესაც სხვებმა ყოველივე ეს ნახეს და ისიც, რომ სნეულებისაგან განიკურნა, მათაც გადაწყვიტეს მონათვლა და ჩვენი წესჩვეულების აღიარება. პირველი მათგანი იყო ერთი ქალი, რომელსაც თაფური ერქვა (Tapuri), წმინდა ნათლობის შემდეგ კი მარია (Maria) შევარქვით. მას მოჰყვა ოთხი სხვაც. ამჟამად ჩვენს სახლში ათი საზეიმოდ მონათლული გვყავს, რომელნიც ჩვენი ღმერთმსახურების კათოლიკურ წესს მისდევენ. ამასთანავე ორი დავაქორწინეთ, მათ ბავშვებს ქრისტიანულად აღვზრდით. რელიგიურად იმდენა-

დაა აღგზნებული ქალიშვილი კატერინა, რომ შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რასაც იგი აკეთებს: ჩვენი სარწმუნოებისათვის თავდადებულია. სხვებს უქადაგებს და უმთავრესად ხელს უწყობს, რომ კათოლიკობაში მოიქცეს ის ზემოხსენებული ქალი, რომელიც მისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთს მოინათლა.

ამ ბოლო ხანს ჩვენი ერთი პატრთაგანი გამოიძახეს, რომ ერთი დიდი პიროვნებისათვის ქინაქინის წამალი მიეცა. მან დიდი სიხარულით მიიღო იგი. სანამ პატრს გაისტუმრებდნენ, მან ბინაურებს დაავალა, პატრისათვის გადაეცათ: მისი დასაჩუქრება მინდა და თვით პატრმა თქვას, რას ისურვებს, რომ კმაყოფილი დარჩესო. პატრმა მიუგო, „თქვენი ჯანმრთელობის გარდა, მე სხვა არა მინდა რაო, წამლისათვის კი არავითარ საფასურს არ ვითხოვო“ — „არაო“, უპასუხა რაინდმა (Cavaliere cavaliere), „მე არ მაკმაყოფილებს თქვენი პასუხი, მსურს, რომ პატრმა ჩემი სიყვარულისათვის საჩუქრად ერთი მშვენიერი ცხენი ინებოსო“. მე პატრს ვურჩიე მადლობა გადაეხადა მისთვის, ეთხოვა მოწყალება მოეღო და ცხენის ნაცვლად მისთვის ერთი ბიჭი მიეცა. პატრმა იცოდა, რომ ეს სინიორე მრავალ ტყვეს ჰყიდდა თურქებზე და ადვილად შეეძლო ერთი სულის გადარჩენა. ამიტომ, ცხადია, ცხენის მაგიერ ბიჭის აყვანა ირჩია. ამ წინადადებაზე რაინდი მყისვე დათანხმდა და პატრს ორი წლის ბიჭი უბოძა. რაზედაც პატრმა დიდი მადლობა გადაუხადა. რადგან ამ დროს ზამთარი იდგა და ყინავდა, პატრი კი თავისი სახლიდან სამი დღის სავალზე იყო დაშორებული, ეძნელებოდა ბავშვის სახლამდე საღსალამათად მიყვანა. ერთი საწვიმარი ლაბადა ჰქონდა, რომელშიც ბავშვი შეახვია, ცხენზე შეჯდა და ხელში აყვანილი სახლში მოიყვანა. საზეიმო მონათვლის შემდეგ ნიკოლო დავარქვით.

ეს საკმარისია, რაც ითქვა ნათლობის წმიდა საიდუმლოებაზე. ახლა ზოგი რამ უნდა გამცნონ მონანიების წმიდა საიდუმლოებასა და ევქარისტიაზე. ცოდვათა მიტევების ფორმა ნათლიღებაზე სრულიადაც ნაკლები არაა, ეს კი მეგრელთათვის უცნობია. ამისათვის მე მათ დავუწერე შემდეგი: Absolvus servus christi in nomine Pris et Filii et Sptus St amen, რაც შემდეგსა ნიშნავს: Mighedefnen zodvani sceni sachelità mamisatà da smisatà Sulisatà amin — მიგიტევენ ცოდვანი შენნი სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა, ამინ. ეს ფორმა გავამრავლე და დავარიგე, რომ ცოდვათა მიტევების ფორმულად გამოეყენებინათ.

იმ ოჯახებში, სადაც ჩვენ ხალხი მოვნათლეთ და ჩვენი წე-

სის აღმასრულებელნი არიან, ზოგიერთი მათგანი აღსარებას ამბობს და ეზიარება ხოლმე 15 დღეში ერთხელ, სხვები კი მხოლოდ მთავარ უქმეებში. ქრისტიანული მოძღვრების სწავლებისათვის ყოველ კვირა დღეს ვიკრიბებით, გარდა ამისა, როგორც კი საექიმო დახმარების გასაწევად წასვლა მოგვიხდებოდა, მაშინვე ვცდილობდით ყველას შთაგონებას, რომ ხშირად ზიარებულიყვნენ.

ერთ დღეს ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: გამოძახებულნი ვიყავით ერთ მომაკვდავთან, რომელიც უკვე აღარ განიკურნებოდა, იქ ვნახეთ ერთი ბერძენი, მას ავადმყოფისათვის მიეღებინებინა წმიდა ზიარება. როდესაც გავიგეთ, ავადმყოფისათვის აღსარება არ ეთქმევინებინა და ისე ეზიარებინა, მაგრად გავიცინეთ და შევარცხვინეთ, რომ იგი ბერძენი იყო... შეცდომა კი ჩაიდინა და უაღსარებოდ აზიარა ავადმყოფი. მან გვიპასუხა, დადიანისა მეშინოდაო. აქ შემთხვევა მოგვეცა, მისთვის ჭეშმარიტება გვესწავლებინა.

მეორედ პატრმა ერთი მომაკვდავი ახალგაზრდა პოლონელი მღვდელი ნახა და ურჩია, აღსარება ეთქვა და ზიარებულიყო. პოლონელი დაეთანხმა. ყველა დაითხოვა, ვითომდა პატრს არ სურდა ენახათ ის წამალი, რომლის მიცემასაც აპირებდა. წმიდა ზიარებისთვის მას აღსარება ათქმევინა. მერმე დილით დროზე წმიდა წირვა დააყენა (ჩვეულებრივად ამისათვის ყოველთვის საგანგებო შესამოსელი თან მიაქვს ხოლმე), სეფისკვერი აკურთხა და თასით ავადმყოფს წაუღო საიდუმლოდ საკრამენტო. შემთხვევით გზაზე სახლის პატრონი შეხვდა და იკითხა, თუ რა მოჰქონდა მას. პატრმა უპასუხა: ავადმყოფის წამალიაო. პატრონმა დასძინა: „მე შენ გავალებ და ძლიერ გთხოვ, რომ მას კარგი წამალი მისცე". პატრი მივიდა და საიდუმლოდ აზიარა.

ჩვენი სარწმუნოების გარშემო მთავართან მრავალგზის გვიაუბრია. ერთხელ საგანგებოდ ვაზირის ოთახში დაგვიბარა, სადაც მთავრის, ვაზირისა და ჩვენი ორი პატრის გარდა სხვა არავინ იყო. მთავარმა ჭეშმარიტების გასაგებად სხვადასხვა მოსაზრება და საეჭვო საკითხები წამოაყენა. პატრებმა მთავარს პასუხი გასცეს და მთლიანად დააკმაყოფილეს იგი. ვაზირმა, მისი სიტყვებით რომ გადმოგცეთ, თქვა: „ოო, რა ბრძენი კაცები ყოფილან ეს პატრები, ასეთები არასოდეს არ გამიცვნიაო" და სხვა შესაქები სიტყვებიც იხმარა, რაზედაც ჩვენ დავიმორცხვეთ. მთავარმა პატრები თავის ოთახში შეიყვანა და უთხრა: „მე ძალიან კარგად ვიცი, რომ თქვენ მკურნალები არა ხართ და ყველაფერს ღვთის სიყვარულით აკეთებთ, ღვთის კაცნი ხართ და სხვა ამგვარი სიტყვები.

ამის გამო მე მსურს ერთი საიდუმლოება გაგანდოთ და თუ თქვენ ჩემი თავი გინდათ, არამც და არამც სხვას არ უთხრათო". თავისი საიდუმლოება გაანდო, ცხრა სკუდო მისცა და პატრები შინ გაისტუმრა. სამეგრელოში ჩვეულებად აქვთ, როდესაც რაიმე საჩუქარს უგზავნიან ვინმეს, საჩუქრის წამღებიც უნდა დაასაჩუქრონ. ამ წესისათვის გვერდი რომ აევლო, მოატანინა ცხრა სკუდი და ხაკუთარი ხელით პატრებს მისცა.

უფრო ვრცელ ინფორმაციაში უკეთ შეიძლებოდა შეფასებულიყო ის შრომა, რომელსაც მისიონერები ამ სამთავროში ეწევიან. რაც შეეხება სამეგრელოს მთავარს, მასზე დამატებით მოტანილი იქნება მასალა მესამე თავში. მთავარი დადიანი გულწრფელად არის ჩვენდამი განწყობილი, გვენდობა და პატივს გვცემს.

მთავარი თავისი ამალით მოვიდა, ჩვენს საცხოვრებელ სახლთან ახლო დადგა თავის კარვები და, ნიშნად იმ სიყვარულისა, რომელიც მას ჩვენდამი აქვს, ხანგრძლივად გვესაუბრა. ჩვენ თვითონ მივდივართ ხოლმე მასთან და სხვადასხვა საგანზე სასარგებლო საუბარს ვმართავთ, რასაც იგი სიამოვნებით ისმენს. ყოველთვის, როდესაც სამეფოს ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის, როგორც ზემოთ ვთქვით, იმ მხარეს გამოივლის, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით ხოლმე, მთელი თავისი დიდებულების თანხლებით. გზიდან მოშორებით განგებ შეჩერდებიან, რომ ჩვენს სანახავად მოვიდნენ და საუბარი გაგვიბან. უფრო ხშირად ჩამოაგდებდნენ ხოლმე ლაპარაკს საიქიო ცხოვრებაზე, რომლის შესახებ სრულიად არაფერი გაეგებათ. მთავარს სიამოვნებდა საუბარი უბრალო საკითხებზედაც, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო საკითხი, ბოსტნის წესრიგში მოყვანა, თავისთვის ითხოვა ბოსტნის ნაწილი, რომელიც ჩვენ მისთვის დავამუშავეთ. იგი კაცის მოცემას დაგვპირდა, რომელიც მის სახელზე ბოსტანს დაამუშავებდა.

ჩვენი ავადმყოფობის დროს მთავარმა გვინახულა და მეტად გულწრფელად შემოგვთავაზა ყველა ის, რაც ვინატრეთ, ამით სურდა თავისი გულუხვობა საქმითაც დაემტკიცებინა. საუბარის დროს ერთხელ მან კაცი გაგზავნა თითქმის ერთი დღის სავალზე ფეხით, რომ თავისი სასახლიდან წამოეღო ლიმონისა და სოჭის ნერგი, რომელიც ამ მხარეში მეტად იშვიათია. იმდენი ოქრო და ვერცხლი გვიწყალობა, რამდენიც მოვინდომეთ.

პატრებისათვის ბევრ შემთხვევაში გამოუცხადებია ნდობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ავად ჰყავს ხოლმე შვილები ან მეუღლე. ვინაიდან ხშირად სხვადასხვა საქმეების გამო მათთან განშორება უხდებოდა, ასეთ შემთხვევაში ოჯახის მზრუნველებად

ყოველთვის პატრები დაუტოვებია. ამასთანავე განკარგულებაც გაუცია, რომ პატრების ბრძანების წინააღმდეგ არავინ წასულიყო. მთავარი აცხადებდა, რომ მათ მზრუნველობაში ტოვებდა მეუღლეს, შვილებს. ასე ინებოს უფალმა, რომ სიკეთე და მყუდროება მოუვლინოს ამ სამთავროში.

მთავარი, როდესაც ავად გახდება ხოლმე, პატრების გარდა. სხვას არავის ენდობა. სხვათა შორის, პატრები ყოველგვარ საქმიანობას ასრულებენ, რაც ჩვეულებრივ შინამსახურებს ევალებათ. რაც შეეხება საჭმელს, მთავარს უნდა, რომ ესეც პატრების ხელით კეთდებოდეს. ხშირად ვერცხლეული, ოქრო და სხვა ნივთები მათთვის ჩაუბარებია, რადგან პატრებს მეტისმეტად ენდობა.

ერთ ბრწყინვალე წვეულებაზე, რომელზედაც დაახლოებით ათასი კაცი იყო დაპატიჟებული, მთავარმა პატრების დასწრება ისურვა. თადარიგი დაიჭირა, რომ პატრები დედოფლისა და მის სეფე-ქალებს შორის მოეთავსებინათ ნიშნად ახლო მეგობრობისა და პატივისცემისა, რომ დამსწრეთ დიდი წარმოდგენა შექმნოდათ მათ პატიოსნებაზე.

უნდა ვაღიაროთ ერთი მეტად დამახასიათებელი გარემოება იმათთვის, ვინც აქ სამისიონერო მოღვაწეობისათვის ჩამოვლენ. ქვეყანა და განსაკუთრებით ქალები მეტისმეტად ლამაზებია. ამ მხარეში უფრო მეტად, ვიდრე სხვა ქვეყანაში, დიდი თავშეკავებაა საჭირო, რომ ცთუნებაში არ ჩავარდეს კაცი.

მთავარმა და ყველა სტუმარმა პატრების უდიდესი პატივისცემა დაიწყეს მათი სათნო ხასიათისა და მკურნალობისათვის, უფრო იმიტომ, რომ ისინი წამლობაში არავითარ სარგებლობას არ ეძებდნენ, ამგვარ მოღვაწეობაში შეუძლებელია არ ეცნოთ პატრებში ღვთისაგან მონიჭებული მადლი, რადგანაც ისინი ნეტარებას განიცდიდნენ ყველა სახის ავადმყოფის მოვლასა და მკურნალობაში. უმეტესად განუკურნელსა და ძნელად მოსარჩენ სნეულებაზე ზრუნვაში, როგორიცაა ძნელი მშობიარობა და სხვა მძიმე ავადმყოფობანი. გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ თუმცა ყველა ჩვენგანმა მრავალი სნეული მოარჩინა, მაგრამ საამისო მეცნიერული სწავლა არ გვქონია, გარდა რამდენიმე საცნობარო წიგნისა. როდესაც ლოცვაზე მივდიოდით, ამ წიგნიდან რამდენიმე ადგილს ამოვიკითხავდით ხოლმე. წამლების მომზადების ცოდნა და გამოცდილება არ გაგვაჩნდა, არ ვიცოდით რომელი წამალი იყო ავადმყოფისათვის საჭირო. ვიცნობდით ადგილზე ხმარებულ მედიკამენტებს, რომლებსაც დიდი სარგებლობა მოუტანია დაავადებულთათვის. გარდა ერთი შემთხვევისა, ამ წამლებს კარგად უმოქმედია ავადმყოფებზე.

ზეციერმა უფალმა, ჩვენი თავმდაბლობა და მისიონის დანიშნულება რომ განედიდებინა, ინება, რომ არა მარტო მკურნალობაში, არამედ ყველაფერში ადამიანები დიდი ცოდნის შეძენისაკენ ისწრაფოდნენ. მრავალგზის აღძრული ეჭვები გაგვიქარწყლებია, რამდენგზის შეცდომებში დაგვირწმუნებია გონივრული მტკიცებითა და თვით მათივე წიგნებით, როგორც ეს თავს გადახდა არქიეპისკოპოს ალავერდელს[1], კათალიკოსის შემდეგ მთავარ საეკლესიო პირს, ამ სამთავროში ყველაზე განსწავლულსა და მეცნიერს. მაგრამ მეტად ზვიადს და ჩვენს დიდ მტერსა და მოწინააღმდეგეს. მას ჩვენ ძალიან ვძულდით მაშინაც კი, როდესაც ჩვენი პირჯვარის გამოსახვას უცქეროდა. იგი ჩვენში სატანისებურ ადამიანებს ხედავდა. ეს კაცი უარჰყოფდა წმიდა სულის გადასვლას ძეში. რამდენიმე საუბრის შემდეგ თავისთან მიგვიწვია და დაგვპირდა, რომ გამოიძიებდა და ჭეშმარიტებას ამოიკითხავდა ამ საკითხზე ქართულ წიგნებში. როდესაც ამას მიაღწია და ამ საგანზე პატრების ცოდნა გაიზიარა, იმდენად მოიხიბლა, რომ ჩვენების არც ერთ წირვას არ აკლდებოდა. რაც შეეხება ამ საკითხზე აღიარებულ ჭეშმარიტებას, სავსებით თუ არა, ნაწილობრივ მაინც იზიარებდა. ყოველ შემთხვევაში, მეტად კმაყოფილი დარჩა. თავდაპირველად ვძულდით, შემდეგ უკვე ნებაყოფლობით გვესაუბრებოდა ხოლმე, გვეთანხმებოდა, თავის ეჭვებს გვიზიარებდა, სახლში გვეპატიჟებოდა. იგი უკურნებელი სნეულებით იყო შეპყრობილი და ჩვენს ხელში დალია სული.

მთავარს, როდესაც რაიმე სიძნელე წამოეჭრებოდა თავისი სამთავროს მმართველობის საქმეში, ზნეობრივი ცხოვრებისა და სარწმუნოების საკითხებზე, ან ზოგჯერ მოლაპარაკება იყო საჭირო, ან ჯოგის საკითხი იყო გადასაწყვეტი და მისი მსგავსი რამ, ასეთ შემთხვევაში სურდა პატრების რჩევაც მოესმინა.

როდესაც მდინარე წალეკავდა და დიდ ზარალს მიაყენებდა ქვეყანას, დაზარალებულთ მრავალგზის მოუმართავთ ჩვენთვის,

---

[1] კახეთის ეპისკოპოსი ალავერდელი ამავე დროს გურიის მიტროპოლიტიც იყო. როსტომ მეფის (ხანის) ქართლ-კახეთში გამეფების შემდეგ იგი სამეგრელოში გადაიხვეწა, შემდეგ სამეგრელოდან ოზურგეთში ჩავიდა — თეათინელი მისიონერი პატრების წინააღმდეგ სამოქმედოდ. მისიონერებმა და ალავერდელმა ერთმანეთი საჯარო პაექრობაზე გამოიწვიეს საღვთისმეტყველო საკითხების გასარკვევად. ალავერდელებთან მოკამათედ პატრი ანტონიო ჯარდინა გამოსულამას მოკამათე ალავერდელი დაუძლეია და ბოლოს გაუკათოლიკებია კიდეც (ქრისტეფორო კასტელის გამოუქვეყნებელი წერილის თარგმანის გვ. 1—30).

რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ მთავარს მოვეთათბირებოდით და ჩვენთვის უეჭველად გააკეთებდა იმას, რასაც სხვებისათვის არ ჩაიდენდა. მიუხედავად იმისა, რომ მთავარმა ძალიან კარგად იცოდა, რაც ხდებოდა, რომ მისი შვილის ქონება და სახლი განსაცდელში იყო, მაშინვე როდი მიიღო ზომები. მაგრამ როდესაც შოვახსენეთ, რომ ჩვენს სახლებს საშიშროება ელოდა, მან ათასი კაცი გამოგზავნა, რომელნიც შუა წყალში შიშველნი შევიდნენ და ჯებირით მდინარება სხვა მხარეს მიმართეს. შემდეგ როდესაც გამოარკვია, რომ ჯებირი სავსებით საიმედო არ იყო, მთავარი ორგზის მოვიდა შესამოწმებლად, რათა უკეთესად გაეგრძელებინათ წყლის ნაპირი.

მცირე პატივისცემა როდი იყო ჩვენი, ამასთანავე უაღრესად მანუგეშებელიც, როდესაც მთავარმა უკანასკნელ ხანს ჩვენდა საამაყოდ განკარგულება გასცა, რომ თავისი ყმები აღარ გაეყიდათ თურქებზე. ამ სამთავროდან ყოველ წელს გასაყიდად მიჰყავდათ ღაახლოებით 2 ან 3 ათასი კაცი, რომელნიც შემდეგ უთუოდ თავიანთ სარწმუნოებას ტოვებდნენ ხოლმე. ჩვენს მისიონს ამის გარდა სხვა სარგებლობა რომ არ მოეტანა ამ მხარისათვის, ცხადია, ასეთი ქველმოქმედებაც საკმარისი იქნებოდა მათი მოღვაწეობის შესაფასებლად.

უნდა დავსძინოთ, რომ აქ მეტად ფასდება კაცთმოყვარეობა, რომელიც პატრების სახლშია შენიშნული სტუმრების მიღების დროს. ყველაფერი რაც ერთისთვისაა, ასეევა მეორისთვის სამონასტრო ჩვეულების მიხედვით.

ქართლიდან ჩამოსული უცხო პატრები თავაზიანად მიიღეს, მათთან პური ჭამეს და ღვინო დალიეს შინაურულად, ბერებში მიღებული წესისამებრ. ჩვენი ცხოვრების ადათსა და წესს აქ ერთობ დიდად სცემენ პატივს. ამ წესებს ის ხალხი უკეთ ასრულებს, რომელნიც თავიდან ჩვენი მოწინააღმდეგენი იყვნენ. თვით მთავარი ზუსტად იცავს ამ წესს, გარდა იმ დროისა, როცა იგი მისიონისაგან შორს იმყოფება, რაც ჩვენთვის დიდად საფიქრებელი გახდება ხოლმე, რადგან მთელ დროს სამხედრო წყობასა და ვარჯიშს ანდომებს. წირვა ყოველ დღე სრულდება მგალობელთა გუნდით — ჟამისას, სერობისას და ღამე. მამლის ყივილისას, სინსხამ დილით ვდგებით და წირვას ეკლესიაში ერთად ვაყენებთ, რაც არასდროს არ გაგვიცდენია. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესია ჩვენი სახლიდან დაშორებული იყო, ჩვენ ხშირად ჩვეულებრივი ტანსაცმელით წავსულვართ თოვლსა, წვიმასა და ტალახში.

კვირაობით ქრისტიანულ მოძღვრებას ვასწავლით. საზეიმო

უქმეებში წირვა დგება ზარის რეკით. რამდენიც კი შესაძლებელია, ეკლესია მდიდრულადაა მორთული ხალხის მოსაზიდავად. აქ ისინი თავს იყრიან ჩვენი რწმენის საიდუმლოებისადმი მოწიწების გამოსახატავად. ვნების კვირაში ცერემონიას არავითარ შემთხვევაში არ დააკლდებიან. კუბოს ვაკეთებთ და უწმინდეს შობის დღეს მრავალგვარი სიახლე შემოვიღეთ, როგორიცაა ბაგას გაკეთება. ეს იმდენად მშვენივრად გამოგვივიდა, რომ მთავარი, მისი ამალა და მრავალი ხალხი მოვიდა სანახავად.

ეკლესიაში გამოვფინეთ პატრი ავგუსტინელების მიერ ნაჩუქარი რელიეფური ჯვარი. ეს ახალი ხატი უცნობია ამ სამთავროში. სანახავად მთავარი, წარჩინებული თავადები და (Signori di dignità) მრავალი ხალხი მოვიდა.

რამდენიმე საათით ზოგჯერ ზიარებას გამოვსდგამდით, რომ ჩვეულებრივი კურთხევა შეგვესრულებინა. ამან გამოიწვია მოწიწება. შემთხვევა არ გავუშვით, რომ რამდენიმე თვით შემოგვეღო და განგვეგრძო დისციპლინის გავლა ეკლესიაში ერის კაცთათვის, რომელნიც ჩვენთან ერთად გადიოდნენ სულიერ წვრთნას.

თუ მწუხრისას „გიხაროდენ ქალწულოს“ ლოცვის ნიშნად ზარი ირეკება, რომლის შემდეგ საიდუმლო ლოცვა სრულდება, ის აგრეთვე ალიონის შემდეგ დილითაც მეორდება და მას მაშინვე უწმიდესი ღვთისმშობლის ლიტანიაც თან ერთვის, ყველაფერი ეს ჩვენ წესრიგს შეესაბამება. სიჩუმეს ჩვენს სახლში მცხოვრები ერისკაცნიც იცავენ. ჩვენი კონსტიტუციის განაწესის საათებში მაგიდაზე რომელიმე სასულიერო წიგნი იკითხება, თუ შუქის უქონლობის გამო არ შეფერხდა. საღამოთი ჩვეულებრივად ცეცხლის შუქზე ვვახშმობთ, სიღარიბისა და გაჭირვების გამო უზეთოდ[1] (oglio) ვრჩებით ხოლმე.

ჩვეულებრივი ღამისთევისა და მარხვის გარდა, ამ ქვეყნის ორ დიდ მარხვასაც ვასრულებთ ჩვენი სარწმუნოების შესაბამისად და რასაც წმიდა ეკლესია გვავალებს დიდმარხვასა და ხსნილში, ერთს უწმიდესი სამების შემდეგ პირველ კვირაში, ვიდრე წმიდა პეტრემდე, მეორეს — პირველ აგვისტოდან ღვთისმშობლობამდე, ამ დროს ხორცისაგან თავს ვიკავებთ და მხოლოდ რძის ნაწარმით ვიკვებებით. მარხვის დაცვა სავალდებულოა. ღამეს ვათევთ ოთხშაბათობით, რომ მივბაძოთ ყველაფერში ამ ხალხს, რომელთაც სძულთ და აღშფოთებულნი არიან იმათ მიმართ, ვინც ხორცს სჭამს დიდმარხვის დღეებში.

---

[1] როგორც ცნობილია, XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ნავთი ხმარებაში იყო და მას ადგილობრივ იღებდნენ, იგი ევროპელთათვის ზეთის სახელით იყო ცნობილი. (Oglio) არაბული სიტყვიდან, ზეთი.

წმიდა ეკლესიის მიერ სავალდებულოდ აღიარებულ დიდმარხვას ერთობლივ ვასრულებთ. სოფლებში მარტო ხანჭკოლით, მწვანილითა და ღომით იოლად გადიან, უფრო ხშირად კი ჭინჭრით და malva-თი, როგორც ზემოთაა აღნიშნული. ასეთ ყოფაში თავდაპირველად ძალიან გაგვიჭირდა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს საბრალო, მიტოვებული სამთავრო, სადაც მისიონერები წარსულში შეშინებულან და გაქცეულან მარტო მისი სიდუხჭირის გამო, ღირსია, რომ ახლა მაინც სიყვარულით გაიხსენონ და ყურადღება მიაქციონ მას, რომელსაც დასრულებული ქრისტიანული კულტურა მოეპოვება. უკვე დაძლეულია ყველა შეფერხება და წინააღმდეგობა. ღვთის ვენახი უდაბნოდ რომ არ იქცეს, ამასთან ერთად, წარსულის გამოცდილებანი რომ გავითვალისწინოთ, შეიძლება შიში ვიქონიოთ, რომ სხვა დროს ვერ გავაკეთებდით მას, რასაც ამჟამად გადავდებდით და მივატოვებდით და რის გაკეთებაც ახლა აქ მყოფ მისიონს შეუძლია. ძნელი მისაღწევი კია. ხოლო ეს საკითხი ცალკე რომ გაგვეხილა, მეტად ადვილი იქნებოდა მისი მოგვარება.

ამ სამთავროდან შეგვეძლო უკეთესი და ადვილი მისასვლელი გზა გამოგვენახა მის მოსაზღვრე სხვა უცნობ და ჩამორჩენილ, სამეგრელოს მთავრისაგან მიტოვებულ ან მის იურისდიქციაში მყოფ სამთავროსთან. სამეგრელოს მთავრის მეტად ეშინიათ, რადგან იგი ძლიერი სინიორია.

უკვე გული მოვიგეთ და თანაგრძნობაც დავიმსახურეთ ზოგიერთი პირისა, ე. ი. სამეგრელოში მძევლად ნამყოფი აფხაზეთის ერთი თავადისა და ყარაჩაელი (Caraccioli) თავადისაც, რომელიც ჩვენ განვკურნეთ ავადმყოფობისაგან. პატივისცემის ნიშნად მათ შემოგვთავაზეს დახმარება და თავიანთი სამსახური.

რაც შეეხება სპარსეთს (სამეგრელოდან ჩვენ მოგვიწოდებს თავისთან სპარსეთის დედოფალი, რომ ქართლი და სამეგრელო მთლად ჩვენზე გახდეს დამოკიდებული), უნდა მივუთითო უკვე მოწერილ წერილებზე და აღვნიშნო მარტო ის, რაც მოვისმინე გამოცდილი პირისაგან, რომ იმ სამეფოში (ე. ი. სპარსეთში), არავითარ შემთხვევაში შესაძლებელი იმედი არ უნდა ვიქონიოთ დედოფალთან დალაპარაკებისა, რადგან ამაზე ნებას არა რთავენ, გინდაც თვით დედოფლის მიერ ვიყოთ გამოძახილნი საპასუხოდ. როგორც ჩანს, შეუძლებელია დაისახოს რაიმე იმედი.

აქ ვათავებ ამ არასრულ რელაციას სამეგრელოზე, ესეც

მხოლოდ იმიტომ, რომ მორჩილება გამოვხატო და უბრალო ცნობა მივაწოდო ამ მისიონის მდგომარეობის შესახებ. ბევრ ამბავს ვტოვებ, რომლის შესახებ არაფერი მახსოვს და ვგონებ სამეგრელოდან მოწერილ წლიურ მოხსენებებში ამის შესახებ უნდა მქონდეს აღნიშნული.

დიდება ღმერთს! გამარჯვება და უპკნობი სიხარული მას, ვინც კეთილი განზრახვით წყვდიადში აჩრდილივით შთენილი ხალხის დასახმარებლად თავს დაიმდაბლებს და უწინამძღვრებს მას.

---

ᲬᲔᲥᲡᲬᲨᲘ ᲐᲦᲜᲔᲠᲘᲚ
ᲰᲘᲠᲗᲐ

# ᲘᲚᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘ





ridentia_

Ibuero Giorgiæ m qua agorelli non semel fumeis a pessimis

[illegible], Chithelicæque_

Eluca beria Donna famosa nella
Città di Gorielle data alli Padri dal Pren-
cipe Malachia per seruitij è per proua
della loro Continenza 1637. sino à 1640.

dentijs

ellionariorũ in prouincia Mengreliæ gratis da-
cum pluribus ospitijs ipsorũm in diuersis locis.

POST EXACTAM HYEMEM
De Re
Residentiæ, domusq3 nostrorũ Patrũ m
tę ab Amicis benefactoribus in annoliõs




TOTIVS COLCHIDIS HODIE MINGRELIA
ALIÆ AC CORACE AMNE AD PHASIM
VSQVE DESCRIPTIO
CAVCASVS
ALANI
CAVCASVS
SVANI
RVANI
CAVCASVS
ΕΥΞΙΝΟΣ
ΠΟΝΤΟΣ

# Domus Mengrelli.

Hoc præsens edificium seu domus est situm in villa Mengrelli Regis quæ dicitur Aqer Iudit in quo dum ipse circum suam Provinciam per aliquos menses moratur quia præ alijs Primatus est.



A Lunt palatii e que licitur domus
tuti de ferro di fuori e di muro
di pietra solamente preso di dentro nel
la corte di [illegible]

## De Dignitatibus.

Orientales Equites carent etiam titulo Illust. Domini Illustris, & aliorũ, utpote Ecc.ae Emin.ae Altitudinis Maiestatis quia sanctori opinio est hec omnia soli DEO competere hominibus uero aliquod Anthonomasia id Princeps Rex & non aliter

## Magni habent DEVM.

Circumfertur ab omnibus Orientalium magnũ esse peccatũ tribuere hominibus quod soli DEO competit, et Sanctis suis.

## Baxia Benefactor.

Bauria Arrabachi sanpreche dicius de luoro ostremus miles in oriente affemonatis. Amicus nostrorum Mcsionariorum manens Guriellis Auiculus Reginæ Elenæ.

RESIDENTIE PRINCIPALI ACQVISTATE IN ORIÊTE
da nostri Padri sotto tre Pontefici cioè Vrbano VIII.
Innocentio X. & Alessandro VII.





Principi Orientali liberalissimi & amati de Virtuosi & Homini essemplari.

De Patriarca Georgio.

## De Creditu Missionariorum

Confidentia nostrorum Patrum Missionariorum magna nimis est apud Orientales Principes itaut ipsi etiam uitam proprium quoque honorem datur ab ipsis in manibus illorum maxime in infirmitatibus suis filiorumq. spernit potis in Orationibus nostrorum Patrum quam Gentorum sacerdotum.

## De Persiana Regina

Elena de Artabac Regina Persie filia uero spiritualis nostrorum Missionariorum manentium in Provincia Gadellis in qua coluerunt Anno Domini 1673.

## De Benefactoribus.

Elena Artabac Filia Principis Ardan Provinciæ Samisichæ in mesopotamia postea Regina Persiana Vxor Suasafi Filij Xiabas magni

## Secundus Genitus Mégrelli.

Secundus genitus Mengrelli Regis etiam paraliticus dicitur mefecerit qui est dilectus nostrorum Missionariorum datus ut ab infirmitate prediciatur curaretur ab ipsis quod nequaquam placuit DEO propter patrata scelera.



## De Thaimoratio.

Thaimoratius Georgianus Rex Mikiqui Iniquissimus in omni pugnans contra personas uariasque inimicos Sanctæ Fidei ductus a Christicolis Orientalibus Defensus et Propugnant acerrimus Sanctæ Fidei

## ს უ რ ა თ ი № 1

### მამია გურიელი

მ ი ნ ა წ ე რ ი ქ ვ ე მ ო ა შ ი ა ზ ე: იარაღასხმული მთავარი მამია გურიელი. მისმა შვილმა სიმონმა პურის ჭამის დროს მოკლა იგი.

ზ ე მ ო ა შ ი ა ზ ე: კასტელის სურათის ზემო აშიაზე მიწერილი აქვს: გურიაში, სადაც დიდ ტანჯვაში გავატარე წლები, ხუთი მთავარი გამოიცვალა. მთავარს მამია ერქვა. მამიას გარდაცვალების შემდეგ სამთავროს მისი შვილი სიმონი განაგებდა. მერმე მალაქია, რომელიც ამავე დროს პატრიარქიც იყო, შემდეგ ვახტანგი და ბოლოს ქაიხოსრო. იგი დღესაც ცოცხალია და დიდი პატივისმცემელია ჩვენი პატრებისა.

## ს უ რ ა თ ი № 2

### გურიის მთავარი და პატრიარქი მალაქია

მ ი ნ ა წ ე რ ი ზ ე მ ო ა შ ი ა ზ ე: მალაქია...

ქ ვ ე მ ო თ, მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ: გურიელი... მეფე საქართველოსი. ღვთისა გეშინოდეს, პატივი ეც მეფეს.

## ს უ რ ა თ ი № 3

### თეათინელ მისიონერთა სავანე გურიაში

მ ი ნ ა წ ე რ ი ქ ვ ე მ ო ა შ ი ა ზ ე: თეათინელთა სავანე იბერიის სამეფოს მხარეს — გურიაში.

შ ი გ ნ ი თ: სთესდნენ და სოფლის მეურნეობას ეწეოდნენ. რეგულარების წესის სასულიერო პირებს ძალიან ღარიბ საცხოვრებელში დაედოთ ბინა გურიაში.

1. პატრების სახლი, 2. კვამლმა, შიმშილმა და სიცივემ შეგვაწუხა.

მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ: ამ სოფლის სამ ეკლესიაში წირვას ვაყენებთ. ყველა განცვიფრებული რჩება ახალ ეკლესიაში (ბერძენთა) მართლმადიდებელთა წმიდანების ხატებით და პატრების მიერ სასოებით შესრულებული წირვით.

ეპისკოპოსმა პატრების შეგონებით აღმსარებლად წმ. ბასილელი ბერძენი მიკიზე კოლოიორო აირჩია. მან (ბერძენმა აღმსარებელმა) დევნა დაგვიწყო და იძულებული გვყო აქაურობას გავცლოდით. ეს ჩემზე 17 წლით ახალგაზრდა მალე საიქიოს გზას გაუდგა.

## ს უ რ ა თ ი № 4

### აფხაზეთის მთავარი შარაშია სეტემანი

მ ი ნ ა წ ე რ ი ზ ე მ ო ა შ ი ა ზ ე: 1. აფხაზთა მოხუცი მთავარი, 2. მეგრელებზე უფრო ამაყი ხალხის, აფხაზეთის მთავრის დარეჯან ბატონიშვილის მამის, სეტემანის პორტრეტი.

ქ ვ ე მ ო თ: დადიანმა მის ქალიშვილს ცხვირი მოსჭრა, რამაც განარისხა, ქოფაკივით გააცოფა, გააფიცხა, გონი დაუკარგა და დაუდგრომელი გახადა.

## ს უ რ ა თ ი № 5

### გორის ციხესთან მდებარე მისიონერთა სავანე

მ ი ნ ა წ ე რ ი ზ ე მ ო ა შ ი ა ზ ე: 1. ...ჩვენს დროში, დიდი იბერიის გაუკაცრიელების შემდეგ.

მ ი ნ ა წ ე რ ე ბ ი შ ი გ ნ ი თ: 2. ჯარისკაცები (თურქების) სათვალთვალე ქონგურებიდან, 3. ნეტარ ავგუსტინის ეკლესია, 4. მირაგა, 5. სომხების საეკლესიო, 6. „რეგულარების წესის“ პატრებისათვის განკუთვნილი სახლი, 7. ავგუსტინელი პატრები, 8. წყალი მოაქვთ სახედრით, 9. პატრები მოდიან სოფლიდან, 10. პატრები დიდ გენერალს, სპარსეთის ხელმწიფის სარდარს ეთათბირებიან. მას წარუდგინეს სპარსეთის ხელმწიფისაგან შეკვეთილი გეგმა (გორის ციხისა), 11. ჩვენი რეზიდენცია საქართველოში, სადაც ყოველთვის ცუდად როდი გვხდებოდნენ, 12. ეხლა კახელები სპარსეთში არიან გადასახლებულნი. სომხეთის მოსაზღვრე ეს ქვეყანა უმთავრესად შაჰ-აბასმა დაცალა ხალხისაგან...

## ს უ რ ა თ ი № 6

### სამეფო ნადიმი მეფე ალექსანდრე III-სთან,

### სადაც მიწვეული იყო მისიონერიც

მ ი ნ ა წ ე რ ი ქ ვ ე მ ო ა შ ი ა ზ ე: მეფეს არაერთგზის მივუწვევივარ ბრწყინვალე ნადიმზე, ხან საქართველოს პატრიარქთან ერთად, ხან ალექსანდრიის პატრიარქთან და ხან კი დედოფალთან და ყოველთვის თავის გვერდით მამყოფებდა ხოლმე. ზოგჯერ მისი საკუთარი ხელით მოწოდებული ღვინო დამილევია, თავისი ჭიქით დანალევ ღვინოს მასმევდა ხოლმე, რაც დიდ პატივისცემად ითვლება.

ზ ე მ ო თ მ ა რ ც ხ ნ ი ვ: ნადიმზე უკრავენ (ინსტრუმენტებზე), მღერიან და ცეკვავენ, განსაკუთრებით დღესასწაულებზე.

მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ: დიდებულებთან ნადიმობის დროს, სხვადასხვა კითხვით მომმართავდნენ, რის შესახებაც თავის ადგილას ვიტყვით.

ქ ვ ე მ ო თ მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ: არ შევხვედრივარ ისეთ მართლმადიდებელთ, რომლებიც გულით ბოროტნი ყოფილიყვნენ, ასეთი არიან მხოლოდ თეათინელთა მოწინააღმდეგენი.

## ს უ რ ა თ ი № 7

მ ი ნ ა წ ე რ ი ზ ე მ ო ა შ ი ა ზ ე: გურიაში სილამაზით სახელგანთქმული ქალი ელუკა ბერია, მთავარმა მალაქიამ პატრებს უბოძა მოსამსახურედ მათი ცთუნების გამოსაცდელად (1634 წლიდან 1640 წლამდე).

ი ქ ვ ე  ბ ე ჭ დ ვ რ ი  ხ ე ლ ი თ  ს ე ნ ტ ე ნ ც ი ა: ამაოა სილამაზე: ღვთისმოსავი ქალი ფრიად საქებარია.

## ს უ რ ა თ ი № 8

ლამაზი ქალი ელენე (ელუკა ბერიას სურათის ვარიანტი).

## ს უ რ ა თ ი № 9

### მისიონერთა რეზიდენცია სამეგრელოში და მისი აღწერილობა

მ ი ნ ა წ ე რ ი  ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი თ  ქ ვ ე მ ო  ა შ ი ა ზ ე: მისიონერთა სავანის შესახებ.

სამეგრელოს პროვინციაში მისიონერებს სხვადასხვა ადგილას მრავალი სასტუმრო აქვთ მოწყობილი, რომლებშიაც უფასო თავშესაფარს სთავაზობენ მოსულთ.

მ ა რ ც ხ ნ ი ვ: 1. ამბარი.

მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ: 2. დიდი ბაღი.

შ უ ა შ ი: 3. ხალხის დახმარება ყოველგვარ საქმეში.

ქ ვ ე მ ო თ: 4. პატრი მოწყალებას იღებს სხვადასხვა პირთაგან.

მ ა რ ც ხ ნ ი ვ: 5. სახლებს ისლითა ხურავენ.

გ ვ ე რ დ ი თ: 6. წყლის წაღება.

მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ: 7. როგორ ქურდავენ მეგრელები სახლს შიგნიდან.

ქ ვ ე მ ო თ: 8. თეათინელი რეგულარული პატრები უკურნებელი ავადმყოფობით შეპყრობილ მეგრელ ქალსა და კაცს მზრუნველობასა და მკურნალობას უწევენ და ბავშვებს უნათლავენ მათ.

ქ ვ ე მ ო თ: მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ: სამეგრელოს უდიდესი რეზიდენციის აღწერილობა, ღარიბთა თავშესაფარი და თეათინელი რეგულარული პატრების დასასვენებელი ადგილი.

## ს უ რ ა თ ი № 10

### კათოლიკე მისიონერების რეზიდენცია სამეგრელოში და სხვადასხვა სცენები მათი მოღვაწეობიდან

მ ი ნ ა წ ე რ ი  ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი თ  ქ ვ ე მ ო  ა შ ი ა ზ ე: ჩვენი პატრი მისიონერების ადგილსამყოფელი და სახლი, რომელიც ჩვენმა კეთილისმყოფელმა მეგობრებმა გვიბოძეს 1654 წელს.

მ ა რ ც ხ ნ ი ვ: 1. მეგრელი ქალი..., 2. უამინდობის შემდეგ, 3. სკივრში შენახულ წკეპლებს დაუნდობლად რომ გამოვიყენებთ საკუთარ ცთუნებათა დასაძლევად.

ზ ე მ ო თ  მ ა რ ც ხ ნ ი ვ: 1. წმ. გიორგის სახელობის რეგულარულ თეათინელთა ეკლესია.

ქ ვ ე მ ო თ  მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ: 2. ნეტარი ქალწული მარიამის სახელობის ეკლესია, 3. წყარო, 4. საყდარში მიმავალი ქალები, 5. ალი ბეგის საფლავი, 6. პერეტიკოსი მღვდელი, 7. მთავრის მიერ პატრებთან გამოგზავნილი ავადმყოფი.

ქ ვ ე მ ო თ  მ ა რ ც ხ ნ ი ვ: 8. ოდისევსი და მისი ისტორია, 9. პატრები ამხელენ ბავშვებისა და მოზრდილების ტყეებით მოვაკრეებს.

## ს უ რ ა თ ი № 11

**ზღვისპირა ქალაქი, სადაც ადამიანებით ვაჭრობენ**

მ ი ნ ა წ ე რ ი ზ ე მ ო ა შ ი ა ზ ე: ამ ზღვისპირა ქალაქში ყოველწლიურად საჯარო ვაჭრობა იმართება ყველა ჯურის და ჰასაკის ბავშვთა, კაცთა და ქალთა გასაყიდად. აქედან გადიან კონსტანტინოპოლისაკენ ქრისტიანების მიერ თურქებზე გაყიდული ბავშვებით დატვირთული სავსე გემები, მათი ბავშვების სულები ხომ სამუდამოდ დაკარგულია!

## ს უ რ ა თ ი № 12

**ბაზრობა ილორში**

## ს უ რ ა თ ი № 13

**ქრისტეფორე კასტელის მიერ შედგენილი სამეგრელოს რუკა**

მთელი კოლხეთის, ანუ დღევანდელი სამეგრელოს აღწერილობა მდინარე კორაქსიდან (კოდორიდან) მოკიდებული ფაზისამდე (რიონამდე).

## ს უ რ ა თ ი № 14

**სამეგრელოს მთავრის, ლევან II-ის, სასახლე ქალ. ზუგდიდში**

მ ი ნ ა წ ე რ ი ქ ვ ე მ ო ა შ ი ა ზ ე: მთავრის სასახლე ქალაქ ზუგდიდში.

ს უ რ ა თ ი ს თ ა ვ ზ ე: 1. სამეგრელოს მთავრის სასახლე, 2. ეს ნაგებობა, ანუ სასახლე სამეგრელოს მეფის ქალაქშია, რომელსაც Ager ludit ეწოდება. მთავარი რამდენიმე თვის განმავლობაში თავისი ქვეყნის შემოელისას ერთხანს აქ ჩერდება ხოლმე, რადგან სხვებთან შედარებით უპირატესობა ამ შენობას აქვს.

მ ა რ ცხ ნ ი ე ზ ე მ ო კ უ თ ხ ე შ ი: 1. ქ. ზილიხან, 2. მილი ან, 3. ისმაელ, 4. სმაელ, 5. სეიჩი კორე.

მ ი ნ ა წ ე რ ი ნ ა გ ე ბ ო ბ ა ზ ე: ეკლესია და მრავალი სახლი.

ქ ვ ე მ ო თ: 1. აქ ხდება ორთაბრძოლა და წყდება სამართალ-საჩივარი, 2. ამ ეკლესიაშია..., 3. ზოგ სასახლესა და სახლს გარს შემომწკრივებული აქვს ნანადრევი ირმის რქები და გარეული ტახის ეშვები.

## ს უ რ ა თ ი № 15

**მალაქია გურიელის მეუღლე ვომინისია ბერიძე**

მ ი ნ ა წ ე რ ი ქ ვ ე მ ო ა შ ი ა ზ ე: კეთილშობილი მღვდელმთავრის გურიელის მეუღლე ვომინისია ბერიძე, დიდად ნიჭიერი და მრავალი სათნოებით სახელგანთქმული.

ზ ე მ ო თ: 1. ეს ქალბატონი დედობას მიწევდა. ბევრი მოწყალება მომცა. მრავალ შემთხვევაში ხელი შემიწყო. ჩვენი მწერალი იყო, როდესაც რაიმე მნიშვნელოვანი წერილის მიწერა გვინდოდა მეფესთან, დედოფალთან, ასევე სხვასთანაც, რომლებთან წყალობით ვცხოვრობდით, 2. ამ ქალბატონის სახლში მოვნათლე ათი ბავშვი.

## ს უ რ ა თ ი № 16

**სამცხის ათაბაგი... ელენეს მამა**

მ ი ნ ა წ ე რ ი ქ ვ ე მ ო თ: კეთილშობილი ფაშა. სამცხის ათაბაგი ფაშა დიდად საყვარელი და გაბედული მეომარია აღმოსავლეთში. იგი ჩვენი მისიონერების მეგობარია. გურიელ ბიძასთან (დედის ძმასთან) დედოფალ ელენესა სტოვებს.

ზ ე მ ო თ: 1. წ ო დ ე ბ ა თ ა შ ე ს ა ხ ებ. აღმოსაელეთის მხედრიონს ტიტულები არა აქვს: უბრწყინვალესი ბატონი, ბრწყინვალე და სხვ.; ასევე უაღმატებულესობა, უმაღლესობა, უდიდებულესობა, ბრძენთა შეხედულებით ყველა ეს ღმერთს შეეფერება, ადამიანთათვის კი საკმარისია რომელიმე ანტონომაზია, როგორიცაა მთავარი, მეფე და არა სხვაგვარად, 2. მხოლოდ ღმერთის კუთვნილებაა — დიდი. მთელ აღმოსაელეთში გავრცელებულია აზრი, რომ ცოდვაა მიაწერო ადამიანს დიდი, რომელიც მხოლოდ ღმერთს და მის წმინდანებს შეეფერება.

## ს უ რ ა თ ი № 17

**მამია გურიელის შვილი სიმონი, რომელმაც მოჰკლა მამამისი**

მ ი ნ ა წ ე რ ი ქ ვ ე მ ო თ: 1. სიმონ გურიელი, 2. მისიონერი იაკობი ნახატებს უჩვენებს გურიელს.

## ს უ რ ა თ ი № 18

**მისიონერი კრისტოფორო კასტელი იმერეთის მეფის სამეფო ნადიმზე საპატიო სტუმარია**

მ ი ნ ა წ ე რ ი მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ ზ ე მ ო თ: 1. იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ს თავის სუფრაზე მრავალგზის მიეუწვევივარ და რამდენჯერმე დედოფალთანაც ერთად. მან თავის წინ დამსვა, თავისი ხელით საკმელები მომიწია და ზოგჯერაც საკუთარი ჭიქიდან დანატოვი ღვინო შემასვა, გულწრფელი სიყვარულისა და პატივისცემის გამოსაჩენად, 2. პატრი, მეუღლე... დედოფალი, მეფე.

ქ ვ ე მ ო თ მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ: როდესაც მაგიდას ეუსხედით, შორიდან დავინახეთ ჩვენსკენ მომავალი ალექსანდრიის პატრიარქი, რომელმაც გაიგო თუ არა, რომ მეფე მწყალობდა, შეეცადა ჩემს განდევნას, ვინაიდან ეს მხარე მის საპატრიარქოში შედიოდა.

ზ ე მ ო თ მ ა რ ც ხ ნ ი ვ: ალექსანდრიის პატრიარქ ნიკიფორეს შურდა ის წყალობა, რომელსაც მეფისაგან ვიღებდი, დიდის გაჭირვებით მის კარს მოაღწია, მაგრამ გაიქცა იმით განაწყენებული, რომ მეფე წყალობდა მოწინააღმდეგე ლათინელ მღვდელს.

ქ ვ ე მ ო თ მ ა რ ც ხ ნ ი ვ: 1. პატრიარქი ნიკიფორე, 2. ეს პატრიარქი ბერძნული წესის აღმსარებელი იყო, ეროვნებით კანდიელი ბერძენი, ყველა მეცნიერებაში განსწავლული პიროვნება, მოწაფე პატივცემული იეზუიტი პატრების. ეს ერთი იმ პატრთაგანი იყო, რომელსაც წარმოდგენა არა ჰქონდა ჩვენს სამეფოზე.

## ს უ რ ა თ ი № 19

### ნიკოლოზ (ნიკიფორე) ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილის პორტრეტი

მ ი ნ ა წ ე რ ი ზ ე მ ო ა შ ი ა ზ ე: 1. ჩვენი პატრების მიერ დაარსებული საეკანეები აღმოსავლეთში ურბანო VIII, ინოკენტ X და ალექსანდრე VII მღვდელ-მთავრობის დროს.

მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ: 1. ქართველი მეფის ელჩი, 2. ეს ნიკიფორეა, გვარად ირბახი, მეფისა და საქართველოს პატრიარქის ელჩი, რომელიც ჩამოვიდა რომში წმინდა მღვდელმთავრის ურბანო მერვეს დროს და აღმოსავლეთის ხალხთა სამოციქულოდ მღვდლები ითხოვა.

ქ ვ ე მ ო თ: ასიზის (ქალაქია იტალიაში) წმ. ბასილის წესის მონაზონი, უკეთილშობილესი ქართველი ირბახი, იერუსალიმელი, სახელმოხვეჭილი კაცი იბერიის, კოლხეთის სამეფოსა და სამთავროებში.

## ს უ რ ა თ ი № 20

### ტახტის მპყრობელის იმერეთის მეფის ალექსანდრე III კარი

მ ი ნ ა წ ე რ ი ზ ე მ ო ა შ ი ა ზ ე: სამეგრელოს მეფემ, რომელმაც საქართველოს მეფის თხოვნით გამაგზავნა (იმერეთში) მეფის მომსახურებისათვის, შეიტყო რომ (იმერეთის მეფემ) დამითმო თავშესაფარი და ადგილსამყოფელი მის სამეფოში და უდიდესი წყალობა მომანიჭა. რადგან დადიანი შეეჭედა რომ (იმერეთის მეფისაგან) დამოკიდებული გავხდებოდი, იქ გამოაგზავნა ერთი ელჩი, სამეფოში და უდიდესი წყალობა მომანიჭა რადგან დადიანი შეეჭედა, რომ უკან დაეებრუნებინე, მაგრამ შეხვდა რა სიძნელეს საქართველოს მეფის მხრით... წინააღმდეგობის გამო ხსენებული ელჩი უკან გაბრუნდა, როგორც ეს მოთხრობილია ისტორიაში.

ქ ვ ე მ ო თ: ერთხელ იბერიის მეფემ საჯაროდ დაიფიცა, რომ უკან აღარ გამიშვებდა თავისი კარიდან და მომცემდა იმას, რასაც მოვითხოვდი. ეს სიტყვები მიუტანეს სამეგრელოს მთავარს და მან ყოველი ღონე იხმარა ჩემს უკან დაბრუნებლად.

## ს უ რ ა თ ი № 21

### აფხაზეთის მთავარი ბესლაკო შარაშია კურთხევას იღებს ნიკიფორე (ნიკოლოზ) ჩოლოყაშვილისაგან.

მ ი ნ ა წ ე რ ი ზ ე მ ო ა შ ი ა ზ ე: აფხაზეთის (მთავარი) ბესლაკო შარაშია (ჩარასია) კავკასიის მთებში ეგებება იერუსალიმის არქიმანდრიტს, ნიკოლოზ ირბახს... საქართველოს პატრიარქის საეპარქიოს ქაჯია ბაზში (?) 1650 წელს. (აფხაზეთის მთავარი) მთელი თავისი ოჯახით უფრო მაჰმადიანია, ვიდრე სხვა სარწმუნოებისა.

მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ: იალქნიანი ნავი ზღვაზე.

ნ ი კ ო ლ ო ზ ი რ უ ბ ა ქ ი ძ ე-ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი ს ფ ე ხ ე ბ თ ა ნ მ ი ნ ა წ ე რ ი: აფხაზთა ხალხი.

ქ ვ ე მ ო თ: მთაზე მდებარე ეს შენობა აფხაზეთის მთავრის საგანძურსაკუჭნაოა.

## ს ურ ა თ ი № 22

### იმერეთის მეფე ალექსანდრე III 1639—1660 წლები

მ ი ნ ა წ ე რ ი ქ ვ ე მ ო ა შ ი ა ზ ე: 1. ქართველთა მეფე ალექსანდრე, 2. იბერიის მეფე; 3. იბერიის მეფე ალექსანდრე ამჟამად ცხოვრობს უძველეს ქალაქ ქუთაისში; 4. ...სახელი შენი ძმანო ჩემნო; 5. მისი შვილი მონათლულია ჩვენი პატრის მიერ.

ზ ე მ ო თ: 1. მოსკოველები მას უწოდებენ ქრისტიანული სარწმუნოების დამცველს, რომლის სიძლიერე საკუთარ მხრებზე ჰქონდა დაყრდნობილი; 2. დაბადებიდანვე ზურგის ორივე მხარეს ჯვარი ჰქონია გამოსახული; 3. მთიელი გვირგვინმოსილი: ისრაელთა მეფე.

მ ა რ ცხ ნ ი ვ: 1. დავითის კვერთხით ღვთით გვირგვინოსანი; 2. მეფე ქვეყნიერებისა და აღმოსავლეთისა. ისრაელთა მეფე, ღმერთი ისრაელთა; 3. ამბობდა რომ მხრებზე პატარა ჯვარი აქვს გამოსახულიო; 4. [მან] მეფობას მიაღწია საკუთარი ძლიერებით.

მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ: 1. აღმოსავლეთში ყველა ქართველი, მეფე-მთავარი (მათივე რწმენით) შთამომავლობას იწყებს დავითისაგან და, რომ ისინი ღვთით არიან გვირგვინოსანნი. ყველაფერი ამ სიტყვაშია მოქცეული — მეფე, მას ასე მიმართავენ: ჩემო უფალო ღმერთო; 2. ჯიშით თვალტანადნი არიან, შესამჩნევად მაღალნი.

## ს ურ ა თ ი № 23

### სამეგრელოს მთავარი ვომიკელა ლიპარტიანი

მ ი ნ ა წ ე რ ი ქ ვ ე მ ო ა შ ი ა ზ ე: 1. სამეგრელოს მთავარს დადიანს, რადგან ჯანმრთელი შვილი არ ჰყავდა დინასტიის გამგრძელებლად, ჩვენი დიდი კეთილშობილი, ვომიკელა ლიპარტია დადგა; 2. სიფიცხით ცნობილი მთავარი კოლხეთისა.

მ ა რ ცხ ნ ი ვ: ეს მთავარი მეუღლითურთ ძალიან კმაყოფილი იყო ჩვენი საქმიანობით და მრავალ წყალობასაც გვანიჭებდა.

მისი შვილები მოვნათლეთ და ბევრი სხვაც მის სოფელში.

მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ: ოჯახის სარჩენად უმთავრეს წყაროდ ნადირობა მიაჩნიათ, ყოველ დილით მიდიან სანადიროდ და ზოგჯერაც ხელცარიელი ბრუნდებიან.

## ხ ურ ა თ ი № 24

### ლევან დადიანის მეუღლე დარეჯანი, რომელიც აფხაზეთის მთავრის შარაშიას ქალიშვილი იყო

მ ი ნ ა წ ე რ ი ქ ვ ე მ ო ა შ ი ა ზ ე: კოლხეთის მთავარმა მეუღლე დარეჯანს ცხვირი მოაჭრა და სიმამრს აფხაზეთის თავკაცს, ანუ მთავარს, გვარად შარაშიას უკან მოპვარა.

## ს ურ ა თ ი № 25

### დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი ზაქარია

### ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ა ტ რ ი ა რ ქ ი

მ ი ნ ა წ ე რ ი ქ ვ ე მ ო ა შ ი ა ზ ე: ეს არის ქართველთა პატრიარქი ზაქარია, კაცთმოყვარეობით სავსე და კათოლიკური სარწმუნოებისადმი ღვთისმოსავი,

მან მისწერა წერილი წმიდა სამოციქულო ტახტს და თავისი წარმომადგენელიც გააგზავნა, რომელიც იტალიაში მოვიდა 1626 წელს. იხილე ამის შესახებ ისტორია.

ი ქ ვ ე  მ ე ო რ ე  მ ი ნ ა წ ე რ ი: გურიის სამთავროსა და იბერიის, კოლხეთის და სხვა მხარეთა დიდი ნაწილის პატრიარქი, გამოჩენილი კაცი და ჩვენი პატრების კეთილისმყოფელი ბრწყინვალე შესამოსელში.

ზ ე მ ო თ: მღვდელმთავარ-პატრიარქის ჩაცმულობა აღმოსავლეთში.

მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ: მართლმადიდებელი პატრიარქის საზეიმო ჩაცმულობა.

ქ ვ ე მ ო თ: იბერიის სამეფოს პატრიარქი.

ა შ ი ი ს  გ ა რ ე თ  ლ ო ც ვ ი ს  დ ა ს ა წ ყ ი ს ი  ქ ა რ თ უ ლ ა დ: მამა, ძე და სული წმინდა, სამება, ერთი ღმერთი ჭეშმარიტი, დიდება მამასა, ძესა, სულსა წმინდასა აწ და მარადის და უკუნისამდე, ამინ.

მ ა რ ც ხ ნ ი ვ: აღმოსავლეთის მთავარნი ლიბერალები, სათნოების მოყვარულნი და სამაგალითონი არიან.

მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ  ა შ ი ი ს  გ ა რ ე თ: ჩემო. უფალო,
ჩემო საყვარელო
ღმერთო,
სიონის ვარ
სხვისი არა
ვარ.

## ს ურ ა თ ი № 26

### ხამცხის ათაბაგის... ასული ელენე

### ს პ ა რ ს ე თ ი ს  დ ე დ ო ფ ა ლ ი

მ ი ნ ა წ ე რ ი  მ ა რ ჯ ვ ნ ი ვ  ა შ ი ა ზ ე: ელენე არტაბაგოდან (არტაანიდან), დედოფალი სპარსეთისა, ხოლო სულიერი ასული ჩვენი, მისიონერებისა, რომლებიც იმყოფებოდნენ გურიელის პროვინციაში, სადაც მოღვაწეობდნენ ჩვენი უფლის 1633 წელს.

### კ ე თ ი ლ ი ს მ ყ ო ფ ე ლ ე ბ ი

ქ ვ ე მ ო თ  ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი თ: ელენე არტაბაგი, სამცხის პროვინციის არდაანის მთავრის ასული, შემდეგ იყო მესოპოტამიაში; ის სპარსეთის დედოფალი გახდა, შაჰ-აბას დიდის ძის, შაჰ სეფის, მეუღლე იყო.

### მ ი ს ი ო ნ ე რ ე ბ ი ს ა დ მ ი  ნ დ ო ბ ა ზ ე

ზ ე მ ო თ: ჩვენს მისიონერ პატრებს აღმოსავლეთ მთავრებში ისეთი დიდი ნდობა აქვთ მოპოვებული, რომ ისინი თავის სიცოცხლეს და ღირსებასაც კი მათ ანდობენ კერძოდ, მათ ავადმყოფ შვილებსაც კი ანდობენ, ჩვენი პატრების ლოცვებისა უფრო სჯერათ, ვიდრე მართლმადიდებელი მღვდლებისა.

## ს უ რ ა თ ი № 27

### კოლხეთის მთავრის, ლევან დადიანის, შვილი ალექსანდრე

მ ი ნ ა წ ე რ ი  ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი თ  ზ ე მ ო  ა შ ი ა ზ ე: სამეგრელოს მთავრის მეორე შვილი. სამეგრელოს მეფის მეორე შვილი დამბლადაცემული

ეგრეთ წოდებული მეშჩეკური. იგი ჩვენს მისიონერებს მიანდეს ზემოაღნიშნული ავადმყოფობისაგან განსაკურნებლად, რაც სრულიად არ მოსწონდა უფალს — ჩადენილ ბოროტმოქმედებათა გამო.

## სურათი № 28

### ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის ასული დარეჯანი

მინაწერი ქვემო აშიაზე: 1. იბერიის დედოფალი დარეჯანი..., 2. თეიმურაზის ასული, 3. ბაშიაჩუკის პროვინციაში ...და სხვ. იხ. მისი ისტორია, 4. ელჩი... დუკა...

მარჯვნივ: საქართველოს (იმერეთის) დედოფალი და სხვ.

მარცხნივ: ქალის სახელები: გულიჩემი, ვარდისფერი და სულისა.

მარჯვნივ: ქალის სახელები: თამურია, თებრუა, გულიკაკა და თვალისამოთხისა.

## სურათი № 29

### ლევან დადიანის ასული ზილიხანი

მინაწერი ზემო აშიაზე: კოლხეთის მეფის ასული ზილიხანი, ალექსანდრე ბატონიშვილის და, მეთხოვდა იმერეთის მეფის ალექსანდრეს შვილს ბაგრატს.

ქვემოთ ლექსი: მოძრავი შუქი ორივეს დაიოკებს.
მაცდური ქალი დაუნდობელია.

ქვემოთ მარცხნივ: ზილიხანი ანუ ნოძბი. კოლხეთის და საქართველოს ფურცლები და მისი ისტორია. გარდაცელილი შვილები და სხვა.

მარჯვნივ: ლევან პატონისკული (ბატონიშვილი).

## სურათი № 30

### აფხაზი აზნაური

მინაწერი ქვემო აშიაზე: შეიარაღებული აფხაზი აზნაური.

მარცხნივ: ამაზონელის ჩაცმულობა.

მარჯვნივ: შუბით ხელში.

## სურათი № 31

### სპარსეთის მთავარსარდლის და შირაზის ბეგლარბეგ ალავერდი ხან უნდილაძის შვილი, დაუდ ხანი

მინაწერი მარჯვნივ აშიის კიდეზე: დაუდ ხანი, შირაზის ხანის ძმა, ჩვენი პატრების კეთილისმყოფელი საქართველოს სამეფოში.

ქვემოთ მარჯვნივ კუთხეში: დაუდ ხან სპარსელი.

ქვემოთ: იბერიის სამეფოს პროვინციის განჯის დუკა, ანუ ხანი (სპარსეთის პროვინციის შირაზის ხანის მამულის ძმა, რომელიც სპარსეთის ხელმწიფემ

მოჰკლა). იმ შიშის გამო, რომ იგივე ხელმწიფე მასაც მოჰკლავდა, თურქებთან გაიქცა. გზად მიმავალმა ჩვენი სახლი ინახულა და ჩვენ პატრებთან ითათბირა, მადლობის ნიშნად მოწყალება გვიბოძა.

## სურათი № 32

### ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I

### თეიმურაზი

მინაწერი ქეემო აშიაზე: ქართველთა მეფე თეიმურაზი, უძლეველი მეომარია აღმოსავლეთში. სპარსელთა და სხვადასხვა მტერთა წინააღმდეგ მებრძოლი; აღმოსავლეთ ქრისტიანთა მფარველად წოდებული, — იგი მტკიცე დამცველია წმიდა [ე. ი. კათოლიკური] სარწმუნოებისა.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

1. დონ ჯუზეპე ჯუდიჩე და მისი რელაცია საქართველოს შესახებ 3
2. დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს წერილები საქართველოზე . 31
3. ილუსტრაციები . . . . . 123

Дон Джузеппе Джудиче из Милана

**Письма о Грузии**

(На грузинском языке)

Издательство
«Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1964

გამომცემლობის რედაქტორი ო. გრატიაშვილი
მხატვარი გ. ჯაფარიძე
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექრედაქტორი ე. აბდუშელიშვილი
კორექტორი პ. ღელეყვა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/XII-64 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆.
ნაბეჭდი თაბახი 8,5+32 ჩაკვრა. სააღრ.-საგამომც. თაბახი 7,22.
უე 03890. ტირაჟი 10 000. შეკვ. № 829.
ფასი 1 მან.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი,
მარჯანიშვილის ქ., 5

სტამბა № 1, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.
Типография № 1, Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.